

ბ. კვარაცხელია

ქართული ენის
ფუნქციური
სტილისტიკა

ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ორი ფუნქციური სტილის შეპირისპირებითი კვლევა სამეტყველო ურთიერთობის ისეთი სახეების მიხედვით, როგორცაა ინტერპერსონალური და მასობრივი კომუნიკაციები. მასში მოცემულია ქართული სამეტყველო და საგაზეთო-პუბლიცისტური სტილების სპეციფიკათა ზოგადი დახასიათება, მათი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური სისტემების შეაწავლა, მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურების გამოვლენა-ანალიზი. აღნიშნულ სტილთა თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების შედარების შედეგად წარმოჩენილია პოლივალენტოვანი ეროვნული ენის ფუნქციურ-სტილური დიფერენციაციის ობიექტური სურათი.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, რომლებსაც ქართული ენის სტილისტიკის კურსი ეკითხებათ. იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს, აგრეთვე, პრესას მუშაკებსა და ჟურნალისტიკის თეორიული საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი ბ. ჯორბენაძე
რეცენზენტები: ალ. ლლოტი, ო. ქაჯაია

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990

4702170201

K

608(06)90

ISBN 5—511— 00211—9

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა, ურთიერთობის საშუალებად და აწროვნების იარაღად მრავალ სფეროში გამოიყენება. საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მძლავრი აღძვლობა ქართული სალიტერატურო ენის როლის უჩვეულოდ გაზრდას გულისხმობს. „ქართული სალიტერატურო ენის მომხმარებელთა წრე — ამ ენის მთელი ისტორიის მანძილზე — არაოდეს ყოფილა ისე დიდი, როგორც ის არის დღეს: არაოდეს არ შეინია ამ ენას ასეთი მრავალმხრივი გამოიყენება“ (15,6). „ქართული გამოიყენება არა მარტო საყოველთაო საუბრისათვის და ელემენტარული კომუნიკაციის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ იგი თანამედროვე მეცნიერების ენაც არის: ქართულ ენაზე იქმნება ნაშრომები ცოდნის ყველა დარგისათვის, ქართულ ენაზე წარმოებს სწავლება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში... ქართულ ენაზე ქვეყნდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოთა მიერ შემუშავებული კანონები, ბრძანებულებანი, აღმასრულებელ ორგანოთა დადგენილებანი: ქართულ ენაზეა სასამართლოს წარმოება, საქმის წარმოება საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობასა და დაწესებულებებში... რომ არაფერი ვთქვათ ქართული ლიტერატურის შესახებ, რომელსაც ათასეული წლების ტრადიცია აქვს. ქართული ენა პოლივალენტოვანია, ე. ი. მრავალმხრივი ღირებულების მქონეა მოხმარების თვალსაზრისით, და ეს ფაქტია უკუფენილი ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, რომელსაც მოეპოვება უაღრესად მდიდარი

მასალა — ცხოვრების რაგინდარა მოვლენისა და ცოდნის რაგინდარა დარგის ცნებათა სახელწოდებანი.

ამის საშუალება სამწერლო ქართულს მისცა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალმხრივმა განვითარებამ, აგრეთვე თვით ქართული ენის დიდ შესაძლებლობათა ჯეროვანმა გამოყენებამ — ძველი, მრავალსაუკუნოვანი სამწერლო-ენობრივი ტრადიციისადმი გულისხმიერმა დამოკიდებულებამ, ცოცხალი სასაუბრო ქართულის მდიდარი ლექსიკური მარაგისა და მოქნილი სიტყვაწარმოებითი ყალიბების თამამმა შემოტანამ სამწერლო ენაში და, აგრეთვე, ცხოველმა ურთიერთობამ მსოფლიოს კულტურულ ენებთან“ (10,233).

ქართული სალიტერატურო ენის ძალთა ამოქმედებისა და სასიცოცხლო უნარის განმტკიცებისათვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქართულად აიდგა ენა ყველა მეცნიერებამ. „ამ მეცნიერებათა მეტი წილი უკანასკნელ საუკუნეებში შეიქმნა, მათი ცნებები წინათ არ არსებობდა და სათანადო ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულს, ცხადია, არ ექნებოდა. ამის გამო იყო, რომ საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე, ვთქვათ, 1916 წელს ვერ განხორციელდებოდა, თუნდაც რომ შეუძლებელი რამ მომხდარიყო და ამის ნება დაერთო მეფის მთავრობას. მაშინ ორად ორ ქართულ გიმნაზიაშიც კი — თბილისისა და ქუთაისისაში — ქართულად მხოლოდ ქართული გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ისწავლებოდა, ყველა სხვა საგანი — რუსულად: ფიზიკა-ქიმიის, მინერალოგია-ბოტანიკისა, ალგებრა-გეომეტრიისა თუ ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელთა: ქართულ ენაზე არ შეეძლო ახალგაზრდას, რომელსაც ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ქართულად აზროვნება ამგვარ სპეციალობაში ჩვენს ახალგაზრდობას პირველად თბილისის უნივერსიტეტმა შეაძლებინა. და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას“ (17,11).

როგორც ცნობილია, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე ცხოვრების ყველა მხარეზე. ამიტომ იგი გვერდს ვერ აუვლის ენასაც, რომლის საშუალებით ადამიანები ურთიერთობენ, გამოთქვამენ აზრებსა და

გრძნობებს. თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია მაღალგანვითარებული სოციალური ურთიერთქმედება, რომელიც სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურებში ხორციელდება. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ჩამოყალიბდა ურთიერთობის ისეთი ახალი ფორმა, როგორცაა მასობრივი კომუნიკაცია.¹ ბეჭდვითი წიგნისა და პრესის, შემდეგ კი რადიოს, კინოსა და ტელევიზიის წარმოშობამ ხელი შეუწყო აღნიშნული კომუნიკაციის განვითარებას. ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ამ ახალი სფეროების გაჩენა მისი სულიერი ცხოვრების გამდიდრების მომასწავებელია, რაც შესაბამის ზეგავლენას ახდენს ენის გამდიდრებასა და განვითარებაზე.

თუ მეცნიერების გარკვეულ დარგებში (თეოლოგია, ფილოსოფია...) ქართული ენის გამოყენებას უძველესი ტრადიცია აქვს, ქართულად პრესის ამეტყველება მხოლოდ გასული საუკუნის მონაპოვარია და მისი ინტენსიური განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობას უნდა მიეწეროს. ის ვითარება, რომ დღევანდელი ქართული პრესის ენა საკვებით უპასუხებს თანამედროვე სოციალურ მოთხოვნებს და ამავე დროს, ასახავს პუბლიცისტიკის განვითარების მსოფლიო დონეს, ერთი მხრივ, შეამზადა მეცნირამეტე საუკუნის სამოციანელთა მოღვაწეობამ პერიოდული პრესის ფურცლებზე და მეორე მხრივ, განაპირობა გაზეთის როლისა და ტირაჟის არნახულმა გაზრდამ თანამედროვე ცხოვრებაში².

ქართული ენის გამოყენება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგებში, რომელთა დიფერენციაცია გამუდმებით გრძელდება, ამავე დროს, ამ ენის გამოყენება მასობრივი კომუნიკაციის ყველა უბანზე, რაც ასევე მრავალფეროვანი ხდება, აფართოებს ენის ფუნქციონირების დიაპაზონს, ახალ მოთხოვნებსა და ამოცანებს უყენებს მას, როგორც მეცნიერული აზროვნებისა და მასობ-

¹ მასობრივი კომუნიკაციის ელემენტები ჯერ კიდევ საზოგადოებს განვითარების უძველეს საფეხურზე აღინიშნება. მაგ., სახალხო მთქმელებსა და ძველი ორატორების მეტყველება შეიძლება განვიხილოთ როგორც მასობრივი კომუნიკაციის გამოვლენა (100, 286).

² საქ. სსრ-ში 1980 წელს გამოდიოდა 141 გაზეთი 740 მლნ ეგზემპლარზე სავსებით წლიური ტირაჟით (155, 9—11).

რივი ინფორმაციის გადაცემისათვის უარსებითესსა და უნივერსალურ საშუალებას, რომელიც მასებზე ზემოქმედებისა და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მშრომელთა განათლების, ხალხთა შორის კულტურათა და მეცნიერული, ტექნიკური და სხვა მიღწევების გაცვლა-გამოცვლის იარაღიცაა. ამით არ ამოიწურება აღნიშნულ სფეროებში ენის ფუნქციონირება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ამ სფეროთა შინაარსი სწორედ ენაში აისახება მატერიალურად.

ენის მიმართ წაყენებული ახალი მოთხოვნები და ამოცანები დაკავშირებულია კომუნიკაციის სფეროს ისეთ ზოგადსა და სპეციფიკურ თავისებურებებთან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ახალი მოვლენები ენის შიდასტრუქტურულ დონეებზე. ამიტომ ენის ფუნქციონირების შესწავლა ამა თუ იმ სფეროში უნდა წარიშართოს ენის ფუნქციური და შიდასტრუქტურული განვითარების ურთიერთმიმართების კვლევის გზით.

ენის საზოგადოებრივ ფუნქციათა ანალიზს, ისევე, როგორც ენის შიდასტრუქტურულ მოვლენათა ანალიზს, სამი ასპექტი შეიძლება ჰქონდეს. ესენია: სინქრონიული, დიაქრონიული და შედარებით-შეპირისპირებითი. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, გამოიყენება: ა) ერთი ენის ორი სხვადასხვა პერიოდის შეპირისპირებისას სინქრონიული ასპექტით და ბ) ორი ან მეტი მონათესავე ან განსხვავებული სტრუქტურების მქონე ენის შედარების დროს. ასეთ კვლევებში კარგადაა წარმოდგენილი შიდასტრუქტურული ფაქტების შეპირისპირების ზოგადი პრინციპები (48). მაგრამ სრულად არა გვაქვს ენის საზოგადოებრივ ფუნქციათა ანალოგიური კვლევები.

ქართული ენის ფუნქციონირება სამეცნიერო ურთიერთობასა და გაზეთში შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტერპერსონალური და მასობრივი კომუნიკაციების შედარება-შეპირისპირება. ასეთი კვლევის შედეგები, ერთი მხრივ, გვიჩვენებენ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციურ-სტილური დიფერენციაციის ობიექტურ სურათს, ხოლო, მეორე მხრივ, მიუხედავად ამ დიფერენციაციისა, ცხადყოფენ მის ერთიანობასა და მონოლითურობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის ფუნქციური სტილები სრულიად უკვლევია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით¹. ასევე დაუმუშავებელია ქართული ლინგვისტურ-სტილისტიკის სფეროებიც. წინამდებარე ნაშრომი ქართული ენის ფუნქციურ სტილთა (საგაზეთო-პუბლიცისტურისა და სამეცნიეროსი) პირველი გამოკვლევაა. აქ პირველადაა მოცემული ერთი ენის ორი ფუნქციური სტილის შეპირისპირება კომუნიკაციათა ისეთა სახეების მიხედვით, როგორცაა ინტერპერსონალურა და მასობრივი კომუნიკაციები, რასაც ზოგადთეორიული მნიშვნელობა აქვს როგორც ენის შესახებ მეცნიერებისათვის, ისე კომუნიკაციის თეორიისთვისაც.

უკანასკნელი ათწლეულები საბჭოთა ენათმეცნიერების ოითქმის ყველა დარგის აღმავლობით ხასიათდება. ფუნქციურმა სტილისტიკამაც, რომელიც ამ ათწლეულებში ჩამოყალიბდა, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა ლინგვისტიკურ ლიტერატურაში უკვე ბევრა ნაშრომი მოიძევა, რომელიც სტილისტიკის კონკრეტული და ზოგადთეორიული საკითხების შესწავლა-დამუშავებას ეძღვნება. ჩვენი დროისათვის ნიშანდობლივი დისციპლინათშორისი კვლევების ინტენსიური განვითარება ყველაზე მეტად ენათმეცნიერების იმ დარგს შეეხო, რომელსაც სტილისტიკა და კერძოდ, ფუნქციური სტილისტიკა ეწოდება. ამგვარი კვლევები ფუნქციურ სტილისტიკას აკავშირებს მომიჯნავე და ზოგჯერ არც თუ მომიჯნავე ისეთ დისციპლინებთან, როგორცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, კულტურის ისტორია, კიბერნეტიკა, კავშირის თეორია და ლოგიკურ-მათემატიკური დისციპლინები. ცხადია, რომ მხოლოდ დაკავშირება ვერ მიგვიყვანს სტილის შესახებ მეცნიერების ძირითადი პრობლემების გადაწყვეტამდე, უფრო მეტიც, ასეთ პირობებში სწორად სუსტდება კაპიტალური, საკუთრივ სტილისტიკური პრობლემები იმის გამო, რომ ზოგჯერ ფაქტოლოგიზმი და სციენტიზმი ერთგვარ ბარიერად იქცევა, რომლის მიღმა რჩება ლინგვისტური კვლევის საგანი და ამ საგნის სპეციფიკა. ამგვარ

¹ ზოგიერთი ენობრივი მოვლენა ქართული პრესის ენაში შესწავლილია ნორმატიული ასპექტით (2).

კვლევებში არის საშიშროება, ერთი მხრივ, სტილისტიკის რედუქციისა, ხოლო მეორე მხრივ, ე. წ. მეთოდოლოგიური პლურალიზმისა, რაც ხელს გვიშლის შევალწიოთ სტილის არსში, მის ბუნებაში. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მეტყველება მეტყველთა მიერ ხორციელდება და ამავე დროს, არასამეტყველო გარემოში იშლება, რაც არსებითად განაპირობებს ამ მეტყველების როგორც შინაარსს, ისე ფორმებს. ამის გათვალისწინების გარეშე ლაპარაკი სტილის ფენომენზე დღეს ანაქრონიზმი იქნებოდა. ისეთი კონცეპტუალური სისტემის ძიებამ, რომელიც სამეტყველო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი პარამეტრების, მთლიანად საკომუნიკაციო აქტის ადეკვატური აღწერის შესაძლებლობას მოგვცემდა, სტილისტიკა დაანათესავა სოციოლოგიას, ფსიქოლოგიასა და სამეტყველო კომუნიკაციის თეორიასთან.

ჩვენი კვლევის თეორიული საფუძველი ითვალისწინებს საბჭოთა და უცხოელ ლინგვისტილისტთა მიღწევებს ფუნქციური სტილისტიკის სფეროში, რომლის შესწავლის ზოგადი საკითხები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ბერძნული რიტორიკის საფუძველზე წარმოქმნილი ზოგადი ფილოლოგიური სტილისტიკა, რომელიც პრაქტიკულ სტილისტიკასა და ტროპების თეორიას ემყარება, ვითარდებოდა ორი მიმართულებით: ერთი წარმოადგენს ენათმეცნიერულ-ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის ისტორიულ მეცნიერებას (ვ. ვ. ვინოგრადოვი), ხოლო მეორე — გამოყენებითი, ნორმატიული დისციპლინაა. ორსავე მიმართულებას ახასიათებს მეტყველების გამომსახველ საშუალებებზე ორიენტაცია.

ტრადიციული მიმართულება, რომელიც ენის სტილურ რესურსებს სწავლობს, აღწერთი ხასიათისაა და ეფუძნება სინონიმის არსებობას ენაში.

ბევრ თანამედროვე მკვლევარსაც სტილისტური შერჩევა იქეთ პროცესად მიაჩნია, რომელიც ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გადმოცემის შესაძლებლობას ეყრდნობა. ამ თვალსაზრისისათვის დამახასიათებელია შემდეგი მსჯელობა: „...ერთი და იმავე ენის ორი შეტყობინება, რომელიც დაახლოებით ერთნაირ ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ რომელთაც გან-

სხვაეგვარი ენობრივი სტრუქტურები აქვთ, შეიძლება განიმარტოს როგორც სტილისტიკურად განსხვავებული“ (166, 559). არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომელსაც ინფორმაციათა იდენტურობა საეჭვოდ მიაჩნია იქ, სადაც ამ ინფორმაციათა შემცველი გამონათქვამები სტილისტიკურად ერთმანეთს უპირისპირდება (165,16).

ფუნქციური სტილისტიკა, რომელიც თანამედროვე ეტაპზე წამყვან მიმართულებას წარმოადგენს, თავისი კვლევის ობიექტს არ შემოფარგლავს სტილურად შეფერილი ენობრივი ერთეულების აღნუსხვა-შესწავლით. მართალია, იგი ამ ერთეულებს ითვალისწინებს, მაგრამ მათ განიხილავს არა როგორც მუდმივად შეფერილ ელემენტებს (მორფემებს, სიტყვებს, სიტყვათა შეხამებებს), არამედ როგორც დინამიკურსა და ფუნქციური დანიშნულების მქონე ენობრივ საშუალებებს. ამასთანავე, სტილისტიკის ეს ახალი მიმართულება წინ წამოსწევს ენის ბუნებრივი ფუნქციონირების ობიექტური შესწავლის ამოცანას ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, სადაც ენობრივ ერთეულთა მიზანდასახული გამოყენება განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: გამონათქვამის შინაარსი, კომუნიკაციის მიზნები, ტიპები, სიტუაციები და სხვ.

ამგვარად, სტილისტიკის ფუნქციური მიმართულება კი არ უპირისპირდება ტრადიციულს, არამედ მოიცავს მას, როგორც მეცნიერების განვითარების წინა ეტაპს.

2. ტერმინი „ფუნქციური“ ხშირად სხვადასხვა მხარესა და მნიშვნელობას უკავშირდება. ერთი მხრივ, იგი შეიძლება გულისხმობდეს ენის ფუნქციებს, ხოლო მეორე მხრივ, ენის ფუნქციონირებას ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში.

ჯერ კიდევ ვ. ფ. ჰუმბოლდტიდან მომდინარეობს ფუნქციის იმგვარი გაგება, როცა ენობრივ საშუალებათა ფუნქციური დანიშნულების ცნება უკავშირდება ენობრივის მიმართებას არაენობრივ სინამდვილესთან. ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული ბოდუენ დე კურტენესაც (28,77). როგორც ვხედავთ, მეტყველების ფუნქციური დიფერენციაციის პრობლემას გარკვეული ისტორია აქვს, თუმცა მისი დაკუთვება შედარებით გვიან დაიწყო.

რაც შეეხება ენის ფუნქციებს, მათი მრავალფეროვნება სწორედ სამეტყველო ურთიერთობაში ვლინდება. მართალია, ისინი ენის ძირითადი ფუნქციის — საკომუნიკაციო ფუნქციას — მოდიფიკაციებია¹, მაგრამ მათი დიფერენცირებული განხილვა სტილისტიკური კვლევისას მიზანშეწონილი ჩაას, თუმცა იმ გარემოების აუცილებელი გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი მათგანი (საკომუნიკაციო, ექსპრესიული, გნოსეოლოგიური...) ენობრივ სტრუქტურათა და გამოქმნილ საშუალებათა საგანგებო შერჩევას არ მოითხოვს — ეს ფუნქციები ნებისმიერ სამეტყველო მოქმედებას ახასიათებს, განურჩევლად კომუნიკაციის მიზანდასახულებისა და პირობებისა, მეორე მხრივ, ალბათ უნდა შეიზღუდოს ფუნქციათა კლასიფიკაციის ისეთი დანაწევრებაც, სადაც დამოუკიდებლად განიხილავენ ემოციურ, მაგიურ, ფატიურ, დიაკრიტულ: კონტაქტის, „მარკისა“ და სხვ. ფუნქციებს, ვინაიდან კონკრეტულ გამონათქვამთა თავისებურების აყვანა ენის ფუნქციის რანგში არა თუ ხელს უწყობს ფუნქციურ სტილთა დიფერენციაციას, არამედ, პირიქით, აქნალებს მათ გამოყოფას.

ნაყოფიერი ჩანს სტილისტიკის იმგვარი ფუნქციური ასპექტი, რომელიც მეორე გაგებას უკავშირდება. მართლაც, მეტყველების აქტის მიზანი სამეტყველო საქმიანობის ფარგლებს გარეთ ძვეს: სამეტყველო საქმიანობა არასამეტყველო საქმიანობას ემსახურება და ამით არის განპირობებული².

3. თუ ტრადიციული სტილისტიკის თვალსაზრისით, სტილური მოვლენები და სტილთა კლასიფიკაცია უნდა ახსნილიყო საკუთრივ ლინგვისტური ბუნებიდან ამოსვლით, დღეს ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენა ფუნქციური სტილის შექმნაზე უდავოდ მიაჩნიათ, თუმცა გარეენობრივი ფაქტორების სპეციალური თეორიული შესწავლა ახლაც ხშირად არალინგვისტურ საქმედ ითვლება (ამ აზრისა იყო ფ. დე სოსიურიც).

¹ „ენის ძირითადი ფუნქციაა საკომუნიკაციო ფუნქცია (...) ყველა სხვა ფუნქცია (კერძოდ, ექსპრესიული...) საყრდენად და წინაპირობად საქმიანობებს საკომუნიკაციო ფუნქციას“ (19,9).

² მეტყველების ეს ონტოლოგიური დახასიათება უდევს საფუძვლად როგორც სოციო-, ისე ფსიქოლინგვისტიკის წარმოშობას (133, 147).

ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ფაქტორების გამაერთიანებელი კონცეფციის უქონლობა პრინციპებისა და ნომენკლატურის ფორმულირებათა იმ არაერთგვარობის მიზეზია, რაც ნიშანდობლივია ფუნქციურ სტილთა კვლევის თანამედროვე ეტაპზე (6,8-17).

4. ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა შორის მკვლევართა ერთი ნაწილი ასახელებს: სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციას, ფორმას, შინაარსს, კომუნიკაციის მიზანსა და იმ სოციალურ გარემოს, სადაც კომუნიკაცია ხორციელდება. გამოყოფენ მეორეულ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც, რაც ბიულერის თეორიის ცნობილ სქემას ეყარება. ამავე სქემას უდებენ საფუძვლად რ. იაკობსონი და მისი მიმდევრები იმ ექვსი ფაქტორის მიმართებათა სისტემას, რომელთა მიხედვით განსაზღვრავენ ისინი ენის ფუნქციურ დიფერენციაციას (167,353). სტილის მაწარმოებელ ფაქტორად მიაჩნია ა. გარდინერს მეტყველების მიმართების შედეგი კომუნიკაციის ისეთ ელემენტებთან, როგორიცაა: ნაშენელი, მეტყველების სავანი და ენობრივი ინვენტარი (163,35).

მიმართებას მეტყველსა და ადრესატს შორის ე. წ. ინტერაქციის ფუნქცია გამობატავს. იგი ითვალისწინებს ადრესატის პიროვნებას, ადრესატთა კოლექტივის სასიკაოს, რამდენადაც ეს უკანასკნელი მოწოდების, დარწმუნების, გაფრთხილების, მართვის, ინსტრუქტირების მიზანს წარმოადგენს. საინტერაქტუო ფუნქციის ტიპური მაგალითია პუბლიცისტური სტილი. თუმცა იგი მეტ-ნაკლებად სხვა ფუნქციურ სტილებშიც (ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, სასაუბრო...) ვლინდება.

5. ენის ფუნქციებზე დაყრდნობით ფუნქციურ სტილთა კლასიფიკაციას სიცხადე აკლია, ვინაიდან ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროში ფუნქციონირებისას ენა ხშირად რამდენსამე ფუნქციას ასრულებს, რის გამოც ამ ფუნქციონირების შედეგი შეიძლება რამდენსამე სტილს განეკუთვნოს ერთდროულად.

სტილთა გამოყოფისას სიძნელეს ქმნის ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა სიმრავლე და სიჭრელე, რაც სპეციალურ ლიტერატურაშია (მაყსეებლასი, მისტრიკი, იელინევი, ბრიკმანი, ვეინმანი, კოეინა, ტროიანსკაია...). განსხვავებულია ამ ფაქტორთა შემოქმედების ძალა. თუ ურთიერთობის მიზანი, საზოგადოებრივი სფე-

რო და შინაარსი სტილის სპეციფიკას განსაზღვრავს, მთელი რიგი გარეუბრივი ფაქტორებისა ამ უნარს მოკლებულია. მართალია, ისინი გარკვეულ გავლენას ახდენენ მეტყველებაზე, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში სტილურად აფერადებენ არა რომელსამე ფუნქციურ სტილს, არამედ მის მხოლოდ ვარიანტს, ქვესტილს, უნარს ან ცალკეულ გამონათქვამს.

6. ზოგადი ფაქტი, რომელიც ენის ფუნქციურ დიფერენციაციას იწვევს, ენის ფუნქციონირების ფაქტორია ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ეს სფეროებია: სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მასობრივი ინფორმაციისა და საყოფაცხოვრებო. თითოეულ მათგანს შესაბამისად ემსახურება: სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური და სასაუბრო-ნიადაგასანბარი სტილი. ↓

ზემოჩამოთვლილ სტილთაგან ყოველი (გარდა უკანასკნელისა) რთული კომპოზიციური სისტემაა, რომელიც ქვესტილების, სხვადასხვა უნარებისა და ქვეუნარებისაგან შედგება. ამასთანავე, სამეცნიერო, და განსაკუთრებით, პუბლიცისტური ტექსტების უმრავლესობას ავტორთა ინდივიდუალობის ნიშანი ატყვია. მაგრამ ნებისმიერ ფუნქციურ სტილს თავისი ქვესტილებისა და უნარებისთვის საერთო ენობრივი ნიშნები რომ არ ჰქონდეს, მისი გამოყოფა შეუძლებელი იქნებოდა. საერთო ქმნის ერთი ფუნქციური სტილის ფარგლებში მის სტილურ ხასიათს, ხოლო განსხვავებული ამავე ფარგლებში დანაწევრების საფუძველს იძლევა.

ფუნქციურ სტილთა შესწავლის დასაწყის ეტაპზე მიზანშეწონილი ჩანს იმ საერთოსა და ობიექტურის გამოვლენა, რის აბსტრაქციასაც წარმოადგენს ესა თუ ის სტილი.

7. ფუნქციური სტილები საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებმა წარმოშვა. მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის როლს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უჩვეულოდ ზრდის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მრავალმხრივი განვითარება. პოლივალენტოვან ქართულ სალიტერატურო ენას ფუნქციურ სტილთა მდიდარი სისტემა აქვს. მისი შემდგომი განვითარება და დახვეწა საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის მეტყველების კულტურის ამოცანაა და მწვერვალიც.

ნ ა წ ი ლ ი კ ი რ ვ ე ლ ი

1. სამეცნიერო ფუნქციური სტილის სპეციფიკის ზოგადი დახასიათება

1.1. სამეცნიერო ფუნქციური სტილის განსაზღვრება

1.1.1. მეტყველების სამეცნიერო სტილი მეცნიერების სფეროში ადამიანთა ურთიერთობას ემსახურება. იგი კომუნიკაციის ტიპიზირებულმა მიზანმა წარმოშვა. ადამიანთა საქმიანობის აღნიშნული სფერო საკმაოდ მკვეთრადაა შემოფარგლული, რაც ამ სფეროში ენის სპეციფიკურ ფუნქციონირებასა და მის ლიფერენცირებულ გამოყენებას განაპირობებს. ამგვარი გამოყენების წანამძღვრები კი თვით ენაშია.

ამგვარად, სამეცნიერო მეტყველება რაიმე განსაკუთრებული, ხელოვნურად შექმნილი ოდენობა არაა: ენა იგივეა, გამოყენებაა — სხვა.

1.1.2. სამეცნიერო სტილი წიგნურ სტილებს განეკუთვნება, რომელთაც ფუნქციონირების საერთო პირობები ახასიათებს: გამონათქვამის წინასწარ მოფიქრება, მონოლოგურობა, ენობრივ ერთეულთა მკაცრი შერჩევა და სწრაფვა ნორმირებული მეტყველები-საკენ. ამ სტილის ზეპირი ფორმები (ლექცია, მოხსენება...), რომლებიც სიტუაციითაა პირობადებული, მართალია, ზოგიერთი ნიშნით უპირისპირდება წერილობით ტიპებს, მაგრამ ყოველი მათგანი წერილობითშიც იჩენს თავს. ამასთანავე, ჩვეულებრივ, მეცნიერული ლექცია, მოხსენება თუ საინფორმაციო ცნობა წინასწარ მზადდება, იწერება და უმეტესად დაწერილი ტექსტის მიხედვით იკითხება. ამგვარად, ეს ფორმებიც წიგნურია და მკვეთრად უპირისპირდება არაწიგნურ მეტყველებას.

1.1.3. ვინაიდან სამეცნიერო ინფორმაციის ორგანიზებული ფორმა, როგორც მეცნიერული შემოქმედებითი აზროვნების შედეგი, ადეკვატურ გამოხატულებას სამეცნიერო ფუნქციურ სტილში პოულობს, რაც ამავე დროს სამეცნიერო ინფორმაციის გაცემა-გამოცემის საშუალებაა. ამიტომ სამეცნიერო ფუნქციური სტილი შეიძლება განიმარტოს როგორც სამეტყველო სისტემა, რომელიც სპეციალურადაა მისადაგებული ადამიანთა ოპტიმალური ურთიერთობისათვის სამეცნიერო სფეროში¹.

1.2. სამეცნიერო ურთიერთობის სფერო

1.2.1. სამეცნიერო კომუნიკაციაში ფუნქციონირებისას ენა, უწინარეს ყოვლისა, ორ უმთავრეს ფუნქციას ახორციელებს. ერთია ინტერინდივიდუალური (ურთიერთობის საშუალებად ყოფნა), ხოლო მეორე — ინტრინდივიდუალური (ენა, როგორც აზრის გამოხატულება) (147), (148). ამ ფუნქციათა წამყვანი როლი სამეცნიერო მეტყველებაში პირობადებულია თვით მეცნიერების დანიშნულებით — ახალი ცოდნა მოიპოვოს სამყაროს შესახებ და საცნაური გახადოს იგი საზოგადოებისთვის.

1.2.2. ახალი ცოდნის მოპოვება, როგორც სინამდვილის ათვისების საშუალება, ადამიანის გარე და შიდასამყაროს კანონზომიერებათა აღმოჩენა-დადგენაში მდგრადიარეობს, რაც თავის მხრივ, მოითხოვს, სულ უფრო სრულად ღა ზუსტად აიხსნას სინამდვილის ფაქტები, დასაბუთებელ იქნეს მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, გამოვლინდეს ისტორიული განვითარების პირობა-კანონები და ა. შ. ამგვარი ცოდნა მაქსიმალურად განზოგადებული, ობიექტური და გაუპიროვნებელია. ამიტომ შემეცნებას აქ აზროვნების ინტელექტუალურ-ცნებითობა ახასიათებს. რაც ხორცს იხსამს სამეცნიერო თხზულების შინაარსში და ამავე დროს აისახება მის ენობრივ ფორმაში.

¹ სამეცნიერო ფუნქციური სტილის ანგარიშ განმარტება მის ორსავე — ენობრივსა და გარეენობრივ — საფუძველს ითვლისწინებს და არც იმ დეფინიციებს ეწინააღმდეგება, რომლებიც წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში (37), (67), (69), (103), (137).

1.2.3. მეცნიერული პუბლიკაცია ერთდროულად მეცნიერული აზროვნების პროდუქტაცია და სამეცნიერო მეტყველების ქმნილება. ეს დიალექტიკური ერთიანობა ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი — თუ როგორია აზროვნების მეტყველებაში გამოვლენის პროცესი — დამაკმაყოფილებლად არ არის გადაწყვეტილი თანამედროვე მეცნიერებაში (19,235), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აზროვნების მეცნიერული სტილი და მეტყველების მეცნიერული სტილი, აგრეთვე. დიალექტიკურ მთლიანობას წარმოადგენს და მათი ურთიერთობა როგორც ერთის, ისე მეორის განვითარებისთვის ძლიერი ფაქტორია.

1.2.4. ერთი მთლიანობაა მეცნიერული აზროვნების ორი ეტაპი — კომუნიკაციამდელი და კომუნიკაციური. პირველს, ერთი მხრივ, უკავშირდება ცოდნის დაგროვება, რაც მეცნიერების საშუალებით ხდება და, მეორე მხრივ, აღმოჩენა, მეცნიერული სიახლე. მეორე ეტაპს განეკუთვნება უშუალოდ მოპოვებული ახალი ცოდნის სამეტყველო გაფორმება, რაც მეტყველების სამეცნიერო სტილის საქმეა და ამდენად ეს უკანასკნელი მეცნიერული აზროვნების კომუნიკაციური არსებობის ფორმას წარმოადგენს (37,42).

1.2.5. ვინაიდან ყოველი კომუნიკაცია ორ მხარეს გულისხმობს, სამეცნიერო ურთიერთობაცა და მისი როლიც მეტყველების მნიშვნელობის მქონე ერთეულთა ფორმირებაში ორ რგოლს შორის უნდა წარმოვიდგინოთ: ენობრივ გამოხატულებას გარკვეული მეცნიერული შინაარსი უძღვის: ჭერ „აზროვნების პროცესი“ — შემდეგ — შესაბამისი გამოხატულება, ანუ „სამეტყველო პროცესი“ — ამგვარი თანამიმდევრობით ხასიათდება პროცესი მტყველში. საწინააღმდეგო მიმდევრობა გვაქვს მკითხველთან: აქ პროცესი იწყება სამეტყველოთი და მთავრდება აზრობრივით (148,22). ორივე რგოლია როგორც ავტორ-მეცნიერში, ისე მკითხველში, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ-საქმიან ურთიერთობას ადაპიანთა გარკვეულ წრეში (მეცნიერთა შორის).

1.2.6. მეცნიერული კომუნიკაცია, აზროვნება-მეტყველება ამ სფეროში ფორმალურ-ლოგიკურ კანონებს ექვემდებარება, რაც

ბევრად განსაზღვრავს მეტყველების სამეცნიერო სტილის სტრუქტურულსა და ფუნქციურ თავისებურებებს.

მართალია, ლოგიკურობა, სიცხადე, სიზუსტე მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა ფუნქციურ სტილს, მაგრამ ეს თავისებებები საკუთარივე მეცნიერების მოთხოვნილებაა, როგორც მისი არსებობის საფუძველი, ამიტომ მათ გარეშე სამეცნიერო ნაშრომი წარმოუდგენელია.

1.2.7. ყოველ სამეცნიერო ნაშრომს საკუთარი მიზანი აქვს: ჩამოაყალიბოს და დაამტკიცოს ავტორის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის ჭეშმარიტება, წარმოაჩინოს ახალი მეცნიერული კონცეფცია, აღმოაჩინოს ახალი მოვლენები და გამოავლინოს განვითარების შინაგანი კანონები. ამიტომ სამეცნიერო სტილის ინტელექტუალურ-საკომუნიკაციო ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა კი არ არის, არამედ მისი ჭეშმარიტების მტკიცება, მიღებული შედეგების მნიშვნელობის აღნიშვნა და შეფასებაცაა. აქაც, როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერების ენას იგივე თავისებებები აქვს, რაც მეცნიერულ გამოკვლევას, როგორც ადაძიანის ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტს. ეს თავისებებები განსჯისა და მტკიცების ლოგიკურობას გულისხმობს, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლოგიკური აზროვნებით, რომლის ძირითადი ფორმებია: ცნება, მსჯელობა, დასკვნა.

1.2.8. ცნება სამეცნიერო მეტყველების უმნიშვნელოვანესი შინაარსობრივი ერთეულია. „საგნის არსებით ნიშან-თვისებას ცნება წარმოგვიდგენს. ცნებაში ეს ნიშან-თვისებები განზოგადების შედეგადაა მიღებული... სიტყვა ყოველთვის განზოგადებს, მაგრამ ერთია მეცნიერული განზოგადება, ე. ი. მეცნიერული ანალიზის შედეგად მიღებულ ნიშან-თვისებათა განზოგადება, და მეორე, ყოველდღიური დაკვირვების შედეგად მოპოვებული ცოდნა საგნის ბუნება-თვისების შესახებ“ (16, 211—212.). ამგვარად, სიტყვა მეცნიერულ ზუსტ ცნებას არ აღნიშნავს ყოველთვის. განზოგადებას, რომელიც ცნებას ახასიათებს, მეცნიერული ანალიზი უდევს საფუძვლად, რასაც მოკლებულია ყოველდღიური სიტყვახმარება. ცნებებით აზროვნება კი სამეცნიერო სტილის ნორმაა.

ყოველი მეცნიერების ცნებებში ასახული და ფიქსირებულია ის ღონე, რომელიც შემეცნების განვითარების გარკვეული მომენტისათვისაა მიღწეული. ცნობიერების გაფართოებისა და გაღრმავების პროცესში არა თუ ჩნდება ახალი მეცნიერული ცნებები, არამედ ადრე შემუშავებული ცნებებიც ახალთა საფუძვლზე ფორმდება. ცნება არა მარტო მეცნიერული ანალიზის შედეგია, არამედ სამყაროს შემეცნების უმთავრესი იარაღიცაა (37, 31).

ცნებათა სახელები ტერმინებია. ყოველ მეცნიერებას ცნებათა სისტემის შესაბამისი ტერმინოლოგია აქვს, რისი ცოდნა სამეცნიერო კომუნიკაციის შეუფერხებელი განხორციელების აუცილებელი პირობაა.

1.2.9. ცნების ექსპლიკაცია მსჯელობაში ხდება, რომელიც მეცნიერული მტკიცებისა ან უარყოფის დასაბუთების ფორმაა. მსჯელობის შედეგი დასკვნა უნდა იყოს.

მსჯელობა, როგორც სამეტყველო ფორმა, ყველა ფუნქციურ სტილში იქ გამოიყენება, სადაც რაღაც საკითხი წყდება: მეცნიერული, საზოგადოებრივი თუ საყოფაცხოვრებო, ზოგადი თუ კერძო ხასიათისა, მაგრამ სამეცნიერო ურთიერთობისას მას განსაკუთრებული ობიექტურობა ახასიათებს, რაც განპირობებულია ცნებათა ობიექტური ხასიათით. აქ ლოგიკური სუბიექტი და პრედიკატი არასოდეს იგულისხმება, არამედ ყოველთვის ენობრივადაა გამოხატული. ენობრივი საშუალებანი კი, თავის მხრივ, ერთმნიშვნელობიანი, სემანტიკურად არაორაზროვანი და გამჭვირვალეა, რაც აუცილებელი არაა მხატვრული, პუბლიცისტური და სასაუბრო მეტყველებისას.

ლოგიკურ სუბიექტსა და ლოგიკურ ობიექტს შორის მიმართების ხასიათს საერთო გამოხატავს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მტკიცების, ისე უარყოფის მაჩვენებელი, გამოხატავდეს დაკავშირების რეალურობას ან დასაშვებობას, შესაძლებლობასა თუ აუცილებლობას; მან შეიძლება დაადგინოს პრედიკატსა და სუბიექტს შორის შემდეგი დამოკიდებულებანი: პირობის, მიზეზ-შედეგის, დაქვემდებარების, თანწყობის, დროში მიმდევრობის, დაპირისპირებისა და სხვ. ამისდა მიხედვით გამოიყოფა მსჯელობათა სახეები, რომელთაგან თითოეულს აქვს ენობრივი გამოხა-

ტულების საკუთარი რეგლამენტირებული საშუალებანი, რაც სამეცნიერო მეტყველებაში სტანდარტული სინტაქსური კონსტრუქციებით ვლინდება (37, 31).

1.2.10. დასკვნა აზროვნების იმგვარი ფორმაა, რომლის ლოგიკური მოქმედების შედეგად ჩვენთვის ცნობილი მსჯელობიდან ახალი მსჯელობა გამომდინარეობს. სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ამბობენ, დასკვნის „კულტია“.

ინდუქციური, დედუქციური და ინდუქციურ-დედუქციური დასკვნები მეცნიერული თხზულების არსს შეადგენს. ისინი შეიძლება განლაგდნენ თანამიმდევრულად ანდა თანწყობის პრინციპით, ხშირად — კომბინირებული სახითაც. უფრო კერძო ხასიათის დასკვნები უფრო ზოგად დასკვნებში ერთიანდება, რისთვისაც გამოყენებულია დამაკავშირებელი სიტყვები და გამოთქმები: ამიტომ, ამგვარად, ამის შედეგად, აქედან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ... როგორც შემოთქმული გვიჩვენებს და სხვ. მათი სისშირე სამეცნიერო სტილში რამდენჯერმე მეტია, ვიდრე, მაგალითად, მხატვრულში.

მეცნიერული ტექსტისათვის სპეციფიკური დასკვნა-წინადადებების გარკვეული სტერეოტიპებია ყოველ ენაში.

1.2.11. როგორც აღნიშნავენ, ცნება, მსჯელობა და დასკვნა აზრის თანდათანობითი გართულების სამი საფეხურია — „ლოგიკური ფორმა ცნებაში გვევლინება, როგორც ნიშანთა კანონზომიერი კავშირი, მსჯელობაში — როგორც ტერმინთა კავშირი, დასკვნაში — როგორც მსჯელობათა კავშირი“ (29, 39).

სამივე ფორმა სამეცნიერო ნაშრომის ლოგიკურ-შინაარსობრივ კომპოზიციას ქმნის, რაც მის მეტყველებით-ტექსტობრივ კომპოზიციასაც განაპირობებს.

1.3. ექსტრალინგვისტური ფაქტორები და შიდასტილუბრივი ლინგვატიკა

1.3.1. სამეცნიერო სტილის უმთავრესი ექსტრალინგვისტური ფაქტორია ურთიერთობის საზოგადოებრივი სფერო — სამეცნიერო საქმიანობა და მისი შესაბამისი საზოგადოებრივი ცნობიერე-

ბა; ცნებით-ლოგიკური აზროვნება, რაც ამ სფეროსთვისაა დამახასიათებელი.

სიზუსტე, სიცხადე, სტანდარტიზაცია, ლოგიკურობა, ობიექტურობა, განზოგადებისა და განყენებულობისაკენ მისწრაფება სამეცნიერო მეტყველებას მეცნიერებიდან დაჰყვება, როგორც მისი განმსაზღვრელი მოთხოვნილებანი.

1.3.2. სხვა რიგისაა იმგვარი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, როგორცაა: სამეცნიერო თემატიკა, შინაარსი, რომელიც ამა თუ იმ მეცნიერების რაგვარობას (მეცნიერებათა ციკლს) უკავშირდება.

თუ მივიღებთ მეცნიერებათა ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც არ აოის ორიენტირებული ამა თუ იმ მეცნიერების მეთოდებზე. მაშინ გამოიყოფა ორი დიდი ჯგუფი — ბუნებისა და საზოგადოების მეცნიერებანი (134, 84), რომელთაც, როგორც მეცნიერებებს, საერთო კრიტერიუმები აქვთ, მაგრამ, აგრეთვე, თითოეული მათგანისათვის ნიშანდობლივია სპეციფიკური მახასიათებლებიც. მაგალითად, უკიდურეს პოლუსებზეა სამეცნიერო სტილის ისეთი სახეობანი, როგორცაა ფიზიკა-მათემატიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური. პირველი გამოხატულებისათვის იყენებს განყენებულ საშუალებათა სისტემას — მათემატიკურ სიმბოლიკას, რომელიც აბსტრაპირების უმაღლესი ფორმაა, ამასთანავე — ინტერნაციონალურიც, რაც აახლოებს სხვადასხვა ენათა ამ სახეობის მეტყველებებს; უკიდურესი სიმკაცრე და ობიექტურობა სრულიად გამორიცხავს შეფასების სოციალურად დიფერენცირებულ ნიშნებს, მაშინ როდესაც, საზოგადოებრივ მეცნიერებებში ტერმინიც კი, ჩვეულებრივ, კლანობრივი ხასიათისაა. ამგვარ სახეობას გამოკვეთილი სოციალურ-იდეოლოგიური მიმართულება აქვს. რაც სხვა თავისებურებებსაც განაპირობებს — მისთვის არაა უცხო რამდენადმე სუბიექტური და ემოციური ელემენტები, სტილურად შეფერილი ლექსიკა და ა. შ.

1.3.3. სამეცნიერო სფეროში ურთიერთობის მიზანი და პირობები ისეთი ფაქტორებია, რომლებიც შესაბამისი ფუნქციური სტილის ქანობრივ დიფერენციაციას იწვევს.

სამეცნიერო პროზის პირველადი ქანრები: მონოგრაფია, სა-
ეურნალო სტატია, რეცენზია, სახელმძღვანელო, ლექცია, მოხსე-
ნება, საინფორმაციო ცნობა (ჩატარებული კონფერენციის, სიმპო-
ზიუმის, კონგრესის, სესიის შესახებ), დისერტაცია, სამეცნიერო
მუშაობის ანგარიში, ზეპირი გამოსვლა. მეორეულ ქანრებს განა-
კუთვნებენ ტექსტებს, რომლებიც უკვე არსებული თხზულებების
მიხედვითაა შედგენილი. ესენია: რეფერატი, ავტორეფერატი, კონ-
სპექტი, თეზისები, ანოტაცია (129, 205).

ზემოჩამოთვლილ სამეცნიერო შრომათა მეტყველებით-ტექს-
ტობრივი სტრუქტურები ქანრის კანონებს ემორჩილება. აღწე-
რითი ხასიათის ტექსტების ბევრი სახეობა დადგენილი სტანდარ-
ტით ფორმდება, საიდანაც გადახვევა მიზანშეწონილი არაა. ასე
მაგალითად, სამეცნიერო სტატიაში თანამიმდევრულადაა წარმო-
დგენილი საკითხის ისტორია, საკვლევი ობიექტის არჩევის აქტუ-
ალურობის დასაბუთება, კვლევის ამოცანა, მეთოდის განმარტება.
შრომის ძირითად ნაწილში კვლევის შედეგად მოპოვებული ფაქ-
ტების სისტემატიზაცია და ახსნა მოცემული მესამე ნაწილში
ყალიბდება დასკვნები; საბოლოოდ — მოკლე დასკვნა, რომელიც
იმეორებს ნაშრომის ძირითად დებულებებს. სტატია, ჩვეულებ-
რივ, ლიტერატურის სიით მთავრდება. ცალკეულ შემთხვევაში
მას საილუსტრაციო მასალაც ერთვის.

მკვიდრია ანოტაციის კომპოზიციური სქემაც, რადგან მისი
მიზანი ყოველთვის ერთია — მოკლედ და ლაპიდარულად აცნო-
ბოს მკითხველს ნაშრომის თემა და შინაარსი. მაგალითად გამოდ-
გება ბ. ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგიის“ ანოტაცია:
„ნარკვევი შეეხება თანამედროვე ქართული ლექსიკის შედგენი-
ლობისა და ისტორიის საკითხებს. შესავალში წარმოდგენილია
ლექსიკოლოგიის ძირითადი ცნებები. მომდევნო თავებში განხი-
ლულია ლექსიკის მიმართება ქართული სიტყვის ბგერადობასთან
და აგებულებასთან. ქართული ენის ლექსიკური ფონდი და ცალ-
კეული სიტყვები დახასიათებულია მნიშვნელობასთან და ენობ-
რივ კოლექტივთან მიმართებაში და აგრეთვე სიტყვათა ურთი-
ერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. დაბოლოს მოცემულია

ცნობები საკუთარი და შეთვისებული ლექსიკის შესახებ. წიგნი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის“.

სქემათა მიხედვითაა აგებული სადისერტაციო ნაშრომები და სხვ.

ტექსტების კომპოზიციური სტანდარტიზაცია ენობრივი სტანდარტების ერთ-ერთი წყაროა სამეცნიერო ფუნქციურ სტილში.

1.3.4. ინფორმაციის სიუხვე, რაც ღღეს მეცნიერების ყოველ დარგს ახასიათებს, გვაიძულებს მინიმუმამდე დავიყვანოთ სტატიების, მოხსენებათა და სხვ. მოცულობა. ამ გარეენობრივი ფაქტორის ზემოქმედებამ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ე.წ. ინფორმაციის სიჭარბის თავიდან აცილების მოთხოვნისება გააჩინა, რისი დაკმაყოფილებაც კომპრესიის ხერხებით ხდება.

აღნიშნულმა ფაქტორმა წარმოშვა ზემოხსენებული მეორეული უნარები, რომლებიც ერთხელ შექმნილ სამეცნიერო თხზულებათა ინფორმაციის შეკუმშული ფორმაა; აგრეთვე — სამეცნიერო-ინფორმაციული ლიტერატურა, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული გამოცემები და სხვ., რომელთა სტილისტიკური მახასიათებლებია უკიდურესი ლაპიდარობა და სიზუსტე.

1.3.5. სამეცნიერო ფუნქციური სტილის დაყოფა იმგვარ ქვესტილებად, როგორცაა: ა) საკუთრივ სამეცნიერო, ბ) სამეცნიერო-სასწავლო, გ) სამეცნიერო-პოპულარული, გამოწვეულია საინტერაქციო ფუნქციით, რომელიც იმ აუდიტორიის ხასიათს ითვისლისწინებს, რომლისთვისაცაა განკუთვნილი მეცნიერული ნაშრომი.

ადრესატი სამივე აღნიშნულ შემთხვევაში განსხვავებულია: საკუთრივ სამეცნიერო ტექსტებით ურთიერთობა მყარდება იმ ადამიანთა შორის, რომელთაც ცოდნის საერთო სფერო და საერთო დონე აქვთ, რაც ერთიან კონტექსტს ქმნის. ავტორის ინტენციასა და მკითხველის აღქმას კრავს სამეცნიერო ტექსტის საგნობრივი შინაარსის ჩარჩო, რის გამოც ტექსტის აღქმის პროცესში კომუნიკაციის მონაწილეთა შორის კონფლიქტი არ წარმოიშვება როგორც ფუნქციური სტილის ფლობის სფეროში, ისე იმ წინასწარ მიღებულ საერთო ცოდნაში, რომელიც აქვთ ადრესანტსა და ადრესატს კომუნიკაციის დაწყების მომენტისათვის.

სპეციალისტი-ადრესატისაგან არსებითად განსხვავდებიან სამეცნიერო-სასწავლო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების ადრესატები. ამიტომ ავტორის დამოკიდებულებაც მათდამი განსხვავებულია, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს კომუნიკატის მეტყველებით-ტექსტობრივი კომპოზიციის თავისებურებაზე.

სასწავლო-სამეცნიერო თხზულება, მაგალითად, სახელმძღვანელო, საკუთრივ მეცნიერულისაგან იმით განსხვავდება, რომ შედარებით მცირე, ობიექტურად ახალ მეცნიერულ ინფორმაციას ან შეიცავს, ან სულ არ შეიცავს. იგი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ხასიათის ნაწარმოებია, სადაც სასწავლებელ საგანთან ერთად არის მეორე საგანიც — ობიექტი, რომელსაც უნდა ასწავლონ. ორივეს ერთად უნდა გაართვას თავი ავტორმა, რომელიც ენობრივ საშუალებებსაც იმგვარად არჩევს, რომ სასწავლოდ აქტუალური მასალა დიდაქტიკურად მიაწოდოს მოსწავლეთა გარკვეულ კონტინგენტს.

სამეცნიერო-პოპულარული ნაწარმოების ადრესატი ნებისმიერი შეიძლება იყოს, განურჩევლად ასაკისა, სპეციალობისა და პროფესიისა, ამიტომ ინფორმაცია და სტილი, რომელსაც ამგვარ ადრესატს სთავაზობენ, მისთვის ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს.

ამგვარად, საკუთრივ სამეცნიერო ურთიერთობისას ავტორი-მეცნიერი ყველაზე ნაკლებ უწევს ანგარიშს კოლეგა-ადრესატს, რომელსაც საკუთარი თავის იდენტურად თელის, კომუნიკაციას ზოგჯერ სიტყვების გარეშეც — მხოლოდ ფორმულებითა და პირობითი გამოსახულებებით ამყარებს, მაშინ როცა, სასწავლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ტექსტების ადრესატთა მხრივ ადეკვატური აღქმის მისაღწევად ავტორი ზოგჯერ სამეცნიერო სტილისათვის არანორმატიულ — ხატოვანებასა და ემოციურ-ექსპრესიულობასაც კი მიმართავს.

ადრესატის სავარაუდო აღქმა კომუნიკატის სიტყვიერ ქსოვილშია მოცემული და ამდენად იგი სტილებრივი სტრუქტურის კომპონენტია.

1.3.6. სამეცნიერო მეტყველების შიდასტილებრივი დიფერენციის გამომწვევი ფაქტორები, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ექსტრალინგვისტურია. მათი ზეგავლენით აიხსნება ჯერ ახალი ტერმინოლოგიის გაჩენა, შემდეგ სინტაქსურ-სტილისტიკური და კომ-

პოზიციურ-სტილისტიკური ისეთი სტანდარტების შემუშავება, რომლებიც ოპტიმალურია ურთიერთობის მოცემული სფეროსათვის.

მოუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო სტილი რთული კომპოზიციური სისტემაა, რომელიც ქვესტილების, სხვადასხვა ჟანრებისა და ქვეჟანრებისაგან შედგება, იგი მონოლითურია: ლოგიკურ-შინაარსობრივ და მეტყველებით-ტექსტობრივ კომპოზიციათა ხერხები, რომლებიც აქ გამოიყენება, ერთიანია მოცემული ქვესისტემებისათვის, მაშინ როცა, მხატვრული და სასაუბრო მეტყველების შესაბამის ხერხებთან დაპირისპირებულია.

საერთო ქმნის ერთი სამეცნიერო სტილის ფარგლებში მის სტილურ ხასიათს, ხოლო განსხვავებული, რომელიც სტილისტიკურად რელევანტური არაა, ამავე ფარგლებში დანაწევრების საფუძველს იძლევა.

1.4. ბაზოციუმის ტიპები

1.4.1. თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი ფორმაა მონოლოგი, რომლის სამივე ტიპია წარმოდგენილი აღნიშნულ სფეროში. ესენია: აღწერა, თხრობა და მსჯელობა. გარდა ამ სამი ტიპისა, რომლებიც სხვა წიგნურ-ფუნქციური სტილებისთვისაცაა დამახასიათებელი, გამოყოფენ მეოთხეს — კრიტიკულ-პოლემიკურს (ს7, 93—95). იგი სხვადასხვა თვალსაზრისთა შეფასებისა და საკუთარი (აუტორისეული) კონცეფციის დაცვისათვის გამოიყენება.

გადმოცემის ამ ტიპებში სახეები გამოიყოფა. მაგალითად, ცნობილია აღწერის ქვეტიპები: პორტრეტის, ინტერვიუს აღწერები; ვისამე ან რისამე დახასიათება არსებითი ნიშნების ჩამოთვლით; გამოირჩევა თხრობის შემდეგი ქვეტიპები: კონკრეტულ-სცენური, განზოგადებულ-სცენური და ინფორმაციული. ასევე დაფერენციურებულია მსჯელობათა ტიპებიც.

1.4.2. მეცნიერული აღწერა, ჩვეულებრივ, მტკიცების ან დასკვნის საფუძველია, ამიტომ ასეთ აღწერაში მკაცრად უნდა შეირჩეს საგანთა და მოვლენათა განსაზღვრული ნიშნები და მიმართე-

ბანი, რათა ობიექტურად დადგინდეს მათი ურთიერთგანპირობე-
ბულობა. აღნიშნული მაჩვენებლები მინიმალურად საკმარისი უნდა
იყოს იმისათვის, რომ მათ საფუძველზე შეიძლებოდეს ამა თუ იმ
დასკვნების გამოყვანა.

სამეცნიერო ნაწარმოების სამეტყველო აგებასა და გაფორმე-
ბაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს ის შინაარსობრივი კრიტიე-
რიუმები, რომელთა მიხედვით აღნიშნულ ნიშან-მიმართებათა სის-
რულე ეკონომიურობას ერწყმის, თვით მათი წარმოდგენა თანა-
მიმდევრულია, ხოლო დაპირისპირება — თვალსაჩინო.

ამგვარ თხზულებებში სრულიად დაუშვებელია ალოგიზმები,
რაც დამახასიათებელია აღწერისათვის მხატვრულ და, განსაკუთ-
რებით, სასაუბრო მეტყველებაში (მაგ., უგნური ბრძენი, სხვისი
პირით ლაპარაკობს, ცხვირით მიწას ახენევენებს...). მიუხედავად
იმისა, რომ ამ გარეგნული ალოგიზმების მიღმა განსაკუთრებული
ლოგიკაა, სამეცნიერო აზროვნება-მეტყველებისათვის ამგვარი, ასე
ვთქვათ, ფარული ლოგიკა აკრძალულია.

1.4.3. როგორც აღვნიშნეთ, მონოლოგი თანამედროვე მეცნიე-
რების მეტყველებაში გაბატონებულია, მაგრამ იგი გადმოცემის
ერთადერთი ფორმა არაა. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება დია-
ლოგიც, რომელსაც მონოლოგთან შედარებით რამდენიმე უპირა-
ტესობა აქვს: აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ერთი აზრიდან მეო-
რეზე იოლად გადასვლა დიალოგური გადმოცემისას სიძნელეს არ
წარმოადგენს.

გამოყოფენ დიალოგის სახეებს: ინტელექტუალური საუბარი,
სამეცნიერო დისკუსია, მონოგრაფია, რომელიც დიალოგის სქემა-
ზეა აგებული და დიალოგის ელემენტები, ჩართული მონოლოგურ
თხრობაში (118, 257—262).

გადმოცემის აღნიშნულ ფორმას ისეთი ნიშნები აქვს, რომლე-
ბიც მკვეთრად უპირისპირდება საერთო-სამეცნიერო სტილის თვი-
სებებს: ემოციურობა-ექსპრესიულობა, სტილისტიკურად დაწეუ-
ლი ელემენტების, სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებე-
ლი — არასრული წინადადებები, გამეორებანი, იმგვარი გამოთქ-
მები, როგორცაა: ასე ვფიქრობთ, აღარაფერს ვამბობთ, არ ვი-
ტყობდი, რომ... და სხვ.

დიალოგური მეტყველების ელემენტები არც თუ იშვიათად მონოლოგშიც გვხვდება. ასეთ ჩართვებს სამეცნიერო მეტყველებაში სხვადასხვა ხასიათი და მიზანი აქვს — სპონტანური პოლემიკა, მკითხველის ყურადღების გამახვილება და სხვ. მაგალითად: „გვეტყვიან: თუთიყუში ავტომატურად იმეორებს გაგონილს და შერჩევით ვერ მოიხმარს იმ ბგერებსო. ჩვეულებრივად ეს მართლაც ასეა, მაგრამ კითხვა იბადება: ყოველთვის ასეა ეს თუ სხვაგვარი შესაძლებლობაც არსებობს?“ „ერთნი“ მრავლობითი რიცხვია, ამას მოწმობს სუფიქსი -ნ, მაგრამ როგორ შეიძლება „ერთი“ მრავლობით რიცხვში? „ერთი“ მხოლოდობითია, მრავლობითში „ერთი“ აღარ არის „ერთი“, არამედ მეტი რაღაც“. „ერთი კაპიკი მაჩუქეთ!“ იხვეწება მათხოვარი. იკითხავთ, რა კილოა „მაჩუქეთ“ და ირკვევა, რომ ბრძანებითი კილო ყოფილა“ (14, 18—17; 132).

მოყვანილ ნიმუშებში თხრობის დიალოგური ფორმა არა თუ წყვეტს ლოგიკის ძაფს, არამედ უფრო ნათლადაც კი ავლენს აზრის განვითარების თანამიმდევრულობას, მის ლოგიკას.

1.4.4. გადმოცემის საშუალებათა — აღწერა, თხრობა, მსჯელობა (ნაწილობრივ პოლემიკა) — ხვედრითი წონა იცვლება იმის მიხედვით, თუ რა არის მეცნიერული კვლევის ობიექტი, ანდა რა მიმართებაა მის მეთოდსა და შინაარსს შორის. ექსპერიმენტულ მეცნიერებებში და იმ შრომებში, რომლებიც ექსპერიმენტის შედეგებს გვაცნობენ, უფრო ხშირად იყენებენ გადმოცემის თხრობით საშუალებას; ლოგიკურ-თეორიული მეცნიერებანი (მათემატიკა, ფილოსოფია) უფრო ფართოდ, ვიდრე სხვანი, წარმოადგენენ მსჯელობებს (მტკიცების ფორმით); თეორიული ხასიათის ნაშრომები ან ნაშრომთა ამგვარი ნაწილები, განურჩევლად მეცნიერების რაგვარობისა, გადმოცემის საშუალებად მსჯელობას იყენებენ; აღწერითი მეცნიერებანი აღწერისკენ მიისწრაფვიან (67, 96). რაც შეეხება დიალოგური ელემენტების გამოყენებას სამეცნიერო მეტყველებაში, ისინი უმეტესად სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო-პოპულარულ ნაწარმოებებშია ჩართული.

ყოველივე ეს ენობრივ საშუალებათა შერჩევასა და სტილისტიკურ ელფერზე, ნაშრომის მთელს აღნაგობაზე აჩენს კვალს.

1.5.1. როგორც კვლევამ გამოავლინა, სტილის თავისებურებათა დაყვანა სტილისტიკურად მარკირებულ ისეთ ენობრივ საშუალებათა თავმოყრაზე, რომლებიც აბსოლუტურადაა დამახასიათებელი გარკვეული ფუნქციური სტილისათვის ანდა აბსოლუტურად არაა დამახასიათებელი სხვა სახეობებისათვის, არ არის გამართლებული, ვინაიდან ასეთი სპეციფიკური ენობრივი საშუალებანი ნებისმიერ სტილში პროცენტულად ძალიან მცირეა. მართალია, ისინი ერთგვარ სიგნალებს წარმოადგენენ ამა თუ იმ სტილისა, მაგრამ ენობრივ ერთეულთა უმრავლესობა საერთო, არასპეციფიკური საშუალებანია და სწორედ მათი სისშირული მახასიათებლები და სისტემატიზაცია-ორგანიზაციის თავისებურებანი ქმნიან სტილის სპეციფიკას.

მიაჩნიათ, მაგალითად, რომ სპეციალური ტერმინოლოგია არ არის დამახასიათებელი, წამყვანი თვისება სამეცნიერო სტილისა, რადგანაც ამგვარი ტერმინოლოგია ამავე სტილის ფარგლებში სტილისტიკურად მარკირებული არაა. ამავე დროს ის სტილისტიკურად მარკირებული ელემენტი, რომლებიც არსებითია ტექსტის ჩარჩოებში, ფუნქციური სტილის იდენტიფიკაციისა და დამახასიათებლისა საკმარისად არ ითვლება. ენობრივი საშუალებანი ნებისმიერ ფუნქციურ სტილში მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით თუ იქცევა სტილისტიკურად მარკირებულ ელემენტად.

1.5.2. სტილის მაწარმოებელი ელემენტების გამოყოფისას სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგვარობასა და დიდ სიჭრელეს ვაწყდებით. გამართლებულად მიგვაჩნია სამეცნიერო სტილის, როგორც სისტემის, შემადგენელი ენობრივი ერთეულების დაყოფა შემდეგ ტიპებად: 1. ერთეულები, რომელთაც ტრადიციულად ფუნქციურ-სტილისტიკური შეფერილობა აქვთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკური ერთეულებია, შემდეგ — სინტაქსური კონსტრუქციები, იშვიათად — მორფოლოგიური; 2. სტილისტიკურად ნეიტრალური ენობრივი ერთეულები, რომლებიც თანაბრად ასახაობენ ყველა სტილს, რის გამოც მათ ინტერსტილური

შეიძლება ეწოდოს; 3. სტილისტიკურად ნეიტრალური, მაგრამ ისეთი ელემენტები, რომლებიც უპირატესად სამეცნიერო მეტყველებაში ფუნქციონირებენ. ისინი აღნიშნულ სტილში რაოდენობრივად არიან მარკირებული, რადგან სიზშირის ღიდი მაჩვენებელი აქვთ, რაც სტილისტიკურად რელევანტურია. ამგვარი ერთეულებია მორფოლოგიური ფორმები, სინტაქსური სტერეოკონსტრუქციები, მყარი სპეციფიკური გამოთქმები, ასევე სპეციფიკური კავშირები და სხვ.

სამეცნიერო ფუნქციური სტილის სპეციფიკის დახასიათება შეიძლება შეივსოს აღნიშნული სტილისათვის ნეგატიური ნიშნებითაც. ასეთები იქნება ის ენობრივი ერთეულები, რომლებიც სხვა სტილის კუთვნილებად აღიქმება.

1.5.3. სიზუსტის, სიცხადის, განყენებულობისა და ა. შ. მოთხოვნები, რომლებიც საერთოა სამეცნიერო სტილის, მისი ქვესტილებისა და უანრებისათვის, ქმნის მთელ რიგ საერთო სტილის მაწარმოებელ ელემენტებს, რაც მთლიანად სამეცნიერო სტილის სპეციფიკაზე ლაპარაკის საშუალებას იძლევა.

1.6. მასპარეზო-ემოციური და ინფორმალური სამეცნიერო სტილში

1.6.1. სამეცნიერო მეტყველების ლექსიკა, მორფოლოგიურ ფორმათა შერჩევა, სინტაქსურ კონსტრუქციათა ბუნება და სიტყვათა რიგი მოცემულ ფუნქციურ სტილში უზრუნველყოფს გადმოცემის სიზუსტეს, ლოგიკურობასა და განყენებულობას. მეცნიერული აზროვნების ამ თვისებათა რეალიზაციისათვის თითქოს ხელის შემშლელი უნდა იყოს ემოციურად შეფერილი ენობრივი ქსოვილი, კერძოდ, ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა, ხატოვანი საშუალებანი.

სამეცნიერო ტექსტისადმი სიზუსტის მკაცრი მოთხოვნა თითქმის შეუძლებელს ხდის მეტაფორის, ეპითეტის, მხატვრული შედარების, ანდაზა-აფორიზმებისა და სხვ. გამოყენებას, ხოლო ობიექტურობის აუცილებელი პირობა მშრალ, „ინტელექტუალურ“ გადმოცემას მოითხოვს, რისთვისაც უცხოა როგორც ემო-

ციურობა, ისე ექსპრესიულ-ხატოვანება. ემოციურობის აშკარა გამოხატვას ასევე ეწინააღმდეგება პიროვნული საწყისის შეზღუდვა-შეფარვა სამეცნიერო სტილში.

მიუხედავად ამისა, სამეცნიერო მეტყველებაში მაინც გვხვდება ექსპრესიულ-ემოციური და ხატოვანი ელემენტები, რომლებიც ამ სტილის არსებითი ნიშნები კი არ არის, არამედ — თანმხლები, ფაქულტატიური მოვლენებია, რომელთა გამოჩენა დამოკიდებულია ავტორის ინდივიდუალობასა და ცოდნის სფეროზე.

1.6.2. თხრობის უსუბიექტობის კრიტერიუმი სამეცნიერო სტილისათვის ნორმად ითვლება. იგი ფარულად ვლინდება იმგვარი სიტყვებისა და გამოთქმების აქტივაციით, როგორიცაა: ჩვეულებრივ, ზოგჯერ, ზოგ შემთხვევაში, სავსებით, საკმაოდ და სხვ. როცა მსჯელობაში შესაძლებელია სუბიექტური მომენტის დაშვება ან რაღაც უზუსტობისა თუ არაცხადი დასკვნა-დებულების წამოყენება, ამას ყოველთვის წინ უსწრებს მანიშნებელი ენობრივი ერთეულები, როგორიცაა: შეიძლება ითქვას, გარკვეული აზრით, ჩვენი თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, შესაძლოდ გვეჩვენება და მისთ.

მაგრამ აღნიშნული სტილისტიკური ნორმა შეიძლება დაირღვეს, როცა ავტორი ვერ მალავს შესასწავლი ფაქტის გაცნობიერებით გამოწვეულ გრძნობებს. მაგ.: ნ. ბარათაშვილის „მერანის“ სტრიქონები... „ისეთი ძალით არის თქმული, ისეთი ექსპრესიით არის დაწერილი, რომ ყოველი ფრაზა შეუპოვრად ბობოქრობს, ფოლადის ხმით იმტვრევა და ვაგნერისებური აწყვეტილი მუსიკით გაღელვებთ და ტანში გზარავთ“ (ვ. კოტეტი). ამ ნაწყვეტის მხატვრულ-ექსპრესიულობისა და ემოციურობის ხარისხი, ერთი მხრივ. მეცნიერების რაგვარობასა და დარგზეა დამოკიდებული, მეორე მხრივ და უფრო ძლიერად — ავტორის ინდივიდუალობაზე.

შემჩნეულია, რომ სხვა მეცნიერებათაგან განსხვავებით, ისტორია ხშირად მიმართავს ხატოვან-ემოციურ აზროვნებას: „ისტორიკოსი განზოგადების ორ სახეს იყენებს — ლოგიკურსა და ხატოვანს“ (56, 28). მაგრამ როგორც ჩანს, ესეც ავტორის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული. ივ. ჯავახიშვილი: „დავით აღმაშენებელი მამაცი მეომარი და გულადი მხედართმთავარი იყო: მას მოულოდნელი და სწრაფი სამხედრო მოქმედება უყვარდა, იგი

ომში უშიშარი იყო და თავის ჯარს ყოველთვის თავგანწირულად წინ მიუძღვოდა ხოლმე და პირადის მაგალითით ამხნევებდა და ჰხიბლავდა ყველას... (დავით აღმაშენებელს) მომხიბლავის გულწრფელობით და შემზარავის ძლიერებით აქვს ნათქვამი „გალობანი სინანულისანი...“ „ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობის და ძლიერების სიმბოლოს“. აზროვნებისა და მეტყველების გენეზისური ურთიერთობის კვლევისას არნ. ჩიქობავა ორ თვალსაზრისს განიხილავს: ა) აზრი წინ უსწრებს სიტყვას, ბ) უენოდ აზრი შეუძლებელია და საკუთარ მოსაზრებას ამ ფორმით გვაწვდის: „ან ენა ან აზრი, ასეთია ალტერნატივა! რომელია უფრო ახლოს ქვეშაბრტყელასთან? არც ერთი, არც მეორე; მართებული იქნებოდა თუ თავს დავაღწევდით ამ ალტერნატივას: არა ან — ან, არამედ არც — არც“ (19, 238). შედგახილმა ავტორის დამოკიდებულება გააზილა, ამასთანავე, აღნიშნული თვალსაზრისების თავისი, ავტორისეული, ემოციური შეფასება მკითხველისათვის საცნაური გახადა. ამგვარი რამ (მოცემული მეტყველებისათვის უცხო სტილური ელემენტი) განსაკუთრებით ზემოქმედებს ადრესატზე და მის საპასუხო რეაქციას იწვევს.

1.6.3. სამეცნიერო სტილის ნორმების გამო ხატოვანი და ექსპრესიული საშუალებანი ნაკლებ მოსალოდნელია, სწორედ ამიტომ მათი გამოჩენა მეცნიერულ ტექსტში ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან ერთდროულად ააქტიურებს ადრესატის როგორც ინტელექტუალურ-ცნებით აზროვნებას, ისე ზატოვანსაც. ამ თვისებას ავტორები უფრო ხშირად სახელმძღვანელოებში იყენებენ, როგორც ჩანს, შესასწავლი მასალის გაგებისა და ათვისების გაადვილების მიზნით. არნ. ჩიქობავა: „ჭიანჭველაც შრომობს“, ფუტკარიც „ჯაფას“ ეწევა, მელიაც სოროს თხრის, მაგრამ არც ერთი მათგანი არავითარ იარაღს არ ხმარობს, არავითარ იარაღს არ ქმნის...“; „სენ“ ფუძეს დაეკარგა ე; ბრალი მიუძღვის აფიქსს, რომელიც ე-თი (ხმოვნით) იწყება;“ „უცნაური ბედი ეწია ამ საკითხს ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში“; „ეს სტილის ქიმიურ სასწორზე ერთმანეთს არ უდრის“; „მეტყველების კულ-

ტურა სუსტობს იქ, სადაც აზროვნების კულტურა მოიკოჭლებს“ (14, 18, 64, 37, 184, 202).

1.6.4. თუ სასწავლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში სტილი გარკვეული დოზით იგუბებს ექსპრესიულ-ემოციურ ელემენტებს და აქ მათი გამოყენება ტექსტის საერთო სტილისტიკურ სტრუქტურას დაშლით არ ემუქრება, მონოგრაფიაში მოქარბებული ემოციურობა, ამასთანავე, სამეცნიერო ინფორმაციის დეფიციტთანაც თუ გვაქვს საქმე, მთლიანად არღვევს აღნიშნული ფუნქციური სტილის ნორმებს, ხოლო თვით თხზულება ხშირად აღიქმება ფსევდომეცნიერულ ნაწარმოებად.

1.6.5. სამეცნიერო ფუნქციური სტილისათვის ნორმად უნდა ჩაითვალოს იმგვარი სპეციფიკური ხასიათის ექსპრესიულობა, რომელიც რაოდენობრივი ბუნებისაა და გამოხატულია ინტენსივობის გამომსახველი ლექსიკით: ძალზე შეზღუდულია, მეტად ეფექტურია, ძლიერ მოქმედია, ფართოდაა შესწავლილი, მრავალგზის აღინიშნა და სხვ.

1.6.6. ექსპრესიულ საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი სამეცნიერო მეტყველებაში განეკუთვნება არა ემოციურსა და მიათუფრო, არა სუბიექტურ-ემოციურ სფეროს, არამედ ინტელექტუალურ ექსპრესიას. რაც ამა თუ იმ აზრის, დებულების მნიშვნელოვნების გახაზვას უკავშირდება. ამ მიზნით გამოყენებულია კლიშე-ფრაზები, შრიფტი, ხაზგასმა, კურსივი, რუბრიკაცია ჩამოთვლისას და ა. შ. აგრეთვე, ლექსიკური ერთეულები და განზოგადებული გამოთქმანი: აღსანიშნავია, საყურადღებოა, საინტერესოა, გავრცელებული აზრია, აღიარებულია, ფიქრობენ, რომ... და სხვ.

1.6.7. ხატოვანი, სახეობრივი ექსპრესია სამეცნიერო ფუნქციურ სტილში ახალი ტერმინის შექმნისასაც გვხვდება. ახალ ცოდნას კომუნიკაციამდელ პეროდში ხშირად კონკრეტულ-სახეობანი საცუშველი აქვს და შესაბამისად, სახეობანი მეტაფორულ აღნიშვნას იღებს მკვლევრის ცნობიერებაში მაშინ, როცა ჯერ კიდევ ცნებით-ტერმინოლოგიური აღნიშვნა არ არის (37,43). „რეაქტიული ცვლილებანი გამოისახება ლერცილინდრთა დაკლავებით, „გატლანქებით“ნეიროპლაზმის „ნაგუბარებით“... გალიზიანების ბუ-

რთობები“; „ბურთობის ფენომენი“. ბრკყალები, რომელიც ავტორმა გამოიყენა სიტყვებთან — გატლანქებით, ნაგუბარები, გაღისიანების ბურთობები, იმაზე მიუთითებს, რომ ეს სიტყვა-გამოთქმები ჯერჯერობით მეცნიერულ ტერმინებს არ წარმოადგენს. მათ ხშირად იქვე, ტექსტში, სინონიმებით განმარტავენ ხოლმე. ამგვარ ლექსიკურ ერთეულებს ზოგჯერ წინ უსწრებს გამოთქმები: ასე ვთქვათ, ხატონად რომ ვთქვათ, თუ შეიძლება ასე ითქვას და სხვ. თავდაპირველად საზოვანი ტერმინი შემდგომ ტერმინოლოგიაში მკვიდრდება და როცა დეფინიციას მიიღებს, უკვე მეცნიერული ცნების პირდაპირ დასახელებად იქცევა.

ცხადია, დასაწყისში ამგვარ ცნება-მეტაფორებს სტილისტიკურად არასტანდარტული ელფერი აქვთ, მაგრამ შემდგომში ეს ელფერი ნეიტრალდება.

1.6.8. ავტორისეული საწყისის შეზღუდვა, როგორც აღნიშნეთ, სამეცნიერო მეტყველების ფუნქციური სტილისათვის ნორმატიული მოვლენაა. ჩვეულებრივ, პირველი პირის ნაცვალსახელი მხოლოდობით რიცხვში და აგრეთვე, მისი შესაბამისი ზმნის პირიანი ფორმა მეცნიერულ ტექსტებში არ გვხვდება (იგულისხმება თსრობის მონოლოგური ფორმა). მაგრამ თუ საყურადღებოა, ხაზგასასმელია სწორედ ავტორის ექსპერიმენტი, მოსაზრება, კონცეფცია და ამის გამოხატვის აუცილებლობაცაა, მაშინ, ჩვეულებრივ, იხმარება პირველი პირის ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში ან უნაცვალსახელოდ ზმნის ფორმა იმავე პირსა და რიცხვში. ამგვარ შემთხვევებში ხშირად ხმარობენ სიტყვა „ავტორის“: ავტორს მიაჩნია, ამ სტრიქონების ავტორი და ა. შ.

მართებულად გვეჩვენება მოსაზრება, რომ ავტორის „ქეს“ შეზღუდვა ენობრივი გამოყენების თვალსაზრისით ეტიკეტისათვის გადახდილი ხარკი არ არის, არამედ სამეცნიერო სტილის განყენებულიობა-განზოგადებულობის ნიშნის კიდევ ერთი გამოვლენაა.

სუბიექტის განზოგადებას, უფრო სწორად, მისი კონკრეტულობის მოხსნას სამეცნიერო ნაწარმოებში ისიც უწყობს ხელს, რომ „ლოგიკური აზროვნების არსი მდგომარეობს უშუალო ან შუალობით კონსტატაციაში. თუ ერთხელ რაღაც დავადგინეთ,

შემდეგ შევამოწმეთ და დაერწმუნდით, რომ ჩვენი დადგენილი სწორია, მაშინ ეს ფაქტი ყველამ უნდა აღიაროს, არ შეიძლება, რომ არ აღიაროს“ (127, 19). მოპოვებული ცოდნა უკვე სუბიექტის კუთვნილება აღარ არის, რადგან სუბიექტის ძირითადი ფუნქციაა ობიექტური სინამდვილის ობიექტური ასახვა, ადრესატისა კი — ობიექტური ასახვის ობიექტური აღქმა.

შემჩნეულია, რომ მთელი საზოგადოების განათლებისა და სპეციალისტთა ერუდიციის გაფართოების დონეზე, აგრეთვე, სამეცნიერო ურთიერთობის ეთიკის განვითარებაზეა დამოკიდებული სუბიექტური ელემენტის ხვედრითი წონის შემცირება სამეცნიერო მეტყველებაში, რაც უკანასკნელს სულ უფრო გამოკვეთილ სტილისტიკურ ხასიათს ანიჭებს.

1.6.9. ყოველივე ზემოთქმულის გვერდით უნდა აღვნიშნოთ სამეცნიერო თხზულების ენობრივი შესრულების ოსტატობა, რომლის ხარისხი სხვადასხვა ავტორთან მაინც განსხვავებულია. არის ცდები ავტორთა ამ ნიშნით დახასიათებისა. მაგალითად, გამოყოფენ „კვალიფიცირებულ“ და „არაკვალიფიცირებულ“ ავტორებს (126,44). პირველებს მიაკუთვნებენ იმათ, ვინც შეგნებულად ცდილობს გაამრავალფეროვნოს გამოხატვის ფორმა, თავს არიდებს როგორც ლექსიკურ, ისე სინტაქსურ კონსტრუქციათა ტავტოლოგიურ გამეორებას, ცდილობს არ იხმაროს ანდა ნაკლებად გამოიყენოს სტერეოტიპები. მეორენი უფრო მონოტონურად, ტრაფარეტული გზით გადმოგვცემენ სათქმელს.

ვინაიდან წერილობითი კომუნიკაცია ზეპირისაგან ყველაზე მეტად იმით განსხვავდება, რომ იგი მეტ მოფიქრებას, მომზადებას, დამუშავებას მოითხოვს, ამიტომ ამ პროცესისას ავტორი „სტილისტიკურად მოქმედებს“ (133, 80), მოქმედების შედეგი კი მის „მწერლურ“ მონაცემებზეა დამოკიდებული.

აკადემიკოსთა წერის მანერის მიხედვით მათი შესწავლის საინტერესო ცდაა ცნობილი. ავტორთა ჯგუფმა გარკვეული მასალის ანალიზის შედეგად ასეთი მონაცემები მოიპოვა: 1. აკადემიკოსების სტატიები საერთო ფონზე ერთგვარად გამოირჩევა, მაგრამ გამოირჩევა არა იმდენად ინდივიდუალური ნიშნებით, რამდენადაც იმის შენარჩუნებით, რაც სამეცნიერო სტილისათვის წარ-

სულში იყო დამახასიათებელი; 2. მათი სტატიები იმ წარსულშიც გამოირჩეოდა, ამასთანავე, — აწმყოსთან სიახლოვით; მათი უფრო-სი კოლეგები უფრო ძველი სტილით წერდნენ, რაც ასევე ბუნებრივი ჩანს (116, 52).

ძველებური წერის მანერა, რაც საერთო აღმოჩნდა მეცნიერთა გარკვეული წრისათვის, ერთ-ერთ ტენდენციაზე მიგვანიშნებს, მაგრამ არის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ავტორი-მეცნიერის ინდივიდუალობას განაპირობებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ორმხრივი ნიჭი — მეცნიერული და მწერლური: დიდი მეცნიერის განუმეორებელი ინდივიდუალობა მის ენაზეც აჩენს კვალს. ამის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება მეცნიერების განვითარების ისტორიიდან (32, 221—222), მაგრამ ასეთი შემთხვევები რაოდენობრივად მაინც შეზღუდულია ისევე, როგორც დიდ მეცნიერთა რიცხვი, ჩვეულებრივ კი, ავტორ-მეცნიერთა თავისებური წერის მანერა, ინდივიდუალობა მეტნაკლები ოსტატობით გამოიხატება მეცნიერული მეტყველებისათვის იმ საერთო სტილისტიკური ხერხებისა და გარკვეული ენობრივი საშუალებების შერჩევით, რომლებიც ტრადიციული და ტიპობრივია აღნიშნული სტილისათვის.

1.6.10. აქვე დგება ექსპრესიულობის ერთგვარად საპირისპირო მოვლენის — ენის, კერძოდ, სამეცნიერო ნაშრომთა მეტყველების, სტანდარტიზაციის საკითხი.

ფუნქციური სტილისტიკის მკვლევართა დიდი ნაწილი აღნიშნავს ინტელექტუალურ-ენობრივი სტანდარტების, ტრაფარეტების, შტამპების, შაბლონისა და კლიშეს გამოყენების საჭიროებას სამეცნიერო მეტყველებაში. ისინი ეკონომიურ, მიზანშეწონილ საშუალებად მიაჩნიათ ცნებათა აღსანიშნავად; ეკონომიურობასთან ერთად, ეს ენობრივი საშუალებანი ადვილად გასაგებსა და აღსაქმელს ხდის გადმოცემულ დებულებებსა და დასკვნებს.

აღნიშნულ სფეროში სტანდარტიზაციას ხელს უწყობს სამეცნიერო ნაშრომთა ჟანრობრივ-კომპოზიციური ტრაფარეტები, გადმოცემის ფორმალურ-ლოგიკური კანონები და ტრადიციულობა, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ.

სტანდარტიზაციის ტენდენციის უკიდურესი გამოვლინება სა-
მეცნიერო ენის სიმშრალესა და უსახურობას იწვევს, რისი დაძ-
ლევაც მეტყველების კულტურის ამოცანა უნდა იყოს. ამ მოსაზ-
რების სასარგებლოდ ლაპარაკობს, სხვადასხვა დროისა და სხვადა-
სხვა ეროვნების უდიდეს არაფილოლოგ მეცნიერთა შეგნებული
დამოკიდებულება მეცნიერული ნააზრების გადმოცემის ენობრი-
ვი მხარის მიმართ.

მოგვყავს ზოგიერთი მეცნიერის კატეგორიული მსჯელობანი ამ
საკითხზე. ა. აინშტაინი: „ფუნდამენტალურ იდეათა უმრავლეს-
ობა არსებითად მარტივია და შეიძლება გამოიხატოს ყველასათ-
ვის გასაგები სალიტერატურო ენით... ფიზიკის ნებისმიერ თეო-
რიას საფუძვლად უდევს არა ფორმულები, არამედ თეორიები და
აზრები“. ვ. ჰაიზენბერგი: „ფიზიკისათვის ჩვეულებრივი ენით
აღწერის შესაძლებლობა იმის კრიტერიუმია, თუ გასაგებობის რა
დონეა მიღწეული შესაბამის სფეროში“. ლ. დე ბროილი: „მათე-
მატიკური ენის მეშვეობით, ჩვეულებრივ, გადმოსცემენ იმას,
რაც უკვე მიღწეულია მეცნიერების მიერ, მაგრამ მეცნიერების
შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საერთო-სალი-
ტერატურო ენით, მთელი მისი სიმდიდრის, მისი უსაზღვრო შე-
საძლებლობების გამოყენებით“.¹

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ზემოქმედება მეცნიერულ
ენაზე, რაც ზოგიერთ მკვლევარს ფატალურად მიაჩნია, შეიძლება
კეთილსასურველი (ენისა და ამ ენის მფლობელისათვის) გზით
წარიმართოს, თუ ბუნებრივად ჩაითვლება სამეცნიერო ენის სტან-
დარტიზაციის ტენდენციის გვერდით ამ ტენდენციის დარღვე-
ვაც — ახალ ექსპრესიულ-სტილისტიკურ საშუალებათა გამოაქვანა,
მათი სიმდიდრისა და მრავალფეროვანი ფორმების იმგვარი გამო-
ყენება, რომ მეცნიერულმა აზრმა და იდეამ სიცხადე-სიზუსტე არ
დაკარგოს, მაგრამ, ამავე დროს, მეტი სიმანვილე და სიცხოვლე
შეიძინოს.

¹ მოგვყავს (35, 137—136)-ის მიხედვით.

სამეცნიერო სტილი, როგორც ლინგვისტური მოვლენა, უნივერსალურია. უნივერსალურად მიმდინარეობდა მისი ჩამოყალიბება სხვადასხვა ენაში — სალიტერატურო ენასთან მჭიდრო კავშირში, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ შემდგომშიც ამას ანგარიში გაეწიოს.

2. სამეცნიერო სტილის ლექსიკური სისტემა და სიტყვაწარმოება

2.1. ლექსიკის შედგენილობა

2.1.1. სამეცნიერო სტილის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ შედგენილობაში სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და წიგნურ მეტყველებაში საერთო-ენობრივი მნიშვნელობით იხმარება; 2. ისეთივე სიტყვები და გამოთქმები, როგორიც პირველ ჯგუფში, მაგრამ რომელთაც შეიკვალეს სემანტიკა და ტერმინებად იქცნენ. მათი მხოლოდ მნიშვნელობის სპეციფიკა მიუთითებს იმაზე, რომ ამ სემანტიკით ისინი სამეცნიერო ფუნქციურ სტილს განეკუთვნებიან და არა სხვას. მაგ.; გეზი, ქცევა, შეზრუნებული, სიბრტყე, მარილი, ქერქი... 3. სპეციალური სიტყვები და შესიტყვებანი, რომლებიც მხოლოდ სამეცნიერო მეტყველებაში იხმარება — ტერმინოლოგია.

2.1.2. თუ აღნიშნული ფუნქციური სტილის მთელი ლექსიკის 20—30%-ს ტერმინოლოგია შეადგენს, არატერმინოლოგიური ერთეულები 60—70%-ია. ამიტომ ტერმინოლოგიის გამოყენება სამეცნიერო ენის ერთადერთი თავისებურება არ არის.

პირველი და მეორე ჯგუფის სიტყვები და გამოთქმები, ანუ არატერმინოლოგიური ლექსიკა, სამეცნიერო მეტყველებაში მთელი რიგი ნიშნებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მათი სიხშირე, რომლის მაჩვენებელი სამეცნიერო სტილში მეტია, ვიდრე სხვა რომელიმე ფუნქციურ სტილში, რაც დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი ცნებების, ფაქტების, მოვლენების აღნიშვნასთან. აქ ხშირადაა ხმარებული ის არსებითი სახელები, რომლებიც ობიექ-

ტთა დაყოფას ახდენენ განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა მიხედვით, კლასებად და თანრიგებად აჯგუფებენ იმ ტიპის მნიშვნელობებს, როგორცაა მაგ., სხეული, ნივთიერება, მოვლენა... ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ხშირადაა ნახსენები სამეცნიერო ტექსტებში. მაგ.: მონაცემები, შედეგები, პრობლემები... აგრეთვე ზმნები — წარმოადგენს, გვევლინება, განისაზღვრება... გამოთქმები: ამის შედეგად, აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ და სხე.

2.1.3. არატერმინოლოგიურ სიტყვათა უმრავლესობა შეიძლება არ იქნედეს დამატებით მნიშვნელობას სამეცნიერო სტილში, მაგრამ მისი ის მნიშვნელობებია ხშირი, რომლებიც სხვა სტილში იშვიათია. მაგ.: სიტყვა „ცდას“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლ) ასეთი მნიშვნელობები აქვს: 1. მოქმედება რისამე შესასრულებლად (რისი შესრულებაც ძნელია, საეჭვოა); 2. მოვლენის გამოკვლევა ხელოვნურ პირობებში, ექსპერიმენტი. მეორე მნიშვნელობა სამეცნიერო ტექსტებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ასევეა, მაგალითად, სიტყვა „ფაქტის“ შემთხვევაშიც. იგი ასეა განმარტებული: 1. რაც სინამდვილეში მოხდა; 2. ესა თუ ის მონაცემი, მასალა რისამე დასკვნის გამოსატანად ან მოსაზრების დასადასტურებლად. სამეცნიერო მეტყველებაში მეორე მნიშვნელობას აქვს მაღალი სიხშირე.

2.1.4. სალიტერატურო ენის სიტყვები სპეციფიკურ მნიშვნელობას იძენენ სამეცნიერო სფეროში, რაც გამოწვეულია სიტუაციითა სპეციფიკურობით. მაგ., ზმნა „ვრცელდებას“ ქეგლ-ში შემდეგი მნიშვნელობები მიეწერება: 1. ვრცელი ხდება, ფართოვდება, დიდდება; 2. მრავალს აწვდიან, მრავალს ურიგდება, ეგზავნება; 3. მრავალთათვის ხელმისაწვდომი ან გასაგები, ცნობილი ხდება. 4. ეხება (კანონი ყველაზე ვრცელდება); 5. იზრდება, მატულობს; 6. ედება, გადადის (ავადმყოფობა). ჩამოთვლილ მნიშვნელობათაგან სემანტიკური ელფერით განსხვავებულია ის მნიშვნელობა, რომელიც ხშირად ახლავს აღნიშნულ სიტყვას სამეცნიერო ტექსტებში, სადაც ტიპურია ამგვარი კონტექსტი — „უნივერსალია სრულიად არ ვრცელდება ისეთ დაპირისპირებებზე, როგორცაა: გლოტალიზაციის, დაჭიმულობის... დაპირისპირებები“. მართალია,

მეოთხე და მეექვსე მნიშვნელობები ერთგვარად თითქოს გულისხმობს ამ სემანტიკურ ელფერს, მაგრამ სამეცნიერო მეტყველებაში შეძენილი ნიუანსი, რომელიც ლექსიკონში ჭერჯერობით ასახული არ არის, სამეცნიერო ენისთვისაა სპეციფიკური.

სამეცნიერო სტილში გამოყენებულ სიტყვათა ყველა მნიშვნელობა, რომელიც ლექსიკონშია ფიქსირებული, არ არის რეალიზებული აღნიშნულ სფეროში, მაგრამ ის დამატებითი მნიშვნელობები, რომლებსაც აქ იძენს სიტყვა, მას ამდიდრებს სემანტიკურ ელფერთა თვალსაზრისით.

2.1.5. სალიტერატურო ენის ლექსიკის ერთი ნაწილი სამეცნიერო მეტყველებაში ახალ შინაარსს წარმოადგენს. მაგ., სამედიცინო ლიტერატურაში—სარქველი, ტოტი, შრე, წყალსადენი, მორჩი, ქედი, ქერქი. ბაგირაკი... ქიმიში — წვა, უანგვა, მარილი, ჩარეცხვა... მათემატიკაში — სიმრავლე, კონა, შებრუნებული... ენათმეცნიერებაში — გეზი, ქცევა, კონტაქტი და სხვ.

2.1.6. მეტყველების სამეცნიერო სტილი გამოირჩევა სინონიმთა დაჯგუფებისა და ნიტყვათა შეხამების თავისებურებებით.

ტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ იმ სინონიმთა მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან, რომლებიც აზრის სიტყვიერად გამოხატვას აღნიშნავენ, სამეცნიერო მეტყველებაში იხმარება მხოლოდ: თქმა, გადმოცემა, ლაპარაკი, დაძენა (დასძენს), მაშინ როდესაც მხატვრულსა და სასაუბრო მეტყველებაში მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება ასზე მეტი მათი ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური სინონიმი (წარმოთქმა, ბრძანება, ჩალაპარაკება, წაბუტბუტება, წაბურტყუნება, ჩალულლულება, წადუდუნება, წამოროშვა, ლაქლაქი, დაყაქვა, ლაილაი, სიტყვის დაცდენა, ენის ამოღება, კრინტის დაძვრა, პირის მოხვეა...). ამავე დროს სიტყვები და გამოთქმები — აღნიშნავს, აღნიშნული, როგორც აღნიშნეთ — სამეცნიერო მეტყველებაში იმავე სინონიმურ რიგში დგება, მაშინ როცა საერთო ენაში ამგვარი რამ არა გვაქვს. ქეგლი-ი „აღნიშნავს“ ზმნის შემდეგ მნიშვნელობებს გვაწვდის: 1. გარკვეული ნიშნით გამოსახავს; ნიშანს დაასვამს; ჩანიშნავს; 2. ნიშნავს, გულისხმობს; 3. დაამჩნევს, დატოვებს (ყვალს). სამეცნიერო ტექსტებში ძალიან ხშირი და გავრცელებული მნიშვნელობა ამ სიტყვისა „გარკვეული ნიშნით

გამოსახვას“ მსოლოდ სპეციფიკურ კონტექსტებში (სიმბოლური აღნიშვნის დროს) უკავშირდება, სხვა დანარჩენ შემთხვევაში იგი თქმა-გადმოცემის სინონიმურია.

ამგვარად, სიტყვის მნიშვნელობათა საერთო სისტემაში ცალკეულ მნიშვნელობათა თავისებური შესაბამისობა თავისებურ სინონიმურ დაჯგუფებას იწვევს სამეცნიერო სტილში.

2.1.7. იმ მუდმივ სიტუაციათა არსებობა, რომლებიც სამეცნიერო ტექსტებშია აღწერილი, ამ სტილისათვის მუდმივ და თავისებურ სიტყვაშეხამებებს წარმოშობს. მაგ., ისეთი სიტუაციისათვის, როგორცაა თეორემის დამტკიცება, ტიპურია შესიტყვებები: ზემოდამტკიცებული, ახლახან დამტკიცებული თეორემა; თეორემაღან გამომდინარე; თეორემის შედეგი; შემდეგი თეორემა; თეორემაზე დამყარებული და სხვ. სამეცნიერო ექსპერიმენტის სიტუაციისათვის ნიშანდობლივია შესიტყვებები: ექსპერიმენტის მომზადება, დაყენება, ჩატარება, გამეორება; ექსპერიმენტმა გვიჩვენა, დამტკიცა და სხვ. ანალიზზე დამყარებული კვლევის ზოგადი სიტუაციისათვის დამახასიათებელია გამოთქმები: საანალიზო ხსნარი, ტექსტი, მოვლენა, შემთხვევა, სიუჟეტი; თვისებრივი ანალიზი, რაოდენობრივი ანალიზი, წონითი ანალიზი, გაზომეტრული ანალიზი და სხვ.

საკმაოდ გავრცელებულია სამეცნიერო მეტყველებაში გამოთქმები: მიღებული შედეგიდან გამომდინარეობს, ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე პასუხს იძლევა, შემდგომი განხილვა ემყარება, მოცემული ილუსტრაციის საშუალებით, ადვილი შესაძლებელია, ყურადღების ღირსია ის ფაქტი, ზემოთქმული გვიჩვენებს და სხვ., რომელთა სპეციფიკურობა სამეცნიერო სტილისათვის უდავოა.

2.1.8. ამგვარად, არატერმინოლოგიური ლექსიკა სამეცნიერო სტალში სპეციფიკური გამოყენებით აღინიშნება. გარდა იმისა, რომ ლექსიკურ ერთეულებს ამ სფეროში მონოსემიურობა ახასიათებს, სიხშირული მაჩვენებელიც თავისებური აქვთ. სიტყვისა და შესიტყვების მნიშვნელობა აქ სპეციფიკურ ელფერს იძენს; თავისებურია სინონიმური ჯგუფების შედგენილობა და ზოგჯერ თვით სიტყვის შინაარსი საერთოენობრივისაგან განსხვავებულია.

2.2.1. სამეცნიერო მეტყველების ისეთი სტილისტიკური მახასიათებელი, როგორცაა სიზუსტე, ტერმინოლოგიის გამოყენებითა და სიტყვათა მონოსემიური ხმარებით ხორციელდება. ტერმინები და ტერმინოლოგიური გამოთქმები სამეცნიერო ლექსიკის ის უმთავრესი კომპონენტებია, რომლებიც ლოგიკურად ჩამოყალიბებულ ცნებებს აღნიშნავენ და დიდი მოცულობის ლოგიკურ ინფორმაციას იტევენ.

ენის საერთო ლექსიკურ სისტემაში სულ უფრო იზრდება ტერმინოლოგიური ლექსიკის მნიშვნელობა. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ დარგებს წარმოშობს, ხელს უწყობს ახალი ტერმინოლოგიური სისტემების წარმოქმნასა და უკვე არსებული სისტემების გარდაქმნას.

გამოთვლილია, რომ განვითარებულ ენებში ლექსიკის დაახლოებით 90%-ს სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინები შეადგენს, თუმცა მეცნიერებისა და ტექნიკის ყოველ ვიწრო დარგში სპეციალური ტერმინების რაოდენობა 10—15%-ს არ აღემატება, ხოლო ვიწრო სპეციალობისათვის სპეციალურ ტერმინთა რიცხვი ძალზე მცირეა (97,9).

2.2.2. სამეცნიერო ტერმინოლოგიაში რამდენიმე ფენა გამოიყოფა. დაყოფის საფუძველი სხვადასხვაა და განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ტერმინის გამოყენების სფერო, ცნების შინაარსი და ობიექტის თავისებურებანი, რომელსაც ტერმინი ასახელებს.

სინამდვილის უფრო ზოგადი ობიექტები (საგნები, ნიშან-თვისებანი, მიმართებები) უფრო ზოგადი კატეგორიული ცნებებით აღსახება და ისინი თანაბრად აქტუალურია ან ყველა მეცნიერებისათვის ან მეცნიერებათა დიდი ნაწილისათვის. ამგვარი ტერმინები ქმნიან მთლიანად მეცნიერებისათვის საერთო ცნებით ფონდს, რის გამოც მათ ხმარების მაღალი სიხშირე აქვთ (145,5—18). აღნიშნული ტერმინების ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ: სისტემა, ფუნქცია, მნიშვნელობა, ელემენტი, პროცესი, სიმრავლე, ნაწილი, მთელი,

დრო, ნივთიერება, სიდიდე, პირობა, სხეული, მოძრაობა, ორგანიზმი, თვისება, სიჩქარე, შედეგი, რაოდენობა და სხვ. (37,54).

მეორე ტერმინოლოგიურ ფენას განეკუთვნება იმ ცნებათა სახელები, რომლებიც საერთოა მომიჯნავე მეცნიერებებისათვის, რადგან მათ კვლევის საერთო ობიექტები აქვთ.

მესამე ჯგუფი ვიწრო-სპეციალური ცნებების ამსახველ ტერმინებს შეიცავს. ეს ტერმინები ერთ ან ერთ-ორ მომიჯნავე მეცნიერებას განეკუთვნება და გამოხატავს საკვლევი საგნისა ან მისი კვლევის ასპექტის სპეციფიკურობას (მაგ., განგლია, აუტოგამია, ბიოგენური...)

2.2.3. მიზანშეწონილი ჩანს ტერმინოლოგიის კვალიფიკაცია ცნების ტევადობის, მისი მოცულობის მიხედვით. გარკვეული მეცნიერების ზოგადი ცნებები, სადაც აისახება მისი მთავარი ობიექტების უარსებითესი ნიშან-თვისებები, კავშირები და მიმართებანი — კატეგორიებად ანუ კატეგორიულ ცნებებად იწოდება. კატეგორიები მოცემული მეცნიერების ცნებით ბირთვის ქმნიან, მის საფუძველს წარმოადგენენ. მაგ., ცნებათა ძირითადი კატეგორიები, რომლებიც მედიცინაშია განმარტებული, შემდეგია: 1. ორგანოთა და სხეულის ნაწილთა დასახელება, 2. ავადმყოფობათა, სიმპტომების, სინდრომების, ფუნქციურ რეაქციათა, რეფლექსების, მორფოლოგიურ დარღვევათა დასახელებანი; 3. გამოკვლევისა და მკურნალობის მეთოდთა დასახელება; 4. წამლების დასახელება; 5. მედიცინის მეცნიერებათა დარგების დასახელება (81,81). მეცნიერების ყველა დარგს ცნებათა საკუთარი კატეგორიები აქვს ტერმინირებული.

2.2.4. ასახულ ობიექტთა ხასიათის მიხედვით განარჩევენ ნომენკლატურულსა და საკუთრივ ცნებით ტერმინოლოგიას (106, 49). ამგვარ კლასიფიკაციას საორიენტაციო ხასიათი აქვს.

ყველა ტერმინი, ცხადია, ცნებაა, მაგრამ ნომენკლატურული ტერმინოლოგია ისეთ ცნებებს მოიცავს, რომელთა „საგნობრიობა“ უფრო მკვეთრადაა გამოხატული. მაგ., გეოგრაფიის ნომენკლატურაში შედის მდინარეები, ტბები, მთები, სახელმწიფოები... ლიტერატურის ისტორიის ნომენკლატურაში — მწერალთა და ნაწარმოებთა შესაბამისი სახელები და სხვ.

ამგვარად, ნებისმიერი ტერმინი ისეთი მეცნიერული ცნებაა,

რომელიც ამა თუ იმ მეცნიერებისათვის ქმნის გარკვეულ ცნებათა სისტემას, სადაც თვითონვე იღებს საკუთრივ შინაარსობრივ ლეტერ-მინაციას.

2.2.5. ზემოთ ლაპარაკი გვქონდა იმ ტერმინოლოგიურ ფენაზე, რომელიც საერთოა სხვადასხვა მეცნიერებათათვის, რაც ერთი მხრივ, აიხსნება მომიჯნავე დისციპლინათა არსებობით, ხოლო მეორე მხრივ, იმ ზოგადი ცნებითი ფონდით, რომელიც საერთოა სხვადასხვა მეცნიერებისათვის.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც საერთო ტერმინოლოგიური ლექსიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ესაა მეცნიერებათა ინტეგრაცია, რაც ტერმინის სიცოცხლისათვის სრულიად ახალსა და განსხვავებულ პირობებს ქმნის.

როგორც ცნობილია, დღეს ცალკეულ მეცნიერებებს უპირისპირებენ არა მარტო შესასწავლი ობიექტის მიხედვით, არამედ მეთოდების მიხედვით: ლინგვისტიკა — მათემატიკური ლინგვისტიკა; ბიოქიმია — კვანტური ბიოქიმია; ეკონომიკა — მათემატიკური ეკონომიკა... შესასწავლი საგანი იგივეა, მეთოდებია სხვა. მოლეკულური ბიოლოგია ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის მეთოდურ მიდგომებსა და ფაქტობრივ მონაცემებს ასახავს. ასევეა სხვა ახალ სფეროებშიც, როგორცაა ასტრობოტანიკა, კოსმოსური მედიცინა, საინჟინრო ფსიქოლოგია და სხვ. მათემატიკის გამოყენების ცდებია ისტორიასა და არქეოლოგიაში. ყოველივე ეს, ბუნებრივად, საპეცნიერო ინფორმაციის ფორმასა და შინაარსში, მის ენობრივ გამოხატულებაში აისახება (46, 23—36).

სამეცნიერო ლიტერატურის ზედაპირული განხილვაც კი გვიჩვენებს, რომ არა თუ მათემატიკისა და ფიზიკის მეცნიერებებს, არამედ ბუნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებსაც კი დაეძებნება საერთო ლექსიკა.

საერთო-მეცნიერული ლექსიკონის წარმოქმნა განაპირობა არა მარტო საერთო ობიექტებისა და მოვლენების შესწავლამ, არამედ აზროვნების, მეცნიერული შემეცნების თანამედროვე დონემ, როგორც ამბობენ, ცნობიერების ჩვეული სქემების „გადაკეთებამ“. მკვლევარები დაბეჭივებით ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ, მაგალითად, მოლეკულურ ბიოლოგიას ორგანულ ფორმათა „მოლეკუ-

ლურა“ გაება უღევს საფუძვლად: ამტიცებენ, რომ წრფივი ალებრის ზოგიერთი ტიპობრივი მოვლენის გაცნობიერებაც კი შეუძლებელია, თუ წრფივ (ხაზოვან) აზროვნებას არ ვისწავლით (46, 32—33).

2.2.6. მეცნიერების სხვადასხვა დარგთა ურთიერთშედრწევა ტერმინოლოგიურ სისტემათა ელემენტების ურთიერთშედრწევას იწვევს. ასე აღმოჩნდა ენათმეცნიერებაში ტერმინები: შეტყობინება, ინფორმაცია, კოდირება-დეკოდირება, ალბათობა, ხდომილება და სხვ. სიტყვა „დინამიკა“ მრავალი მეცნიერების კუთვნილება გახდა. მაშინ. როცა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იგი მხოლოდ მექანიკის იმ ნაწილში გამოიყენებოდა, რომელიც სხეულთა მოძრაობას შეისწავლის (170, 9). ასეთი ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

მეცნიერებათა ინტეგრაცია გავლენას ახდენს არა მარტო ტერმინთა გავრცელებასა და სხვადასხვა დარგში შედრწევაზე. არამედ თვით ამ დარგთა ფორმირებაზეც და ამდენად, სამეცნიერო მეტყველებაზეც.

2.3. ს მ ს ე მ ა ბ ა

2.3.1. ქართული სამეცნიერო ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო-სალიტერატურო ენის საფუძველზე წარმოიქმნა. ქართული ენის საკუთარი რესურსებით არის შექმნილი ისეთი მნიშვნელოვანი და არსებითი ტერმინები, როგორცაა ლოგიკისათვის — ცნება, ფიზიოლოგიისათვის — აღგზნება, მათემატიკისათვის — განტოლება, ფსიქოლოგიისათვის — განწყობა. აღქმა, აგრეთვე ტერმინები: წნევა, დენი, სადენი, ძრავა, სინჯარა, ხსნარი, წნეხი, წინაღობა ხრახნი. ახალი სიტყვები გაჩნდა ახლად შემოსული საგნის სახელად (ძრავა, საქონელმცოდნეობა); ზოგი ახალი საგნისა თუ ცნებისათვის რომელიმე ძველი სიტყვა იქნა გამოყენებული, მაგ., ხარისხი (10, 19).

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისას ყველაზე ვრცელსა და მდიდარ წყაროს წარმოადგენს როგორც თანამედროვე სალიტერატურო ენა, ისე ძველი ქართული ენისა და თანამედროვე ქართული დიალექტების ლექსიკაც. ტერმინების შემუ-

შავებისას უმთავრესი ყურადღება ექცევა სიტყვაწარმოების წესებს, რომელთა გაუთვალისწინებლობამ ზედმეტად ხელოვნური ტერმინების წარმოქმნა შეიძლება გამოიწვიოს. ასეთ ტერმინებს კი ენაში დამკვიდრება უჭირთ. დრომოკლე აღმოჩნდა იმ რიგის ქართული ტერმინები, როგორცაა: ქმოსი (машина), ქმოსნობა (техника), ლწური (точный), წია (атом), ელკუწი (электрии), მოქგნელი (технолог), ბანკვინი (бензин), წყისი (аппарат), შლი-ქიშო (парабола), მგზებრი (вектор), ქმოგნობა (механика), ძრავ-გნობა (кинематика), ძრავალგნობა (кинетика), დგარგნობა (статика), ქანგადი (кислотный элемент), ძირელი (основной), წია-ხედრი (удельный вес), ნაირმანობა (изометрия), დენქმოსი (динамомашинა), ქვითანუშქანგი (параминдальная кислота) და სხვ.

ახალი ტერმინების შემუშავების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებს უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკა. სესხება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ უცხო სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი არც ამჟამად მოგვეპოვება და არც ისტორიულადაა დადასტურებული ქართულში, თანაც ეს სიტყვები მტიცილდაა დამკვიდრებული როგორც რუსულში, ისე მრავალ სხვა ენაში (1, 195).

ხშირ შემთხვევაში ნასესხებ ტერმინებს გარკვეული უპირატე-სობა ენიჭება. ისინი ზოგჯერ უფრო ადევკატურები არიან ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად, ვინაიდან მშობლიური ენის სიტყვებს ათასწლოვანი ისტორია და გამოყენების ვრცელი ასპარეზი აქვთ, რაც მათს მნიშვნელობას შემფასებლური, ემოციური, ასოციაციური თუ ექსპრესიული დამატებითი სემანტიკური კომპონენტებით ტვირთავს. ყოველივე ეს დეზორიენტაციას იწვევს, ხელს უშლის სინამდვილის ასახვის ობიექტურობას ცნებათა ლოგიკური ფორმებით. უცხო ტერმინი სემანტიკურადაც ჩაკეტილია, ამავე დროს იგი უკეთ ახერხებს სხვა ობიექტებისაგან ამა თუ იმ ობიექტის დიფერენცირებას, მას ასოციაციათა გამჩენი, მეტაფორული კონოტაციები არ გააჩნია. ამიტომ ნასესხები სიტყვა ზოგჯერ იმარჯვებს საერთო-ენობრივ სიტყვასთან კიდილში (იხმარება ამპლიტუდა და

არა გასაქანი, კვადრატული და არა — ორხარისხა, გრადუსი და არა — მენაკი, კონუსური და არა — წოწლური, ატმოსფერო და არა — აირეთი, კონსტრუქცია და არა ანაგი და სხვ.).

ამგვარად, ნასესხები ტერმინები მეცნიერული გადმოცემისათვის აუცილებელ სიზუსტის მოთხოვნას აკმაყოფილებს, რადგან ისინი უკეთ იცავენ ცალსახობის პრინციპს.

2.3.2. ნასესხებ სამეცნიერო ტერმინთა უმრავლესობა ქართულ ენაში ინტერნაციონალური ხასიათისაა. მათი გამოყენება სამეცნიერო ენის საერთაშორისო სტანდარტიზაციის მოვლენას ასახავს აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ინტერნაციონალიზმების დიდი ნაწილი საერთო-ეროვნული ქართულის ლექსიკურ ფონდში ყოველთვის არ შედის, მაგრამ სპეციალისტთა წრეში გამუდმებით იხმარება.

ქართულ სალიტერატურო ენაში ინტერნაციონალიზმების შემოსვლის გზები უკავშირდება ქართული ენის უძველეს ლექსიკურ კონტაქტებს ისეთ ენებთან, როგორცაა ბერძნული და ლათინური. „ბერძნულ ენასთან ხანგრძლივი და ინტენსიური კონტაქტის შედეგად ქართულ ენაში დიდი ხნის წინათ შემოვიდა და დამკვიდრდა ბევრი ისეთი ბერძნული სიტყვა, რომელიც მოგვიანოდ, დასავლეთის ცივილიზაციის განვითარებისა და საყოველთაოდ გავრცელების შემდეგ, ინტერნაციონალიზმებად იქცა“ (10, 363). ამიტომ ბევრი ბერძნული სიტყვა, რომელიც დღეს ინტერნაციონალური ლექსიკის კუთვნილებაა, ქართულში ჯერ კიდევ მაშინ შემოვიდა, როცა ქართველებს სხვა ევროპელ ხალხებთან უშუალო ურთიერთობა არ ჰქონდათ. უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობს: ავტონომია, ავტოქთონი, ალეგორია, ამორფული, ანალოგია, ანესთეზია, ანოდი, ანომალია, ატომი, აქსიომა და სხვ. (10, 364).

2.3.3. XIX საუკუნიდან ქართული სამეცნიერო ენა, ერთი მხრივ, რუსულის მეშვეობით იძენს ინტერნაციონალური სიტყვების მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, უშუალოდ ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური ენებიდან.

ასხვაგვებენ ისეთ ინტერნაციონალიზმებს, რომლებშიც ბერძნული ფუძეებია გამოყენებული, მაგრამ ამ მასალისაგან ახალი,

თვით ბერძნულში არარსებული სიტყვებია შექმნილი. ამგვარად მიაჩნიათ ფრანგულში შემუშავებული და შემდეგ ინტერნაციონალიზმის სახით გავრცელებული: აზოტი, ანაქრონიზმი, ანჰიდრიდი, ანტიესპეტიკა... გერმანულ ენაში ბერძნული ელემენტებისგანაა შედგენილი: ალოგიზმი, ანეროიდი... ბერძნული ფუძეების მეშვეობით შეიქმნა რუსულ ენაში ლიტერატურული მიმდინარეობის სახელწოდება აკმეიზმი, მედიკამენტების სახელწოდებანი აკრიქინი, ანალგინი და სხვ. (10, 364).

ზოგიერთ ინტერნაციონალურ ტერმინს საკმაოდ რთული გზა აქვს გავლილი, სანამ ქართულ ენაში შეაღწევდა: „ამალგამა ბერძნულიდან შევიდა არაბულ ენაში, არაბულიდან ლათინურმა ენამ გადაიღო. ლათინურიდან ფრანგულმა ენამ, ფრანგული ენიდან რუსულმა ენამ ისესხა და რუსულის გზით დამკვიდრდა ქართულ ენაში“ (10, 365).

2.3.4. ამგვარად, როგორი გზითაც არ უნდა შემოდოდეს ქართულ ენაში ინტერნაციონალური ტერმინოლოგია, სამეცნიერო მეტყველებაში მისი დამკვიდრების ექსტრალინგვისტური ფაქტორები ისევე ძლიერია, როგორც ყველა პოლივალენტოვან განვიითარებულ ენაში. თვითონ მეცნიერება თავისი შინაარსითა და მოწოდებით ინტერნაციონალურია, ამიტომ ბუნებრივია ინტერნაციონალურობისაკენ ენობრივი გამოხატულების სწრაფვაც. ის საერთო-მეცნიერული ტერმინოლოგია, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, თითქმის მთლიანად ინტერნაციონალური ლექსიკით განისაზღვრება, რაც სამეცნიერო მეტყველებისათვის უნივერსალური მოვლენა ჩანს.

2.4. ტერმინი-სინონიმები

2.4.1. ტერმინოლოგიური სესხება სამეცნიერო მეტყველებაში ზღვს უწყობს იმგვარი სინონიმური პარალელიზმის მოვლენას, როცა სინონიმთა წარმოქმნაში ორი სხვადასხვა ენიდან მომდინარე მასალა მონაწილეობს. როდესაც ორი ან რამდენიმე ტერმინი ერთსა და იმავე ცნებას აღნიშნავს, უკვე სინონიმები კი აღარა გვაქვს, არამედ — დუბლეტები.

ქართული სამეცნიერო მეტყველებისათვის დამახასიათებელია ტერმინი-დუბლეტების გამოყენება. ასეთ წყვილებად შეიძლება დავასახელოთ: დიფთერია — ყელჭირვება, არქიტექტურა — ხუროთმოძღვრება, ადვერბი — ზმნისართი, ამპუტაცია — მოკვეთა, ანემია — სისხლნაკლებობა, ანონიმური — უსახელო, გაზი — აირი, გენეზისი — წარმოშობა, დეტალური — დაწვრილებითი, დოზინირებული — გაბატონებული, ეკონომია — მომპირნეობა, ელასტიკური — ღრეკადი, ემბრიონი — ჩანასახი, ემოცია — გრძნობა, ეპილეფსია — ბნედა, ეპოქა — ხანა, ექსპერიმენტი — ცდა, ექსპირაცია — ამოსუნთქვა, ვაქცინაცია — აცრა, ვერსიფიკაცია — ლექსთწყობა, ვიბრაცია — რხევა, იგნორირება — უგულუბელყოფა, იმიტაცია — მიმსგავსება, ინსტრუმენტი — იარაღი, ლაბილური — ბაგისმიერი, ლინგვისტიკა — ენათმეცნიერება, ლუმბაგა — წელკავი, მაგიური — მისნური, მანუსკრიპტი — ხელნაწერი, ნეგატიური — უარყოფითი, ორთოგრაფია — მართლწერა, ორნამენტი — ჩუქურთმა, პერცეფცია — აღქმა, რეზულტატი — შედეგი, სოციალური — საზოგადოებრივი, ტუბერკულოზი — კლეჟი, ნაციონალური — ეროვნული, ფსიქიკური — სულიერი, ქირურგი — დასტაქარი, პრეფიქსი — წინსართი, ბილინგვიზმი — ორენოვნება, ლატენტური — ფარული, ბაზა — საფუძველი, ლეტალური — სასიკვდილო და სხვ.¹

ტერმინი-დუბლეტები პარალელურად იხმარება ერთისა და იმავე ავტორთა ნაშრომებში. მაგ., „ანაერობული ინფექციის დროს ამპუტაცია კეთდება მარტივად — ადგილობრივი ანესთეზიით ან ნარკოზით. კიდურის მოკვეთის შემდეგ ჭრილობა აუცილებლად ღიად უნდა დარჩეს“ (გ. ბოქ.); „როგორია აზროვნებისა და მეტყველების გენეზისური ურთიერთობა? წარმოშობის მიხედვით, რა უსწრებს რას?“ (16); „როგორც წესი, ყოველი სამეტყველო ბგერა იწარმოება ექსპირაციული ჰაერნაკადით ანუ ფილტვებიდან ამონადენი ჰაერნაკადის მეშვეობით. ამას ვუწოდებთ სუნთქვიერ ბგერათაწარმოებას“ (გ. ახვ.). „აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივი სწავლების შედეგად ეს ორიენტირებაც შემოვიდა ფილანტუსის პერ-

¹ დუბლეტთა დიდი ნაწილი ამოკრებილია (10)-დან.

ცუფციაში... ფსიქიკის განსაკუთრებულ გძნობიერებაზე მიმართება-
თა აღქმის თვალსაზრისით მოწმობს აგრეთვე კრიუგერის მიერ
ემოციათა თავისებურებების დახასიათებაც“ (დ. რამ., 1980).

წარმოდგენილ ნიმუშებში წყვილები: ამპუტაცია-მოკვეთა, გე-
ნეზისი-წარმოშობა, ექსპირაციული-სუნთქვიერი, პერცეფცია-აღქ-
მა, ღუბლეტებია, რადგან არავითარი ნიუანსობრივი განსხვავება
მნიშვნელობის თვალსაზრისით აქ არა გვაქვს. სხვა საქმეა, როცა
სინონიმურად იხმარება იმგვარი წყვილები, როგორცაა დიფერენ-
ცია-ლიფერგენცია, კონვერგენცია-ინტეგრაცია, რადგან აქ აშ-
კარაა ისეთი განსხვავებული სემანტიკური კომპონენტის თანაობა,
რომელიც ერთსა და იმავე პროცესს, მოვლენას ოდნავ, მაგრამ
მაინც განსხვავებული ასპექტით წამოსწევს; ამგვარი სინონიმი
ხაზს უსვამს ცალკეულ ცნებით განსხვავებებს მთავარი ზოგადის
შენარჩუნებით, ემსახურება ლოგიკური აზრების გრადაციის ასახ-
ვას და იგი ენობრივ სიჭარბედ არ ითვლება. მაგრამ ენტროპიად
მიაჩნიათ ზემოგანხილული ღუბლეტები (ამპუტაცია-მოკვეთა, ექს-
პირაციული-სუნთქვიერი...). მათი წარმოქმნის წყარო ნათელია.
ყველა ამ წყვილიდან პირველი წევრები ინტერნაციონალიზმებია,
მეორე კი — ოდინდელი სიტყვები, მკვიდრი თუ ადრიდანვე შეთ-
ვისებული, რომელთაც სიტყვაწარმოების ტრადიციული ყალიბები
აქვთ. რა ინახავს სამეცნიერო სტილში ამ ღუბლეტებს? როგორც
ჩანს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ სესხება საკუთარზე უარის
თქმას არ ნიშნავს. ენა ნელა ვითარდება. იმ სიტყვებს, რომელთაც
მკვიდრი ტრადიცია აქვთ და რომლებიც ადრიდანვე ტერმინოლო-
გიური მნიშვნელობით იხმარებოდნენ, ღუბლეტი ინტერნაციონა-
ლიზმები ადვილად ვერ უწევენ მეტოქეობას. მეორე მხრივ, რო-
გორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერება ინტერნაციონალურია და
მიისწრაფვის ენობრივი გამოხატულების ინტერნაციონალურობი-
საკენ. დაბოლოს, ანგარიშგასაწევია „მეტყველების ესთეტიკაც“.
მართალია, თუ მხატვრულ ენაში ერთი და იმავე სიტყვის ტავტო-
ლოგიური გამეორება სტილის ხარვეზად ითვლება, ხოლო მეცნიე-
რულ ნაშრომებში ამ მოვლენას იმავე კვალიფიკაციას ვერ მივ-
ცემთ, მაინც, როგორც ჩანს, მეცნიერ-ავტორთა ენობრივი გრძნო-

ბა შინაგანად ეწინააღმდეგება სამეცნიერო სტილისათვის ნორმალ-ქვეულ ტავტოლოგიურ გამეორებას, თუნდაც ეს ტერმინის გამეორება იყოს.

დგება საკითხი ტერმინოლოგიური სესხების ზომიერების შესახებ. სამეცნიერო ტექსტის გაჯერება ნასესხები ტერმინებით აძნელებს მის გაგებას მშობლიურ ენაზე. საინტერესოდ გვეჩვენება შემდეგი მოსაზრება: „ფუნქციურად გაუმართლებელი უცხოურ ტერმინთა სიუხვე იქ, სადაც მშობლიურიც მოიპოვება, ქმნის მოჩვენებით მეცნიერულობას. სამეცნიერო მეტყველების „მაღალი“ სტილისაკენ სწრაფვას ხშირად ეფარება დამწყები ავტორის გაუბედაობა ანდა მეცნიერულ-ინფორმაციული პროდუქტიულობის დეფიციტის შევსების სურვილი გარეგნული ელვარებით. დიდი მეცნიერები, ჩვეულებრივ, ზომიერნი არიან უახლესი უცხო ტერმინოლოგიის გამოყენებისას“ (37, 75).

2.4.2. სამეცნიერო სტილისათვის მეტად სპეციფიკურია იმგვარ ტერმინ-დუბლეტთა მარჩბივი ხმარება, რომელთაგან ერთი ქართული დასახელებაა (ან თარგმანი), მეორე — ლათინური დამწერლობით გადმოცემული უცხო ტერმინი. მაგ., „კლასების ჩართვა“ (Klassen—Inclusion); არაუქუქცივითობა (Inreversibilität); დიდი უცნობი არე (Great Unknow) (დ. რამ., 1968); დამოკიდებულებათა ხლართი (réseau de dependences); ენობრივი ჩვევა (Sprachkonvention), კოლექტიური გონითი მოქმედება (kollektive geistige Gätigkeit) (19).

ლათინურ დასახელებათა მოყვანა ლათინურად ჩვეულებრივი მოვლენაა სამედიცინო, განსაკუთრებით, სასწავლო ლიტერატურაში, სადაც ყველაზე მეტადაა სისტემატიზირებული ტერმინოლოგია: აორტის ხვრელი — hiatus aurticus; ყბა-ყურის ჭირკვალი — glandula parolis; დაქიმულობა — Distorsio.

უცხოურად წარმოდგენილ ტერმინებს ტექსტებში უმთავრესად ერთჯერადი გამოყენება აქვთ და ისიც — ცნების შემოყვანისას.

2.4.3. ტერმინოლოგიურ სინონიმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს სამეცნიერო მეტყველების კიდევ ერთი თავისებურება — არაენობრივი, სიმბოლური ტერმინების გამოყენება, რაც თავისთავად გამონათქვამის უკიდურესი ეკონომიურობისა და სი-

ზუსტის მოთხოვნითაა გამოწვეული. სიმბოლური ტერმინი ისეთი ექსტრალინგვისტური საშუალებაა, რომელიც ცნავენება ცნების გამომხატველ სიტყვას, მის მაგიერობას ეწვევა, როგორც ბუნებრივი ენის საფუძველზე შექმნილი მეორეული ნიშანი. ასეთ ნიშანთა ხვედრითი წონა სხვადასხვაა მეცნიერების დარგების მიხედვით და მაქსიმუმს მათემატიკურ ტექსტებში აღწევს, მაგრამ სხვაგანაც ფართოდ გამოიყენება.

საინტერესო მოვლენას ვხვდებით ქიმიის მეცნიერებებში, სადაც მარჩბივ დუბლეტებთან სიმბოლური ტერმინი მესამე სინონიმადაა წარმოდგენილი: სისხლის წითელი მარტილი — კალიუმფეროციანიდი — $K_3[Fe(CN)_6]$, ტურნულის ლურჯი — რკინა (II)-ის ჰექსაციანფეროციტი — $Fe_3[Fe(CN)_6]_2$, ბერლინის ლაქვარდი — რკინა (III)-ის ჰექსაციანფეროციტი — $Fe_4[Fe(CN)_6]_3$, ეთილის სპირტი — ეთანოლი — C_2H_5OH .

2.5. ტერმინოლოგიური უსიბუხეაანი

2.5.1. ტერმინოლოგიური უსიბუხეაანი მეცნიერების ყველა დარგისთვისაა დამახასიათებელი. მათი სიხშირე სიტყვა-ტერმინთა სიხშირეს აღემატება¹.

ორკომპონენტიანი უსიბუხეები მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპისაა, ამასთანავე, მსაზღვრელი ატრიბუტულიც არის და მართულიც, რომლის სიხშირე საგრძნობლად მაღალია ატრიბუტული მსაზღვრელის სიხშირეზე.

2.5.2. ტერმინოლოგიურ უსიბუხეაათა ატრიბუტული ნაწილი სამეცნიერო ტექსტებში მრავალფეროვანია. შედარებით მკირეა ზედსართაული მსაზღვრელები შემდეგი ტიპისა: დიდი მენჯო, ქეშ-მარტი მუდმივა, ზოგადი ფორმულა, ღია მოტეხილობა, ზრმა კრალობა, უცხო სხეული, ცრუ სახსარი და სხვ.

მსაზღვრელებად ხშირად იხმარება სამივე გვარის მიმღეობა:

¹ ა. შანიძის „გრამატიკის საფუძველებს“ (13) დართული აქვს ტერმინოლოგიური საძიებელი, სადაც 1202-მდე ტერმინია. აქედან მხოლოდ ერთი მუხუთელია ერთშემადგენლიანი.

შემაერთებელი ქსოვილი, გამჭოლი ჰრილობა, გამოხდილი წყალი, დამუხტული სპილენძი, ჩაპარკებული შიკრობი, მახასიათებელი მატრიცა, შექცეული ასახვა, მცოცავი წყლული, საკვლევი ხსნარი, ასაორთქლებელი სითბე, შემაჩერებელი მოქმედება, ჩაღვრილი სისხლი, დასარეველიანებული ნიადაგი...

გავრცელებულია სხვადასხვა ტიპის მიმართებითი ზედსართავი სახელები მსაზღვრელად:

ა) არსებით სახელს თანდებულდართული ფორმა, რომელიც აღნიშნავს: I. მსგავსებას — დვრისებრი ხვრელი, თითისებრი ჩანაკდვეი, კავისებრი მორჩი, ნავისებრი ფოსო, სხივისებრი გვირგვინი, ნუშისებრი ბირთვი...

II. ადგილმდებარეობას — ბექქვეშა ფოსო, ბორცვთაშუა ღარი, კეფისშიგნითა შემალღება, თირქმელზედა ჰირკვალი...

ბ) ქონების სახელი — მარილგანი ეფექტი, ღაფკლოვანი ნაპრალი, ჩირქოვანი რეაქცია, სპოროვანი ზედაპირი, სახსროვანი შეერთება, ავთვისებიანი სიმსივნე, ერთუცნობიანი განტოღება, სამვალენტისანი ნიკელი, პრეფიქსისანი წარმოება... არაცნობიერი ფენომენი, ჩქამიერი ბგერა, მცირენაყოფიერი მრწა, თანაბარზომიერი აჩქარება...

გ) წარმომავლობის მაწარმოებლისანი სახელი — გრამატიკული წყობა, ევკლიდური სივრცე, ემპირიული ხსნარი, თეორიული გამოთვლები, იზომორფული თანათარღობა, ინდიფერენტული მალამო, კვადრატული განტოღება, კომპლექსური რიცხვი, მოტორული განწყობა, ცენტრული სიმეტრია, ჰიპერტონიული ხსნარი...

დ) დანიშნულების სახელი — საცრემლე ჰირკვალი, სატკნე შემალღება, სარეაქტივო შუშა, სასუბიექტო ქცევა, საცენტრიფუგო სინჯარა...

ე) ბრუნვის აფიქსებით წარმოქმნილი სახელი — ანთებითი პროცესი, ჟანგვითი პოტენციალი, შეგუბებითი მოვლენა, მოქმედებითი გვარი... ფეთქადი ნივთიერება, კუმშვადი სახელი, შექცევადი პროცესი, უსსნადი მარილი, აირადი წყალბადი... გრძივი კუნთი, წრფივი მრავალწევრი, ცალმხრივი ამოვარდნილობა, შრეობრივი დაფენება, სახეობრივი აზროვნება, ასაკობრივი ანემია...

ვ) რთული სახელი — არათანამოსასეღე იონი, ძნელადხსნადი

ნივთიერება, ჩირქმბადი კოკები, არტერიოსკლეროზული განგრენა, ფუტებოლოხმონიანი სახელი, მაღალმგრძნობიარე რეაქცია...

2.5.3. მართულმსაზღვრელიანი ტერმინოლოგიური შესიტყვებანი, როგორც აღენიშნეთ, ფართოდაა გავრცელებული სამეცნიერო მეტყველებაში: პიროვნების აქტივობა, ნებისმიერობის პრინციპი, განწყობის ირადიაცია, ადგილის გარემოება, ღალეკვის რეაქცია...

ხშირია იმგვარი ორკომპონენტიანი სუბსტანციური შესიტყვებები, სადაც პირველი წევრი (მსაზღვრელი) საკუთარ სახელს წარმოადგენს: ევკლიდეს ალგორითმი, დეკარტეს თეორემა, ტრუ-ზეცკოის უნივერსალია, სოსიურის კონცეფცია, ლუქსერის თეორია, რენოს დაავადება, ბიურგერის ავადმყოფობა, ჭანელიძის მეთოდი, ალფელდის მეთოდი, ფიურბრინგერის წესი, ოტენბერგის კანონი, ლერიშის ოპერაცია, ლისტერის ნახვევი, მიკულიჩის მალამო, შინელ-ბუშის ნიღაბი, ბერტოლეს მარილი, გოფმანის მომჭერი, ბიუჰნერის ძაბრი, ბრუცინის ხსნარი, ნესლერის რეაქტივი, პეტრაშენის რეაქცია, ვირხოვის მეტასტაზი...

ზოგჯერ საკუთარი სახელი თვითონ ორკომპონენტიანია: ბოილ-მარიოტის კანონი, კორნეე-ალექსანდროვის სინდრომი, კრაუზე-ლოუსონის მეთოდი, დუნგერ-ჰირშფელდის კანონი...

საკუთარსახელიან ტერმინოლოგიურ ფრაზეოლოგიზმებში პირველი კომპონენტი აკონკრეტებს მეორის მნიშვნელობას და მიგვითითებს მის ხასიათზე. იგი მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს და თვისებრივი მახასიათებელი ხდება (57), (88). ამგვარი შესიტყვებანი იდიომატური გამოთქმის ბადალნი არიან.

2.5.4. მრავლადაა სამეცნიერო ტექსტებში ორზე მეტკომპონენტიანი შესიტყვებები, რომელთაც ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვთ: უდიდესი საერთო გამყოფი, მიმდევრობითი გაყოფის ალგორითმი, გავის ძვალის გვერდითი ნაპირი, ტაბუხის ბუდის ფოსო, ძნელადხსნადი ნივთიერების ხსნადობის სიდიდე...

2.5.5. მხოლოდ სამეცნიერო სტილისთვისაა დამახასიათებელი სიმბოლოკომპონენტიანი შესიტყვებები: AB ტიპის ძნელადხსნადი მარილი, S₁-ის მოლოდინი S₂-ის მიმართ, F ფილაზე მოქმედი სიმ-

ძიმის ძალა, ლექსიკონის ადრეული CDE რედაქციები, n-განზომილებიანი ვექტორული სივრცე...

ამგვარი შესიტყვებანი, გამონაკლისის გარდა, არ არის მყარი იმ თვალსაზრისით, რომ სიმბოლური აღნიშვნა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს; მათი გამოყენება ვიწრო კონტექსტანაა დაკავშირებული. ამასთანავე, არსებობს საყოველთაო ფორმულები და მათი კომპონენტების მუდმივი აღნიშვნები, რომელთა პირობითობა უკვე შეზღუდულია, მაშინ როდესაც, სხვა შემთხვევაში სიმბოლოები ძალზე პირობითია და ამიტომ გაჭირდება, რომ მათი შემცველი ცალკეული შესიტყვებანი ტერმინოლოგიურად მივიჩნიოთ, თუმცა მოდელი ამგვარი სიტყვათშეხამებისა ამის საშუალებას იძლევა.

2.5.6. სამეცნიერო ენისათვის დამახასიათებელია იმგვარი მარტივი ფრაზეოლოგიური კავშირები — მყარი შესიტყვებები, სადაც ერთი წევრი, მეტწილად ზმნა, გახუნებულია ან მნიშვნელობისაგან დაკლილია, მაგრამ შესიტყვება მაინც შეიცნობა როგორც შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამი“ (10, 299—300). ასეთია შესიტყვებები, სადაც მონაწილეობენ შემდეგი ზმნები: წარმოებს: დალექვა, ეპითელიზაცია, ანალიზი, დაკვირება, გამოკვლევა, შესწავლა... წარმოადგენს: ფაქტორს, ცდას, ვექტორს, ბგერას, ზედაპირს, არსს... მოითხოვს: შესწავლას, დაკვირებას, ახსნას, დასაბუთებას, კვლევას... საჭიროებს: დამუშავებას, შევსებას, დაკვირებას, შეზღუდვას... ავლენს: თვისებას, მდგრადობას, სიხშირეს... განიცდის: ცვლილებას, ვეგეტაციას, რხევას..

აქვეა გავრცელებული კლიშე ისეთი ტიპისა, როგორიცაა: შედეგა... -გან, მდგომარეობს... -ში, გამოიყენება... -თვის-ში და სხვ.

მართალია, ასეთი ზმნების სემანტიკური ჩგუფი არამრავალრიცხოვანია, მაგრამ მათი ხმარება ხშირია სამეცნიერო მეტყველებაში და იმდენად ნიშანდობლივია, რომ სხვა ფუნქციურ სტილში გამოყენებისას ყოველთვის ახლავს ამ ზმნებს სამეცნიერო სტილის სპეციფიკური ელფერი.

2.5.7. სამეცნიერო ტერმინოლოგიური შესიტყვებების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საერთოენობრივ ბაზაზე შეიქმნა, ეტიმოლოგიურად მეტაფორებია, მაგრამ აღნიშნულ ტერმინოლო-

გიურ სისტემაში ისინი დემეტაფორიზაციას განიცდიან, ვინაიდან სამეცნიერო მეტყველების მოთხოვნაა აზრის ცხადი, უქვეტექსტო გამოხატვა.

სემანტიკურ ორაზროვნებას არ შეიცავს გამოთქმები: ბერლინის ლაევარდი, კურდღლის ტუჩი, მამლის ბიბილო, მგლის ხახა, ელექტროტრავმის „მარგალიტები“, მთვლემარე ინფექცია, სახნისის ფრთები, საკომუნიკაცო ბადე, აღზნების მოზაიკა და სხვ. მრავალი ასევე მხატვრულ შედარებად არ აღიქმება ნავისებრი ფოსო, ნუშისებრი ბირთვი, სხივისებრი გვირგვინი, ობობასნაირნი და სხვ.

ასევე არ ახლავს ესთეტიკური ინფორმაცია ფერის სახელთა მონაწილეობით შედგენილ ტერმინოლოგიურ შესიტყვეებებს: ოქროსფერი სტაფილოკოკი, თეთრი სტაფილოკოკი, წაბლისფერი პიგმენტაცია, შავი ფუფხი, წითელი ნალექი... ხსნარი: მოწითალო-ნარინჯისფერი, მომწვანო-თეთრი, მომწვანო-ყვითელი, მორუხო-წითელი, ნაცრისფერ-მომწვანო, რუხ-მოყვითალო, სისხლისფერ-წითელი. ღია ვარდისფერი, შავ-მორუხო... ნაყოფი: ფერფლისებრ-რუხი, პამიდორისებრ-ყვითელი, ლიმნისებრ-ყვითელი, მომიხაკისფრო-შავი, მოწითალო-ჟოლოსფერი, ქარვისფერი, მორუხო-მოყვარ-ცხლისფრო, მოთეთრო-კრემისფერი, მომწვანო-მოლურჯო...

ფერთა სახელები ამ შესიტყვეებებში მხატვრულ ეპითეტებად კი არ გვევლინებიან, არამედ ობიექტის დეტალური აღწერის საშუალებად. ტერმინთა და ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა სემანტიკაში თანდათან გაქრა მხატვრულ-ექსპრესიული მომენტები, რაც სამეცნიერო სტილის რიგორიზაციის ერთ-ერთი ნიშანია.

2.6. სიტყვა აწარმოება

2.6.1. ქართულ სამეცნიერო მეტყველებაში ლექსიკური სესხების გვერდით აქტიურად ხორციელდება სიტყვაწარმოების პროცესები. შეიმჩნევა ზოგიერთი აფიქსის (დერივაციული) გააქტიურება, ასევე, გარკვეული ძირების ფართო გამოყენება და სტილისტიკურად აქტუალური რთული ფუძეების თხზვა.

2.6.2. სამეცნიერო მეტყველების ზოგადი დახასიათებისას აღ-

ნიშნული იყო, რომ მისთვის ნიშანდობლივია განზოგადებულობისა და განყენებულობისაკენ მისწრაფება. ლექსიკაში ეს აბსტრაქტულ სახელთა წარმოებით გამოიხატება.

როგორც ცნობილია აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელების საწარმოებლად გამოიყენება სუფიქსები -ობა, -ება და პრეფიქს-სუფიქსი სი -ე. პირველი ორი სამეცნიერო მეტყველებაში ბევრად უფრო პროდუქტიულია, ვიდრე მესამე მაწარმოებელი.

თუ საერთოენობრივ ლექსიკაში -ობა განყენებულ ცნებათა სახელებს არსებით სახელთა და მოქმედებითი გვარის მიმღეობათაგან აწარმოებს, ხოლო -ება, -ობისგან განსხვავებით, -იერზე გათავებულ ზედსართავებს დაერთვის (13, 130—131), სამეცნიერო მეტყველებაში ორივე აღნიშნული სუფიქსი უმეტესად სხვადასხვა სუფიქსებით (-ურ(ულ), -ოვან, -იან, -ეღ, -იო, -ივ, -ად, -ებრ...) ნაწარმოებ სახელებს ერთვის:

-ურ-ობა: ლიკვიდურობა, ეპიზოდურობა, მეთოდურობა, იდეურობა, სტადიურობა, ილუზიურობა, ლაკონიურობა, ინტენსიურობა, ექსპანსიურობა, უტოპიურობა, კონდიციურობა, პოტენციურობა, ლოგიკურობა, დინამიკურობა, მექანიკურობა, სტატისტიკურობა, ელასტიკურობა, დიალექტიკურობა, სპეციფიკურობა, ირეალურობა, ლაბილურობა, პოტენციალურობა, ვერტიკალურობა, იმპულსურობა, პრობლემატურობა, იმანენტურობა, ობიექტურობა, ეფექტურობა, ინტენსიურობა...

-ულ-ობა: არქაულობა, პროდუქტიულობა, განპირობებულობა, კაპიტალმომარაგებულობა, თანდებულობა, გავრცელებულობა, დასენიანებულობა, განკერძობებულობა, განვითარებულობა, იზოლირებულობა, პერიოდულობა, მოხაზულობა, ჰარმონიულობა, კალორიულობა, პრიმიტიულობა, რიტორიკულობა, კრიტიკულობა, პრაგმატულობა, პრედიკატულობა, ჰერმეტულობა, პერმანენტულობა, ინდიფერენტულობა...

-იან-ობა: თანასწორუფლებიანობა, ერთხელისუფლებიანობა, კეთილთვისებიანობა, მკვაფიანობა, ტუტიანობა, მადნიანობა, ტენიანობა, ბრძოლისუნარიანობა, სიცოცხლისუნარიანობა. ფორიანობა, ორსქესიანობა, ეფექტიანობა, ნაყოფიანობა, შინაარსიანობა...

-იერ-ობა: ცნობიერობა, არაცნობიერობა, ჩქამიერობა, ნაყოფიერობა, თანაზომიერობა, სახიერობა...

-ოვ(ა)ნ-ობა: ორენოვნობა, გვაროვნობა, სრულფასოვნობა, ვალენტოვნობა, რიცხოვნობა...

-ელ-ობა: მცირედობა, მრჩობლედობა, ტოლქმედობა, ოთხკუთხედობა, ქვაკუთხედობა...

-ით-ობა: მოქმედებითობა, შეფარდებითობა, მემკვიდრეობითობა, კნინობითობა, პირობითობა, ქმედითობა, შეფარდებითობა, გონებითობა, შემეცნებითობა, შედარებითობა, განსაზღვრებითობა, თვისებითობა, არსებითობა, აღმატებითობა, მემკვიდრეობითობა, შთამომავლობითობა, მდებარეობითობა, მამრობითობა, თანამიმდევრობითობა...

-ად-ობა: აალებადობა, მონელებადობა, განვრცობადობა, აგზნებადობა, გაფართოებადობა, შეხორცებადობა, დნობადობა, გრძნობადობა, მყავადობა, წებვადობა, ტევადობა, შექცევადობა, უანგვადობა, ღუნვადობა, კუმშვადობა, ბრუნვადობა, წვადობა, კლებადობა, აირებადობა, შობადობა, წონადობა, შერაცხადობა, თანაბგერადობა, მდგრადობა...

-ივ-ობა: მულმივობა, შრეებრივობა, ნიშანდობლი(ვ)ობა, დანაშაულებრი(ვ)ობა, სივრცობრი(ვ)ობა, ჩანასახობრი(ვ)ობა..

-ება სუფიქსი უმეტესად უცხო სუფიქსთან ერთად გამოიყენება.

-იზ-ება: იდეალიზება, რეალიზება, ლაბიალიზება, ნორმალიზება, გაანალიზება, ნაციონალიზება, რაციონალიზება, ლოკალიზება, ნეიტრალიზება, პალატალიზება, პოლარიზება, პასტერიზება, კონკრეტიზება...

-ირ-ება: ინკუბირება, რეაგირება, ლეგირება, პროლონგირება, ირადირება, ლიკვიდირება, სუბსიდირება, სალდირება, ცენტროფუგირება, მოტივირება, ობიექტივირება, ფრაზირება, სინთეზირება, დოზირება, პრევალირება, ასიმილირება, სუფიქსირება, დესტილირება, მოდულირება, სტიმულირება, კომბინირება, კონსტატირება, უნიფიცირება, კლასიფიცირება, მოდიფიცირება...

-იზ-ირ-ება: ლაბიალიზირება, ინდივიდუალიზირება, პოლემიზირება, მონოპოლიზირება, ლათინიზირება, კოლონიზირება, მოდერნიზირება, იმუნიზირება, ნარკოტიზირება...

2.6.4. ქართული სამეცნიერო სტილის თავისებურებას წარმოადგენს -ად, -ივ, -ით მაწარმოებლების გააქტიურება. ამ სუფიქსებით ნაწარმოები სახელები სპეციფიკურ სტილურ ელფერს იძენენ: განსხივებადი, გამოსხივებადი, შვებადი, კაპიტალიზებადი, თვითანთებადი, ძიებადი, აალებადი, ფორმაცვალებადი, სახეცვალებადი, კრისტალებადი, მონელებადი, უღვლილებადი, კლებადი, აგზნებადი, შთაგონებადი, ბრუნებადი, კრებადი, თვისებადი, მატებადი, ფეტქებადი, შეხორცებადი, დნობადი, თავისთავადი, ჟანგვადი, ფრქვევადი, თანამთხვევადი, შექცევადი, უკუქცევადი, თხევადი, რხევადი, ფუძეკუმშვადი, პირველადი, თვლადი, დაშლადი, თანაზომადი, დეფორმადი, ქმნადი, ხსნადი, განსჯადი...

-ით: შეგუბებითი, მოქმედებითი, გაწილადებითი, ბრალდებითი, წოდებითი, შეფარდებითი, ანთებითი, მიმართებითი, მეტყველებითი, შენაცვლებითი, კუთვნილებითი, გამოყენებითი, შეგრძნებითი, შემეცნებითი, განსაზღვრებითი, არსებითი, ფარდობითი, ზნეობითი, მგრძობელობითი, მოცულობითი, რაგვარობითი, კვლევითი, ხმაბაძვითი, რიცხვითი, არეკვლითი, ბგერითი, ფერიითი, აღწერითი, უარყოფითი, შთანთქმითი...

-ივ: მუდმივი, სიგრძივი, გრძივი...

-ებრ(ებლ)-ივ: ღრუებრივი, კრისტალებრივი, შრეებრივი, ბურთებრივი, თეორიებრივი..

-ობრ-ივ: რიცხობრივი, ასაკობრ:ჟვი, საგნობრივი, ტექსტობრივი, მიზეზობრივი, ფაქტობრივი, ჩანასახობრივი...

2.6.5. სამეცნიერო მეტყველებაში შეინიშნება დღეისათვის არაპროდუქტიული ზოგიერთი სუფიქსის გამოცოცხლება.

როგორც ცნობილია, კნინობითის ფორმები არსებითად დაკარგა თანამედროვე ქართულმა (13, 122), მაგრამ პატარა საგნების აღსანიშნავად მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში კნინობითობის მაწარმოებელთა გაცოცხლების საჭიროება შეიქნა: აფურაკი, ლილვაკი, ბალთაკი, ბურთაკი, უღელაკი, ძელაკი, კბილაკი, მილაკი,

ფილაკი, ქილაკი, ღილაკი, ზამბარაკი, ღარაკი, ღერაკი, ნემსაკი, ბაგირაკი, წონაკი, ბუშტუკი, ბუშტულა, კბილანა...

ასევე ნაწილობრივ გამოცოცხლდა აფიქსი -ედ: განედი, სიგანედი, გრძედი, პწკარედი, წრედი, უჯრედი, კვერცხუჯრედი, კუთხედი, მრავალკუთხედი...

2.6.6. წარმომავლობის აღმნიშვნელი -ეულ სუფიქსი სამეცნიერო მეტყველებაში ორი ფუნქციით იხმარება: ა) როცა რაიმესაგან მომდინარეობას აღნიშნავს და ნათესაობითიან ფორმას ერთვის: დედნისეული, ღეროსეული, წიაღისეული... — ნათესაობითის გარეშე — მცენარეული (ზეთი)...

ბ) როცა იგი იფართოებს მოქმედების არეს და ერთგვაროვან საგნების კრებითობას გადმოგვცემს: ბამბეული (ბამბის სხვადასხვა ქსოვილი), ვერცხლეული (ვერცხლისგან გაკეთებული ნივთები), თესლეული (სხვადასხვა სახის თესლი), მადნეული (სხვადასხვა მადანი), ოთხეული (ოთხი ერთეულისგან შემდგარი), ცხიმიეული (სხვადასხვა ცხიმი), ხილეული (ბაღის კულტურები)...

უნდა აღინიშნოს, რომ -ეულ სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს უსუფიქსო სინონიმები აქვთ იმავე ფუძისა — ქანგეული — ქანგი, ცალეული — ცალი, წყვილეული — წყვილი, ცილეული — ცილა, მეოთხეული — მეოთხე... მაგრამ სამეცნიერო სტილი პირველ წევრებს ანიჭებს აშკარა უპირატესობას. როგორც ჩანს, აქ ვლინდება საყოფაცხოვრებო და სამეცნიერო ცნებების ლინგვისტური დიფერენციაციის ტენდენცია, რაც სამეცნიერო მეტყველებისათვის დამახასიათებელია: სამეცნიერო მეტყველებაში იხმარება საკუთრივი და არა — საკუთარი, ნათესარი და არა ნათესი, აზროვანი და არა აზრიანი, მგრძნობიერი და არა მგრძნობიარე, მკაფა და არა — სიმკაფა...

2.6.7. გარდა სუფიქსური სიტყვის მწარმოებელი მორფემებისა, სამეცნიერო მეტყველებაში გვხვდება უფრო სპეციფიკური, ძირისეული სიტყვის მწარმოებელი მორფემები, ისინი ფუნქციურად უახლოვდება ინტერნაციონალიზმებში წარმოდგენილ უცხოენოვან მორფემებს — სუბ-(სუბსტრატი), სუპერ-(სუპერფოსტატი), ჰიპერ-(ჰიპერემია), ჰიპო-(ჰიპოტონია), კო-(კოორდინატი), კონ-(კონგრუენტული)...

ზე-: ზეადამიანი, ზეარსი, ზებგერა, ზებომბი, ზებუნებრივი, ზეგაკვეთილი, ზეგრძნობადი, ზეპიროვნული...

ქვე-: ქვესისტემა, ქვეკლასი, ქვეეიანი, ქვესივრცე, ქვეცნობა-ერი, ქვესტილი...

თანა-: თანაბგერადობა, თანაგამყოფი, თანაგვირგვინი, თანაკვეთა, თანლაქვემდებარება, თანაზომადი, თანამრავლი, თანაფართობი, თანამარტივი, თანამთხვეუელი, თანამოცულობა, თანამოძრაობა, თანაფარდობა, თანადალაქვეც...

თანაბარ-: თანაბარზომიერი, თანაბარმარცვლოვანი, თანაბარმნიშვნელოვანი, თანაბარღირებულებიანი, თანაბარფასიანი...

ურთიერთ-: ურთიერთასიმილაცია, ურთიერთგავლენა, ურთიერთგანსაზღვრა, ურთიერთგაწონასწორება, ურთიერთდაპირისპირებული, ურთიერთკვეთა, ურთიერთმიზიდულობა, ურთიერთმიმართება, ურთიერთტოლფასი, ურთიერთქმედება, ურთიერთკონგრუენტული, ურთიერთცალსახა...

თვით-: თვითაალება, თვითაალებადი, თვითაგზნება, თვითამორთვა, თვითანთება, თვითგანათლება, თვითგანაყოფიერება, თვითგანტვირთვა, თვითდაკვირვება, თვითინდუქცია, თვითკმარი, თვითმდინარი, თვითმიზანი, თვითმყოფადი, თვითსადენი, თვითღირებულება, თვითშლადი, თვითჩასახვა, თვითწარმოქმნა, თვითწვადობა, თვითწრთობადი...

მრავალ-: მრავალბუდიანი, მრავალგვაროვანი, მრავალდარგიანი, მრავალდედნიანობა, მრავალთავი, მრავალთავთავიანი, მრავალკუთხა, მრავალკუთხედი, მრავალმარცვლოვანი, მრავალმოტორიანი, მრავალნაყოფიანი, მრავალნერვიანი, მრავალსაგნიანობა, მრავალტაროიანი, მრავალუჯრედიანი, მრავალფახიანი, მრავალწახანავა, მრავალწევრი, მრავალღიშიანი...

-შორისი: ჩოგთაშორისი, კაცთაშორისი, უჯრედშორისი, ნეკთაშორისი, მუხლთშორისი, პარკუჭთაშორისი...

-შუა: რიგთაშუა, ფალანგთაშუა, ლავიწთაშუა...

-ებრ(ნ): ფიჭვისებრნი, ვაზისებრნი, თუთისებრნი, კალიისებრნი, მიხაკისებრნი, თიარკმელისებრნი, ისლისებრნი, ტეგანისებრნი, დაფნისებრნი, ფარისებრნი, გოგრისებრნი, ფითრისებრნი, დანდურისებრნი, კოწახურისებრნი, ლაქაშისებრნი, ენდროსებრნი, ყაყაჩო-

სებრნი, ბაიასებრნი, მაგნოლიასებრნი, შავწამალასებრნი, მატუტე-
ლასებრნი, ფურისულასებრნი, ნაცარქათამასებრნი, დუმფარასებრნი,
ნემსიწვერასებრნი, მაჩიტასებრნი, ბალბისებრნი, შვინდისებრნი,
ვარდისებრნი...

-ნაირნი: გვიმრნაირნი, შვიტანაირნი, ფეტვნაირნი, ობობას-
ნაირნი, გვიმრისნაირნი...

-მცოდნე: ლიტერატურათმცოდნე, ნიადაგმცოდნე, ხელოვნე-
ბათმცოდნე, მუსიკათმცოდნე, მხარეთმცოდნე, ქართველთმცოდნე,
საქონელმცოდნე, თეატრმცოდნე, კავკასიისმცოდნე...

შედარებით იშვიათად გვხვდება უცხომორფემიანი წარმოება
შემდეგი ტიპისა: ელექტროსაღვური, ელექტროჩხვლეტა, ელექტ-
როგამბარი, მიკრობაზანა, ულტრაბგერა, სუპერვარსკვლავი... ამ-
გვარი სესხებანი ვერ არღვევს ქართულ სემანტიკურ სისტემას და
ვერც ეროვნულ სიტყვაწარმოებით ყალიბებს ემუქრება დარღ-
ვევით.

2.6.8. საკვლევი ობიექტის აღწერის სიზუსტის, მის არსში სულ
უფრო ღრმა წვდომისა და ამომწურავი ანალიზის მოთხოვნები
თხზულ სახელთა შექმნასა და სიხშირეს უწყობს ხელს სამეცნი-
ერო ენაში. ბევრჯერ სახელდახელოდ წარმოქმნილი კომპოზიტები
სპეციალურ ლექსიკაში დამკვიდრების შემდეგ საერთო-სალიტე-
რატურო ენაშიც გადადის.

შინაარსისა და ფორმის მიხედვით კომპოზიტები მრავალგვარია
სამეცნიერო ტექსტებში. დავასახელებთ ზოგიერთს:

ჟანგვა-აღდგენა, ფიზიკურ-ქიმიური, ელექტრონ-იონური, ფრთა-
რთულ-ბატისებრ-ძარღვიანი, ორსქესიან-გრძელმეტვრიანებიანი, წი-
ნაგულბარკუჭები, რენდგენოსტრუქტურული, კიდემთლიანი, ორ-
სახლიანი, შარდბუშტუკის მედიალური იოგი...

ამგვარი რთული სახელების მეშვეობით შესაძლებელი ხდება
ისეთ ნიშანთა დიფერენცირება, რაც, ჩვეულებრივ, ყოფით ურთი-
ერთობაში გამოცალკევებული არ არის. რამდენადაც მეცნიერება
შეუზღუდავად მიისწრაფვის სამყაროს, რაც შეიძლება, მეტი სი-
ზუსტით შეცნობისაკენ, ასეთი სახელების თხზვაც შეუზღუდავია.
თავისთავად თხზვა ეფექტური საშუალებაა, რადგან აზრის კონდენ-
საცია ენობრივ საშუალებათა ეკონომიური გზით ხდება, ამავე

დროს, წარმოქმნასთან შედარებით იგი ოპერატიულია, კომპოზიტებიც უფრო გამკვირვალე და სწრაფად აღსაქმელია. მეცნიერ-ავტორისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს გარკვეული მოდელების მიხედვით ახალ კომპოზიტთა კვლავწარმოება, ოღონდ მათს შედგენასა და ორთოგრაფიაზე ერთგვარი კონტროლის გაწევა, ალბათ, მაინცაა საჭირო, მეტყველების კულტურის თვალსაზრისით.

3. სამეცნიერო მატერიალების მორფოლოგიური ავიზუალური თავისებურებანი

3.1. სახელები

3.1.1. სტილის დახასიათებისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეტყველების ნაწილთა განაწილებას. ქართულ სამეცნიერო სტილში გამოყენების მიხედვით პირველ ადგილზე არსებითი სახელი, იგი ყველა სიტყვახმარების 39%-ს შეადგენს, რაც მხატვრული მეტყველების მაჩვენებელს (30,6%) აღემატება. ეს მოვლენა ფუნქციურადაა პირობადებული. არსებით სახელთა უმეტესი ნაწილი სამეცნიერო მეტყველებაში ლექსიკურად ზმნას შეესაბამება (შემასმენლის სახელადი ნაწილია), მაგრამ ეს სახელები უფრო განზოგადებულ-განყენებული მნიშვნელობისაა, ვიდრე შესაბამისი ზმნები; სახელთა რაოდენობა იზრდება ზედსართავებისა და მიმღობათა ხარჯზეც, რომლებიც თვისებას გამოხატავენ. აქაც საქმე აბსტრაქციას ეხება — თვისება ზოგადდება და განყენებული ხდება სპეციფიკური მაწარმოებლების საშუალებით (იხ. 2. 6. 2—3.).

ამგვარად, სამეცნიერო მეტყველებას გამოკვეთილად სუბსტანტიური ხასიათი აქვს. არსებითი სახელი საშუალოდ სამჯერ მეტია ვიდრე ზმნა. ამგვარი თანაფარდობა ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამეცნიერო ტექსტებში უმთვარესია მოვლენის, თვისების აღნიშვნა და აღწერა და არა მოქმედების გადმოცემა, რომელიც ზმნათა გამოყენებას მოითხოვს. ამიტომ სამეცნიერო სტილი ამ თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება მხატვრული მეტყველებისაგან.

არსებით სახელთა სიჭარბე აღნიშნულ სტილში მაას ლექსი-

კურ მრავალფეროვნებას არ გულისხმობს¹. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ლექსიკური შედგენილობის თვალსაზრისით სისტემა აქ ჩაკეტილია, სხვადასხვა სიტყვათა გამოყენება გარკვეულად შეზღუდულია, ამასთანავე სინონიმური შენაცვლებანი ნაკლებ სასურველია. ამიტომ ტექსტის სიგრძე (ლექსიკის მოცულობა) იზრდება არა განსხვავებული ლექსიკური ერთეულების გამოყენებით, არამედ ერთი და იმავე სიტყვების მრავალგზისი გამეორების ხარჯზე, რაც, მაგალიად. მხატვრული და პუბლიცისტური მეტყველებისათვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სტილისტიკური ხარვეზი იქნებოდა.

3.1.2. წარმოქმნილ არსებით სახელთაგან, ხმარების სიხშირის თვალსაზრისით, უპირატესობა აბსტრაქტულ სახელებს ენიჭება, რაც იმ ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელია, რომელიც ასე შეიძლება გამოიხატოს: „სამეცნიერო ენა ემთხვევა ცნებით-ლოგიკურ ენას, ცნებითი ენა კი უფრო აბსტრაქტულად გვევლინება“ (24, 144).

3.1.3. არსებით სახელთა რიცხვის კატეგორია ქართულ სამეცნიერო მეტყველებაში გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მხოლოდობითი რიცხვის ხმარება ჩვეულებრივ არა იმ შემთხვევაში, როცა იგი ერთ საგანზე მიუთითებს, არამედ, როცა საგანთა ერთობლიობა, განუყოფელობა, ჭგუფობრიობა იგულისხმება და ეს მოვლენა ვრცელდება არა ზოგიერთ სიტყვაზე, არამედ უგამონაკლისოდ².

სამეცნიერო მეტყველებაში მხოლოდობითი რიცხვის ფორმა არა ერთეულ საგანზე მიითითებით გამოიყენება:

ა) როცა გამოიხატება საგანთა მთელი კლასი ამ საგანთა დამახასიათებელი თვისების აღნიშვნით — „ფეიხოა მარადმწვანე ტან-მორჩილი სუბტროპიკული ხეხილია“; „მგელი მტაცებელი ცხოვე-

¹ შდრ. (32, 243), სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიზუსტემ მონოტონურობა არ უნდა გამოიწვიოს და რომ სამეცნიერო სტილისათვის აუცილებელია ლექსიკის მრავალგვარობა, სინონიმთა გამოყენება.

² შდრ. (13, 38).

მეტყველების ნაწილები	სტილები %-ობრივ		
	მხატვრული	პუბლიცისტური	საჟურნალური
1. არსებითი სახელი	30,6	37,7	39
2. ზედსართავი სახელი	7,4	12,8	13,7
3. ზმნა	20,9	13,1	11,9
4. მიმღობა	3,7	4,3	4,8
5. მასდარი	2,6	4	3,7
6. ზმნიზედა	7,6	6,3	5,3
7. ნაცვალსახელი	9,1	7,4	7,8
8. რიცხვითი სახელი	1,4	2	2,8
9. კავშირი	9,2	9,2	6,1
10. ნაწილაკი	6,6	2,8	2,6
11. თანდებული (ცალკემდგომი)	0,9	0,4	2,3

ლია ძალისებრთა ოჯახისა“; „აფიქსი ცვალებადი სიტყვის ნაწილია“; „მოლექულური მასა ნახშირბადერთეულებით გამოსახული მოლექულის მასაა“.

¹ ცხრილთა განმარტება იხ., გვ. 236—248.

2) როცა არსებითი სახელის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა, რომელსაც კონკრეტული მნიშვნელობა აქვს, იხმარება კრებითობისა და განზოგადებისთვის — „მკითხველს საშუალება ეძლევა, წამოყენებული დებულების დასაბუთების პროცესს თვალყური მიადევნოს“; „მეცნიერს ვერვინ წაართმევს იმას, რაც მას მეცნიერულად ფასეული გაუკეთებია“; აფხაზთა მეფეს ეხლა ქართლს გარდა ჰერეთშიც ჰქონდა ფეხი შედგმული“; „ტფილისისა და ქართლას ამირას მეფე ნიშნავდა“; „კოლუმბიელი მუშა ძალზე დაბალ ხელფასს იღებს“; „მწვავე ჩირქოვანი ოსტეომიელიტის დროს ავადმყოფი მეტად ფერმკრთალია“; „საქართველოს მდინარეებში გვხვდება კალმახი, ორაგული...“

3) როცა მხოლოდობითი რიცხვის ფორმა მიუთითებს ობიექტს, რომელიც განეკუთვნება რაღაც ერთი ნიშნით გაერთიანებულ ყველა პირს ან საგანს ცალ-ცალკე: „საქართველოსა და აზერბაიჯანში ტყეებში გვხვდება ნამდვილი წაბლის ხეები მსხვილი და წვრილი ნაყოფით“; „ავადმყოფებს სისტემატურად უნდა ამოერეცხოს კუჭი“; „უნდა დახასიათდეს ამ ნაწარმოებთა ფორმა და შინაარსი“.

როგორც ცნობილია, არსებით სახელთა ისეთ ჯგუფებს, როგორცაა აბსტრაქტული და ნივთიერებათა სახელები, მრავლობითის ფორმები არ ეწარმოება¹. ქართულ სამეცნიერო მეტყველებაში ა) ზოგიერთი განყენებული არსებითი სახელი იხმარება მრავლობით რიცხვში, თუ იგი კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს: საქონლის სიკვდილიანობათა შემთხვევები, შემკვიდრეობითობანი, ალიტერაციული თანაბგერადობანი, თვისებრიობათა გამოვლენა, კანონზომიერებათა დადგენა, სიმალღეთა დაპყრობა, სიღრმეთა წვდომა, ღრმა დამწვრობანი, ადეკვატური ქმნალობანი, მრავალნაირობები, სიდიდეები, სიგრძეები, სიჭარბენი და სხე;

ბ) ნივთიერებათა არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში იხმარება, თუ ისინი ნივთიერების რამდენიმე სხვადასხვა სახეობას აღნიშნავენ:

¹ (13. 79): „აბსტრაქტული სახელები მრავლობითის ფორმით მხოლოდ პოეზიისა და სამეცნიერო ენის კუთვნილებაა“.

„პილოარომატულ ნახშირწყალბადების მიღებას საკმაოდ თეორიული ინტერესი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს“.

„სხვადასხვა თიხების განმასხვავებელი თვისებები დამოკიდებულია ამ თიხებში შემავალი მინერალების კრისტალური მეცერის აგებულებაზე“;

„საბადოს გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებს ტურონული ნალექები“;

ამავე მაგალითებს განეკუთვნება: მარილების დაგროვება, ნავთობთა ფრაქციები, ზეთები, მინერალური წყლები და სხვა.

გ) მრავლობით რიცხვში გვხვდება ისეთი სახელებიც, რომელთაც ეს რიცხვი არ უნდა ჰქონდეთ მათი ერთეულობისა ან კრებობის გამო:.

„კუროშის თეორემა აღგებრათა არასოციალური თავისუფალი ჯამის ქვეალგებრათა შესახებ...“

„ქვედა მეოთხეულის ნალექებში გვხვდება ნამარბი ნიადაგური ჰორიზონტების სახით“;

„ცივის წყების კონგლომერატებში გვხვდება... ქედებიდან ჩამოტანილი მასალა“;

რიცხვის კატეგორიის ამგვარი შესუსტება სამეცნიერო მეტყველებაში უნდა აიხსნას შემდეგით: რაც უფრო ღრმად აღწევს მეცნიერება ბუნების კანონებში, მით უფრო დახვეწილად წარმოჩნდება ნივთიერებათა სახეებისა და თვისებების დიფერენციაცია. თუ არასპეციალისტი ენის მფლობელისათვის ნახშირწყალბადი ერთი ცნებაა, ქიმიკოსმა იცის სხვადასხვა ნახშირწყალბადები. გარდა ამისა, მეცნიერული შეშეცნების გარკვეულ საფეხურზე ჩნდება იმგვარი ცნებები, რომლებიც განვითარების წინა საფეხურზე არ არსებობდა, ამდენად, მათი შესაბამისი ტერმინების მრავლობითი ფორმები (აღგებრები, სტილები...) საერთო-სალიტერატურო ენაში ჯერ არ შესულა, ან ეს-ესაა ფეხს იკიდებს.

3.1.3. ზედსართავ სახელთა გამოყენების მიხედვით სამეცნიერო სტილის სტატისტიკური მაჩვენებელი (იხ. ცხ. № 1) თითქმის ორჯერ აღემატება მხატვრულისას, რაც, ერთი მხრივ, უნდა აიხსნას მათი აქტიური მონაწილეობით ტერმინოლოგიურ შესიტყვეებებში (რთული წინადადება, ნეიტრალური წყალხსნარი, სამეფო ხელი-

სუფლება, ქირურგიული ოპერაცია, გამძლე ჯიშის, განივი იოგა...), მეორე მხრივ, ობიექტის, მოვლენის დახასიათების სიზუსტით იმ დარგებში, სადაც აღწერას ფართოდ მიმართავენ. მაგ., „ფოტო-ლები სქელია ტყავისებრი, პრიალა, მუქი მწვანე“, „წარმოიქმნა შავი ფერის ამორფული, მინერალურ მკვებებში ხსნადი ნალექი“, „კორძიანი სხეულის ბორცვის ქვეშ მხედველობის ბორცვის უკანა ზემო ნაპირთან და სისხლძარღვოვანი სარქველის ქვეშ მდებარეობს ჭალღუზისებრი სხეული“. სამეცნიერო ტექსტებში ზედსართავი სახელების უდიდესი ნაწილი აზუსტებს ცნების შინაარსს მის სხვადასხვა ნიშნებზე მითითებით, რითაც ისინი ტერმინოლოგიურ ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად, ფერთა სახელები მემცენარეობაში, მინერალოგიასა და ქიმიკაში განასხვავებენ ძირითადი ფერების მრავალ ელფერს (იხ. 2.5.7).

ზედსართავთაგან ბევრად უფრო ხშირია მიმართებითები. აღწერილი, დამახასიათებლური თხრობისას ზოგჯერ გამოიყენება ვითარებითი ზედსართავი სახელების ოდენობითი ფორმები. „რბილელი დია მორუხო-ყვითელია, ნაზი, სასიამოვნო მომუშავე-მოტკბო გემოსი“... მომრგვალო სხეული, მომხსო ძვალი, მომცრო ნაყოფი... გვხვდება მათი სინონიმური აღწერითა ფორმებიც — ოდნავ მწარე, ოდნავ ტკბილი, ოდნავ მსხვილი...

სამეცნიერო მეტყველებაში, ჩვეულებრივ, გამოიყენება შედარების ხარისხების რთული ფორმები სიტყვების — უფრო, მეტად, ნაკლებ, ყველაზე — მონაწილეობით (უფრო ზუსტი, მეტად უხვი, ნაკლებ ეფექტური, ყველაზე ხშირი).

აქვე უნდა აღინიშნოს მიმართებით ზედსართავთა და გენტივიან სახელთა სინონიმია. გვხვდება: მოვლენა — ბუნებისეული, ბუნების; მონაცემი — ცდისეული, ცდის; დებულება — მარქსისეული, მარქსის; ეპითელი — ნაწლავური, ნაწლავის; კუნძულები — პანკრეატული, პანკრეასის; ხაზი — არტიკულაციური, არტიკულაციის; ქვეჯგუფი — სულფიდური, სულფიდთა; კლასი — პალოგენური, პალოგენთა; რეაქცია — აღდგენითი, აღდგენის; სისტემა — მრავალწევრული, მრავალწევრთა; კანონი — დისტრიბუციული, დისტრიბუციის; მასა — ატომური, ატომის; აირი — გოგირდოვანი, გოგირდის...

ამ წყვილებში სამეცნიერო მეტყველება უპირატესობას გენეტივიან სახელებს ანიჭებს, რადგან ამ შემთხვევაში კუთვნილებით მიმართებას ისინი უკეთ, „სუფთად“ გამოხატავენ, ვიდრე მათი სინონიმური ზედსართავეები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სხვა სემანტიკურ კომპონენტებსაც შეიცავენ, რაც ვნებს გადმოცემის სიზუსტეს.

3.1.4. ნაცვალსახელთა მიმართ უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო სტილში ხმარების მაღალი სიხშირით ხასიათდება ჩვენებითი და მიმართებითი ნაცვალსახელები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება დამაკავშირებელ საშუალებად.

რაც შეეხება პირის ნაცვალსახელებს, ყველაზე ხშირად მესამე პირისა გამოიყენება, რაც ბუნებრივია.

მეორე პირის ნაცვალსახელი შენ: თქვენ სამეცნიერო ტექსტებში, ჩვეულებრივ, არ გვხვდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორი თავის „თანამოსაუბრეს“ — ადრესატს — უგულებელყოფდეს თხრობისას, არ მიმართავდეს მას. საამისოდ სამეცნიერო მეტყველებაში გამოიყენება სიტყვა „მკითხველი“ (მკითხველს აღვილად შეუძლია შეამოწმოს, როგორც მკითხველი დარწმუნდება, თუ მკითხველი შეადარებს...), გარდა ამისა, ინკლუზიური „ჩვენ“, რომელიც სამეცნიერო ნაშრომებში იხმარება, აღნიშნულ ფუნქციასაც ასრულებს, რაზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

როგორც ცნობილია, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის „ჩვენ“ სიტყვის გაგება შეიძლება ორგვარი იყოს — ინკლუზიური და ექსკლუზიური¹. ამ ორსავე მნიშვნელობასთან ერთად სამეცნიერო სტილში გამოიყენება და გამოიყენება უფრო ხშირად მესამე — „ავტორისეული ჩვენ“, რომელიც სავსებით ემთხვევა პირველი პირის მხოლოდობითი რიცხვის გაგებას და შეიძლება ამ პირის „მე“ ნაცვალსახელითაც ჩანაცვლებულიყო, მაგრამ აღნიშნული სტილისათვის დამახასიათებელი თხრობის ობიექტურობა (უსუბიექტობა) და ეტიკეტიც (მოკრძალებულობა, თავმდაბლობა) განაპირობებს „ჩვენ“ ნაცვალსახელის აბსოლუტურ დომინანტობას.

¹ (13, გვ. 41).

ამგვარად, სამეცნიერო სტილში „ჩვენ“ გვხვდება შემდეგი გაგებით:

ა) ინკლუზიური „ჩვენ“, რომელიც ავტორსა და ადრესატს (ადრესატებს) აღნიშნავს ერთდროულად. ავტორის განზრახვა აიყოლიოს მკითხველი, ჩართოს თანამიმდევრული მტკიცების პროცესში, თავისი აზროვნების თანამონაწილე გახადოს, განსაზღვრავს ინკლუზიური ნაცვალსახელის გამოყენების საჭიროებას:

„ჩვენ მივიღებთ $a_1, a_2, \dots, a_n = r$ ვექტორთა სისტემას, რომელიც განტოლებათა სისტემის ამონახსენთა ფუნდამენტალური სისტემაა;“

„... თუ სიტუირი ეფექტის მნიშვნელობას ჩვენ გადავიტანთ ახალი განტოლების მარჯვენა მხარეს შებრუნებული ნიშნით, მივიღებთ გამოსახულებას“...

„ჩვენ საშუალება გვქონდა დაგვენახა, რომ არ არსებობს შინაგანი კავშირი მათს ძირითად თეორიულ დებულებებსა და საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკას შორის“.

ბ) ექსკლუზიური „ჩვენ“ სამეცნიერო მეტყველებებში, ჩვეულებრივ, იმ შრომებში გამოიყენება, რომლებიც კოლექტიური ავტორობითაა შექმნილი, იგი ავტორთა ჯგუფის ნაცვალ სახელია, სხვა დამატებითი ფუნქცია მას არ აკისრია.

გ) „ავტორისეული ჩვენ“ გვაქვს შემდეგ ნიმუშებში:

„ჩვენ ამ აზრს ვიცავდით და ვიცავთ, რომ ნ. მარის პალეონტოლოგია და რაც მასზეა დაფუძნებული, მეცნიერების ფარგლებს გარეთ რჩება“;

„წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვეცადეთ მიუყერძობებლად წარმოგვედგინა იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენისა და სტილის ანალიზი“;

„ზემოთ ჩვენ შევეხეთ სტრუქტურის ცნების გამოყენებას“...

„ჩვენ ვაკვირდებოდით მაიმუნის ქცევას“.

დ) „ჩვენ“ ნაცვალსახელი ზოგჯერ განსხვავებული სემანტიკური კომპონენტების შემცველია. მაგ., ინკლუზიური „ჩვენ“ შეიძლება გამოყენებული იყოს მკითხველზე (და არა ავტორსა და მკითხველზე ერთად), მის აზრობრივ მოქმედებაზე მისათითებლად:

„ჩვენ ვხედავთ, რომ სისტემის ამგვარი გამარტივება არ ეწინააღმდეგება... მოთხოვნებს“, ამგვარ მაგალითებში აღნიშნული ნაცვალსახელი ადვილად შეიძლება ჩაინაცვლოს მეორე პირის ნაცვალსახელით — თქვენ ხედავთ... პირის ასეთი ჩანაცვლება იგულისხმება მაშინ, როცა ზმნა ბრძანებითის ფორმით (რა თქმა უნდა, უნაცვალსახელოდ) იხმარება: „შევადგინოთ ოზონის უანგბადად გარდაქმნის თერმოქიმიური განტოლება...“ „C ნიშანს თავზე დავაწეროთ ამოცანაში მოცემული რიცხვი...“ „გადავთვალოთ რიგით ყოველი მეოთხე წვერი...“

ყველა ზემომოყვანილ ნიმუშში გაგება „ჩვენ“ ნაცვალსახელისა, რომელსაც გულისხმობს ზმნის პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები, უახლოვდება მეორე პირის გაგებას¹.

ე) „ჩვენ“ ნაცვალსახელის გამოყენებით მიიღწევა განზოგადებულ-სუბიექტიანი, გაუპიროვნებელი გადმოცემა:

„თუ ჩვენ გვაქვს ნივთიერების მარაგი, რომელიც რეაგირებს სითბოს გამოყოფით, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ხელთაა ენერგიის განსაზღვრული მარაგი“ (მდრ.: ნივთიერების მარაგი, რომელიც რეაგირებს სითბოს გამოყოფით, განსაზღვრული მარაგია); „დავუშვათ ჩვენ გვაქვს X-ის ისეთი მნიშვნელობა...“ (მდრ. დავუშვათ არსებობს X-ის ისეთი მნიშვნელობა...).

როგორც ვხედავთ, „ჩვენ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობები სამეცნიერო მეტყველებაში ინფორმაციის ობიექტური ფორმით გადმოცემას ემსახურება: განსჯა-მტკიცებათა სისტემა ავტორისა და მკითხველის ერთობლაკი მონაწილეობით იშლება თითქოს და აღრესატსაც აქტიური როლი ეძლევა; პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ხმარება მსოლოობითის ფორმის „მეს“ ნაცვალად ერთგვარად „ჩრდილში აყენებს“ ავტორს, თითქოს

¹ სასაუბრო მეტყველებაში „ჩვენ“ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „შენ“ და „თქვენ“ ნაცვალსახელების გაგებით იმ შემთხვევაში, როცა მეტყველი მოსაუბრისადმი თანაგრძნობას გამოხატავს, მასთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს: რა გვაწუხებს? რა გვინდა? რა ვეტკივა? რატომ დავდივართ თავნიშნულს? ასეთი რამ დამახასიათებელია ექიმთა მეტყველებისათვის („Личностное МН“) და ბავშვებთან ურთიერთობისას. თვით ნაცვალსახელი უმეტესად მხოლოდ იგულისხმება.

ამცირებს მის აქტიურობას, რაც სუბიექტურობის, გაპიროვნებულობის ელემენტს აბათილებს. ამას ხელს უწყობს შესაბამისი ზმნის ფორმის უნაცვალსახელოდ გამოყენება, რაც ჩვეულებრივია ქართულ სამეცნიერო ენაში.

„ჩვენ“ ნაცვალსახელი პასიურ კონსტრუქციებში თანდებულთ იხმარება: „ჩვენ მიერ დადგენილია...“ „ჩვენ მიერ გამოკვლეულია...“ „ჩვენ მიერაა შესწავლილი...“ და სხვ. უფრო ხშირ შემთხვევაში კი გვხვდება კონსტრუქციის უთანდებულო გაფორმება, რაც, აგრეთვე, თსრობის განზოგადებულ-განყენებული სტილითაა ნაკარნახევი:

„მოძღვრ ნიმუშებზე შესწავლილია ხელშემშლელ ელემენტთა კალენტური მდგომარეობის გავლენა...“ „შენუშავებულია ზემოაღნიშნული გავლენით გამოჩვეული ცდომილებების გათვალისწინების ხერხი“; „განხორციელებულია ამინობირიდონის ნატრიუმის მარალის სინთეზი“; „ექსპერიმენტულად მიღებულია მონაცემები...“ „შრომაში მოყვანილია სხვადასხვა რეაქციებისათვის შესაბამისი მაგალითები“; „გამოვლენილია ზოგი კანონზომიერება“; „დასაბუთებულია ძირითადი დებულება“; „წარმოდგენილია გაანალიზებული მასალა“.

3.1.5. გარკვეულ თავისებურებას ავლენს ქართული სამეცნიერო სტილი ბრუნვის ფორმათა განაწილების მხრივ.

სამეცნიერო და მხატვრული ტექსტების სტატისტიკური დაკვრეების შედეგად მიღებული მონაცემების შედარებისას ყველაზე მეტად თვალში საცემია ნათესაობითი ბრუნვის მაღალი სისშირე, სამეცნიერო სტილში, იგი ორჯერ აღემატება მხატვრული სტილის შესაბამის მაჩვენებელს (პუბლიცისტურის შესახებ იხ. ნაშრომის შესაბამის თავში). საქმე ისაა, რომ ნათესაობითისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, მიმართების, ხოლო, მეორე მხრივ, ობიექტის (უბრალო ობიექტის) მნიშვნელობის გადმოცემა, რაც სამეცნიერო ნაშრომთა შინაარსს უპასუხებს. ნათესაობითის ეს თავისებურება ტექსტებში რეალიზებულია სუბსტანტიურ-სახელზმნური მსაზღვრელიანი შესიტყვებებით, რომელთა ხვედრითი წონა დიდია სამეცნიერო მეტყველებაში, რადგან ისინი ფართოდ გამოხატავენ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს.

ბრუნეები	სტილები %-ობრივ		
	მხატვრული	პუბლიცისტური	სამეცნიერო
1. სახელოებითი	41	22	34
2. მოთხრობითი	4	4	1
3. მიცემითი	28	19	21
4. ნათესაობითი	14	47	29
5. მოქმედებითი	5	4	9
6. ვითარებითი	6	3	6
7. წოდებითი	2	1	—

გენეტიურ მსაზღვრელ-საზღვრულთა ფუნქციური დატვირთვა ურთიერთობის აღნიშნულ სფეროში ამ ტიპის შესიტყვების სხვადასხვა სახეობებზე ნაწილდება. შესიტყვების კომპონენტებად შეიძლება იყოს: არსებითი სახელი, მასდარი და მიმღობა, მათი დაჯგუფებით მიღებულ მოდელთა ვარიანტები შემდეგია:

არსებითი სახელი+არსებითი სახელი: კობალტის სულფიდი, ენის თავისებურება, ინდექსის ნიშანი, ანალიზის პრაქტიკა, ენის სოციალურობა, ხურმის ჭიში, დეტერმინანტის სტრიქონი, სოფლის მეურნეობა, მავთულის სპირალი, დენის ძალა, ქსოვილის ფერი...

არსებითი სახელი+მასდარი: სამყაროს შემეცნება, ენის გამოკლევა, სასწორის დაყენება, გასტრიტის მკურნალობა, სამეფოს ნგრევა, მრავალწევრის ამოხსნა, ფესვის ამოღება, ქსოვილის დაშლა, უჯრედის კვდომა, საკითხის დასმა, გენეზისის გარკვევა, სისხლის მიმოქცევა...

არსებითი სახელი + მიმღობა: მარილის გამხსნელი, დობანდის სახვევა, ანთების შაჩვენებელი, თალის შემკვერელი, შტატივის მომქერი, ჟანგბადის მიმწოდებელი, დენის მიმღები, გაზის გამწმენდი, სისხლის მიმცემი, ლაფანის მკამელი, სინამდვილის აღმქმელი...

მასღარი + არსებითი სახელი: წარმოშობის ისტორია, გალიზიანების შედეგი, ზრდის კოეფიციენტი, რხევის სიხშირე, გადაბრის კუთხე, განვითარების საფეხური, ვარდნის სიჩქარე, დუღილის ტემპერატურა, დაღეპვის ინტენსივობა, გამოსხივების რეაქცია...

მასღარი + მასღარი: დაკვირვების გაღრმავება, ლობის დაწყება, მოძრაობის აღძვრა, ცვლის დაჩქარება, ზრდის შეწყვეტა, ყვავილობის გადაწვება, შეფერვის გამოვლენა, მონაცვლეობის დადგენა, სისხლდენის შეჩერება, ხედვის გამრუდება...

მასღარი + მიმღობა + არსებითი სახელი (სახელწმინდა): წარმოშობის ამხსნელი ფაქტი, მოქმედების დამაჩქარებელი საშუალება, მეტყველების შემსწავლელი დარგი...

მიმღობა + მასღარი: საყრდენის მოპოვება, ამაღლებულის წვდომა, სადინარების დახშვა, მცველების დნობა, შეთვისებულის გაცნობიერება, აღქმულის გაანალიზება, დაწერილის გადაწერა, ნარჩენის შემოწმება, დანალექის აფხეკა, მერყევის გადაბირება, მოკვდავის მისწრაფება, მოზარდის აღზრდა!...

მიცემითი ფორმების სიმცირე მხატვრული ტექსტის მაჩვენებელთან შედარებით, ზმნათა გარკვეული ფორმების გამოყენების თავისებურებით უნდა აიხსნას სამეცნიერო მეტყველებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიცემითის ფორმების თითქმის 40%, როგორც თანდებულდართული, ზმნის ფორმასთან დაკავშირებული არ არის.

მოქმედებითი გვარის ზმნათა გამოყენების გარკვეული შეზღუდულობა, ამასთანავე, წარსული დროის ფორმებთან აწმყოს

1 მესამე მოდელში მიმღობა გასუბსტანტივებულია, ხოლო მეექვსეში ან გასუბსტანტივებულია ან უშეტესად უფრო მეტკომპონენტთან ქაქვშია ჩართული, ასევეა მეშვიდე მოდელშიც.

ფორმების დიდი რაოდენობრივი უპირატესობა განსაზღვრავს მოთხოვნითი ბრუნვის დაბალ სიხშირულ მაჩვენებელს სამეცნიერო შრომებში.

მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციით (ინსტრუმენტალისი) განისაზღვრება მისი სიხშირე სამეცნიერო ენაში, ასევე წოდებითის ფუნქცია იმის მიზეზი, რომ სამეცნიერო ტექსტებში იგი, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება.

0.2. ზ მ ნ ა

3.2.1. ზმნა სამეცნიერო მეტყველებაში იშვიათად გამოხატავს კონკრეტული პირის კონკრეტულ მოქმედებას. ზმნის პირებთან დაკავშირებულ სხვა თავისებურებებთან (3.1.4.) ერთად, მეტყველების აღნიშნული სტილი შემდეგითაც ხასიათდება: ზოგადი და განყენებული სუბიექტის მოქმედება გადმოცემულია ზმნის მესამე პირის ნრავლობითი რიცხვის ფორმებით:

„სათანადოდ დაეცილ ფილტრს მოათავსებენ ძაბრში ისე, რომ ფილტრის ქაღალდი მჭიდროდ ეხებოდეს ძაბრის კედელს. ფილტრს შეაფხებენ გამოხდილი წყლით... ფილტრს მიაკრავენ ძაბრის კედლებს. ძაბრს ათავსებენ შტატივის რგოლში... იწყებენ დეკანტაციას... ოპერაციას ატარებენ მინის წკირის საშუალებით...“ „ჩამრეცხიდან სითხის ეიწრო ნაკადით ჩამორეცხავენ ჭიქის გვერდებზე ნიკრობილ ნალექის ნაწილაკებს, აამღვრევენ ნალექს, წკირით მოურევენ და დააყოვნებენ... სითხეს კვლავ გადაიტანენ ძაბრში. ამ ოპერაციას გაიმეორებენ რამდენჯერმე. დაბოლოს ნალექს მთლიანად გადაიტანენ ფილტრზე“.

„ლითონის ფირფიტაში ატარებენ ელექტრო მუხტის მქონე დიდი სიჩქარით მოძრავ ძალიან მცირე (ატომის ზომის რიგის) ნაწილაკებს. იმის მიხედვით, თუ როგორ გაიქროლებენ ეს ნაწილაკი „ყუმბარები“ ლითონის ატომებს შორის, იგებენ, არის თუ არა ატომში სხვა დამუხტული ნაწილაკები. იმ დროისათვის, როცა ეს ცდები ჩაატარეს, მეცნიერთა განკარგულებაში უკვე იყო ასეთი ყუმბარები“.

„მხარის სახსრის ამოვარდნილობის შემთხვევაში, როდესაც კიდურს დიდხანს მნიშვნელოვანი ძალით ჭიმავენ, და დიდ ტრავმას აყენებენ, სასახსრე პარკი და იოგები დუნდება... კიდურს მაქსიმალურად მოხრიან მუხლის სახსარში და ამ მდგომარეობაში აფიქსირებენ...“ „თაბაშირის ნახვევის დადებისთანავე სრული პრეპოზიციის სინამდვილე რენდგენოლოგიურად უნდა დაადგინონ. თუ ძელის ფრაგმენტები და სასახსრე ზედაპირები კარგად არ დადგა, ნახვევს მოხსნაან, განმეორებით რეპოზიციას და ისევ თაბაშირის ნახვევს გააკეთებენ“.

ზემომოყვანილ წინადადებებში ზმნები გარდამავალია, მოქმედებითი გეარისა, ამიტომ მათი შინაარსი უფრო განსაზღვრული, კონკრეტულია, მაგრამ განზოგადებულ მნიშვნელობას ზმნას ანიჭებს მრავლობითი რიცხვის ფორმა მესამე პირისა. ამგვარი ფორმები ზოგადი მნიშვნელობით შესაბამისი გარღვეული ზმნების ადეკვატურია. წარმოდგენილ ტექსტებში ზმნათა ფორმების შემდეგნაირი ტრანსფორმაცია ბუნებრივია სამეცნიერო მეტყველებისათვის:

სათანადოდ დაკეცილი ფილტრი თავსდება ძაბრში ისე, რომ ფილტრის ქალღალი მჭიდროდ ეხებოდეს ძაბრის კედელს. ფილტრი შეივსება გამობდილი წყლით... ფილტრი მიეკვრება ძაბრის კედლებს... ძაბრი თავსდება შტატივის რგოლში, იწეება დეკანტაცია... ოპერაცია ტარდება მინის წყირის საშუალებით. ჩამრეცხიდან სითბის ვიწრო ნაკადით ჩამოირეცხება ჭიქის კედლებზე მიკრობილი ნალექის ნაწილაკები... ეს ოპერაცია მეორდება რამდენჯერმე.

ლითონის ფირფიტაში ტარდება ელექტრული მუხტის მქონე დიდი სიჩქარით მოძრავი ძალიან მცირე ნაწილაკები. იმის მიხედვით, თუ როგორ გაიქროლებენ ის ნაწილაკი „ყუპბარკები“ ლითონის ატომებს შორის, გაიგება, არის თუ არა ატომში სხვა ნაწილაკები...

მხარის სახსრის ამოვარდნილობის შემთხვევაში, როდესაც კიდური დიდხანს მნიშვნელოვანი ძალით იჭიმება, და დიდი ტრავმა ეყენება, სასახსრე პარკი და იოგები დუნდება. კიდური მაქსიმალურად იხრება მუხლის სახსარში და ამ მდგომარეობაში ფიქსირდება... თუ ძელის ფრაგმენტები და სასახსრე ზედაპირები კარგად

არ დადგა, ნახვევი იხსნება, განმეორებით ისევ კეთდება რეპოზიცია და თაბაშირის ნახვევი.

მეცნიერების გარკვეულ დარგებში (ფიზიკა, ქიმია) სწორედ ასეთ ფორმებს ენიჭება უპირატესობა.

3.2.2. თუ ზმნის ფორმებსა და კატეგორიებს განყენებულობა-კონკრეტულობის თვალსაზრისით შევადარებთ, ვნახავთ, რომ სამეცნიერო მეტყველებისათვის, სახელდობრ, ისეთი ფორმებისა და კატეგორიების გამოყენებაა ნიშანდობლივი, რომლებიც თხრობისას უფრო მეტი აბსტრაქციისა და განზოგადების საშუალებას იძლევიან. ეს შეიძლება ითქვას გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების სტატისტიკური მონაცემების შედარებითაც.

განზოგადებისა და აბსტრაქციის, სუბიექტის გაუპიროვნების იგივე ექსტრალინგვისტური ფაქტორი იწვევს სამეცნიერო ტექსტებში სხვა სტილებთან შედარებით პასიური კონსტრუქციების მაღალ სიხშირეს, რაც ხორციელდება ა) პერიფრასტული ვნებითისა და ბ) იმ შედგენილი შემასმენლების ფორმათა სიხშირით, რომლებშიც ვნებითის მიმღეობა შედის¹.

აღწერილობითი ვნებითის გამოყენების არე სამეცნიერო მეტყველებაში გაფართოებულია. აქ პერიფრასტული ფორმებით ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც ადვილად აწარმოებენ ვნებითს: გამოხატულ იქნეს (გამოიხატოს), აღჭურვილ იქნეს (აღიჭურვოს), განსაზღვრულ იქნეს (განისაზღვროს), დამზადებულ იქნა (დამზადდა), დაგვიანებულ იქნა (დაგვიანდა), დამტკიცებულ იქნა (დამტკიცდა), განმარტებულ იქნა (განიმარტა), აღნიშნულ იქნა (აღინიშნა), აღწერილ იქნა (აღწერა), მოთავსებულ იქნა (მოთავსდა), დადგენილ იქნა (დადგინდა), შევიწროებულ იქნა (შევიწროვდა) და სხვ. მრავალი.

თუ შევადარებთ კონსტრუქციებს 1. განვსაზღვრეთ მოცულობა, II. მოცულობა განსაზღვრულ იქნა და III. მოცულობა განისაზღვრა, შევამჩნევთ, რომ კონკრეტულობის ხარისხი, სუბიექტის

¹ შედგენილ შემასმენელთა რაოდენობრივი მაჩვენებელი სამეცნიერო მეტყველებაში 12%-ით აღემატება მხატვრული მეტყველების შესაბამის მაჩვენებელს.

ს ტ ი ლ ე ბ ი	გარდამავალი	გარდ აუვალი
	ზმნები %-ობა	ზმნები %-ობა
	1	2
მხატვრული	38,5	61,5
პუბლიცისტუ- რი	42,5	57,5
სამეცნიერო	24,3	75,7

განსაზღვრულობის ხარისხი იკლებს და შესაბამისად იმატებს განყენებულობა პირველი ნიმუშიდან მესამემდე. თუ პირველ კონსტრუქციაში „ჩვენ“ გარკვეულად იგულისხმება როგორც სუბიექტი (თუმცა მთლად კონკრეტული არც ისაა, იხ. 3.1.4.), მეორე წინადადებაში — მოცულობა განსაზღვრულ იქნა — 'შორეულად იგულისხმება „ჩვენ მიერ“, „მის მიერ“, „მათ მიერ“, მესამეში კი სრულებით არ ჩანს, ამიტომ იგი ყველაზე მეტად განყენებულია. სამეცნიერო მეტყველება ამ უკანასკნელ ფორმებს არჩევს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დიფერენცირებას მოითხოვს ამგვარი კონტექსტები: გამოიკვეთა თავისებურება და გამოკვეთილ იქნა (ვინმეს მიერ) თავისებურება; შევიწროვდა არე და შევიწროებულ იქნა (ვინმეს მიერ) არე, აღუღდა სითხე და აღუღებულ იქნა სითხე, მოთავსდა საზღვრებში და მოთავსებულ იქნა საზღვრებში და სხვ.

ენებითის ფორმათა ხმარების არის გაფართოებასთან დაკავშირებით ა. შანიძე შენიშნავს: „პასივის ფორმათა ხშირი ხმარება მეტად დამახასიათებელია ზოგიერთი ენისთვის. ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა და პასიურ გამოთქმებში ზომიერებას იცავს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში პასიური კონსტრუქციების ხმარება ძალიან გაიზარდა სამეცნიეროსა და ტექნიკურ ლიტერატურაში, აგრეთვე საგაზეთო წერილებში, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ითარგმნება დიდ-

ძალი ლიტერატურა რუსულიდან და სხვა ენებიდან. ზოგჯერ პასიური ფორმები ისეთი ფუძეებისაგან იწარმოება, რომლებიც წინათ მხოლოდ აქტიურად იხმარებოდა...” (13, 300).

აღნიშნულ ვითარებას, როგორც ჩანს, თარგმნის გარდა, განაპირობებს სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორიც: მეცნიერული გადმოცემის უსუბიექტობა და განზოგადებულ-განყენებულობა.

3.2.3. იმავე ექსტრალინგვისტური ფაქტორით უნდა აიხსნას აწმყო დროის ფორმათა აქტიურობა სამეცნიერო სტილში. ეს აქტიურობა გამოსატულია როგორც სხვა ფორმების მიმართ, ისე სხვა ენობრივი სტილების მიმართაც.

ც ს რ ი ლ ი № 4

ს ტ ი ლ ე ბ ი	მ წ კ რ ი ე ვ ბ ი % - ო ბ რ ი ე									
	აწმყო	უწყ.	აწყ. კავშ.	წყვე- ტოლი	II კავშ.	მყოფ. ხოლმ.	მყოფ. კავშ.	I თურ.	II თურ.	
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მხატვრული	22	22	0,3	38	5,4	5,5	1,4	0,3	2,8	2,3
პენლანტური	44,4	4,5	2,2	29,3	9,2	6,5	1,2	0,3	1,4	1
სამეცნიერო	64,8	12,6	1,1	9	3,4	4,2	1,1	—	1,5	2,2

აწმყო თბრობითი კილოსი (აწმყოს მწკრივი) თითქმის სამჯერ უფრო ხშირად გამოიყენება სამეცნიერო მეტყველებაში, ვიდრე მხატვრულში; ამასთანავე, მისი ფუნქციური გამოყენებაც რამდენადმე განსხვავებულია. ამ განსხვავების თვალსაჩინოებისთვის შევადაროთ მონაკვეთები აღნიშნულ სტილთა ტექსტებიდან:

1. „თენდება, მსუქანი მამაკაცი ისევ ისე წევს, როგორც დავტოვეთ. კაცი იფიქრებს, არ დაუძინიაო, მაგრამ ეს-ეს არის, გაედგინა. ოთახის ფანჯრება კვლავ ღიაა და ტყემლის წითელი ტოტები კადევ უფრო შემოწეულა შიგ. ცეცხლისფერი მზე ამოდის და იზრდება; მისი სხივები უფრო და უფრო აშკარად იპარება მცენარის წითელ ფოთლებში. ოთახი ივსება სითბოთი და მეწამული სინათლით“.

2. „გარეცხილი ნალექი გადააქვთ ფაიფურის ჯამში, ხსნიან მცირე რაოდენობის მარილმჟავაში და ცხელი წყლით აზავებენ. ნარევეს უმატებენ ამონიუმქლორიდს, ამონიუმის ტუტეს და ისევ აცხელებენ... რკინა და ქრომი ჰიდროქსიდების სახით ილექებიან“.

3. „...ნრტილი იშვიათად განიცდის მწვავე ანთებად დაავადებას. ნრტილის ანთება ვითარდება უსშირესად მწვავე ინფექციური დაავადების დროს; ყველაზე ხშირად იგი გვხვდება ტიფების, განსაკუთრებით შებრუნებული ტიფის შემდეგ. ქონდრიტი ვითარდება ტიფის დამთავრებისას. თავისი ქრონიკული მიმდინარეობით ქონდრიტი ტუბერკულოზურ პროცესს მოგვაგონებს“.

4. „თუ მოცემულია $f(X_1, X_2, \dots, X_n)$ მრავალწევრი P ველის მიმართ, მაშინ მისი ხარისხი X უცნობის მიმართ, $i=1, 2, \dots, n$, ეწოდება იმ უდიდეს მაჩვენებელს, რომლითაც შედის x_i ამ მრავალწევრის წევრებში. შემთხვევით ეს ხარისხი შეიძლება 0-ის ტოლი იყოს, რაც ნიშნავს რომ თუმცა f ითვლება n უცნობის X_1, X_2, \dots, X_n მრავალწევრად, მაგრამ X უცნობის სინამდვილეში მის ჩაწერაში არ შედის“.

მხატვრულ მეტყველებაში აწმყოს ფორმებს აბლანდელი დროის (ე. წ. ისტორიული აწმყოს) გაგება აქვთ, როგორც ზემო-მოყვანილი ტექსტიდან (1) ჩანს, ფორმებს: თენდება, წევს, ღიაა, ამოდის, იზრდება, იბარება, ივსება მეტყველების გამომხატველობით-ექსპრესიული ფუნქცია აქვთ, ისინი მიუთითებენ კონკრეტულ მოქმედებასა და საგანზე. საინციერო მეტყველებაში კი აბლანდელი დროის ფორმები დროის გაგებისაგან უმეტესად დაცლილია. მათ განეყენებული, არადროული გაგების შემცველი მნიშვნელობა აქვთ, რაც კანონზომიერია ურთიერთობას ამ სფეროში, სადაც ლაპარაკია მუდმივ ნიშნებსა, თვისებებსა და პროცესებსზე — საყოველთაო კანონზომიერებებზე. ეს ფორმები აღნიშნულ სტილში იმგვარ მოქმედებას გამოხატავენ, რომელიც მაინცდამაინც და უშუალოდ მეტყველების მომენტთან არ არის დაკავშირებული, ამიტომ ამ ზმნებთან ადვილად ისმარება სიტყვები: ყოველთვის, მუდამ, ხშირად, ხოლმე, უცვლელად და სხვ. აღნიშნულ ფორმებს ა. შანიძე უდროო ფორმებს უწოდებს: „სოციალური პირიან ფორმას

შეიძლება გამოეცალოს დროის შინაარსი. თუ ზმნის ფორმით არ არის გათვალისწინებული მოქმედების მომენტის შეფარდება უბნობის მომენტთან, მაშინ არც გვაქვს დროის გამოხატვა, ანუ — რაც იგივეა — ზმნაში არ არის მოცემული არც ერთი დრო: არც ახლანდელი, არც წარსული და არც მომავალი... ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემთხვევაში დროიანი იყოს, სხვა შემთხვევაში კი — უდროო... დროის გაგებას არ ვდებთ ზმნებში, როცა მსჯელობა გვაქვს ისეთ საუკუნოვან მოვლენათა შესახებ, როგორცაა „მთვარე დედამიწის გარშემო ტრიალებს“, „რიონი შავ ზღვას ერთვის“, „თევზი ცხოველია...“ (13, 203—204).

განივილილთ აწმყოს ფორმები შემდეგ წინადადებებში: „ინგლისელი ლოგიკოსი ჯეჯანსი ამბობს: თავდაპირველად, წარმოშობის დროს ენა იყო გამოყენებული უმთავრესად, თუ არ მხოლოდ და მხოლოდ, პირველი მიზნისათვის, ე. ი. როგორც ურთიერთობის საშუალება“. „ბგერითი ენა ურთიერთობის საშუალება არ იყო, გვეუბნება ნ. მარი“. „ენა წარმოიშვა საზოგადოებაში... წერს ფრანგი ენათმეცნიერი ვანდრიესი“, „ცნობიერების მსგავსად ენა აღმოცენდება საჭიროებისაგან, გადაუდებელი საჭიროებისაგან სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა“ — ვკითხულობთ მარქსისა და ენგელსის კოლექტიურ შრომაში“.

წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ზმნათა აწმყო დროის ფორმები უშუალოდ მეტყველების მომენტს კი არ გულისხმობენ, არამედ დროის იმ დიდ მონაკვეთს, რომლის ფარგლებში აწმყოს აქტუალობა უკვე აღარ მოქმედებს, ე. ი. აღნიშნული ფორმები თვითონ განიცდიან აბსტრაქციას საერთო განყენებულ კონტექსტში (67, 216).

უკანასკნელი წინადადების ბოლო ნაწილში — „ვკითხულობთ მარქსისა და ენგელსის კოლექტიურ შრომაში“ — თითქოს სუბიექტი კონკრეტიზებულია (ჩვენ ვკითხულობთ), მაგრამ სინამდვილეში ეს პირობითი კონკრეტიზაცია ძალზე სუსტია, რადგან თვით პირველი პირის მრავლობითი რიცხვი თავისთავად განზოგადებულ-განყენებული მნიშვნელობის მატარებელია ამგვარ კონტექსტებში (იხ. 3. 1. 4.).

სტილები	დროები %-ობრივ		
	ახლანდელი	წარსული	მომავალი
მხატვრული	22	66,5	11,5
პუბლიცისტური	44,4	37,4	18,2
სამეცნიერო	64,8	26,5	8,7

სამეცნიერო მეტყველებაში გაბატონებული თხრობის განყენებულ-განზოგადებული ფორმის გამომხატველია ნამყო დროის ფორმათა სიხშირის მაჩვენებელი. მოქმედებისა და დროის თვალსაზრისით წარსული დროის ფორმები უფრო კონკრეტულია და მათ სხვა — მხატვრულსა და პუბლიცისტურ — სტილებში უფრო დიდი სტატისტიკური მაჩვენებელი აქვთ.

აქვე უნდ შევნიშნოთ, რომ უწყვეტლისა და წყვეტილის ფორმათა სიხშირული მახასიათებელი გაზრდილია არსებითად ისტორიული და ფილოლოგიური ტექსტების მონაცემებით, რადგან აღნიშნულ დარგებში თხრობა ეხება მოვლენებს, რომლებიც წარსულში მოხდა. სხვა შემთხვევებში უფრო ხშირად წარსულის ფორმებიც განყენებულ მნიშვნელობას იძენენ, რითაც ისინი გარკვეულად ერთ რიგში დგებიან უდროო აწმყოს ფორმებთან: თუ გამოწყარმა იმატა, ინექციის შეყვანა უნდა შეწყდეს... რადგან ხსნარის დონე ნულოვან ხაზზე დადგა, უნდა ეიფიქროთ, რომ შევსება დასრულდა...

ახლანდელი დროის ფორმების უხშირესი გამოყენება და ამ ფორმათა სპეციფიკური დანიშნულება სამეცნიერო მეტყველების ერთ-ერთი ხელშესახები თავისებურებაა.

3.2.4. როგორც სამეცნიერო სტილის ზოგადი დახასიათებისას იყო ნათქვამი, აღნიშნულ სფეროში დიდი ადგილი ეთმობა განსჯასა და მტკიცებას, რასაც, თავის მხრივ, დასაბუთება ესაჭირო-

ება. ამიტომ შესაძლებლობის, ვარაუდის, აუცილებლობის, პირობის, დაშვების, მიზნის და სხვ. მოდლობის განსხვავებულ ელფერთა გადმოსაცემად სამეცნიერო ფუნქციურ სტილში ფართოდ გამოიყენება იმგვარი ენობრივი ერთეულები, რომლებიც გადმოგვცემენ მეტყველების შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, იქნება ეს ჩართული სიტყვები-გამოთქმები (აღბათ, თითქოს, რა თქმა უნდა, უეჭველია, შესაძლებელია, სავარაუდებელია, რასაკვირველია, საეჭვოა, ძნელი დასაჯერებელია, ეჭვს არ იწვევს, ცხადია, ნათელია, აშკარაა...) თუ ზმნის ფორმები.

ამა თუ იმ მოვლენისა თუ პროცესის არსებობის შესაძლებლობის გამოსახატავად გამოიყენება თითქმის ყველა მოდალური ზმნა, რომელთაც შესაძლებლობისა და აუცილებლობის მნიშვნელობა აქვს. მეცნიერული ჰიპოთეზის აგებისას, ჩვეულებრივ, გამოთქმულია ვარაუდები, დაშვებანი, რომელთა შესაბამისობას რეალურ სინამდვილესთან და მომავალთან გარკვეული ხარისხები ახასიათებს; მათი გადმოცემა ქართულ სამეცნიერო მეტყველებაში უმეტესად აწმყოს კავშირებითით, II კავშირებითითა¹ და II თურმეობითით ხორციელდება „უნდა“, „შეიძლება“, „საჭიროა“ და მისთ. ფორმების გამოყენებით:

„ამ რეაქტივის გამოყენების დროს დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები... აღნიშნული რეაქტივით რეაქციის მგრძნობიარობა შეიძლება გაიზარდოს... საჭიროა NH_4° იონი წინასწარ მოვაცილოთ“;

„თუ საჭიროება მოითხოვს, ავადმყოფს უნდა გავხადოთ ტანსაცმელი“;

„ენობრივი ფაქტის განხილვა სხვადასხვა ასპექტით შეიძლება წარმოებდეს“;

„ეს კი შესაძლებელია იმაზე მიგვიითიებდეს, რომ ხელოსნები ვაქართა უფლებით სარგებლობდნენ“;

¹ II კავშირებითის სიხშირული მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია სახელმძღვანელოებში, სადაც მოცემულია დავალებები და ზმნის ფორმებს ბრძანებითობის ფუნქცია აქვს (დაწეროთ, შევადგინოთ, გამოვიანგარიშოთ, დავაკვირდეთ...).

„ეს ნებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ტოლი წილადების კლასების
ჯამსა და ნამრავლზე“;

„აღნიშნული შესწორება შეიძლება შეგვეტანა დათარიღება-
ში“;

„უნდა გაგვესაზღვრა აზიმუტი...“

როგორც ვხედავთ, მოდალობის ზოგიერთი ფორმა მტკიცების
კატეგორიულობას არბილებს „ეს ნებას გვაძლევს ვილაპარაკოთ...“
„შესწორება შეიძლება შეგვეტანა...“ ამგვარი გამოხატულება ავ-
ტორის მოკრძალებულობაზე მიგვანიშნებს, რაც სპეციფიკური
მოვლენაა სამეცნიერო მეტყველებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მოდალობის გამოხატვა აღნიშნულ ფუნ-
ქციურ სტილში მკვეთრად არ განსხვავდება მისი გამოხატვისაგან
საერთო-სალიტერატურო ენაში, სამეცნიერო სტილის გავლენა აქ
მინც შესამჩნევია, რაც სათანადოდ ვლინდება იმ გრამატიკული და
ლექსიკური ერთეულების შერჩევაში, რომლებიც მოდალურ მნიშვ-
ნელობებს გადმოგვცემენ, აგრეთვე იმ ელფერისა და მნიშვნელობა-
თა უპირატესობაში, რომლებიც სამეცნიერო სტილის საკომუნიკა-
ციო ამოცანასა და მის ექსტრალინგვისტურ საფუძველს მეტად
შეესაბამებიან (60, 145).

3. 2. 5. ზემოთ (2. 5. 6.; 3. 2. 2.) აღნიშნული იყო სამეცნიერო
ტექსტებში შემჩნეული ტენდენცია, რომელსაც ზმნის დესემანტა-
ზაციას უწოდებენ (85). ეს ტენდენცია რამდენიმე მხრივ ვლინდება:

ა) შემასმენელთა მოზრდილი ნაწილი შედგენილია. შედგენილია
შემასმენლის ზმნური კომპონენტი კი მეშველზმნაა (არის, იყო, იქ-
ნება, -ა), რომელზეც მოდის მხოლოდ გრამატიკული დატვირთვა,
მაშინ როცა, სემანტიკური ნაწილდება სახელად კომპონენტზე (არ-
სებითი სახელი, ზედსართავი, მიმღეობა, მასდარი, ნაცვალსახელი.
პრედიკატული ზმნიზედა). თუ მხატვრულ ნაწარმოებში ზმნა მეტ-
ყველების ღერძია, სემანტიკურად დატვირთული რთული შინაარ-
სის მქონე სიტყვაა, სამეცნიერო ენაში იგი დასუსტებულია:

„არის შემთხვევები, როცა გამოსაკვლევ ობიექტში ცნობილია
ზოგიერთი მასში შემავალი კომპონენტი. მიუხედავად ამისა, საჭი-
როა ჯერ ჩატარებულ იქნეს თვისებითი ანალიზი, რომ დადგინდ
იქნეს, თუ რა ელემენტებისაგან ანუ იონებისაგან შედგება გამო-

საკვლევი ობიექტი. შემდეგ, როცა ცნობილია გამოსაკვლევი ობიექტის სრული ქიმიური შედგენილობა, ადვილია საძიებელი ელემენტის ანუ იონის რაოდენობითი განსაზღვრის მეთოდის შერჩევა“;

„დადასტურებულია, რომ ხელშემშლელ ელმენტთა შთანთქმის მასური კოეფიციენტის ცვალებადობა გამოწვეულია მათი შთანთქმის ზოლის ნაპირის გადანაცვლებით დაბალიდან მაღალი ენერგო-საყენ, რაც დამოკიდებულია ატომების იონიზირების ხარისხზე“;

„ჩვენ ვიცით, რომ კომპლექსურ რიცხვთა ველის მიმართ დაყვანადია ყოველი მრავალწევრი, რომლის ხარისხი ერთზე მეტია, ხოლო ნამდვილ რიცხვთა ველის მიმართ — ყოველი მრავალწევრი, რომლის ხარისხი მეტია ორზე. სულ სხვა მდგომარეობაა რაციონალურ რიცხვთა ველის შემთხვევაში: ნებისმიერი n-სათვის შეიძლება მივუთითოთ n-ური ხარისხის მრავალწევრზე რაციონალური კოეფიციენტებით, რომელიც დაუყვანადია ირაციონალურ რიცხვთა ველის მიმართ“;

„როდესაც გული მოდუნებულია და გაფართოებული, მისი გასწვრივი და განივი ღერძები თითქმის ერთი და იმავე ოდენობისაა და გულს სფერული მოყვანილობა აქვს, ამავე დროს არტერიული კონუსი მკვეთრად არის წინ გამოდრეკილი, გულის სვრულეები გადიდებულია, პარკუჭების ღრუები გაფართოებულია და სიარციანი ხარისხები და დერილისებრი კუნთები დაშორებულია პარკუჭების კედლებისაგან“;

„ბგერათა შესატყვისობა შედარების კომპასია. შედარება ისტორიის ბერკეტია. ისტორიულ-შედარებით მეთოდთანაა დაკავშირებული ენათმეცნიერების, როგორც პოზიტიური სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებაც და დიდი წარმატებაც, რომელთა შესახებაც ასეთი მოწონებით ლაპარაკობს ენგელსი. ამჟამადაც ენათა მეცნიერული შესწავლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვებთანაა დაკავშირებული, — ყველაფერი, რაც კი მტკიცე მეცნიერულ მონაპოვარს წარმოადგენს სხვადასხვა ენათა შესწავლისას — მათ შორის, ქართველურ ენათა შესწავლისას — ისტორიულ შედარებითი მეთოდის სწორად გამოყენების შედეგადაა მიღებული“;

„ასეთი დეტალებითაა ავსებული ეს მოთხრობა, დაწყებული იმის აღწერიდან, თუ როგორია ნუკრის სამოსი და ღამთავრებული იმით,

თუ რასა და რას შესტირის უკვე დაობლებული ნუკრი. ამის მიხედვით, ცხადია, რომ ვაჟა-ფშაველა ფაბულის, შიშველი ამბის ტყვეობაში კი არ არის მოქცეული, არამედ ამდიდრებს მას...”

ბ) ზმნათა ერთი ნაწილი თავისი პირველადი სემანტიკური მნიშვნელობისაგან დაცლილია და მხოლოდ საერთის როლს ასრულებს:

„ასეთი მსჯელობა ცივი გონების ნაყოფს წარმოადგენს“ (შდრ. ასეთი მსჯელობა ცივი გონების ნაყოფია); „ხსნარებიდან თეთრი ფერის ამორფული ნალექის გამოყოფა მოხდება“ (შდრ. ხსნარებიდან თეთრი ფერის ამორფული ნალექი გამოიყოფა); „სპილენძის ელექტროწონითი განსაზღვრითი ხერხი ყველაზე უფრო ზუსტ მეთოდად ითვლება“ (შდრ. სპილენძის ელექტროწონითი განსაზღვრითი ხერხი ყველაზე უფრო ზუსტი მეთოდია);

გ) დესემანტიზაციის მოვლენა იმითაც ვლინდება, რომ სამეცნიერო მეტყველებაში გამოყენებული ზმნები ფართო, აბსტრაქტული სემანტიკისაა, ისინი ერთნაირად გამოიყენება მეცნიერების ყველა დარგში, თითქმის ერთნაირი სისშირით, კვლევის ობიექტისა და მეთოდების სხვადასხვაობის მიუხედავად. ამგვარი ზმნებია, მაგალითად: წარმოებს; დალექვა, შეხვევა, რგვა, ასახვა ურთიერთინაცვლება... შეიძინევა; გამოვლინდა, იცვლება, იწყება, სრულდება, გრძელდება, ხორციელდება, ეფუძნება, ემთხვევა, შეესაბამება, ახასიათებს, აკავშირებს, ემსახურება, მოითხოვს, გამომდინარეობს, აღნიშნავს, მიუთითებს, იზრდება, მცირდება, იქმნება, აღწერს, აღწევს და სხვ.

აღნიშნული ზმნები სამეცნიერო ლექსიკის უზშირესი ერთეულებია, ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო მეტყველებაში არააქტუალურია ზმნათა მთელი ის ჯგუფები, რომლებიც აქტიურია სხვა ფუნქციურ სტილებში.

8. 8. სახელ ზმნები

3. 3. 1. მასდარი სამეცნიერო ენაში ადვილად იკეთებს მრავლობითი რიცხვის ფორმას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სალიტერატურო ქართულში ამგვარი მოვლენა უკავშირდება მხოლოდ იმ მასჯ

დართ, რომელთაც ზმნური ნიშნები დაუქარგავთ¹, წარმოდგენილი ვითარება ამ ფუნქციური სტილის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან აქ მრავლობითი ეწარმოება იმგვარ მასდართაც, რომელთა ზმნური ნიშნები ცოცხლად შეიგრძნობა. მაგ.: ალგებრაში ჩვეულებრივ იხმარება — ამოხსნები, დაფარვები, გარდასახვები: ერთგვაროვანი განტოლების წრფივად დამოუკიდებელ ამოხსნათა რიცხვი; ყველა გარე დაფარვათა ერთობლიობა; სპექტრში სათანადოდ დაეუმატოთ გადასახვები... ასევე შეიძლება ნიმუშების მოყვანა სხვადასხვა მეცნიერებათა ტექსტებიდან: გიურგენის მოძრაობები, სითხის შეფერვები, მაჩვენებლის შემცირებები, ბგერათჩანაცვლებანი, დამახასიათებელი შეჩერებები, შეგუებები, დაჩრდილვები, შუილები, გულის ცემები...

3. 3. 2. ქართული სამეცნიერო მეტყველებისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს მიმღეობათა სპეციალიზაცია ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციითა და მათი გამოყენება გადმოცემის აზრობრივ-ლოგიკური კავშირისათვის. ამ რიგისაა მიმღეობები: აღნიშნული, ზემოაღნიშნული, ნაჩვენები, მოცემული, მითითებული, ცნობილი, განხილული, შესწავლილი, გამოკვლეული, ზემოთქმული, გაანალიზებული, წარმოდგენილი, დასახელებული და სხვ., რომლებიც ძალიან ხშირად გამოიყენება სამეცნიერო ტექსტებში.

8. 4. თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი

3. 4. 1. ცალკემდგომ თანდებულებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საკუთრივ თანდებულებისა და ზმნიზებათა გარდა, თანდებულის ფუნქციით გამოიყენება ფორმაცვალებადი სრულმნიშვნელოვანი სიტყვებიც, რაც სამეცნიერო მეტყველების სპეციფიკური თვისება უნდა იყოს: განხილვის შემთხვევაში, გაზომვის გზით, სწავლების თვალსაზრისით, შემწეობით, გარკვეული სახით და სხვა., რომლებიც დღეისათვის დამკვიდრებული კალკებია აღნიშნულ მეტყველებაში, რა თქმა უნდა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

¹ (13, 79) აღნიშნულია, რომ მასდარისაგან მრავლობითი ფორმა შეიძლება პოეზიაში შეგვხვდეს.

4. სამეცნიერო სტილის სინტაქსის თავისებურებანი

1.1. სიტყვათშეერთება

4. 1. 1. ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ენისათვის ფართოდაა დამახასიათებელი ატრიბუტული და უმეტესად მართულ-მსაზღვრელიანი კონსტრუქციები. უხეში გამოვლით ისინი მთელი ტექსტის თითქმის 50%-ს შეადგენენ. აღნიშნული ფუნქციური სტილისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია მრავალკომპონენტიანი (71,3) პრეპოზიციური რიგები, სადაც განსაზღვრების ფუნქციას რამდენიმე მეტყველების ნაწილი ასრულებს.

ორკომპონენტიანი შესიტყვეებები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ (3. 1. 3, 3. 1. 5, 2. 5. 1.), შეთანხმებულ ან მართულმსაზღვრელიანია. სინტაგმაში გაბატონებული სიტყვის მიმართ დამოკიდებული ყოველთვის პრეპოზიციაშია, ასევეა მრავალშემადგენლიან კონსტრუქციებშიც, პოსტპოზიციური წყობა („წყარო საკუთარი პოეტური სიტყვისა... ასეთი გზა მიზანის მიღწევისა..“ — გრ. კიკნ.) იმდენად გამონაკლისურია და დამოკიდებულია მეცნიერების დარგსა (ლიტერატურათმცოდნეობა, რომელიც ხშირად მხატვრული მეტყველების სტილით წარმოდგება) და ავტორის ინდივიდუალობაზე, რომ მისი განხილვა ამჟამად საჭიროდ არ მიგვაჩნია. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული სამეცნიერო სტილისათვის, განსხვავებით მხატვრული მეტყველებისაგან, ¹ მსაზღვრელთა პოსტპოზიციური წყობა დამახასიათებელი არ არის.

4. 1. 2. სამეცნიერო თხრობის სუბსტანტიურ ხასიათს მსაზღვრელთა გრძელი რიგების სიჭარბეც განსაზღვრავს. ატრიბუტული

¹ შლრ. (3,40—63).

კონსტრუქციების ჯაჭვურ შეერთებებში კომპონენტთა რიცხვი ხშირად ათს აღემატება¹.

„ცნობილი წესით აღდგენილი მაღალი აქტივობის მჭონე ნიკელის კატალიზატორის მომზადების პირობები“: „ექვს ატომზე მეტ შემცველ ორფუძიან ორგანულ შეავათა კალციუმის მარილების მშრალი გამოხდა“... მოგვყავს 3, 4, 5, 6, 7, 8, 9-კომპონენტიანი რიგების ნიმუშები მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებიდან:

სამკომპონენტიანი შესიტყვებები: ადეკვატური ქცევის მაგალითი, საყლაპავი მილის წნული, ქვემდებარის განსაზღვრის მეთოდი, ნორმის დარღვევის შემთხვევა, ნაყოფის გარეგანი შეფერვა, განტოლების ინტეგრალური წირი, ნაწლავთა ილეოცეკალური მიდამო, ჰიპის მედიალური იოგი, კისრის განივი არტერია, მეტაფორის დიდი ღირსება...

ოთხკომპონენტიანი შესიტყვებები: პირველადი გადაჯაღებული ნაკერის გამოყენება, უნილატერალური სანერწყვე უპირობო რეფლექსი, ფსიქოლოგიური თანმხლები მოვლენების კვლევა, ჭრილობის აქტიური ქირურგიული დამუშავება, გენეტური ერთიანობის მტკიცების საფუძველი, კავკასიურ ენათა შესწავლის დონე, სულფიდების კოლოიდური ხსნარების წარმოქმნა...

ხუთკომპონენტიანი შესიტყვებები: შემოსაზღვრული სიმრუდის მჭონე შეკრული წირი, ნერვის ყოველი სიმპლექსის წვეროების თანაკვეთა, ჭრილობის ოპერაციული მკურნალობის თანამედროვე სისტემა, პლასტიკის განვითარების დასაწყისი საფეხურის ნიმუში...

ექვსკომპონენტიანი შესიტყვებები: ერთი დარგის ხელოსანთა ასეთი ორგანიზაციული გამოსვლა, მისი მომკრელის ვინაობის აღმნიშვნელი ქართული წარწერა, წელის პირველი მილის ქვემო ნაპირის დონე, ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური ერთეულების გაერთიანების ხანა, დიდი ფართობის ღრმა დამწვრობის დაჩირქების შედეგი...

შვიდკომპონენტიანი შესიტყვებები: ორი მრავალწევრის უდიდესი საერთო გამყოფის უფროსი კოეფიციენტი, ზურგის ტვინის პირველი წყვილი ნერვის გამოსვლის დონე...

¹ განსაზღვრება და ნათესაობითში დასმული უბრალო დამატება კვლევის ამ დონეზე დიფერენცირებული არ არის.

რეაკომპონენტის შესიტყვება: შუა საუკუნეების სკულპტურის განვითარების საერთო მსვლელობის გაგება...

ცხრაკომპონენტის შესიტყვება: ელემენტების პერიოდული სისტემის მეშვიდე ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის შემადგენელი ალოგენები...






როგორც ზემოთხსენებული ნიმუშების განხილვა გვიჩვენებს, დავალებულ მსაზღვრელთა რიგში განსაზღვრების ფუნქციას ერთდროულად რამდენიმე მეტყველების ნაწილი ასრულებს. მსაზღვრელთა რიგის ელემენტთა რიცხვის გაზრდა ორკომპონენტის და სამკომპონენტის ჯგუფების სხვადასხვა კომბინაციების ხარჯზე ხდება, რასაც განსაზღვრავს ენობრივ სტრუქტურაში დაჯგუფების ბინარულობა, აგრეთვე, ელემენტთა დისტანტური დაწყვილების უნარი და, რაც მთავარია, კომპონენტთა ის თვისება, რომ ერთდროულად მსაზღვრელის ფუნქციითაც გამოდიოდნენ და ამავე დროს საზღვრულის როლსაც თამაშობდნენ სხვა მსაზღვრელთა მიმართ.

4. 1. 3. მსაზღვრელთა სინტაგმატური ჯაჭვების სტრუქტურასე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ოპტიმალური ჯგუფი, რომლის ელემენტთა რიცხვი კომბინაციათა ყველაზე დიდ რაოდენობას იძლევა, სამკომპონენტისაა. იგი შედგება ნომინატიური ბირთვისა (არსებითი სახელი, მასდარი, გასუბსტანტივებული მიმღეობა) და ორი პრეპოზიციური მსაზღვრელისაგან. აქ გაირჩევა შემთხვევები: 1. ორივე მსაზღვრელი ცალ-ცალკე უკავშირდება საზღვრულს და ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განსაზღვრავს მას: ა) ნეკნთაშუაღრმა არტერია, ქვემო მომჭერი კუნთი, მწვარი სუნიანი აირი, უდიდესი საერთო გამყოფი... ბ) ნაყოფის გარეგანი შეფერვა, განტოლების ინტეგრალური წირი, კისრის განივი არტერია... გ) სწრაფი ქსოვილების ნეკროზი, კლებადი სიხშირეთა სია, დისტანციური ელემენტთა დაწყვილება... დ) ქვის შრომის იარაღი, ენის წარმოთქმის თავისებურება, აინშტაინის ფოტოეფექტის კანონი... 2. მსაზღვრელები ერთმანეთთან სინტაგმას ქმნიან: ერთი მეორის შეთანხმებული ან მართული ამხსნელი სიტყვაა: ა) წმინდა კანცელარული სამუშაო, აქტიური მეტალი X, ახალი პრეპარატი ამპლიგენი... ბ) მარილის გამხსნელი ნივთიერება, ბგერათა შემსწავლელი დისციპ-






ლინა, უჯრედების შემაერთებელი ქსოვილი... გ) ადეკვატური ქცევის მაგალითი, ი-ვალენტოვან აფინორთა სივრცე, საყლაპავი მილის წნული... დ) ელემენტის ატომის ცენტრი, ქვემდებარის განსაზღვრის მეთოდი, ნორმის დარღვევის შემთხვევა...

თუ N-ით აღვნიშნავთ შესიტყვების ცენტრალურ ბირთვს (არსებითი სახელი, მასდარი...), ხოლო x-ითა და y-ით N-ის ამხსნელ სიტყვებს (გენეტივიანი არსებითი, ზედსართავი, მიმღეობა, რიცხვითი სახელი), მაშინ სამკომპონენტიანი სტრუქტურის ორი სახეობა თავისი ვარიანტებითურთ სქემატურად ასე შეიძლება ჩაიწეროს:

I ბაზისური სტრუქტურა



II ბაზისური სტრუქტურა



აღნიშვნები: შ — შეთანხმება, მ — მართვა.

ენის, როგორც განსაკუთრებული სტრუქტურის, კანონზომიერებანი განსაზღვრავს ენობრივი ერთეულების სინტაგმატური დაკავშირების გარკვეულ შესაძლებლობებს. პირველი ბაზისური სტრუქტურის ვერც ერთ ვარიანტში მსაზღვრელები ვერ ქმნიან სინტაგმატურ ჯაჭვებს, მაშინ როცა, მეორე ბაზისური სტრუქტურის შოდელთა მიხედვით ამხსნელ სიტყვებს შორის მტკიცე სინტაქსური კავშირებია (შეთანხმება, მართვა). ამავე დროს პირველი ბაზისური სტრუქტურის მსაზღვრელი კომპონენტებიდან პირველები დისტანციურად წყვილდებიან ცენტრალურ ბირთვთან, მაშინ როცა, მეორეთა შესაბამისი დაჯგუფება კონტაქტურია. მეორე ბაზისური სტრუქტურის ბირთვი, რომელიც ნაკლებტევადია, იმ მსაზღვრელთან ქმნის სინტაგმას, რომელიც მას უშუალოდ უძღვის. ამგვარად,

აქ დაჯგუფება მხოლოდ კონტაქტურია და მსაზღვრელთა ადგილების შეცვლა დაუშვებელია, ვინაიდან ეს ან აზრის შეცვლას ან სიტყვათა უაზრო შეხამებას გამოიწვევს (ადეკვატური ქცევის მაგალითი — ქცევის ადეკვატური მაგალითი; საყლაპავი მილის წნული — მილის საყლაპავი წნული...), მაშინ როდესაც, პირველი სტრუქტურის მოდელებში x და y ელემენტთა ადგილების შეცვლამ უკიდურეს შემთხვევაში სტილისტური მართებულობის საკითხი შეიძლება დასვას (8, 58—98; 9, 295—336).

ცხრილი №6

სტილები	n — კომპონენტური შესიტყვებები % -ობრივ					შესიტყვების საშ. სიგრძე
	n=3	n=4	n=5	n=6	n>6	
	1	2	3	4	5	
მხატვრული	75	17	4,5	2,5	1	3,3
პუბლიცისტური	45	26	14	7	8	4,1
სამეცნიერო	51	33	12	2	2	3,9

როგორც სტატისტიკური მონაცემების (ცხ. № 6) შედარებიდან ჩანს, სამეცნიერო სტილს სიტყვათშეერთების უფრო გრძელი რიგი ახასიათებს, ვიდრე მხატვრულს, სადაც სამსიტყვიანი ჯაჭვები მთელი მასალის სამ მეოთხედს შეადგენს, მაშინ როცა, სამეცნიერო ტექსტების მიხედვით, — მხოლოდ ნახევარია; 4 და 5-კომპონენტური ჯგუფები სამეცნიერო მეტყველებაში 45%-ია, მხატვრულში კი — 22%, რასაც ობიექტური ახსნა მოეპოვება (იხ. ქვემოთ). ამავე ცხრილში კარგად ჩანს ქართული სალიტერატურო ენის ზოგადი ტენდენციაც — რაც უფრო მეტკომპონენტურია შესიტყვება, მით უფრო ნაკლებია მისი გამოჩენის ალბათობა ტექსტში.

I და II ბაზისური სტრუქტურების მოდელთა სიზშირული განაწილების მაჩვენებლებიც საკმაოდ განსხვავებულია სტილების მიხედვით. თუ სამეცნიერო მეტყველებაში ამ სტრუქტურათა მოდელები თითქმის თანაბრად (52/48) ნაწილდება, მხატვრულში პირველი

სტილ- ები	I ბაზისური სტრუქტურის მოდელები %-ობრივ					II ბაზისური სტრუქტურის მოდელები %-ობრივ					ბირ- თის მოცუ- ლობა
	ა	ბ	გ	დ	სულ	ა	ბ	გ	დ	სულ	
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
მხატვ- რული	46,9	17	0,4	0,4	64,7	0,6	5	26	3,7	35,3	1,65
პუბლი- ცისტ.	17	25,5	0,2	0,6	43,3	1	0,9	32	22,8	56,7	1,43
სამეც- ნიერო	21,2	30,6	0,1	0,1	52	0,1	3	30,6	14,3	48	1,52

სტრუქტურის ვარიანტები მეორეზე ორჯერ მეტია, შესაბამისად ბირთვის საშუალო მოცულობაც სამეცნიერო სტილში ნაკლებია, რაც ფუნქციურ-სტილისტიკურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს. მხატვრულ ტექსტებში I ბაზისური სტრუქტურის ა-მოდელის მაღალი სიხშირე ამ მეტყველების სპეციფიკას (ეპითეტთა დახვეწების ტენდენცია) გამოხატავს.

როგორც ვხედავთ, ბირთვის ექსპლიკაციის განსხვავებულ შესაძლებლობებს განსხვავებულად იყენებენ ფუნქციური სტილები, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, არაენობრივ სფეროს უკავშირდება. მეორე მხრივ კი, — სიტყვათშეერთების კომპონენტთა სემანტიკასეა დამოკიდებული.

მედარებისათვის ნიმუშები მოგვყავს სამეცნიერო და მხატვრული ტექსტებიდან:

I-ა მოდელი — ტრადიციული ფორმალური ლოგია, ახალი ტოლფერდა სამკუთხედი, მარტივი გავრცობილი წინადადება, ჩირქოვანი რეზორბაციული ცხელება, საყრდენი მამოძრავებელი აპარატი, ელემენტარული აზრითი პროცესი, თანამოსახლე ელემენტარული მუსტი, სერიოზული ზოგადი მოშლილობა...

ერთი სააგარაკო სოფელი, სამი ბოთლი ღვინო, ეს მტერიანი შარავზა, ჩემი ყურებიანი ქული, დაგვემილი ნატანჯი ფეხები, ნაგ-

დები გახურებული სხეული, თხელი მოყავისფრო კოსტუმი, მორჩილი უწყინარი გარეგნობა, სავსე ვეება ტომარა...

I-ბ მო დ ე ლ ი — წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, ფსიქოლოგიზმის უნივერსალური პრინციპი, წინადადების ყოველი განსაზღვრება, დაავადების მეორე პერიოდი, ორგანიზმის ძლიერი ინტოქსიკაცია, კანტის აპრიორული კატეგორიები, გოგირდის კოლოიდური ხსნარი...

ასფალტის პატარა ნაგლეჯი, აერობორტის მოსაცდელი დარბაზი, ქალაქის მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, შეხვედრის უსიამო გრძნობა, სახლების წითელი სახურავები, შარვლის სველი ტოტი, თათრის ჩუმჩუმელა სიყვარული, კარვის გამოხუნებული კედელი, ოთახის ჩამუქებული წყვილი, ღვთაების წამიერი განცდა...

I-გ მო დ ე ლ ი — სწრაფი ქსოვილების ნეკროზი, განუსაზღვრელი წარმოსახვის შესაძლებლობა, აუცილებელი აზრის დასაწყისი, ზოგიერთი პრაქტიკის შემთხვევა, მკაფიო წარმოქმნის სურათი, ზოგადი ორგანიზმის რეაქცია, ეს მსჯელობის განსაზღვრება, ერთი ლოგიციზმის სახეობა...

კამორელი ღამის დარაჯი, შეღებილი რკინის საწოლი, თითო თხილის გული, ღამაში მარჯნის საყურე, დამსხვრეული ბავშვობის ოცნებები, რბილი შემოდგომის საღამო...

I-დ მო დ ე ლ ი — ქვის შრომის იარაღი, აინშტაინის ფარდობითობის თეორია, ენის წარმოქმნის თავისებურება, რკინის სითბოს გამტარიანობა, კანტის შემეცნების თეორია...

ზოგიერთის ძაღლის ბედი, სიყვარულის ყრმობის სიმღერა, გატარუნულის საბანგადაფარებულის სუნთქვა, მეზობლის ხის ურო, მიტოვებულის გულის სევდა, ვარსკვლავების ღამის საგუშაგო...

II-ა მო დ ე ლ ი — იურიდიული ტერმინი „სამხილი“, შორეული წინაპარი არქეობტერიქსი, უწინდელი დაძებნილი მსგავსება, გვიანდელი მოჭრილი მონეტა, ახალი დამყნილი რტო...

მარტონელა ქვრივი ქალი, ერთი პირი ძილი, ცალფა ნაქსოვი კაბა, ახალი გაყვანილი გზა, ახალი დაფუძნებული კერა, კარგი ნაკეთები იარაღი, ერთი ბოთლი ღვინო, გუშინდელი გამომცხვარი პური, სადღეღამისო საგუშაგო უბანი...

II-ბ მო დ ე ლ ი — მარილის გამხსნელი ნივთიერება, ბგერა-

თა შემსწავლელი დისციპლინა, აზრის მაძიებელი ლოგიკა, შრეების შემაერთებელი ქსოვილი, მთელის შესაბამისი ნაწილები...

პურის საჭმელი ადგილი, ქვრივ-ობლის გამლახავი თათარი, ბატების საბანაო ღელე, წარსულის გამაცოცხლებელი სურათები, ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი, დათას ნაცნობი კაცი...

II-გ მ ო დ ე ლ ი — სულიერი ძლიერების მოთხოვნა, ცალკეული მწერლის ცდა, ზოგადი ქირურგიის კურსი, შეჭრილი ინფექციის ვირულენტობა, ლიბოლიზური ფერმენტის გადიდება, გადაუგვარებელი მატრიცის არსებობა, დამხმარე ცნების გამოყენება...

მეტისმეტი სიფრთხილის გამოჩენა, თეთრი ფეხსაცმლის თასმა, ნამდვილი სვავების ფრაშფრაში, ჩამოდენილი წყლის წვეთი, მონერხებული ადგილის პოვნა, გაფითრებული ქალის სახე...

II-დ მ ო დ ე ლ ი — ჰუსერლის დებულებათა კეშმარიტება, სისტემის დეტერმინანტის ელემენტი, ლაპლასის თეორემის გამოყენება, ნეიტროფილების პროტოპლაზმის ვაკუოლიზაცია, მუცლის ღრუს ორგანოები, სხივთა კონის გატარება...

ტყის ჩიტების გუნდი, ბიჭის მოსვლის დრო, არღნის განახლების საკითხი, ქალის დაპყრობის სურვილი, გრძნობის გაღვიძების მოლოდინი, ლამპიონის სინათლის თრთოლვა, აკენის რწვევის ხმა...

4. 1. 4. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიკომპონენტიანი ჯაჭვები ორ და სამშემადგენლიანი ჯგუფების კომბინაციას წარმოადგენს. ამგვარ ჯაჭვებში, რომლებიც ხშირად ზმნისართებითა და თანდებულიანი სახელებითაა გავრცობილი („სისხლის თხიერ ნაწილაკის ზედმიწევნით დიდი რაოდენობით დაკარგვა“, „ქართული ხელნაწერის დეკორების ბერძენ ოსტატთა მიერ შექმნა...“), თავმოყრილ მსაზღვრელთაგან რამდენიმე მაინც ნათესაობით ბრუნვაშია.¹ სამეცნიერო ენის შედარებამ მხატვრულთან გამოავლინა შემდეგი: სამეცნიერო მეტყველებაში მრავალკომპონენტიანი ჯაჭვები იმგვარ სტრუქტურულ მოდელთა კომბინაციებს ირჩევენ, სადაც სუბსტანტიური მსაზღვრელები მონაწილეობს (ამაზე მიუთითებს, სხვათა შორის, მეშვიდე ცხრილში I-ა მოდელის რეალიზაციის სიხშირული განაწილება — სტატისტიკური მაჩვენებელი მხატვრულ ტექსტებში ორჯერ მეტია, ვიდრე სამეცნიეროში).

¹ დახვეწებულ მსაზღვრელთა შესახებ ქართულ პრესაში იხ. (9, 323—328).

„ნათესაობითების“ გრძელი ჩაქვების შექმნა, რაც ასე დამახასიათებელია ქართული სამეცნიერო მეტყველებისათვის, განპირობებულია გამონათქვამის ისეთი ინფორმაციულ-შინაარსობრივი სტრუქტურით, რომელიც ურთიერთობის ამ სფეროსთვისაა დამახასიათებელი. შინაარსის სტრუქტურა კი გამოხატავს სემანტიკურ მიმართებებს აზრობრივ ჯგუფებს შორის, რომლებიც გამონათქვამის „შინაარსობრივ ქსოვილს“ ქმნიან. სემანტიკური მიმართებანი, თავის მხრივ, მოწესრიგებული და გაფორმებულია მოცემული ენის გრამატიკის საფუძველზე. ამგვარად, აზრობრივ ჯგუფებს, ხშირად ტერმინოლოგიურ ჯგუფებს, რომლებიც შინაარსობრივ ქსოვილს შეადგენენ, ჯერ კიდევ ტექსტის გარეთ აქვთ ობიექტური შინაარსი, რაც მათს აზრობრივ სტრუქტურასა თუ აზრობრივ მოცულობას ქმნის (146, 16). სტრუქტურა იმ შინაარსისა, რომელსაც მსაზღვრელთა ჩაქვი გადმოგვცემს, განურჩევლად ვერ მოეკიდება ელემენტთა ურთიერთმიმართების ხასიათსა და სტრუქტურას.

კომუნიკაციური დატვირთვა თანაბრად არ ნაწილდება უხემსახვდვრელიან სიტყვათშეერთებათა ყველა კომპონენტზე, დაჯგუფების ელემენტები განსხვავდებიან კომუნიკაციური ღირებულებით. არსებობს ელემენტები, რომელთაც მაქსიმალური სემანტიკურ-კონტექსტური წონა აქვთ და ისეთი ელემენტები, რომლებსაც კომუნიკაციური თვალსაზრისით ნაკლები ღირებულება ენიჭება. მაგალითად, კომუნიკაციური დატვირთვის მაქსიმალური ხარისხი აქვს სახვდვრულს, რომელიც შესიტყვებათა რიგში ბოლო ადგილზეა, ე. ი. ნომინატიურ ბირთვის, მინიმალური კი — მისგან მეტად დაშორებულ კომპონენტს. ამავე დროს, იმ ჯგუფებში, რომლებიც არსებით სახელებს, მასდარებს შეიცავენ ამხსნელებად (გენეტიური მსაზღვრელები), კომუნიკაციური დატვირთვის სუბმაქსიმუმები იქმნება.

განვიხილოთ დახვავებულმსაზღვრელიანი ასეთი რიგი — ზურვის ტვინის რუხი ნივთიერების წინა სვეტები, — აქ კომუნიკაციური დატვირთვის ხარისხი იზრდება თანდათან, ბირთვთან მიახლოების შესაბამისად. კომპონენტი „ზურვის“ ნაკლები კომუნიკაციური დატვირთვისაა, ვიდრე, მაგალითად, „ნივთიერების“ და მით უფრო, ნაკლები, ვიდრე „სვეტები“. „სვეტების“ ამხსნელ კომპონენტთა თანამიმდევრობა მარჯნიდან მარცხნივ რომ წავიკითხოთ, დავინა-

ზავთ, როგორ ზუსტდება ნომინატიური ბირთვის მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს, როგორ იკლებს კომპონენტთა კომუნიკაციური დატვირთვა. კომპონენტები „ტვინის“, „ნივთიერების“ განხილულ მიმდევრობაში სუბმაქსიმუმებს ქმნიან. თუ დამოუკიდებლად განვიხილავთ ჯაჭვის ნაწილებს — „ზურგის ტვინი“ და „ზურგის ტვინის რუხი ნივთიერება“, ვნახავთ, რომ პირველში მაქსიმალური ინფორმაციული დატვირთვა ბოლო კომპონენტზე მოდის, ხოლო მეორეში ასევე ბოლო კომპონენტზე — „ნივთიერებაზე“. ამგვარი კომუნიკაციური დინამიზმი, რომელიც კომუნიკაციური ღირებულების მინიმუმიდან მაქსიმუმისაკენ მოძრაობას გამოხატავს, პოლიმსაზღვრელიანი რიგის დაჯგუფებათა შინაარსობრივ სტრუქტურაში აისახება.

ცალკე უნდა აღინიშნოს სახელზმნათა მონაწილეობა მსაზღვრელ-საზღვრულთა გრძელ რიგებში. ისინი ყოველთვის დიდი ინფორმაციულობით გამოირჩევიან: „დიდი დამწვრობის დაჩირქების შედეგი“, „მონეტის მომჭრელის ვინაობის აღმნიშვნელი ქართული წარწერა“. სახელზმნები ინფორმაციის აკუმულირების კარგი საშუალებაა, ამავე დროს ისინი სიტყვათშეერთებათა გრძელ რიგებს უფრო ადვილად აღსაქმელს ხდიან. ამით უნდა აიხსნას მეტყველების ამ ნაწილის მაღალი სიხშირე (შედარებით მსატვრულ მეტყველებასთან, იხ. ცხ. № 1), რაც ზმნათა დაბალი სიხშირის ერთგვარ კომპენსაციას ეწევა.

4. 1. 5. სამეცნიერო მეტყველებაში სიტყვათა შეხამების სპეციფიკური ნიშანია იმგვარი საპირისპირო თვისებების გაწონასწორებული ერთიანობა, როგორიცაა გამონათქვამის სიღრმეში (ვერტიკალურად) მრავალსაფეხუროვანი დანაწევრება და ყოველ საფეხურზე (ჰორიზონტალურად) ძირითადი რგოლების დაკავშირების სიმრავლე, რაც საერთოენობრივი კანონების მიხედვით ხორციელდება. სიძნელეს ქმნის სხვადასხვასაფეხურობრივი კავშირების კომპლექსურობა, მაგრამ ამავე დროს, სწორედ ეს მრავალგანზომილებიანობა უზრუნველყოფს გამონათქვამის ლოგიკურ-შინაარსობრივ ტევადობას (37, 141). ამას პირდაპირ უკავშირდება შესიტყვებათა მორეკულური სახეობის (80) ფარული, იმპლიციტური პრედიკატულობა, რაც ხშირად პოლივალენტურია. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

„სუბსტანციური განსაზღვრების გარეგნული მსგავსება უთანდებულო ნათესაობითის ფორმის უბრალო დამატებასთან“ — აქ რამდენიმე მოლექულური შესიტყვება გამოიყოფა: „სუბსტანციური განსაზღვრება“ (შდრ. განსაზღვრება სუბსტანტივია), „გარეგნული მსგავსება“ (გარეგნულად ჰგავს), „უთანდებულო ნათესაობითი“ (ნათესაობითი, რომელსაც თანდებული არ დაერთვის). „უთანდებულო ნათესაობითის ფორმის უბრალო დამატება“ (უბრალო დამატება, რომელსაც ისეთი ნათესაობითის ფორმა აქვს, რომელსაც თანდებული არ დაერთვის). მოლექულური შესიტყვებების ტრანსფორმაცია ადვილად შეიძლება წინადადებად: როცა განსაზღვრება სუბსტანტივია, იგი გარეგნულად ჰგავს უბრალო დამატებას, რომელსაც ისეთი ნათესაობითის ფორმა აქვს, რომელსაც თანდებული არ დაერთვის. ე. ი. მოლექულური შესიტყვებები, რომელთაც იმპლიციტური პრედიკატულობა ახასიათებთ, შესაბამის წინადადებათა სინტაქსურ სინონიმებს წარმოადგენენ, მაგრამ ამ წინადადებებით მათი შეცვლა წინადადების საერთო სიგარძეს საკმაოდ ზრდია, რადგანაც იმპლიციტური პრედიკაციის შეცვლა ექსპლიციტურით ენობრივი ერთეულების დამატებას მოითხოვს, რაც, მეორე მხრივ, ართულებს სინტაქსურ კონსტრუქციას და ამწელებს წინადადებას აზრობრივ აღქმას.

მართალია, მსაზღვრელ-საზღვრულთა არაბუნებრივად გრძელი რიგები ზოგ შემთხვევაში აზარალებს სამეცნიერო კომუნიკაციის ისეთ მოთხოვნას, როგორცაა სიცხადე, მაგრამ ამას უმეტესად კერძო ხასიათი აქვს და დამოკიდებულია ამა თუ იმ ავტორის წერის უნარსა და საერთოდ, სტილის გაუმართაობაზე: „ჩვენ ვეყრდნობით გარე ჯგუფთა ინვარიანტობის კაპლანის დამტკიცებისას ჰურევიჩ-დუგუნჯი-დაუკერის მიერ მოცემულ ტიპოლოგიურ განმარტებას ვიეტორისის ჯგუფებისა და ორადულ დამოკიდებულებათა მიღების მიზნით კოლოშვილის მიერ მითითებულ მეთოდს ჩაკეტილი და ღია სიმრავლეებით აპროქსიმაციებისას“. ეს და მსგავსი „წინადადებები“ ელემენტარულად გაუმართავია და მათი შესწავლის საფუძველზე მიღებულ შედეგებს ვერ განვაზოგადებთ.

4. 1. 6. სამეცნიერო მეტყველებაში ხშირად მიმართავენ დახვეწებულმსაზღვრელიან შესიტყვებათა განტვირთვის რომელიმე კომ-

პონენტის რედუქციით. ჩვეულებრივია აზრის იმგვარი კონდენსაცია, როცა ფორმის შეკუმშვა შინაარსის სისრულეზე არ მოქმედებს. მაგ., ზურგის ტვინის (რუხი ნივთიერების) წინა სვეტები; პერბარტის (წარმოდგენათა მექანიკის მათემატიკური) კონსტრუქცია; (ნიადავის) ცეოლითური დანამატები; კომპლექსურ (რიცხვითი) კოეფიციენტებიანი მრავალწევრი... ამგვარ ხერხს ავტორები, ჩვეულებრივ, მას შემდეგ მიმართავენ, რაც ერთხელ გამოიღო დაასახელეს ცნებითი ნომინატიური რიგი. ამასთანავე, სხვადასხვა მეცნიერებაში მრავალადა ცნებითი მრავალკომპონენტიანი რიგების შეკუმშვის იმგვარი შემთხვევები, რომლებიც მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დიდი ხანია დაკანონდა. ტრანსფორმირებული რედუქციის სხვადასხვა სახეები „ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგიზმების“ წარმოშობის წყაროა (81, 60). მართალია, ასეთი ფრაზეოლოგიზმები არასპეციალისტისათვის ბევრჯერ გაუგებარია, რადგან მართო საერთოებრივი ცოდნის საფუძველზე საქმეში ჩაუხედავი ადრესატი ვერ მიხვდება იმგვარი შესიტყვების აზრს, როგორცაა აბელის ჯგუფი, მარკოვის ჯაჭვები, ნულოვანი ელემენტი, ავოგადოს რიცხვი, მაგრამ სამეცნიერო სტილისათვის ამგვარი მოვლენა ნორმაა (37, 138).

4. 1. 7. ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მსაზღვრელთა დახვევებას, რაც ნიშანდობლივია ქართული სამეცნიერო სტილისათვის ობიექტური საფუძველი აქვს, რადგან მასში გამოხატულებას პოულობს სამეცნიერო სტილის ზოგადი ტენდენცია — რაც შეიძლება მინიმალური ენობრივი საშუალებებით გადმოიციეს მაქსიმალური მეცნიერული ინფორმაცია, რისთვისაც გამოყენებულია ცნებითი ძოლეკულური შესიტყვებები, რომლებიც პოლივალენტოვანი პრედიკაციით ხასიათდება.

4. 2. წინადადება

4. 2. 1. შესიტყვებათა ზემოგანხილული რიგები გრამატიკულად მარტივი წინადადების გავრცობის საშუალებაა. როგორც აღვნიშნეთ, ეს კონსტრუქციები კომპაქტურობითა და ლოგიკური სიცხადით ხასიათდება, ამასთანავე, მათში ნათლად ვლინდება სამეცნიერო ფუნქციური სტილის ისეთი ზოგადი ტენდენცია, როგორცაა

სახელის წინ წამოწევა და ზმნის სემანტიკური როლის შესუსტება. გადმოცემის სიზუსტისა და ლოგიკურობის მოთხოვნა განაპირობებს ერთგვარწევრებიანი კონსტრუქციებისა და ჩართული სიტყვების ფართო გამოყენებას. ამიტომ მარტივი წინადადებები (შერწყმულთა ჩათვლით) ოდნავ მეტიც კია რაოდენობრივად, რთულ წინადადებებთან შედარებით. ლოგიკური, წიგნური სინტაქსი, რომელიც ურთიერთობის ამ სფეროშია გაბატონებული და რომელიც აზრობრივი ტევადობითა და ლოგიკურ-ინფორმაციული დატვირთულობით ხასიათდება, თანაბრად იყენებს გავრცობილსა და რთულ სტრუქტურებს. ამასთანავე, წინადადების საშუალო სიგრძე რთული კონსტრუქციებისათვის დაახლოებით 20 ერთეულია, მარტივი გავრცობილებისათვის — 10. თუმცა ცალკეული შემთხვევები ბევრად აღემატება ამ მაჩვენებლებს. რთული ქვეწყობილი წინადადების უმრავლესობა (83%) მხოლოდ ერთი დაშოკიდებული წინადადებით გვხვდება. შერეული ტიპის კონსტრუქციების, ისევე, როგორც თანწყობილ წინადადებათა, გამოჩენის ალბათობა, სამეცნიერო ტექსტებში მცირეა, რითაც აღნიშნული სტილი ბევრად განსხვავდება მხატვრული მეტყველებისგან. ხელშესახებია განსხვავება იმ თვალსაზრისითაც, რომ სამეცნიერო მეტყველების სინტაქსი ერთგვაროვანი და მარტივია; თვით რთული წინადადების დონეც კი გარკვეულად შესუსტებულია სხვა ფუნქციურ სტილებთან შედარებით. წინადადების ეს ტიპი არც ისე მრავალრიცხოვანია და არც ისე რთულია არქიტექტონიკით, როგორც მოსალოდნელი იყო, თუ გავითვალისწინებთ გადმოსაცემი შინაარსის სირთულეს (37, 153). გრამატიკულად მარტივი წინადადება კი შედგენილობითა და სინტაქსური კავშირებით უფრო გართულებულია სამეცნიერო ენაში.

მხატვრული მეტყველებისათვის სინტაქსურ კონსტრუქციათა ერთგვაროვნება ძველი დასადგენია იმ გარკვეული მიზეზის გამო, რომ ინდივიდუალური სტილის თავისებურება ყველაზე მეტად ამ ენობრივ დონეზე ელინდება. წინადადებათა სიგრძე, რაც 130 ერთეულამდე აღწევს ზოგჯერ, კონსტრუქციული სირთულე და სხვა სხვადასხვა ავტორებთან განსხვავებულია. სამეცნიერო მეტყველებაში კი გავრცელებულია არსებითად ერთნაირი ტიპის სტრუქტურები — სტერეოსტრუქტურები, რომლებიც მეცნიერული აზრის აღინება-შოძრაობას კონცენტრირებულად გამოხატავენ; არგუმენტა-

სტი- ლები	წინადადებათა ტიპე- ბი %-ობრივ			წინადადებათა საშ. სივრძე			რთული წინადადება %-ობრივ			
	რთუ- ლი	შერ- წყმ.	მარ- ტივი	რთუ- ლი	შერ- წყმ.	მარტივ.	ქვე- წყობ.	თან- წყობ.	ერთლა- მოკიდ.	ერთზე მეტ დამოკიდ.
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მხატ- ვრუ- ლი	51,2	22,5	26,3	16	10	5	76,9	23,1	66,5	33,5
პუბ- ლიცის- სტუდია	48,3	27,3	24,4	23	16	7	74,5	25,5	80	20
სამე- ცნიერ- ო	54,7	16,5	28,8	20	14	8	91	9	83,8	16,2

ცია, მოვლენათა წორის კავშირი, ზოლიანად მეტყველების ლოგო-
კურობა მიწეზ-შედგობრივი მაქვემდებარებელი კავშირებით ხორ-
ციელდება; გრადაციული და მარეზიუმირებელი სიტყვები (პირველ
რიგში, ჯერ ერთი, აქედან გამომდინარე, ამგვარად, მაშასადამე...),
რაც ასე დამახასიათებელია მეცნიერული მეტყველებისათვის, მე-
ტი სიცხადისა და გარკვეულობის უზრუნველყოფას ემსახურება.

სპეციფიკა მეცნიერული აზროვნებისა, რომელიც მიმართულია
არა მარტო ურთიერთობის, არამედ შემეცნების ფუნქციის რეალი-
ზაციისაკენ (აზრის დაწმენდა-მოწესრიგება, საბოლოო ჩამოყალიბება
მეტყველების გაშლის პროცესში ხდება) იმგვარი ლინგვისტური
ერთეულების, გამპვირვალე სინტაქსური სტრუქტურების გამოყე-
ნებით ვლინდება, რომელთაც უკეთ შეუძლიათ დაიცვან გადმოცემის
თანამიმდევრულობა და სიცხადე, რაც რთული შინაარსის მარტივად
წარმოჩენის ეკონომიური და ეფექტური გზაა.

ამგვარად, ენის სინტაქსურ დონეზე და შეიძლება ყველაზე მეტად სწორედ ამ დონეზე შეღავნდება მეცნიერული აზროვნებისა და მეცნიერული ენის ერთიანობა და ურთიერთგანსაზღვრულობა.

4. 2. 2. გრამატიკულად მარტივი წინადადებები, ერთმანეთის მიყოლებით, რთულ წინადადებებთან მონაცვლეობის გარეშე, სამეცნიერო ტექსტებში უმეტესად აღწერისას გვხვდება, სადაც მკაცრად არის შერჩეული საგანთა და მოვლენათა განსაზღვრული ნიშნები და მიმართებანი, რომლებიც მინიმალურად საკმარისი უნდა იყოს ამა თუ იმ დასკვნის გამოსაყვანად:

„მძიმე შოკის დროს აღინიშნება ზოგადი შეკავება. კანი მკრთალია, მიწისფერი, ცივი, მწებავი ოფლით დაფარული. ტუჩები და თითის წვერები ციანოზურია, ტემპერატურა 35°-ზე დაბალი. პულსი ძაფისებურია, აჩქარებული, 160-მდე წუთში, პერიოდულად არ ისინჯება. სისტოლური არტერიული წნევა ეცემა 70-50 მმ-მდე, დიასტოლური წნევა არ ისინჯება. ვენები ჩაჩუტულია. ვენური წნევა 40 მმ-ზე დაბალია. სუნთქვა ზერელეა, აჩქარებული, წუთში — 30-მდე. კანისა და მყესთა რეფლექსები არ ისინჯება. შარდის გამოყოფა შეკავებულია. სისხლში მკირდება ერითროციტები, ჰემოგლობინი, ლეიკოციტები. პლაზმის დაკარგვას მოჰყვება ალბუმინებისა და გლობულინების შემცირება. სისხლის სარეზერვო ტუტიანობა მკვეთრად იკლებს. ოლიგურია გადადის ანურიაში. შარდში ბევრი ცილა, ერითროციტები და ლეიკოციტებია“.

„უფლისციხის ბაზილიკაში ორი სათავსო ემიჯნება ცენტრალურ აბსციდს. ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში შერჩენილია კიბური პროფილის პილასტრი. მეორე პილასტრი შერჩენილია დასავლეთის მხარეს. სამხრეთ-დასავლეთის სვეტის პირდაპირ კი არავეითარი პილასტრი არ ჩანს. საერთოდ ბაზილიკის დასავლეთი ნაწილი დიდ სიმძლავრეზე საგრძნობლად დაზიანებული. გაცილებით უკეთაა შენახული ბაზილიკის ჩრდილოეთი ნაწილი.“

გარდა აღწერისა, მარტივი წინადადება გამოყენებულია ნაშრომთა მნიშვნელოვანი აზრის გადმოსაცემად. რაიმე დებულების ხაზგასასმელად. რთულ ქვეწყობილ წინადადებათა მიმდევრობაში შედარებით მოკლე, მარტივი წინადადება მეცნიერული კვლევის არსებით შედეგებს გამოყოფს:

„უდიდეს აქტივობას მასა იჩენს აიჩნარევეში წყალბადის სიჭარბის შემთხვევაში“; „რეგენერაციის შემდეგ ნამუშევარი მასა იბრუნებს თავის პირვანდელ აქტივობას“; „გამოცდილი სულფიდური მინერალების პოტენციალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მინერალის ზედაპირის დამუშავება“; „მაკეობის პროცესში ლერაციონისდრთა რიცხვის მომატება მაკეობის ვადის მატების პროპორციულია“; „ოპიზის რელიეფს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ქართული კულტურის განვითარების საერთო მსვლელობის გასაგებად“; „ალაზნის ალუვიური ნალექები მხოლოდ ზედა მეოთხედში იწყებს განვითარებას“; „ეს თეორემა იძლევა მატრიცის რანგის პრაქტიკულად გამოთვლის მეთოდს...“

4. 2. 3. რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც გადმოცემის ისეთ სახეებში გვხვდება, როგორიცაა თხრობა და, განსაკუთრებით, მსჯელობა, იმგვარი ლოგიკური მიმართებების გამოხატვას ემსახურება, როგორიცაა: ობიექტი-ნიშანთვისება, საფუძველი-შედეგი, პირობა-მოქმედება, მოქმედება-მოქმედების ობიექტი, მოქმედება-მიზანი, მოქმედება-საშუალება, შესაბამისობა-შეუსაბამობა, დაქვემდებარება-თანწყობა, გაერთიანება-გაყოფა... ამიტომ შესაბამისი სემანტიკის სიტყვათშეერთებანი და დამოკიდებულ წინადადებათა ტიპები სამეცნიერო ენაში აქტიურია, ხოლო მათი გამოხატვას ფორმები (კონსტრუქციები, კავშირები, თანდებულები, დამხმარესიტყვები...) — შედარებით მრავალფეროვანი. ასე მაგალითად, დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც პირობას გამოხატავენ, თითქმის 7-ჯერ მეტია სამეცნიერო მეტყველებაში, ვიდრე მხატვრულში; მიზეზის გარემოებით წინადადებათა რიცხვი დაახლოებით 5-ჯერ აღემატება მხატვრული მეტყველების შესაბამის მაჩვენებელს. ასევე გააქტიურებულია დამოკიდებულ წინადადებათა ისეთი ტიპები, როგორიცაა შედეგობითი, ე. წ. შემდგომობითი და ე. წ. მთავრის მიმართ დამოკიდებული, რასაც ობიექტური ახსნა მოეპოვება: საშივე ტიპის დამოკიდებულის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების პირველ ნაწილში მიზეზია დასახელებული, მეორეში — შედეგი, რაც მიზეზ-შედეგობრიობის ლოგიკური გადმოცემის უმოკლესი გზაა, ამასთანავე, შემდგომობითი დამოკიდებული წინადადება მთავართან ერთად კარგად გადმოგეცემს მოვლენათა თანამიმდევრო-

ბას, ადვილად გამოხატავს უწინარესობასა და შემდგომობას, რაც, აგრეთვე, მეცნიერული აზროვნების არსს შეესატყვისება. ხოლო რაც შეეხება მთავრის მიმართ დამოკიდებულს, იგი, როგორც ვიცით, მთქმელის დასკვნას, შეფასებასა თუ რაიმე სახის შენიშვნას შეიცავს იმის შესახებ, რაც მთავარშია გადმოცემული (7, 392).

ამგვარად, ზემოაღნიშნულ წინადადებათა ფუნქციები განაპირობებს მათი გამოყენების მაღალ სიზშირეს სამეცნიერო მეტყველებაში, სადაც ნაწილთა შორის დამოკიდებულების ცალსახად გაფორმება, მიზეზ-შედეგობრიობის სიცხადე და არაორაზროვნება აუცილებელი მოთხოვნაა.

4. 3. განაერთიანებული სიტყვა და გამოთქმა

4. 3. 1. ცალკე უნდა შევეხოთ იმგვარ ენობრივ ელემენტებს, რომლებიც სინტაქსურად არ არიან დაკავშირებული წინადადების რომელიმე წევრთან ან წინადადებასთან. მათი გამოყენება სამეცნიერო სტილში, ერთი მხრივ, უკავშირდება თვისების, მოვლენის, პროცესის და ა. შ. დეტალიზაციას, დაზუსტებას, ხაზგასმას და, რაც მთავარია, სიცხადისა და არაორაზროვნების მოთხოვნას, მეორე მხრივ, იმის გადმოცემას, თუ როგორ უყურებს კომუნიკატორი წინადადებაში გამოხატულ აზრს, თვით გამოთქმის ფორმას, აგრეთვე გამოხატავს წყაროზე მითითებას. ყოველივე ეს ძალზე სპეციფიკურია სამეცნიერო სფეროსათვის, ამიტომ ასეთი სიტყვები და სიტყვათა შეკავშირებანი უინაარსისა და გამოხატვის მიხედვით მრავალფეროვანია ქართულ სამეცნიერო მეტყველებაში.

როგორც ცნობილია, „ჩართული სიტყვა და გამოთქმა გამოხატავს მოდალობას, ე. ი. იმას, თუ როგორ უცქერის მთქმელი თქმულის უინაარსს, როგორც ფაქტს თუ როგორც შესაძლებელ-სავარაუდოს“ (7, 292-4). ჩართულის ძირითადი ჯგუფებიდან სამეცნიერო მეტყველებაში გვხვდება შემდეგი:

1) ავტორი დარწმუნებულია თქმულის უეჭველობა-უტყუარობაში — „რა თქმა უნდა, ასეთი შედეგი შემთხვევით არ მიგვიღია...“ „ცხადია, მთელი რიცხვებისათვის არსებობს სხვა წესიც...“ „პოლემიკა, უეჭველია, ურთიერთშეპასუხებას გულისხმობს...“ „მწვევე ანემიის დროს, რასაკვირველია, წნევა პროგრესულად ეცემა“: „ასე-

თი დაპირისპირება ორი სახის ორიენტირისა, მართლაც, კარგად ავლენს სისტემის როლს“; „რაც უფრო დიდია იონთა რადიუსი, აშკარაა, მით უფრო ადვილია მისგან ელექტრონების მოწყვეტა“; „ცხოველის დამოკიდებულება სუბიექტის მიმართ, ბუნებრივია, სხვა ხასიათს ატარებს“; „როგორც დამტკიცებულია, ათი წუთის შემდეგ სრული ანესთეზია ვითარდება“; „როგორც ცნობილია, შოკის შემთხვევაში სისხლის დეპონირება გაძლიერდება“; „როგორც დადგენილია, სხეულის ცალკეული ადგილი კანის საერთო ფართობის გარკვეულ ნაწილს შეადგენს“; „როგორც ნაჩვენებია ლიტერატურაში, არაწყალსნარებში კომპლექსწარმოქმნა მიმდინარეობს საფეხურობრივად...“

2. ჩართული გამოხატავს ავტორის ვარაუდს, გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საექვოდ მიჩნევას — „საკითხის ამგვარად დასმაცუობა, თავდაპირველად ვერ მოხერხდა“; „აღნიშნულ მოძღვრებას, თითქოს, კეშმარტი პოსტულატები აქვს“; „შიპნა შესაძლებელია ნიშნავდეს როგორც მცველთა რაზმს, ასევე ცალკეულ პიროვნებას“; „სიტყვა საკარგემო თავდაპირველად აღმათ „საკარგავად“ იკითხებოდა“; „ქალაქის ხელისუფალნი, სავარაუდებელია, დამხმარე ძალის ძიებას ქვეყნის გარეთ დაიწყებდნენ“...

ჩართულთა ამავე ჭეუფში შევა იმგვარი სიტყვათა შეკავშირებანი, რომლებიც ავტორის სუბიექტური მსჯელობის შესარბილებლად, კატეგორიულობის მოკრძალებული ტონით შეცვლას ემსახურება, რაც დამახასიათებელია სამეცნიერო მეტყველების უსუბიექტო-განზოგადებული სტილისათვის. ამ მიზნით გამოიყენება შესიტყვებები: „ჩვენი აზრით“, „ჩვენი ვარაუდით“, „ჩვენი დაკვირვებით“, „თუ არ ვცდებით“, „როგორც ვეცადეთ გვეჩვენებინა (დაგვემტკიცებინა)“ და სხვ.

3. ჩართული სიტყვა და სიტყვათა შეკავშირება გვიჩვენებს, თუ როგორ აფასებს მთქმელი მეტყველების სტილს, აზრის გამოხატვის ფორმას“ (7,293). ეს ჭეუფი სამეცნიერო მეტყველებაში მრავალფეროვანია:

„კიბერნეტიკა, უკეთ რომ ვთქვათ, ცდილობს ისე განმარტოს ინფორმაცია, რომ მოხერხდეს მისი რაოდენობრივი ანალიზი...“ „ნამდვილ სიცოცხლეს დავით კლდიაშვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლიტერატურულ-მხატვრულ ცხოვრებაში პოვებდა“; „უზომო

განზოგადებას მიეყვართ. თუ შეიძლება ასე გამოვთქვათ, აწროვნების სიღარიბისაკენ“: „ცოცხალ უჭრედებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სიცოცხლის გენერაცია. მარტივად რომ ვთქვათ, მკედრისაგან ცოცხალი მატერიის შექმნა“: „უფრო ნათლად რომ განვმარტოთ, ერთ ასოზე 32-ასოიან ანბანში მოდის ინფორმაციის 5 ერთეული“; „თანამედროვე გამომთვლელ მანქანას არა აქვს გრძნობის ორგანოები, არც მოქმედების ორგანოები, უფრო ზუსტად, იგი მოგვაგონებს სხეულისაგან განცალკევებულ ტვინს“; „ენათა ნათესაობას არაფერი საერთო აქვს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხების ანთროპოლოგიურ დახასიათებასთან, უფრო სწორად, რასა, როგორც ანთროპოლოგიის ცნება და ენა ერთმანეთს არ უკავშირდებიან“...

4. ჩართულის საშუალებით გამოხატულია აზრთა თანამიმდევრობა, ან რაიმე დამოკიდებულება წინ გამოთქმულ აზრთან (დასკვნა, შედეგი, დაპირისპირება):

„ნაჩვენებია, ჯერ ერთი, მოძრაობის რეგისტრაციის მრავალი სიძნელე, მეორე — მხოლოდ რეაქციის ინტენსიურობის ზრდის მაქსიმუმის აღნიშვნა“¹; „ერთი სიტყვით, აღქმა მოდის ცნობიერებაში ჯერ დიფუზიური, გაუნაწევრებელი მთლიანობის სახით“; „მოკლედ, ენობრივ სისტემაში ფიქსირდება სოციალური გამოცდილება“; „მიუხედავად ამისა, სისხლის წნევა მეტწილად ნორმის ფარგლებშია“; „... სამაგიეროდ, პანარციუმის განვითარების ხშირი მიზეზია მიკროტრავმა“; „პრინციპულად ლოგარითმის ფუძედ შეიძლება ავიღოთ ნებისმიერი სხვა მთელი რიცხვი. მაგალითად, 3“: „ემოცია ქცევის დარღვევაა, თუ პირიქით, მაორგანიზებელი რეაქცია?“ „ეს ქსოვილები, სხვათა შორის, აბრკოლებს რეგენერაციას“: „მწერალმა, როგორც ჩანს, თავის მოვალეობად მიიჩნია შთამომავლობისთვის შეეხსენებინა იმ პირთა ღვაწლი, რომელნიც შავბნელ ხანაში ცხოვრობდნენ“; „ეფრემ მცირის თარგმანებში მრავლად ვხვდებით, **სახელდობრ**, ზმნისართიან კომპოზიტებს“; „პაერის უმცირესი რაოდენობა, **ნაწილობრივ** წყლის ამღვრევას იწვევს“; „თბილისი, რო-

¹ მოქმედების თუ აზრის ამგვარი თანამიმდევრული ჩამოთვლისას სამეცნიერო ენაში უფრო ხშირად გამოყენებულია პუნქტობრივი გამოყოფა აღნიშვნებით — ა), ბ), გ)... ა), ბ), ც) ...1, 2, 3... I, II, III...

გორც ზემოთ არაერთხელ იყო მითითებული, 1122 წლამდე არ ეკუთვნოდა საქართველოს მეფეებს“; „აქედან გასაგებია, ნალექის პეპტიზაცია წარმოებს მაშინ, როცა ერთ-ერთი იონი თამაშობს განსხვავებული იონის როლს“; „ამრიგად, ეკვივალენტურ წერტილში ხსნარი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ნატრიუმის ქლორიდს და ბორმეჟავას“; „გრამატიკა სიტყვათა ცვლილებისა და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების კრებულია, მაშასადამე, სწორედ გრამატიკის წყალობით ენას შესაძლებლობა ეძლევა ადამიანის აზრი ჩამოაყალიბოს მატერიალურ ენობრივ გარსში“...

5. სამეცნიერო ტექსტებში ხშირად გამოიყენება ჩართულა, რომელიც გამოთქმული აზრის, ფაქტის დადგენის, თეორიის ავტორის და ა. შ. წყაროზე მითითებას იძლევა:

„ემოცია, დაახლოებით ისე, როგორც ამას ფრენი ამბობს, უშლის ცხოველის ადაპტაციის პროცესს“; „ჭეიმის კონცეფციის თანახმად, უნდა არსებობდეს რაღაც რეაქტიული პატერნი“; „კიბერნეტიკის ფუძემდებლის ნ. ვინერის აზრით, საავტომობილო ქარხანა-ავტომატში მუშაობის თანამიმდევრობას განსაზღვრავს თანამედროვე სწრაფმთვლელი მანქანის მსგავსი მოწყობილობა“; „ბიულერის განმარტებით, ტეილორის ფორმულით, ენგელსის მოძღვრების თანახმად და მისთ“. ამავე მიზნით გამოიყენება გამოთქმები: როგორც ამბობენ, როგორც ფიქრობენ, როგორც მოხსენიებულია...

6. ამა თუ იმ საგნის, თვისების, მოვლენის, აზრის და ა. შ. მნიშვნელოვნების გასაანაზღაურად, მათზე ყურადღების გასამახვილებლად გამოყენებულია ჩართულები: აღსანიშნავია, რაც მთავარია, საგულისხმოა, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა — „საინტერესოა, რომ კასირერს მიაჩნია — გონის შემოქმედების სიმბოლური ხასიათი ყველაზე კარგად არის მოცემული მათემატიკურ-ფიზიკალისტურ შექმენებაში.“

4.3.2. ცალკე უნდა შევეხოთ სამეცნიერო მეტყველებაში ფართოდ და სპეციფიკურად გამოყენებულ „ფრჩხილებში ჩასმას“ ისეთი იზოლირებული სიტყვებისა, შესიტყვებებისა და მთელი წინადადებებისა, რომლებიც გრამატიკულად დამოუკიდებელია და მრავალვარ მიმართებებს გამოხატავს როგორც, ერთი მხრივ, დასუს-

ტებისა და ახსნა-განმარტების და, მეორე მხრივ, ავტორის დამოკიდებულების თვლსაზრისით ტექსტში მოცემული აზრისა თუ მსჯელობისადმი.

სამეცნიერო სტილში ფრჩხილები მხოლოდ პუნქტუაციური ნიშანი როდია, მას შესაბამისად ფუნქციური-სტილისტიკური დატვირთვა აქვს. თავი რომ დაეანებოთ ფრჩხილების იმგვარ სპეციფიკურ ხმარებას, როგორცაა ტექსტში მოყვანილი ადგილის წყაროს ჩვენება (ძითიება ავტორსა და ნაშრომის გვერდზე), რაც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში, ფრჩხილებში ჩაისმის დანართიცა და ჩართული წინადადებაც, სხვათა გამონათქვამიც, მოარული ფრაზაც და ზოგჯერ თქმულის ასოციაციით გაჩენილი აზრი, ავტორის მიმართების გამომხატველი შეფასება და სხვ. აღნიშნული მასალა თითქოს იმიტომ არის ფრჩხილებში მოთავსებული, რომ მან ხელი არ შეუშალოს აზრის თანამიმდევრულ გადმოცემა-აღქმას, არ მიჩქმალოს მთავარი და არსებითი. ამგვარად, ის, რაც ფრჩხილებშია მოთავსებული, ერთგვარად უკან იწევს, უკანა ხედშია, მისი ამოდებით არც აზრის დინება ირღვევა და არც სინტაქსური სტრუქტურის წონასწორობა. მიუხედავად ამისა, ასეთი მასალა დიდი ინფორმაციულობით ხასიათდება, სწორედ ამიტომ ვერ ელღევა მას მეცნიერული ნაშრომის ავტორი და გვაწვდის სასხვათაშორისოდ, მაგრამ გარკვეული მიზნით — რაც შეიძლება სრულყოფილად იქნეს აღქმული სამეცნიერო ინფორმაცია.

ამგვარი მოვლენა, რომელიც თავისი არსით კუპიურის საპირისპიროა, არც სხვა ფუნქციური სტილებისთვისაა უცხო, მაგრამ რეგულარული ხასიათი და გამოყენება, ხმარების მაღალი სიხშირე მას სწორედ სამეცნიერო ენაში აქვს:

„პირველ რიგში წინანდებურად ექსპრესიული ფუნქცია ღვას („ენა, როგორც შემოქმედება“), მეორე ადგილას — საკომუნიკაციო („ენა, როგორც განვითარება“);

„ასტრონომისათვის „მზეები“ (მრავლობითში) ჩვეულებრივი რამაა“;

„თვით ყველაზე მცირე ერთეულიც კი, როგორცაა ქცევა (როგორც დიალექტოლოგიური ერთეული), მაინც გარკვეულ კოლექტივს გულისხმობს (ვთქვათ, ერთი სოფლის მოხახლეობას)“;

„თვით კომპლექსური რიცხვები (და არა მათი მოდულები) არასოდეს არ შეიძლება შეერთებულ იქნენ უტოლობის ნიშნით“;

„ეს მრავალწევრები იწოდებიან სიმეტრიულ მრავალწევრებად (ან სიმეტრიულ ფუნქციებად)“;

„ამავე მიზნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამონიუმის ქლორიდი (უკეთესია ფხვნილი)“;

„ასე გაგებულნი ცოცხალი ფსიქე (ე. ი. აქტუალურად მოცემული ცნობიერების შინაარსი) ვერ შეითავსებდა თვითონ სუბიექტს...“

ფრჩხილებში ჩაისმის ჩართული წინადადება (განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ვრცელია), როცა ავტორი გზადაგზა იძლევა დამატებით ცნობას, ახსნასა თუ შენიშვნას გაკვრით, სხვათა შორის.

4.4. ზეფრაზული ერთიანობის გამოხატვის საშუალებები

4.4.1. სამეცნიერო ენის ინფორმაციული დონის ძირითად სინტაქსურ ერთეულად მიაჩნიათ ე. წ. ზეფრაზული ერთიანობა (сверхфразовое единство). ამასთანავე, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამგვარი ერთეულის კომუნიკაციური მთლიანობის არსის გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, რასაც ერთი წინადადების, აბზაცისა და ზოგჯერ უფრო რთული სინტაქსური მთლიანობის ფარგლებს გარეთ გავყავართ.¹

მეცნიერული აზროვნებისა და, შესაბამისად, მისი ენობრივი გამოხატულების ლოგიკური სტრუქტურა არა მარტო სიტყვათშეერთებების, მარტივი და რთული წინადადებების კომპონენტთა მკიდრო ურთიერთკავშირს გულისხმობს, არამედ მთელი ენობრივი ქსოვილის გაბმულობას. შინაარსის ელემენტთა სწორედ ასეთი, ჭაჭვურ-ხაზოვანი თანამიმდევრობა უზრუნველყოფს მეცნიერული გამონათქვამის მთლიანობას, რომელიც შეესაბამება ავტორის კომუნიკაციურ მიზანდასახულებას. კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი წინამძღვარი ტექსტის ნაწილებს — მიკრობლოკებს — შორის კავში-

¹ ზეფრაზული ერთიანობისა და ტექსტის გაბმის შესახებ (იხ. (49), (59), (75), (76), (91). (143)).

რის განხორციელებაა. ეს და მსგავსი საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ ენათმეცნიერებაში, მით უფრო უკვლევა იგი ფუნქციური სტილისტიკის სფეროში.

ზეფრაზული სინტაქსური ერთიანობანი ყველა ფუნქციურ სტილში გვაქვს. ყველგან მრავალფეროვანია მათი შინაარსობრივ-სტრუქტურული გამოვლენა, მაგრამ სამეცნიერო მეტყველებაში ამ კატეგორიის აქტიურობა ერთ-ერთ ფუნქციურ ნორმას ქმნის. ამ ხორმას უკავშირდება გარკვეულად აღნიშნული სტილის ფლობის კულტურა. სამეცნიერო ნაწარმოების „როგორც ავტორ-მკვლევარს, ასევე მკითხველსაც უნდა შეეძლოს გამოყოს და გაიაზროს ზეფრაზული ერთიანობა სამეცნიერო მეტყველებაში — ეს ხელს უწყობს ინფორმაციის უფრო ეფექტურ გადაცემასა და მეცნიერული აზრის უფრო ღრმა წედომას“ (37, 175).

ქართულ სამეცნიერო ნაშრომებში ტექსტის გაბმის საშუალებანი შეიძლება განვიხილოთ ფუნქციურ-სემანტიკური და ფორმალური ასპექტებით. ფორმალური ასპექტი გულისხმობს გაბმულობის ისეთ ენობრივ საშუალებებს, როგორცაა ლექსიკურ-გრამატიკული, მორფოლოგიური და ფუნქციურ-სინტაქსური (21, 69).

სამეცნიერო ტექსტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დამოუკიდებელ წინადადებათა დაკავშირების საშუალებებად ქართულ სამეცნიერო ენაში გვხვდება ისეთივე კავშირები, როგორიც ჩვეულებრივ გამოიყენება ერთი წინადადების ფარგლებში, კერძოდ, რთულში გაერთიანებულ წინადადებათა დასაკავშირებლად (კავშირები, საკავშირებელი სიტყვების ფუნქციით გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელები, ზმნიზედები, ზმნის დროისა და კილოს ფორმები...) და აგრეთვე ლექსიკურ-გრამატიკული და მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებანი.

ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს არსებითი სახელები და ნაცვალსახელები, რომლებიც აკავშირებენ დამოუკიდებელ წინადადებებს და ამასთანავე, ასრულებენ ლექსიკური გამეორების როლს. ქართულ სამეცნიერო ტექსტებში შეიძლება იმ ენობრივ ერთეულთა გამეორება, რომლებიც უკვე იყო წინამავალ წინადადებაში, რითაც ხორციელდება კავშირი წინა და მომდევნო წინადადებებს შორის:

„ბგერითი შესატყვისობების ორგვარი ტიპი გამოვეყავით. ეს ტაპები მიღებულია სხვადასხვა გზით“;

„შერევა ენათა ინტეგრაციის გზით მიიღება. ინტეგრაციის ფაქტორი ყოველთვის მოქმედებს: არ არსებობს ენა, რომელსაც სხვა ენის მასალა ოდესმე არ შეეთვისებინოს. ინტეგრაცია პრინციპში ისეთივე მაგისტრალური ხაზია ენათა განვითარებისა, როგორც დიფერენციაცია...“

„მუანგავეები ადვილად გამოყოფს უანგბადს. უანგბადი გამოყოფის მომენტში, ქიმიური მოქმედების გარდა, მექანიკურადაც წმენდს კრილობას“; „ნალექს აშრობენ საშრობ კარადაში (თერმოსტატში). საშრობ კარადას აქვს ტემპერატურის ავტომატური რეგულატორი. კარადის ზემო კედელს აქვს ორი ნახვრეტი“;

„პლატინის ტურკლის ხმარებისას იყენებენ მაშას, რომელსაც ბოლოებზე წამოცმული აქვს პლატინის ბუნიკები. მაშას გამოყენების წინ მისი ბოლოები უნდა გახურდეს. ტიგელის გადაადგილების შემთხვევაში მაშის ბოლოებით წაავლებენ ტიგელის კიდეს. ხმარების შემდეგ მაშას ბოლოებით მალლა დებენ მაგიდაზე“;

„ძირითადი თეორემის დამტკიცება დამთავრებულია. ამ დამტკიცებაში გამოყენებული მეთოდით შეიძლება ვისარგებლოთ...“

განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი წინადადებათა შორის, როგორც ვხედავთ, მყარდება მაშინ, როცა გამეორებულ ლექსიკურ ერთეულებს ჩვენებითი ნაცვალსახელი უძღვის ანაფორულ პოზიციაში, ხოლო გადაბმის (დაკავშირების) ჯაჭვურ ხასიათს, „ჯაჭვურ დაძაბულობას“ (136, 136) ქმნის ლექსიკური ერთეულის არაერთგზისი გამეორება.

ზოგჯერ მეზობელ წინადადებაში მეორდება არა ლექსიკური ერთეული, არამედ მისი ძირი:

„განზავებული ხსნარიდან ნალექი გამოიყოფა ნელა. დალექვა შეიძლება დაჩქარდეს ხსნარის გაცივებით და შენჯღრევით“;

„ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ჩამრეცხი სითხის შერჩევა. ზოგიერთი ნალექის ჩარეცხვა მიზანშეწონილია ელექტროლიტის განზავებულ სხნარით...“

„ნონპარეილი სხვა ჭიშებზე უკეთ ეგუება გარემო პირობებს. შეგუების უნარით მას უახლოვდება დრეიკი“;

„უნდა გამოჩნდეს ვენა და ცენტრალური ვენა გადაიკვანძოს. გადაიკვანძვის შემდეგ საანესთეზიო ხსნარი წნევით შეჰყავთ პერიოდულად.“

გარდა ამგვარი ლექსიკური გამეორებისა, დამოუკიდებელ წინადადებათა დასაკავშირებლად გამოყენებულია სინონიმური გამეორებანი: როცა ორი მეზობელი წინადადებიდან მეორე იწყება იმ სიტყვის სინონიმით (ზოგჯერ ჩვენებითი ნაცვალსახელიანი მსახვერელითურთ), რომელიც პირველ წინადადებაში გვქონდა, დაკავშირება უზრუნველყოფილია:

„ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ თხელნაჭუჭიანი ჯიშები. ამ ჯგუფის ნუშეიი გასაყიდად გამოდის გარჩეული სახით“;

„კოფეციენტის დასადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნას მუაუნმუავა. ხსნარი გადააქეთ ლიტრიან საზომ კოლბაში“;

„ვექტორთა ყოველ ასეთ სისტემას ეწოდება V—სიერცის ბაზისი. ეს ცნება გულისხმობს... წრფივად დამოუკიდებელი სისტემის არსებობას“;

„სისხლის ჯგუფობრიობის გამოკვლევის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფსევდოაგლუტინაციას. ჰემოიმპილაციისას სისხლის წითელი ბურთულები ინარჩუნებენ თავიანთ კონტურებს“;

„დამაჯერებელი შედეგები მიიღება ტესტირების ხერხით. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება მცირე ჯგუფთა კვლევისას...“

განსაკუთრებით გავრცელებულია სამეცნიერო ტექსტებში ჩამნაცვლებელი გამეორებანი, როცა წინამავალი წინადადების ან მისი ნაწილის შინაარსი სემანტიკურად ჩანაცვლებულია მომდევნო წინადადებაში. ამ მიზნით გამოიყენება პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები და მიმღობიანი ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით:

„ენათმეცნიერების წინსვლა მოითხოვს არა ისტორიზმის პრინციპის შეზღუდვას, არამედ ამ პრინციპის უფრო სრულად და თანამიმდევრობით გამოყენებას. ამას გვასწავლის ჩვენი მეცნიერების ისტორია“;

„თეთრ სტრეპტოციდს ფართოდ იყენებენ ინფიცირებული პრილობისა და ღია მოტეხილობის სამკურნალოდ. ამისათვის ინმარებოდა იუდინის სპეციალური მისაფრქვევი“;

„მეორე სტადიაში სრული ანესთეზია და კუნთთა სრულყოფილი რელაქსაციაა. ესაა სწორედ ამ გაუტკივარების ერთ-ერთი მთავარი დადებითი მხარე“;

„ადვილად შეიძლება ნამდვილი წრფივი სივრცეების მაგალითების მოყვანა. ასეთები იქნებიან II-განზომილებიანი ნამდვილი ვექტორული სივრცეები“;

„სქემას საილუსტრაციო მნიშვნელობა აქვს, როგორც ენათა სტადიური კლასიფიკაციის ნიმუშს. მისი დაწვრილებითი ანალიზი ჩვენს ამოცანას არ შეადგენს“;

„ფსევდოაგლუტინაცია არსებითადაც განსხვავდება ნამდვილი აგლუტინაციისაგან. პირველი არასპეციფიკურ და ცვალებად მოვლენას წარმოადგენს“;

„საკმარისია პერმანგანატის ერთი ზედმეტი წვეთის მიმატება, რომ სსნარი მაშინვე შეიფეროს მოწითალო-ვარდისფრად. ეს უკანასკნელი ადვილი შესამჩნევია, როცა გატიტვრას აწარმოებენ თეთრ ფონზე“;

„ძრავალწვერს კვლავ განვიხილავთ, როგორც ფორმალურ ალგებრულ გამოსახულებას. აღნიშნული საესებით განისაზღვრება თავისი კოფეციენტებით.“

ამავე ფუნქციით გამოიყენება ზოგჯერ ზმნიზედებიც:

„ამ მეცნიერებათა ნამდვილი წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ სულიერი კავშირების გახსნის მეშვეობით, რომელთაც წარმოშვეს ეს მეცნიერებანი. აი, აქედან იწყება დილთაისთვის გაგების ფსიქოლოგიის დასაბუთება“;

„წოცემულ მიმართებათა ზოგიერთი სახის შემოსვლა ფსიქიკაში გრძნობადი გზით ხორციელდება. აქამდე ყველაფერი ნათელია...“

4.4.2. ყველა ზემომოყვანილი ნიმუში გამონათქვამის უკუმიმართებას, ანუ უკუმიმართულ კავშირს გამოხატავს. ყველგან მეორე წინადადება გვაბრუნებს პირველისაკენ, ე. ი. მიუთითებს იმაზე, რაც უკვე შევიტყვეთ პირველი წინადადებიდან.

პირდაპირმიმართული დაკავშირებისას კი ორი წინადადებიდან პირველი ამზადებს მეორის გამოჩენას და ამდენად გაბმის ფუნქციურ დატვირთვასაც ის კისრულობს. ამ მიზნით პირველ წინადადებაში გამოიყენება აწმყოს, მყოფადისა და II კავშირებითის ფორ-

მები იმგვარი სემანტიკის ზმნებისა, როგორცაა: განვიხილოთ, გადავიდეთ, შევამოწმოთ, გავანალიზოთ, გავაშუქოთ, ავიღოთ, წარმოვადგინოთ... შესაბამისი ლექსიკური მნიშვნელობის ზმნის აღნიშნული ფორმები გამოხატავენ გამონათქვამის პირდაპირმიმართულობას (59, 60—66) და ამავე დროს მკითხველის წაქეზებასაც შეიცავენ. მათი საშუალებით ავტორი არა მარტო ნიშანს გვაძლევს, თუ რომელი საკითხის განხილვას აპირებს, არამედ მკითხველსაც სთავაზობს მონაწილეობა მიიღოს ამ მოქმედებაში (59, 131).

ლექსიკურ-გრამატიკული კონსტრუქციები მოდალური ზმნებით, რომელთაც გარკვეული მიმართება აქვთ მომავალ დროსთან, აგრეთვე კარგად გამოხატავენ ფრაზათაშორის კავშირს, ამასთანავე, გამონათქვამის პირდაპირმიმართულობა მთლიანად ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით გადმოიცემა.

ასევე ამზადებს მომდევნო, დამოუკიდებელი წინადადების გამოჩენასა და მასთან დაკავშირებას უზრუნველყოფს კითხვითი წინადადება (ცხადია, არა რიტორიკული შეკითხვები, რომლებიც სამეცნიერო სტილის ნორმიდან გადახვევაა):

„იქნებ ისტორიული ენათმეცნიერება სტიქიურად მივიდა ამგვარ დებულებათა წამოყენებამდე? არა, ამგვარი ძიების კანონზომიერება შეგნებული იყო და ძიება პრინციპულად დასაბუთებული“;

„რა პრობლემა იყო პირველ რიგში დილთაის წინაშე? ცხადი ხდება, რომ მას აინტერესებდა გონითი მეცნიერებათა საქიროება-ნი“;

„რა სახით შეიძლება დიფერენციალური განტოლების შეყვანა მანქანაში? ელექტრული ძაბვის სახით — განტოლებაში შემავალი ყველა საწყისი ცვლადი მანქანაში აისახება სათანადო ძაბვით“.

გამონათქვამის პირდაპირი და უკუმიმართულობა მონაცვლეობს ტექსტში. ორივე სახის დაკავშირება ერთნაირად კარგად გამოხატავს აზრის ლოგიკურ და თანამიმდევრულ მოძრაობას, ამასთანავე, უზრუნველყოფს ტექსტის მთლიანობას, რომელიც ცალკეული, იზოლირებული წინადადებებისაგან კი არ შედგება, არამედ ამ წინადადებათა უწყვეტი ჯაჭვია.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოგანხილული ყველა ჩართული სიტყვა თუ გამოთქმა (4.3.1.), რომელიც ორი მეზობელი და

დამოუკიდებელი წინადადებიდან მეორეს იწყებს, ასევე ამ წინადადებათა დაკავშირების თითქმის ყველაზე გავრცელებული სახეა სამეცნიერო მეტყველებაში.

4.4.3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინადადებაზე უფრო დიდი სინტაქსური ერთეულის გამოყოფის საკითხი ტექსტის გაბმულობასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს მკვლევართა გაცხოველებულ ინტერესს იწვევს. გარკვეულ დრომდე ენათმეცნიერულ ლიტერატურაში წინადადება განიხილებოდა როგორც ენობრივ ერთეულთა იერარქიული სტრუქტურის უძალდესი ოდენობა. ტიპური იყო შემდეგი მსჯელობა: წინადადების სეგმენტაცია შეგვიძლია, მაგრამ მისი ქცევა უფრო მაღალი დონის რაღაც ერთეულის ინტეგრანტად შეუძლებელია... წინადადება შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს რაიმე წინადადებას და მათ შორის იქნება თანამიმდევრობის, შემდგომადობის დამოკიდებულება, მაგრამ წინადადებათა ჯგუფი ვერ შექმნის დონის ერთეულს წინადადების დონესთან მიმართებით. „ენობრივი დონე, რომელიც კატეგორემატულ დონეზე მაღლა დადგება, არ არსებობს“ (27, 447).

ზოგიერთი სპეციალისტი წინადადებაზე დიდ ერთეულს აბზაცს უწოდებს, სხვები — რთულ სინტაქსურ მთელს, პროზაულ სტროფს ან ზეფრაზულ ერთიანობას. ყველა ამ ერთეულს აერთიანებს საერთო ნიშანი — ისინი ტექსტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ (23,74).

ტექსტის დანაწევრების ერთეულად, ტრადიციის მიხედვით, აბზაცი ითვლება (50); (112); (113); (114). იგი გრაფიკულად გამოხატულია, რაც ამარტივებს დაკვირვებას. ჩვენი კვლევა სწორედ აბზაციით შემოიფარგლა. სამეცნიერო მეტყველებაში, რომელიც ორიენტირებულია საკუთრივ ინტელექტუალური შინაარსის გადმოცემაზე, აბზაცი მეტყველების დანაწევრების რეგულარული ერთეულია.

როგორც დამოუკიდებელ წინადადებათა შესწავლისას ვნახეთ ზემოთ, უწყვეტი ტექსტის გამართვისათვის გამოიყენება მრავალგვარი ენობრივი საშუალებანი, რომლებიც აზრის გამოხატვისა და შემდეგ მისი აღქმისათვის გარკვეულ მაორგანიზებელ, წარმართ-

ველ ფუნქციას ასრულებენ. ისინი ავლენენ აზროვნების ცალკეულ ოპერაციებსა თუ მომენტებს, რითაც გამოხატავენ აზროვნების პროცესს, აზრის მოძრაობას (77,50). ამ მხრივ არ არის არსებითი განსხვავება აბზაცის შიდა კომპონენტთა დასაკავშირებელ საშუალებებსა და იმ საშუალებებს შორის, რომლებიც აბზაცთა გარე კავშირებს უზრუნველყოფენ. აქაც ფიქსირებულია სხვადასხვა მომენტები: აზრის აქტივაცია, მისი ლოგიკური გამოყოფა, დაკავშირება ზემოთქმულთან, კავშირი მომდევნოსთან, გადმოცემის თანამიმდევრულობა, შედეგისა და განზოგადების წარმოჩენა-ხაზგასმა, აგრეთვე, აზრის შინაარსობრივი მხარის ლოგიკური შეფასება, ეკვივალენტობის, შესაძლებლობა-შეუძლებლობის, აუცილებლობის ან უბრალოდ ფაქტის კონსტატაციის გამოხატვა და სხვ., რაც ასახავს აზროვნების მსვლელობას. ეს კი ფართო ხასიათს იძენს და მეტყველების იმგვარ ინტელექტუალურ ფონად იქცევა, რომელიც მხოლოდ სამეცნიერო სტილისთვისაა დამახასიათებელი.

აბზაცები სამეცნიერო ტექსტების ე. წ. „მიკრობლოკებია“, რომლებიც იმავე მასალითა და ისევეა შეწყობილი და ერთმანეთზე გადაბმული, როგორც მათი შიდაკომპონენტები.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

5. საგაზეთო-კუბლიცისტური სტილის ზოგადი ღახასიათება

5.1. საგაზეთო-კუბლიცისტური სტილის განსაზღვრება

5.1.1. მასობრივი კომუნიკაციის საერთო კომპლექსში, სადაც შედის საეურნალო პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო და მასობრივ აუდიტორიასთან უშუალო ურთიერთობის სხვადასხვა ზეპირი ფორმები, ცხატეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რაც უკავშირდება გაზეთის ყოველდღიურ მისაწვდომობას, მრავალპროფილიანი ამორჩევის დიდ დიაპაზონს, აგრეთვე, ყოველი ნომრის შინაარსის მრავალპლანიანობას, გაზეთის საინფორმაციო ოპერატიულობას, მისი მასალის ისეთი ფორმით ფიქსირებას, რომელიც გამოსაყენებლად მოსახერხებელია და ა. შ. (38,მ). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაზეთი (უშუალო ზეპირი ურთიერთობის შემდეგ) მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ყველაზე ძველი ფორმაა, სადაც ყალიბდებოდა და აქედან შემდეგ სხვა ფორმებშიც გადადიოდა ძირითადი სტილისტიკური საშუალებანი და ხერხები (155,10), ნათელი შეიქნება, რომ გაზეთი მასობრივი კომუნიკაციის მეტყველების სტილის ერთგვარი საფუძველია და ამავდროს, მისი ყველაზე რთული ფორმაცაა.

5.1.2. აღნიშნულ სირთულეს ბევრი რამ განაპირობებს. „ენობრივი ურთიერთობის სიძნელე ურთიერთობის მონაწილეთა რიცხვის პირდაპირპროპორციულად იზრდება და იქ, სადაც ურთიერთობის ერთი მხარე განუსაზღვრელ სიმრავლეს წარმოადგენს, ეს სიძნელე მაქსიმუმს აღწევს“ (94,59).

გაზეთის მკითხველთა სიმრავლეც განუსაზღვრელია, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. მასობრივი მკითხველის დი-

პერსიულობა ინტელექტუალური დონის, ზოგადი და სპეციალური მომზადების, ასაკისა და ა. შ. ნიშნების მიხედვით, განსაკუთრებულ პირობებს უქმნის გაზეთსა და მის ენას. ვ. გ. კოსტომაროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, გაზეთი ენციკლოპედიური განათლების მქონე აკადემიკოსისათვის მოსაწყენი არ უნდა იყოს, ხოლო მოსწავლისათვის უნდა იყოს გასაგები და საინტერესო.

უსათუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაზეთი გამოირჩევა ენობრივი შემოქმედების თავისებური პირობებით: იგი იქმნება უმოკლეს ვადაში, ისე სწრაფად, რომ ზოგჯერ საგაზეთო მასალის იდეალური დამუშავების საშუალებაც არ არის. ამავე დროს, მას ქმნის არა ერთი პიროვნება, არამედ მრავალი. კორესპონდენტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ამუშავებენ თავ-თავიანთ მასალას, მათ შორის არიან შტატგარეშენიც — მეტყველების კულტურის სხვადასხვა დონის მკითხველებიც; საგაზეთო ყანრების მრავალფეროვნება, ურთიერთობის სხვა სფეროთა მასალების (განცხადებები, ბრძანებულებანი, კანონთა პროექტები...) პუბლიკაცია — ყოველივე ეს გარკვეულ გავლენას ახდენს გაზეთის სტილზე. -

5.1.3. როგორც ვხედავთ, საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა, რომელიც თავისი დანიშნულების, ამოცანებისა და საკომუნიკაციო პირობათა გამო საკმაოდ რთულ მოვლენას წარმოადგენს და მთლიანად განპირობებულია ექსტრალინგვისტურ საფუძველთა თავისებურებებით. -

თვით პუბლიცისტური (სხვა ტერმინოლოგიით — იდეოლოგიურ-პოლიტიკური) სტილი მეტყველების ისეთი ფუნქციური სახესხვაობაა, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივი ურთიერთობის ფართო სფეროს: პოლიტიკურ-იდეოლოგიურს, საზოგადოებრივ-ეკონომიკურს, კულტურულს, სპორტულსა და სხვ. იგი წიგნურ სტილთა შორის ყველაზე პოპულარულია, რადგან მის გავრცელებას ზელს უწყობს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო. ეს სტილი გამოიყენება, აგრეთვე, ყრილობებზე, პლენუმებზე, კრებებსა და მიტინგებზე, გამომსვლელთა მეტყველებაში, პროპაგანდისტებისა და აგიტატორთა ლექციებში (129,224). უფრო სრულად (პუბლიცისტური სტილი

კლინდება გაზეთებსა და პოლიტიკურ ჟურნალებში, რის გამო მას საგაზეთო ან საჟურნალო პუბლიცისტიკასაც უწოდებენ (ვ. ვ. ვანოგრადოვი).¹

საბჭოთა პრესის დანიშნულება, არსი და ფუნქციები განსაზღვრავს ქართული საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის სისტემურ ორგანიზაციას.

5. 2. გაზეთის ფუნქციები

5.2.1. გაზეთის უმათერესი ფუნქციებია საინფორმაციო და აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქციები. თუ პირველი ისტორიულადაც პირველადი იყო, მეორე — აგიტაცია-პროპაგანდის ფუნქცია — თანდათან უმნიშვნელოვანესი შეიქნა საბჭოთა პრესისათვის. ლენინის დებულებამ გაზეთის ორგანიზატორული როლის შესახებ (82,13) განსაზღვრა საბჭოთა გაზეთის მიმართულება. გაზეთი, როგორც პარტიული, პროფკავშირული ან სახელმწიფო ორგანო, მიმართულია მკითხველის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. პარტიისა და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების იდეოლოგიისა და პოლიტიკის გატარებაზე ცხოვრებაში, რომელთა სახელითაც გამოდის იგი (70, 184). ამიტომ საგაზეთო პუბლიცისტიკას ახასიათებს აშკარა და უშუალოდ გამოხატული ზემოქმედების ანუ ექსპრესიული ფუნქცია, რომელიც განპირობებულია პარტიულობის პრინციპით (41,6).

ეს ფუნქციები ხშირად გაუნაწევრებლადაა რეალიზებული გაზეთში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სტილს მიმართავენ მაშინ, როცა ავტორს (ინდივიდუალურსა თუ კოლექტიურს) ამოძრავებს მიზანი, ადრესატს მიაწოდოს რაღაც გარკვეული ინფორმაცია რაც შეიძლება სწრაფად და გასაგებად და ამავე დროს მასში (მასობრივ მკითხველში) გამოიწვიოს სასურველი მიმართება შეტყობინებისადმი. ამიტომ გაზეთში ფაქტების უბრალო გადმოცემა კი არა გვაქვს, არამედ ფაქტებისადმი ავტორის დამოკიდებულება, რომელიც აშკარა ფორმითაა გამოხატული. უფრო მეტიც, ავტორი ცდილობს თავის სიმართლეში დაარწმუნოს ადრესატი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზემოქმედების ფუნქცია უკავშირდება პუბლიცისტიკის პარტიულობას, მის იდეოლოგიურ მიმარ-

თულებას. ფაქტები კომენტირებულია, ისინი საზოგადოებრივ-პოლიტიკური განმარტებითა და შეფასებითაა აღკურვლილი.

5.2.2. საინფორმაციო ფუნქცია, ისევე, როგორც შემოქმედების ფუნქცია სხვა ფუნქციური სტილებისთვისაცაა დამახასიათებელი. საინფორმაციო ფუნქცია სამეცნიერო ენის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, მაგრამ ინფორმაციის ხასიათი და მისი მოწოდების სერვისები განსხვავებულია, ამასთანავე, შემოქმედების ფუნქციაც საგანგებო-პუბლიცისტიურ მეტყველებაში სრულიად გამორჩეული ხასიათისაა. თუ სამეცნიერო მეტყველებაში ავტორი მიმართავს ადრესატის ვინებას, ლოგიკური დასკვნებისა და ზუსტი გამოთვლების მეშვეობით ასაბუთებს დებულებებს, ობიექტური არგუმენტაციით ცდილობს ადრესატის დარწმუნებას, პუბლიცისტი ამ დარწმუნებას ემოციური შემოქმედების გზითაც ეწევა, რისთვისაც ამკარად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას შეტყობინებისადმი. საყურადღებოა ისიც, რომ ეს დამოკიდებულება არ არის ღრმად ინდივიდუალური — იგი გარკვეული სოციალური ჯგუფის, კლასის, პარტიის აზრს გამოხატავს, რომელიც მასებისადმია მიმართული. ასეთი რამ სამეცნიერო ურთიერთობის სფეროში არა გვაქვს. ავტორის ემოციური დამოკიდებულების გამოვლენა სამეცნიერო სტილის ნორმიდან გადახრაა.

ასევე სხვაგვარია ინფორმაციის ხასიათიცა და შემოქმედებაც მხატვრულ მეტყველებაში. პუბლიცისტიკა და მხატვრული ლიტერატურა სხვადასხვაგვარად ასახავენ და აღადგენენ სინამდვილეს. მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილე წარმოგვიდგება არა პირდაპირ, არა უშუალოდ, არამედ მხატვრულ-განზოგადებული სახით, მას შევადგე, რაც მხატვარი გადაადნობს მას თავის „სულიერ ქურაში“. პუბლიცისტიკა კი ცხოვრებას უშუალოდ ასახავს, მისი ინფორმაცია ფაქტოგრაფიული და დოკუმენტურია, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პუბლიცისტიკისათვის უცხო იყოს ტიპიზაცია და განსოგადება. მაგრამ ეს ვლინდება არა თვით ფაქტების წარმოდგენისას, არამედ უფრო ამ ფაქტების განმარტება-გაშუქებისას (25,96).

შემოქმედების ფუნქცია არა მარტო აერთიანებს პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურას, არამედ კიდევაც გამოიჩნავს შალ, რამდენადაც მისი ხასიათი ამ ორ ფუნქციურ სტილში პრინციპულად განსხვავებულია. შემოქმედების ფუნქცია, როგორც ვამბობ,

მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ინდივიდუალური ან კოლექტიური ავტორის პოზიციის გამოხატვის ფორმით. ავტორი-პუბლიცისტი პოზიციას ყოველთვის პირდაპირ და ღიად გამოხატავს, მხატვარი-ავტორის პოზიცია კი ჩვეულებრივ რთულად და არაიშვიათად მთელი მხატვრული ნაწარმოების მრავალპლანიანი სამეტყველო და კომპოზიციური სტრუქტურით ვლინდება (25) და ამიტომ ზემოქმედებას აქ მტკიცებისა და დარწმუნების ისეთი აშკარა, აგიტაციური ხასიათი არა აქვს, როგორც საგაზეთო-პუბლიცისტიკაში.

5.2.3. საინფორმაციო ფუნქცია გაზეთში ხორციელდება ისეთი ფართო თემატიკის გადმოცემით, როგორიცაა თანამედროვეობის აქტუალური საკითხები (პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი, ფილოსოფიური, კულტურის, აღზრდის, საყოფაცხოვრებო...). გაზეთის ყოველ ნომერში ქვეყნის შინაგანი ცხოვრებისა და უცხოეთის ამბების უფართოესი და რეგულარული ასახვაა; გაზეთის ფურცლებზე ხვდება პრაქტიკულად ნებისმიერი ფაქტი, მაგრამ იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ იგი საზოგადოებრივად საინტერესო უნდა იყოს. ამ პრინციპის გამოვლენა საინფორმაციო მასალის შერჩევა და განლაგება მისი სოციალური ღირებულების თვალსაზრისით (უფრო მნიშვნელოვანი — პირველ გვერდზე, სექტში), რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მკითხველის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ასე რომ, წმინდა ინფორმაციულობა, რომელიც ზოგიერთ ქანრში გვაქვს, ფაქტების შერჩევისა და მათი მოწოდების ხასიათით მაინც ემორჩილება უფრო არსებითს, კერძოდ, — სააგიტაციო-პროპაგანდისტულ ფუნქციას.

ამგვარად, პუბლიცისტური მასალების შინაარსი, თვით მათი შერჩევა ორ ელემენტს შეიცავს — ინფორმაციულსა და შემფასებლურს: თვით ფაქტსა და მის გააზრებას კლასობრივი, პარტიული პოზიციიდან, რაც ბუნებრივია საბჭოთა პრესისათვის, რომელიც მოწოდებულია დარწმუნების გზით შექმნას გარკვეული საზოგადოებრივი აზრი. ორგანიზაციული ფუნქცია, საზოგადოების მართვის ფუნქცია, რაც საბჭოთა გაზეთს აკისრია, მხოლოდ ამ გზით შეიძლება განხორციელდეს.

ვაზეთის ამოცანებში შედის მასების განათლებაც, რაც ვულისმობს მისი მთავარი ფუნქციების არსს. გაზეთი ერთგვარად პოპულა-

ჩინატორის ფუნქციასაც ასრულებს, რადგან იგი რეგულარულად აქვეყნებს ცნობებს ახალი მეცნიერული აღმოჩენების, ტექნიკის სიახლეების შესახებ, ბეჭდავს რეცენზიებს მეცნიერულ ნაშრომებზე, წიგნებზე, სპექტაკლებზე და სხვ. რა თქმა უნდა, ასეთ მასალებში სამეცნიერო მეტყველების საშუალებებია გამოყენებული, რომლებიც არა მარტო იმ სტატიებში გვხვდება, მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციას რომ ეწევიან, არამედ იმ მასალებშიც, რომლებშიც წარმოდგენილია პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ. პრობლემების ანალიზი და განზოგადება (70,184).

ამგვარად, საინფორმაციო ფუნქცია საგანთო-პუბლიცისტური სტილის ისეთი საშუალებებით ხორციელდება, რომლებიც მეტყველების ინტელექტუალურობის გამოვლენას უკავშირდება: დოკუმენტალიზმი, რაც შედგება ობიექტურობასა და თხრობის შემოწმებულ, უტყუარ ფაქტოლოგიურობაში, გამონათქვამის ხაზგასმული დოკუმენტურ-ფაქტოლოგიური სიზუსტე — ყოველივე ეს ცხადდება ენაში ლექსიკური და ფრაზეოლოგიური საშუალებებით (მეტყველების ტერმინოლოგიზაცია, პროფესიონალიზმების ფართო გამოყენება, ტერმინოლოგიურ-პროფესიული მყარი გამოთქმების დიდი სიხშირე, დაწესებულებათა, პიროვნებათა, გეოგრაფიული პუნქტების და სხვ. დასახელებანი, ციფრები, თარიღები...). ინფორმაციის მნიშვნელობას გახაზავს თხრობის თავშეკავებულობა, ოფიციალურობა, რასაც ასევე აქვს თავისებური ენობრივი რეალიზაცია. საინფორმაციო ფუნქციასთან დაკავშირებული ფაქტოგრაფიულობისა და ანალიტიკურობის შედეგია გადმოცემის გარკვეული განზოგადება-განყენება და ცნებითობა, რაც აგრეთვე სამეცნიერო სტილის საფუძველთან საერთო არეს ქმნის.

5.2.4. ზემოქმედების ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, აისახება პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ ექსპრესიასა და შემფასებლურ ემოციურობაში. ამ თვისებათა შესაქმნელად მონაწილეობს ენის ყველა ლექსიკური და გრამატიკული ერთეული, სინტაქსური ფიგურები, ტროპები, აგრეთვე, გრაფიკული და სხვა არაენობრივი ელემენტები. ექსპრესიულ საშუალებათა გამოყენებით გაზეთის ენა უახლოვდება მხატვრულ მეტყ-

ველებას და შორდება — მეცნიერულს. რაც შეეხება შემფასებ-
ლურ მიმართებას, აქ სპეციფიკურ-ფუნქციური ვითარებაა, რის გა-
მოც ამ უკანასკნელზე შეეჭვრდებით.

როგორც აღვნიშნეთ, გაზეთი უმეტესად უბრალოდ კი არ გად-
მოგვცემს რაიმე ფაქტს, არამედ ძალიან მკვეთრად გამოხატავს ამ
ფაქტისადმი საკუთარ დამოკიდებულებას, ისწრაფვის რა აღრესა-
ტივ დაარწმუნოს თავისი დამოკიდებულების სისწორეში, რისთვისაც
პიშარტავს ენის ისეთი რესურსების მობილიზაციას, რომელ-
თაც უკეთ შეუძლიათ ადამიანთა გონებასა და გრძნობაზე ზემოქ-
მედება.

ვინაიდან გაზეთში განხილული საკითხები პოლიტიკური ში-
ნაარსისა და შეფერილობისაა, ამიტომ ლექსიკურ საშუალებათა
ამორჩევაც განპირობებულია შემფასებლური თვისებებით, იმ აუ-
ცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ გაცნობიერებულმა,
კლასობრივ-პარტიული ხასიათის გამომხატველმა ენობრივმა მასა-
ლამ ეფექტური და მიზანდასახული ზემოქმედება გამოიწვიოს მა-
სობრივ აუდიტორიაზე (125,8)! სწორედ ენობრივ საშუალებათა
სოციალური შემფასებლობაა საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის
ის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რაც მას სხვა ფუნქციურ
სტილებში გამოარჩევს.

ეს თავისებურება ყველაზე ხელშესახებად ლექსიკაში ვლინდ-
ბა. ლექსიკა გაზეთში, განსხვავებით სამეცნიერო და ოფიციალურ-
საქმიანი ტექსტებისაგან, მკვეთრად ემოციურ-ექსპრესიული შე-
ფერილობისაა. ექსპრესიაც საგაზეთო მეტყველებაში ხაზგასმით სო-
ციალური ბუნებისაა — იგი მიზანმიმართული, ამორჩევითი და შექ-
მფასებლურია. თვით შემფასებლურ პრინციპსაც, როგორც ზემოთ
აღვნიშნეთ, აქ აქვს არა ინდივიდუალური, არამედ ასევე ხაზგას-
მით სოციალური ხასიათი, რაც იმით განისაზღვრება, რომ გაზეთის
სიტყვა მარტო ავტორს კი არ ეკუთვნის, არამედ რედაქციას, იმ
საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის აზრსა და პოლიტიკას გამო-
ხატავს იგი, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატო-
რი. ამ მხრივ თვალსაჩინოა განსხვავება მხატვრულ მეტყველებას-
თან შედარებით, სადაც სიტყვის დენოტაციურ მნიშვნელობასთან
ერთად არსებული კონოტაციური მნიშვნელობები, რომლებსაც

ქმნის ემოციურ-ექსპრესიული შემფასებლური და ფუნქციურ-სტილური კომპონენტები, უმეტესად ავტორისეულ, ინდივიდუალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.

ყოველ ენაში არსებობს სიტყვები, რომლებიც არა მარტო ასახელებენ საგნებს, არამედ ამავე დროს კიდევ განსჯიან, აფასებენ მათ, რითაც მაშინვე ავლენენ მეტყველების დადებითსა თუ უარყოფით დამოკიდებულებას საგნისა თუ იმ სუბიექტის მიმართ, რომელიც ამ მოქმედებას ახორციელებს. ქართული ენის ლექსიკური ფონდი ასეთი სიტყვების საკმაო მარაგს შეიცავს.

შეფასების ნიშნით ლექსიკის ამორჩევას უფრო ინდივიდუალური და ხშირად სუბიექტური ხასიათი აქვს მხატვრულ მეტყველებაში, მაშინ როდესაც, გაზეთის ლექსიკა, უპირველეს ყოვლისა, ფაქტების, ამბებისა და მოვლენების სოციალურ შეფასებას გამოხატავს. სოციალური შეფასების პრინციპი იმაშიც ვლინდება, რომ პუბლიცისტიკის შიდასტილებრივი განვითარება ბევრ ენობრივ ერთეულს სოციალურ-შემფასებლურ თვისებას სძენს. გაზეთი ენის ლექსიკური მარაგიდან არა მარტო ამორჩევს შემფასებლურ საშუალებებს, არამედ თვითონაც წარმოქმნის მათ. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა თანამედროვე ქართულში შემდეგი სინონიმების დიფერენციაცია: გლეხკაცი, კოლმეურნე, მევენახე. გლეხკაცი თანამედროვე სოფლის მკვიდრის აღსანიშნავად ბევრად უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე კოლმეურნე და მევენახე. იგი უმეტესად იმ მასალაში იხმარება, სადაც ლაპარაკია ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე. აქ მას თითქმის ტერმინის მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ცხადია, სოციალურ შეფასებას არ გამოხატავს. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ სინამდვილეში, როცა გლეხი მხოლოდ გლეხკაცი იყო, ამ სიტყვას ზემოაღნიშნული შეფასება არ ჰქონია:

„გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გაძლებს ბატონის ხელში“ — ილია; „ნინია ... მოსიყვარულე გულის ბატონი გლეხკაცი იყო“ — ე. ვაზ.; „ძველთაგანვე ერთი ნაცნობი გლეხკაცი მყავდა, რომელთანაც აუცილებლად ჩამოხტებოდა ხოლმე მამაჩემი“ — ალ. ყაზ.; მაგრამ ამ სიტყვის გამოყენების შეზღუდვის ტენდენციამ განსაკუთრებული ვითარება შექმნა მისთვის. კერძოდ, იგი პოზიტიურ-შემფასებლურად დაიფერა და ამავე დროს სატო-

ვანგების ელფერიც მიიღო: „ქვეყნის დოვლათი, ზოგჯერ ჰირნახულს რომ ეძახიან, გლუბკაცის მოწვეულია“ — „სოფლ. ცხ.“

სხვა ვითარებაა „კოლმეურნისა“ და „მევენახის“ შემთხვევაში. მათა გამოყენების არე გაფართოვდა, ამასთანავე, კოლმეურნე იხმარებდა, როგორც სტილისტიკურად ნეიტრალური — „თავმჯდომარე კვარტალში ერთხელ მაინც აბარებს ანგარიშს კოლმეურნეებს“ — „კომ.“, ხოლო მევენახეს (ისევე, როგორც მეჩაიეს, მეკიტარულს...) პოზიტიურ-შემფასებლური კომპონენტი შეემატა, რაც გამოიწვია ამ სიტყვების რეგულარულმა ხმარებამ გაზეთის დადებით-შემფასებლურ კონტექსტებში. ამგვარად, გაზეთი, ერთი მხრივ, ენის ლექსიკური ფონდიდან შემფასებლურ ერთეულებს ამოკრებს, მეორე მხრივ კი, თვით ტვირთავს სოციალურ-შემფასებლური ელფერით სიტყვის სემანტიკასა და ამგვარად უბრუნებს ენას.

თუ სიტყვათა შერჩევის შეფასებლური პრინციპი ზემოქმედებისა და დარწმუნებისათვის გამოიყენება გაზეთის ენაში, ინფორმაციის სიზუსტეს განსაზღვრავს ისეთ ენობრივ ერთეულთა შერჩევა, რომლებიც მიუხედავად თემატური სიჭრელისა და დისპერსიული აუდიტორიისა, გასაგებია საზოგადოების ყოველი წევრისათვის. ამ საყოველთაობასა და გასაგებობას, თავის მხრივ, ხელს უწყობს საგაზეთო-პუბლიცისტური მეტყველების სოციალურ-შემფასებლური ხასიათი.

5.2.5. გაზეთის ზემოქმედებითი გავლენა, როგორც აღვნიშნეთ, ვარაუდობს სოციალური შედეგის მიღწევას, სიტყვის გადაზრდას საქმეში, ამიტომ ურთიერთობის ამ სფეროს, სადაც ავტაცია-პროპაგანდის ფუნქცია ხორციელდება, მომწოდებლური, ლოზუნგურ-დეკლარაციული ხასიათი აქვს, რაც შესაბამის ფუნქციურ-სტილურ თვისებებს აჩენს (ზმნის დრო-კილოთა თავისებური სინშირული განაწილება, ექსპრესიული სინტაქსის საშუალებათა გამოყენება და სხვ.); სიმარტივე და გასაგებობა, რაც საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილს ახასიათებს, მიღწეულია გაურთულებელი ჰიპოტაქსით, რეგულარულად გამოყენებული ლექსიკით, ტერმინოლოგიის კომინტირებით, მეტყველების სტანდარტიზაციით, რაც ასე დამახასიათებელია საგაზეთო-პუბლიცისტისათვის.

საგაზეთო მასალის ენობრივი გამომსახველობა მიღწეულია სტილისტიკური ეფექტების, სიახლეთა ძიების, უჩვეულო, გაუცვეთელი სიტყვათშეერთებათა ამორჩევა-შექმნით. ამასთანავე, გამოყენებულია ხატოვანების ის ხერხები, რაც დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურისათვის. გაზეთისათვის დამახასიათებელი რეკლამურობა განსაკუთრებით იჩენს თავს სათაურებში.

ზემოქმედების ფუნქციას უკავშირდება სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციებისა თუ სხვა ელემენტების ჩართვა გაზეთის წიგნურ ენაში. ეს მოვლენა, მხატვრული მეტყველების გარდა, სხვა ფუნქციურ სტილებს არ ახასიათებს. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც პუბლიცისტიკური ხერხი, გამიზნული მასობრივ აუდიტორიასთან უშუალო, გულახდილი კონტაქტის დასამყარებლად.

სხვა ფუნქციები (საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, ორგანიზატორული, ანალიზური, ჰედოხისტური...), რომელთა მიხედვითაც ზშირად ახასიათებენ გაზეთის დანიშნულებას, ერთიანდება ზემოქმედებით-ინფორმაციულ ფუნქციაში, რომელიც, როგორც ვნახეთ, საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ბუნებას არსებითად განმარტავს და შეესაბამება ლენინის დებულებას გაზეთის პროპაგანდისტული არსის შესახებ (70).

5.3. ექსტრალინგვისტური ფაქტორები და ძანრები

5.3.1. საგაზეთო-პუბლიცისტური მეტყველების ზემოდასახელებული ექსტრალინგვისტური ფაქტორებიდან (გაზეთის ფუნქციები და დანიშნულება, მისი შექმნის პირობები, ადრესატის მასობრიობა და დისპერსიულობა) ურთიერთობის მიზანი და პირობები მასობრივი კომუნიკაციის სფეროში ისეთი გარეენობრივი ფაქტორებია, რომლებიც აღნიშნული სტილის ქანრობრივ დიფერენციაციას იწვევს. თვით ქანრები თავისთავად მეორეული ექსტრალინგვისტური ფაქტორებია, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია სტილისტიკური თვალსაზრისით.

მრავალქანრიანობა პუბლიცისტიკისათვის ნიშანდობლივია, მაგ-

რამ იგი მეტ-ნაკლებად სხვა ფუნქციურ სტილებსაც ახასიათებს.¹ განსხვავება ამ მხრივ ისაა, რომ პუბლიცისტიკის ქანრებში ზოგჯერ სტილებრივი დაცილება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სტილური და სტილისტიკური კატეგორიები ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და ზოგჯერ ქანრების პოლარიზაციის მოვლენა აქ არსებითი ხდება. საქმე ისაა, რომ ურთიერთობის აღნიშნულ სფეროში ქანრები ერთმანეთს, პირველ ყოვლისა, უპირისპირდება ავტორისეული სტილის გამოხატვის ხარისხით. ინფორმაცია-ქრონიკებში, რომლებიც უკიდურესად ობიექტურია და, ჩვეულებრივ, შაბლონის მიხედვით აიგება, ავტორის „მე“ საცხებით უგულვებელყოფილია. მზა სტერეოტიპური ბლოკებისაგანა შემდგარი ნაკლებად სტანდარტული არაოფიციალური ინფორმაციაც. რაც შეეხება ნარკვევის ქანრს, იგი ავტორის წერის ინდივიდუალურ მანერასაც წარმოაჩენს, რითაც ერთი ნარკვევი მეორისაგან განსხვავდება და ყველა ერთად კი უპირისპირდება საინფორმაციო ქანრებს თავისი „სუბიექტურობით“ (ყოველი სიტყვა ავტორისაგან მომდინარეობს, ყველა ენობრივი საშუალება მის ინდივიდუალურ მანერას ასახავს და მთელი თხრობა ავტორის ემოციითაა შეფერილი), ამიტომ ნარკვევებსა და ფელეტონებს მხატვრულ პუბლიცისტიკას განაკუთვნებენ, რითაც ხაზგასმულია მათი სიახლოვე მხატვრულ ლიტერატურასთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგაზეთო მეტყველების სუბიექტი სოციალურად განზოგადებული და ორიენტირებულია, რაც კიდევაც აისახება ენობრივ წყობაში. მის ინდივიდუალობას არ შეიძლება ისეთი გასაქანი ჰქონდეს გაზეთში, როგორც მხატვრულ ლიტერატურაშია; ჟურნალისტიკის ინდივიდუალური მანერა ერთგვარად იჩრდილება სტილისტიკურად მრავალფეროვანი გაზეთის საერთო მასალაში. ამასთანავე, ქანრობრივი განსხვავებანი ტექსტში უფრო მნიშვნელოვნად აისახება, ვიდრე ავტორის ინდივიდუალური სტილი, რომელიც სხვადასხვა ქანრებშია წარმოდგენილი.

თუ ყველა ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თითოეული ქანრი, რომელიც აღნიშნულ სამეტყვე-

¹ სამეცნ. სტილის ქანრების შესახებ იხ. ზემოთ (1.3.3); ქართული ოფიციალურ-საქმიანი სტილის ქანრები განხილულია (6, გვ. 86).

ლო სფეროებს ემსახურება, მისი კუთვნილებაა (მაგალითად, ყველა სამეცნიერო ჟანრში მოცემული მასალა მეცნიერებაა, ოღონდ წარმოდგენილი თავისებური, განსხვავებული კომპოზიციური ორგანიზაციითა და შინაარსის დამუშავებისა და მოწოდების ხერხებით), ყველაფერი, რაც გაზეთში იბეჭდება, პუბლიცისტიკა არაა: ლექსი ან მოთხრობა, სადაც არ უნდა გამოქვეყნდეს, მხატვრულ სტილს განეკუთვნება, ხოლო ბრძანებულება ან დადგენილება — ოფიციალურ საქმეთა სტილს. ამიტომ გაზეთის ჟანრები და საგაზეთო-პუბლიცისტიკის ჟანრები ერთმანეთს არ დაემთხვევა. ისევე, როგორც სამეტყველო ურთიერთობის სხვა სფეროებში, აქაც მკვეთრი საზღვრის გავლება ჟანრებს შორის არ ხერხდება. უმთავრესი ისაა, რომ მიუხედავად ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა, მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ გაზეთის ენის ფუნქციურ ერთიანობაზე, მის მთლიანობაზე, როგორც საინფორმაციო-ზემოქმედების ფუნქციის ენობრივ განხორციელებაზე.

5.3.2. საგაზეთო ჟანრების ტრადიციული კლასიფიკაციისაგან განსხვავებულ კლასიფიკაციას გეთავაზობს ა. ნ. ვასილევა, რომელსაც მიაჩნია, რომ ზემომოყვანილ ჟანრობრივ კლასიფიკაციას ყურნალისტურ-პროფესიული ხასიათი აქვს და იგი არ არის საკმარისი გაზეთის ენის, როგორც სამეტყველო სტილის, გაცნობიერებისათვის. ამახვილებს რა ყურადღებას საბჭოთა გაზეთის ისეთ ზოგადსა და არსებით ფუნქციაზე, როგორიცაა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირება, იგი ამ ფუნქციას მისი შემადგენელი, უფრო კერძო ფუნქციების (საინფორმაციო, ანალიზური, პროპაგანდისტული, ორგანიზატორული და გასართობი) ურთიერთქმედებაში განიხილავს და მათს საფუძველზე გამოყოფს საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ქვესტილებს. ესენია: ოფიციალურ-საინფორმაციო, საინფორმაციო-საქმიანი, საინფორმაციო ექსპრესიული, არაოფიციალურ-საინფორმაციო, საზეიმო-დეკლარაციული, საინფორმაციო-ანალიზური, საგაზეთო-სამეცნიერო, განმაზოგადებელ-დირექტიული, ექსპრესიული-პუბლიცისტური, რეპორტაჟისა და ფელეტონის ქვესტილები (38,24—28). საგაზეთო ტექსტების ამგვარი ლინგვოსტილისტიკური სისტემატიზაცია ერთგვარად ტრადიციული კლასიფიკაციის შემავსე-

ბელია¹ და საშუალებას იძლევა, ყველა ქვესტილის ცალ-ცალკე შესწავლის შემდეგ, აღნიშნული სტილი ფუნქციურ-სტილისტიკურად დასასიათდეს მთლიანად და გამოვლენილ იქნეს სტილის ის ზოგადენათმეცნიერული ნიშნები, რომლებიც ჩვეულებრივ იჩქმალება ქვესტილთა სეგმენტური განხილვისას.

5.4. საბაზეთო-პუბლიცისტური სტილის მანარეგული ნიშნები

5.4.1. პირველადი და მეორეული ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად ედება საგანეთო-პუბლიცისტური სტილის სამეტყველო სისტემას, განპირობებს ამ სტილის მაწარმობელ ნიშნებსა და ამ ნიშნების ენობრივი განხორციელების საშუალებებს. მართალია, გაზეთის ენა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მრავალსტილებრივია, მაგრამ ამავე დროს ერთიანიც არის. ასე რომ არ იყოს, ენის მფლობელი ობიექტურად ვერ გაარჩევდა მას სხვა ლუნქიურ სტილებში. ვერ გამოყოფდა მას საერთოენობრივ ფონსე.

გაზეთის ენის თავისებურებათა გამაერთიანებელ ფენომენად, რომელიც დამახასიათებელია ყველა გაზეთისა და გაზეთის ყველა ჟანრისათვის, ყველა ავტორისათვის, ვ. გ. კოსტომაროვს მიაჩნია ექსპრესიული და ინფორმაციულ-სტანდარტიზებული ერთეულების კონფლიქტი, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ხარისხით ელინდება, მაგრამ ვლინდება აუცილებლად, ვიდრე გაზეთის ენის სფეროში ვიმყოფებით (74,97).

განსხვავებული თვალსაზრისი აქვს გ. ი. სოლგანის. მისი აზრით, საგანეთო-პუბლიცისტური ენის თავისებურებებს წარმოადგენს პერიოდულ პრესაში გამოყენებული ენობრივი საშუალებების

¹ შტრ. ე. პ. პროხოროვის (99) კლასიფიკაციას, რომელიც პუბლიცისტისას ასე წარმოადგენს: პუბლიცისტის გეარები — ინფორმაციული, ანალიზური, მხატვრული; ჟანრები — რეპორტაჟი, კორესპონდენცია, სტატია, ნარკვევი. ფელეტონი, პამფლეტი და ა. შ.; სახეები — პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ეთიკური, ანტირელიგიური და ანტიკლერიკალური, ლიტერატურულ-კრიტიკული; სტილები — პოლემიკური, სააგიტაციო-ორატორული, პოზიციურ-პროპაგანდისტული, კრიტიკულ-ანალიზური, სატირული.

შემფასებლურობა (დადებითი და უარყოფითი), რაც მკიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა პრესის სახელმძღვანელო პრინციპთან, კერძოდ, პარტიულობის პრინციპთან (123;121).

სხვაგვარად კრის ამ საკითხს ვ. ა. ალექსეევი. მას საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ზოგად ნიშნად შიანია ლოგიკური და ხატოვანი საწყისების ერთიანობა... „განზოგადების, ლოგიკური მსჯელობებისა და მტკიცებათა (როგორც ეს სამეცნიერო სტილშია) გაერთიანება მხატვრულ-ხატოვან კონკრეტულობასთან (როგორც ეს მხატვრულ მეტყველებაშია)“ (22;11). ლოგიკური და ხატოვანი საწყისების ერთიანობას პუბლიცისტიკაში სხვა ავტორებიც აღნიშნავენ (58), (61), (130).

საგაზეთო მეტყველების ზემომოყვანილი კონსტრუქციული პრინციპები ერთმანეთს არ გამოირიცხავს, პირიქით, ისინი გაზეთის ენის ყოველი მხრის დეტალურ ანალიზს, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებას ვარაუდობენ (111).

5.4.2. ზემოთ დასახელებული ზოგადი ნიშნების გარდა, საგაზეთო-პუბლიცისტურ მეტყველებას ახასიათებს იმპერატიულობა და გაზრდილი ემოციურობა; ორიენტაცია ფართო მკითხველზე იმგვარი ენობრივი ერთეულების შერჩევას იწვევს, რომლებიც საყოველთაოდ გასაგებია; უშუალოებისა და მკითხველთან კონტაქტის ადვილად დამყარებისათვის გაზეთი ხშირად მიმართავს სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ ენობრივ ელემენტებს, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საგაზეთო სათაურებში; გაზეთის ფორმატის შეზღუდულობა ენობრივ ერთეულთა ეკონომიას იწვევს, მაგრამ ეს ეკონომია ინფორმაციის მოცულობის საზარალო არ არის: ლაკონიური ენობრივი საშუალებებით მიღწეულია კომპრესია, შინაარსის კონდენსაცია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საპირისპირო მოვლენას — ენობრივ ერთეულთა სიჭარბესაც — მიმართავენ ზოგჯერ გაზეთში, რაც უკავშირდება ზემოქმედების ფუნქციის განხორციელების ამოცანებს; თუ სამეცნიერო მეტყველებაში ლექსიკური ერთეულებისა და გამოთქმების ორაზროვნება, ერთზე მეტი მნიშვნელობით ხმარება, სემანტიკური გადატანა, ჩვეულებრივ, არ შეიმჩნევა, აქ დამახასიათებელია. ამასთანავე, გაზეთში სხვა სტილთა ტერმინოლოგიური ლექსი-

კის რეინტერპრეტაციაც ხდება. მართალია, მასობრივი კომუნიკაციის ეს სფერო ლექსიკური არაერთგვარობით, სიჭრელით ხასიათდება, მაგრამ იგი კარგად ორგანიზებული სისტემაა; გაზეთის ენას, როგორც აღნიშნული იყო, ახასიათებს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენება, კერძოდ, იგი მიმართავს სინტაქსის ისეთ საშუალებებს, როგორცაა რიტორიკული შეკითხვები, შეძახილები. სტრუქტურული პარალელიზმი, გამეორება, ინვერსია და სხვადასხვა სინტაქსური ფიგურები, რომლებიც ექსპრესიული სინტაქსის კუთვნილებაა.

გამომსახველ საშუალებათა ფართო გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, სააგიტაციო-პროპაგანდისტული ფუნქციითაა განპირობებული. გაზეთისათვის დამახასიათებელი ორიენტაცია მასობრივ მკითხველზე, თემატიკის მრავალფეროვნება, გამოცემის პერიოდულობა და ერთდღიურობა (25,102), მისი ედუკაციური პოზიციის სინათლე თვალშისაცემ, სწრაფად აღსაქმელ ექსპრესიულ საშუალებებს შოიოსოვს. ეს საშუალებანი მუდმივ განახლებას საჭიროებენ. მართალია, გამომსახველ საშუალებათა შემადგენლობა განუწყვეტილად იცვლება, მაგრამ გაზეთის ენის ერთ-ერთი კონსტრუქციული პრინციპი — ექსპრესიასა და სტანდარტზე ერთდროული ორიენტაცია — უცვლელი რჩება. დღეს ექსპრესიული საშუალება ხვალ სტანდარტად იქცევა, მის ადგილს აუცილებლად დაიკავენ ახალი ექსპრესიული საშუალება. დინამიზმი, რომელიც ამ პროცესს ახასიათებს, შემდეგ ტენდენციას გამოხატავს: გაზეთს სჭირდება ახალ-ახალი გამომსახველობითი საშუალებანი, მაგრამ, ამავე დროს, იგი უსტანდარტებოდაც ვერ ძღვება. თვითონ დაპირისპირება ექსპრესიასა და სტანდარტიზაციას შორის, რაც გაზეთში გვაქვს, განსხვავებით სხვა სტილებისაგან, სტანდარტის როლის პიპერტროფიის შთაბეჭდილებას ქმნის, თორემ სტანდარტიზაცია არანაკლებია (ზოგჯერ — მეტადაც) დამახასიათებელი ისეთი ფუნქციური სტილები-სათვის, როგორცაა ოფიციალურ-საქმიანი და სამეცნიერო.

6.6. გაზეთის ენის სტანდარტიზაციის ზოგი არაენოზარბივი პირობა

5.5.1. მეტყველების სტანდარტიზაცია ენის გამომსახველ საშუალებათა ავტომატიზაციის, რეგულაციისა და მდგრადობის ტენდენ-

ციებს ასახავს. ამ ტენდენციათა გვერდით მოქმედებს და მათთან მუდმივ კილილშია ავტომატიზაციის დარღვევისა და მოხსნის, სამეტყველო ფორმულათა განაზღვრის ტენდენცია, რაზეც მეტყველებს ფაქტები, რომლებიც მრავლად მოიპოვება განვითარებულ სალიტერატურო ენათა ისტორიაში. ამგვარად, აღნიშნული ტენდენციები ბუნებრივი და კანონზომიერია, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ცოცხალი ენის სტანდარტიზაცია 'ზეზღუდულია თვით ენის ბუნებით, მისი ფართო ლექსიკური და გრამატიკული პოლივალენტურობით, თითქმის ყველა ენობრივი რესურსისათვის სინონიმთა არსებობით, სტილური მოქნილობით, ექსპრესიულობითა და სხვ. მიუხედავად ამ 'ზეზღუდვისა, ენაში საკმაოადაა მწა საპეტყველო ფორმულები, რომელთაც ხშირად შემდეგი ტერმინებით აღნიშნავენ: სტანდარტი, ძყარი გამოთქმა, სამეტყველო სტერეოტიპი, კლიშე, 'ეტამპი, 'ვაბლონი, ტრაფარეტი. ეს სიტყვები საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინონიმურად იხმარება, რის საფუძველსაც ქმნის მათი პირდაპირი, ტერმინოლოგიური მნიშვნელობები. მაგ., შტამპი განიმარტება, როგორც ლითონის ფორმა რაიმე დეტალების ან საგნების სერიული წარმოებისათვის შტამპვის გ'ით: შაბლონი ნიმუშია, რომლის მიხედვით ერთნაირ ნაკეთობებს ამზადებენ; კლიშე სურათის, ნახატის, ნახაზის და მისთ. პირია, რომელიც რელიეფურადაა გამოყვანილი ლითონის, ხის ან სხვა მასალის ფირფიტაზე (იყენებენ დასაბეჭდად); სტერეოტიპს ლითონის ძთლიან საბეჭდ ფორმას უწოდებენ, რომელიც ან აწყობის ან კლიშეს პირს წარმოადგენს და გაშოიყენება დიდტირაჟიასი გამოცემებისათვის. სტანდარტი ტიპობრივი ნიმუშია, რასაც ზომის, ზარისხისა და მისთ. მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს რაიმე ნაწარმი, იგი რისამე საზომი, ნიმუში, ნორმა, საფუძველია¹.

სტანდარტის განმარტება, რომელიც ერთგვარად გამორჩეულია წარმოდგენილ სინონიმურ რიგში, ნორმის ვაგებასაც შეიცავს. როგორც ჩანს, სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა ისეთი გამოთქმა, როგორიცაა „სტანდარტული ენა“ ნაცვლად სალიტერატურო ენისა (39,181). ასეთი გაიგივება, რა თქმა უნდა გაუმართლებელია, რა-

¹ განმარტებანი მოყვანილია „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“ (შემდგ. მიხ. კაბაშვილი, თბ., 1964).

ზეც აქ არ შევჩერდებით, ვინაიდან ჩვენი კვლევის საგანს მეტყველების საერთო ნორმებზე დაუყვანა, უნიფიკაცია კი არ წარმოადგენს, არამედ სტანდარტიზაცია, როგორც ენის ბუნებრივი, ობიექტური პროცესი, რომელიც მზა სამეტყველო ფორმულებს წარმოშობს.

მოვიყვანთ ზოგიერთ გამონათქვამს. ლ. ვ. შჩერბა: „სალიტერატურო ენა ხშირად გვაიძულებს, რომ ჩვენი აზრები მის მიერ წინასწარ გამზადებულ ფორმებში ჩამოვასხათ“ (153,113); ვ. ვ. ვინოგრადოვი: „თანამედროვე სალიტერატურო ენის სისტემაში სიტყვები უშეტესწილად ნებისმიერად და შემთხვევით შეკავშირებული მეტყველების ცალკეული კომპონენტებით კი არ ფუნქციონირებენ, არამედ მყარ ადგილს იკავებენ ტრადიციულ ფორმულებში. ადამიანთა უმრავლესობა ლაპარაკობს და წერს მზა ფორმულების, კლიშეს საშუალებით“ (40,121); როგორ უნდა შეფასდეს ეს, დადებითად თუ უარყოფითად? მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე გამონათქვამს:

„შტამპები მზა კონსტრუქციებია, არაიშვიათად მთელი მოძირო წინადადებები, რომლებიც ნაწილობრივ შეესაბამებიან იმას, რასაც გერმანელები „ფრთოსან სიტყვას“ უწოდებენ. ძალიან ხშირი ხმარების შედეგად ისინი კარგავენ ყოველგვარ გამომსახველობას, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში ორიგინალურ გამოთქმებადაც შეიძლება გამოდგნენ. ასეთი კონსტრუქციების წინასწარგანუზრახველი გამოყენება არცთუ მაღალი კულტურის ნიშანია. ადამიანები, რომლებმაც იციან ამ გამოთქმათა ფასი, მხოლოდ ხუმრობით თუ იხმარენ მათ“ (24,109); „კლიშე გაცვეთილი ფრაზა ან მოკლე წინადადებაა, რომელიც გამზადებულია სასწრაფო გამოყენებისათვის, იგი იმდენად გახუნებულია, რომ კარგი ორატორი ან მწერალი ყოველთვის გვერდს აუქცევს, რადგან მისი ხმარება უსიამო შთაბეჭდილებას ახდენს აუდიტორიაზე“ (169,6—7); „კლიშე ბანალური გამოთქმაა, რომელიც მუდმივმა ხმარებამ გაცივთა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კლიშე დაბალი ხარისხის გამონათქვამია, რომელსაც თავი უნდა აგარიდოთ“ (175,172); „გაცვეთილმა გამონათქვამებმა დაკარგეს ექსპრესიულობა, ისინი მხოლოდ იმისათვის იხმარებიან, რომ თავიდან ავიცილოთ ასალ გამოთქმათა შექმნის აუცილებლობა“ (168,27).

ზოგი მეცნიერი იდიომებს, ანდაზებსა და ცნობილ გამოთქმებს კლიშეს მიაკუთვნებს (173,399): ფრაზეოლოგიური შტამების ვრცელ სიებს იძლევიან უცხოელი ავტორები. ისინი არ განასხვავებენ კლიშესა და შტამს, ორივეს ფრაზეოლოგიურ კლიშესა ან სტერეოტიპულ ფრაზას უწოდებენ (160,399). (164.23), (166,165), (172,24).

ასევე აიგივებს შტამსა და კლიშეს რ. ა. ბუდაგოვი: „სიტყვიერი კლიშე ზოგჯერ გამოდევნის ხოლმე ყველა შესაძლო განმარტებას, რის შედეგადაც ენა ლარიბდება, ხოლო ნაბეჭდი წიგნებისა და სტატიების ტექსტები ისეთი ერთგვარი სიტყვიერი ფორმულებით ივსება, რომლებიც ახშობენ ცოცხალ თხრობას. დროა ბრძოლა გამოუუცხადოთ სიტყვიერ შტამებს!“ (31).

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მომამის“ ფურცლებზე გამართული დისკუსია გაზეთში შტამების გამოყენების შესახებ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ შტამები ნებისმიერ ტექსტებში მხოლოდ უარყოფით როლს ასრულებს, სამეტყველო სტერეოტიპების (სტანდარტი, კლიშე) გამოყენება სავსებით კანონზომიერი ჩანს ინფორმაციულ და ანალიზურ ქანრებში, რაც არ ითქმის, მაგალითად, მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრის შესახებ (39). ამგვარად, აღნიშნულ დისკუსიაზე სტანდარტისა და კლიშეს გამოყენების საკითხი სავაზეთო ქანრების გათვალისწინებით გადაწყდა და ამავე დროს, ერთმანეთისაგან გარჩეულ იქნა შტამი და სტანდარტი: „სტანდარტი ლინგვისტური მოვლენაა, შტამი — ფსიქოლოგიური, — წერდა ამ დისკუსიის მონაწილე ვ. კოსტომაროვი — გაზეთის ენის ბუნებრივი სტანდარტიზაცია უეჭველად ქმნის კეთილსაღურველ ნიადაგს შტამებისათვის, მაგრამ მიზეზი და შედეგი არ უნდა ავრიოთ. მით უმეტეს, რომ სტანდარტები ერთადერთი წყარო არ არის შტამებისათვის“ (73,72—73). ასეთივე აზრისაა გაზეთის ენის მკვლევარი გ. სოლგანიკი: „შტამები უნდა გაირჩეს სიტყვიერი კლიშესაგან. სიტყვიერი კლიშე მეტყველების აუცილებელი და კანონზომიერი კომპონენტია, შტამი კი სტილის ნაკლოვანებაა, იგი წაშლილი ექსპრესიისა და გამოფიტული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე კლიშეა“ (122, 64)

ამგვარად, სტანდარტი, იგივე კლიშე, სამეტყველო სტერეოტიპი ანუ სიტყვიერი ფორმულაა, რომლის საშუალებით აღვილდება

კომუნიკაციის პროცესი; იგი ენის კონსტრუქციული ელემენტია, რომელიც უკავშირდება ენის სემანტიკურ და სტრუქტურულ დაბ-ბულობას, ტევადობას, კონდენსაციას, მაგრამ ხშირი და არასწორი ხმარების გამო მკრთალდება მისი ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობა, იშლება სემანტიკა და ყოველი სამეტყველო სტერეოტიპი დუნე და მკლე შტამბად იქცევა, რის გამოც განიხილება როგორც უარყოფითი მოვლენა, როგორც ტექსტის დესტრუქციული ერთეული.

5.5.2. საკითხის ისტორიისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში გაზნეთის ენის დაშტამპულობის, სტანდარტიზაციის თეორია გ. ვინოკურმა წამოაყენა. მას მიაჩნდა, რომ გაზეთი მასობრივი კომუნიკაციის ფორმაა, რომლის ამოცანაა ახალი ამბების შეტყობინება, ინფორმაციებისა და დეპეშების გამოქვეყნება. გაზეთის სხვა ფუნქციებს მკვლევარი არ ითვალისწინებდა და ამტკიცებდა, რომ გაზეთის იდეალური ენა „უპირატესად შეტყობინებაა, უკიდურესად გაშიწვლელი და აბსტრაქტიზებული კომუნიკაცია... და სწორედ სიტყვის ამ გაშიწვლელ საკომუნიკაციო ფუნქციას ემყარება გაზეთის ენის ესთეტიკა“ (43,230). მეცნიერს პუბლიცისტური მეტყველების პრობლემები დაჰყავდა ხერხების, შტამპების, ტრაფარეტების, კლიშესა და სხვ. სიტყვიერი ფორმების კომბინირებაზე ისე, რომ არ ითვალისწინებდა თემას, შინაარსსა და ჟანრებს, რითაც იგი ენათესავებოდა „ოპოიაზის“ ცნობილ ფორმალისტურ ტენდენციას. რომელიც ლიტერატურულ პროცესს განიხილავდა როგორც იმ ხერხების სქემას, რომლებიც დროთა მანძილზე ავტომატიზაციას განიცდიან, კარგავენ მხატვრული ზემოქმედების უნარს და ამიტომ დროდადრო ჩაინაცვლებიან ახლით. ახალი ხერხები „გაუცხოების“ მეშვეობით, სიტყვასმარების ჩვეული ნორმების ნგრევით ახალ სოცოცხლეს იძენენ. აქტუალიზაციის, „ფრაზეოლოგიის გაახალგაზრდაების“ ამ პროცესს აღნიშნავდა ვინოკურიც, თუმცა უფრო ფართო მნიშვნელობით. მას ეს მოვლენა ენის თავდაცვით რეაქციად მიაჩნდა გამოხატვის საშუალებათა სწრაფი გაცევის, დაძველების წინააღმდეგ.

• მეცნიერთა ერთი ნაწილი გაზეთის ენის სტანდარტულობის თეორიას უსაფუძვლოდ და წინააღმდეგობრივად მიიჩნევს. ისინი აღნიშნავენ, რომ ტრაფარეტები, რომლებიც ვინოკურის აზრით, გა-

ზეთის ენას გამოარჩევს მეტყველების სხვა სახეებისა და ფორმებისაგან, არანაკლებაა გავრცელებული ოფიციალურ-საქმიან, სამეცნიერო, სასაუბრო და სხვ. სტილებში. თვით გაზეთის ფარგლებშიც შტამპები ერთნაირად არ ნაწილდება ქანრების მიხედვით (70), (86), (109), (120), (121).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. კოსტომაროვი პუბლიცისტაჲის სტილისტიკური პრინციპის საფუძვლად მიიჩნევს ექსპრესიისა და სტანდარტის ერთიანობას, რასაც გაზეთის ენის სპეციფიკად თვლის („გაზეთის ენა იქმნება ექსპრესიასა და სტანდარტზე ორიენტაციათა ერთდროული მოქმედებით, რომლებიც ერთიან კონსტრუქციულ პრინციპს ქმნიან“ — 74, 57). ამ ერთიანობაში პრიმატი პირველ კომპონენტს — ექსპრესიას — ეკუთვნის, მაგრამ სტანდარტის მნიშვნელობაც უდავოა.

5.5.3. გაზეთის ენის სტანდარტიზაციას განაპირობებს ის ეჭმტრალიზგვისტური ფაქტორები, რომლებიც საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილს უდევს საფუძვლად. ამ ფაქტორებზე ლაპარაკი გვქონდა ზემოთ. არის სტანდარტთა წარმოშობის სხვა მიზეზებიც: ცენტრალური პრესის ფურცლებიდან საგაზეთო მასალის ოპერატიული გადმოთარგმნა, რაც კალკირებულ სტანდარტებთან ერთად თარგმანის შტამპებსაც ამრავლებს; თემატიკის განმეორებადობა (მუდმივი თემები და ე. წ. სეზონური თემები, მაგ., სოფლის მეურნეობისა და სხვ.). საგაზეთო შტამპების ერთ-ერთი პირობაა ექსპრესიულ საშუალებათა განუწყვეტელი ძიება, თხრობის, რაც შეიძლება, თვალშისაცემში, ეფექტური, როგორც იტყვიან, მომგებიანი ფორმის მიგნება. ასეთი ექსპრესიული საშუალებანი საგაზეთო შემოქმედების განსაკუთრებულ პირობებში სწრაფად იქცევა სტანდარტად. სანქმე ისაა, რომ სხვა გაზეთების მრავალრიცხოვანი კორესპონდენტები უმალ აიტაცებენ მოხდენილსა და ხატოვან გამოთქმას, რომელიც ძალიან ჩქარა, მკითხველთა თვალწინ, ცვდება, იფიტება და, ცხადია, შტამპად იქცევა.

5.5.4. სტანდარტები მრავალფეროვანია როგორც წარმომავლობის, ისე კონსტრუქციის თვალსაზრისით. ქვემოთ მოგვყავს გაზეთის ერთი ნომრიდან ამოკრებილი სტანდარტული გამოთქმები: ადგილობრივი მეთვალყურენი, არნახული აღმავლობა, აუგად იხსე-

ნიებენ, აღებული ვალდებულებანი, ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, ახალი სიტყვა თქვეს, გადაწყვეტილებას გადასინჯვა, გაზრდილი დონე, გამოცდილების გაზიარება, განუზრელი ზრდა, გარდატეხის წელი, გმირი ქალაქები, დაკისრებული მოვალეობა, დამკვრელური უბანი, დასახული ამოცანა, დაუცხრომელი ზრუნვა, დონის ამაღლება, დღევანდელი სინამდვილე. ზრდის ტემპები, თაოსნობის ატაცება, თავისუფალი სამყარო, კონფლიქტის მოწესრიგება, ომის გამჩალებლები, მადლიერების გრძნობით, მზარდი მოთხოვნები, მდგომარეობის ნორმალიზაცია, მრავალწლიანი კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, მომქირნობით ხარჯვა, მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე, მრეწველობის რეზერვები, მიღწეულით დაკმაყოფილება, ნათელი დადასტურება, ნათელი დემონსტრაცია, ოფიციალურ ვიზიტად, საერთაშორისო დაძაბულობა, საკითხის მომწიფება, სამოქმედო ასპარეზი, საფრთხეს უქმნის, საყრილობო ნობათი, სიახლის გრძნობა, სწორება კომუნისტებზე, ტრადიციად დამკვიდრდა, უთანხმოების ნაპერწყალი, ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება, ღირსეული შეხვედრა, ყურადღების ცენტრში, შემდგომი გაფართოება, შესწოთება გამოთქვა, შრომის ფერბული, ცეცხლის შეწყვეტა, ძალების მოსინჯვა და სხვ.

ხშირად შტამპის წყაროდ იქცევა ისეთი გამოთქმები. როგორცაა: მუსიკოსთა მარათონი, საფეხბურთო მარათონი, სასტარტო წელი, მწვანე შუქი, ხუთწლედის გვარდიელი, შრომითი ვახტა. ბოლო აკორდი და სხვ.

▪ გაზეთისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მეტაფორული პერიფრაზი, რომელიც, ჩვეულებრივ, სტანდარტის მიხედვით ითხზება. სტანდარტულია იგი არა მარტო სინტაქსური სქემით, არამედ სიტყვათა შერჩევის მიხედვითაც. მაგალითად: ცისფერი საწვავი, ცისფერი ალი, ცისფერი ბილიკები, ცისფერი ეკრანი, ცისფერი ყინული, ცისფერი ოქრო, თეთრი ოქრო, მწვანე ოქრო, ყვითელი ოქრო...

მეტაფორული პერიფრაზის გავრცელება გაზეთში მისი ფუნქციებით აიხსნება. გარდა პირველადი, მხატვრულ-სახოვანი ფუნქციისა, მას აქვს სტილის საწარმოებელი, ნორმატიულ-სტილური უა „ეკონომიის“ ფუნქციები. პირველი ფუნქცია იმაში მდგომარეობს.

რომ მეტაფორული პერიფრაზი ისეთი კონფლიქტის შემქმნელი მასალაა, როგორცია სტანდარტი-ექსპრესია; ნომინაციურ აღნიშვნათა ჩანაცვლება მეტაფორული პერიფრაზით ამცირებს ერთი და იმავე სიტყვების ხმარების სიხშირეს: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე — ეკონომიის — ფუნქცია, რადგან ასეთი პერიფრაზები მრავალსიტყვიან აღწერათა გარეშე საგანს ახასიათებენ მხატვრულად და ამავე დროს: ქმნიან იმგვარ ენობრივ საშუალებათა ფორმირების ბაზას, რომელთა მეშვეობით აიგება ტექსტები, სადაც ემოციურა, ექსპრესიული და ხატოვანი სემანტიკურად ერწყმის ინტელექტუალურ ინფორმაციას (44).

ჯანმრთელობის გუშაგები (ექიმები), მყუდროების გუშაგები (რანშელები), კოსმოსის რაინდები (კოსმონავტები), ნაყოფიერების ვიტამინები (სასუქები), შავი ოქრო (ქვანახშირი), სპორტის დედოფალი (ძმლეოსნობა), ფუნჯის ოსტატი (მხატვარი), ტყავის ბურთის ოსტატი (ფეხბურთელი), ომის გამჩაღებელი (აგრესორი), ცისფერი ექსპრესი (გემი), ძალაროელთა ქალაქი (ჰიათურა), ოქროს ბიჭები (ოქროს მედეების პრიზიორები) და ა. შ. ასეთი და მსგავსი გამოთქმები განმეორების შედეგად კარგავენ თავდაპირველ სახოვანებასა და ექსპრესიულობას და ტრაფარეტად იქცევიან. ამიტომ ისინი ვერ ემუქრებიან განდევნით სტილურად ნეიტრალურ ეკვივალენტებს.

5.5.5. სტანდარტიზაციის ტენდენცია ყველაზე თვალში საცემად სათაურებში ჩანს. გაზეთში სათაურები უმეტესად კლიშეთა საშუალებით ფორმდება. განსაკუთრებით პროდუქტიულია ტრაფარეტად ქცეული რამდენიმე მოდელი: სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელს ახლავს ლოკალურბრუნვიანი სახელები ან ზმნისარტები — „მდგომარეობა ქურთისტანში“, „ცხოვრება დედამიწის ზურგზე“, „ბრძოლა ენგურის ნაპირებთან“... ელიფსური სტრუქტურები: „ჯილდო — გვირაბგამყვანებს“, „ხუთწლედის დავალება — ვადამდე“... ამგვარივე კლიშეთა ნაწარმოები ორწერტილიანი სტრუქტურებიც — „სპარტაკიად: გამოცდა, წინსვლის მოწოდება“... შტამპად იქცა სათაურში მრავალწერტილიანი არასრული წინადადებანი, სტანდარტულად ფორმდება შემავლელიანებელ-ინსტრუქციული და სარეკლამო-ესთეტიკური ფუნქციის მქონე სათაურები და სხვ. (დაწერ. იხ. 7. 3.)

საგაზეთო წერილების სათაურთა დანიშნულება — შეეკმშულად გვაცნობოს მასალის შინაარსი, დაინტერესოს მკითხველი, მოახდინოს მასზე გარკვეული ემოციური ზეგავლენა, გამოადგეს მას მეგზურად გაზეთის ფურცლებზე — ქმნის საფუძველს აღნიშნული სტილიზაციური სტრუქტურების გამოყენებისათვის.

5.5.5. გაზეთის საინფორმაციო მასალის ამორჩევის, ლიტერატურული დამუშავებისა და სტილური გაფორმების კრიტერიუმები ფუნქციურადაა განპირობებული. როგორც ფრაზათა, ისე მათი შიდასტრუქტურების სტანდარტულობა, სტრუქტურათა ისეთი სპეციფიკური კომპონენტების გამოყენება. როგორცაა, მაგალითად, „ვიზიტად იმყოფება“, „როგორც... იუწყება“, „როგორც გვაცნობის“ და მისთ. ფუნქციურად მოტივირებული და ტრადიციულია.

თეორიულ-საინფორმაციო ცნობების შინაარსობრივ საფუძველს ფაქტი-მოვლენა შეადგენს, რაც ნიშანდობლივია განსაკუთრებით პირველი ფრაზისათვის და, რა თქმა უნდა, ერთფრაზიანი შეტყობინებისათვის. ამ ქანრებში მყარი, სტანდარტული სტრუქტურაა დამკვიდრებული, რომელსაც კონცენტრულ მიმართებაში მყოფი კომპონენტები აქვს. ეს კომპონენტები შეიძლება ყოველთვის სრულად არ იყოს წარმოდგენილი, მაგრამ კონცენტრების თითოეული შემადგენელი ნაწილის გაფორმება შაბლონურად ხდება. აღნიშნული ტექსტების საფუძველს მოვლენის შინაარსობრივი სტრუქტურა წარმოადგენს, ისაა ბირთვული ნაწილიც, რომელიც უპასუხებს კითხვაზე — რა მოხდა? შემდეგ მოდის I გარემოებითი კონცენტრი — როდის? სად? შემდეგ — II გარემოებითი კონცენტრი — რასთან დაკავშირებით? რა მიზნით? III კონცენტრი ინფორმაციის წყაროზე მიუთითებს.

ცხადია, ასეთი კომპოზიციური სტანდარტები ყველა საგაზეთო ქანრისათვის არ იქნება მიზანშეწონილი და შეიძლება კვალიფიკორებულ იქნეს სტილის ნაკლოვანებად, მაგრამ მოკლე საინფორმაციო ტექსტებში მათი გამოყენება იმდენად მოხერხებულია, რომ კონსტრუქციულ ელემენტად ითვლება და არც მკითხველს უჩნდება პრეტენზია, რომ მსგავსი მასალა მხატვრულად და ორიგინალურად მიაწოდონ, საამისოდ გაზეთს სხვა ქანრები მოეპოვება, იქნება ეს მხატვრული ნარკვევი, მოგზაურობის შთაბეჭდილება თუ რაიმე პრობლემური საგაზეთო წერილი.

5.5.7. როგორც ვნახეთ, სტანდარტების სიხშირეს გაზეთის ენაში გარკვეული საფუძველი აქვს, რომელიც მუდმივად წარმოშობს ახალ-ახალ სამეტყველო სტერეოტიპებს. ცხადია, მათ იმ საერთო-ენობრივი სტანდარტების წონა და ძალა არა აქვთ, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე იძერწებოდა და მოიცავდა ადამიანთა ხანგრძლივ მრავალფეროვან ცხოვრებას, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაზე საუკეთესონი მათ შორის საერთოენობრივი კუთვნილება გახდება, რითაც კიდევ უფრო გაიზრდება ტევადი, კომუნიკაციურად მიზანშეწონილი მზა სამეტყველო ფორმულების მარაგი, რაც არათუ ეწინააღმდეგება ენის მრავალფეროვნებას, არამედ გულისხმობს კიდევაც მას. აღნიშნული სამეტყველო ფორმულების სიმდიდრე სალიტერატურო ენის მოქნილობასა და განვითარებაზე მიუთითებს.

5.6. საგაზეთო-პუბლიცისტიკური სტილის ლინგვისტიკური ინფიქციულობის შესახებ

5.6.1. ლოგიკური და ხატოვანი საწყისების ერთიანობა, რაც ახასიათებს პუბლიცისტურ სტილს, გაზეთის ენაშიც ხელშესახებია. „ყოველ პუბლიცისტურ ნაწარმოებს აქვს ზოგადი იდეა, რომელიც მისი შინაარსის არსებითი მხარეა. ნაწარმოების ცნებით-ხატოვანი სტრუქტურა პუბლიცისტური იდეის შინაგანი ფორმაა და იმავე დროს ნაწარმოების შინაარსის ცნებით-სახოვან მხარესაც წარმოადგენს... ნაწარმოების გარეგნულ ფორმას კი შეადგენს ლიტერატურული გამოხატვის საშუალებანი — ქანრები, კომპოზიცია, ენა და სხვ.“ (61,60) ის, რაც ნათქვამია პუბლიცისტიკაზე, ზოგადად საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილზეც ვრცელდება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისტორიულად პუბლიცისტიკა სამეცნიერო ლიტერატურისა და მხატვრულ-ბელეტრისტული ლიტერატურის მიჯნაზე წარმოიშვა და განვითარდა, თითქოს მოულოდნელი და ასალი წარმოქმნილ სფეროში არაფერი უნდა იყოს, რადგან იგი უკვე ცნობილი შინაგანი არსის მქონედ გვევლინება. მაგრამ როგორაა წარმოდგენილი ეს „ცნობილი“, იგი აღნიშნული ორის მექანიკური გაერთიანებაა თუ თვისებრივად განსხვავებული. ახალი. მეცნიერ. ოდენო-

მა? როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ცნებითისა და ხატოვანის შეუღლება — როგორც, შესაბამისად, ცნებითი აზროვნებისა და ხატოვანი აზროვნების შერწყმა, თუ სხვა რამ?

ამჯერა საკითხებმა წარმოშვა იდეა სინამდვილის შემეცნების შესამე, განსაკუთრებული (მხატვრულისა და მეცნიერულისაგან განსხვავებული) სახის შესახებ: „პუბლიცისტიკის ფუნქციათა, საგნის, თეოდის, შინაარსისა და ფორმის სპეციფიკურობის გამო შეიძლება ვილაპარაკოთ შემეცნების არაჩვეულებრივად თავისებურ შესასე ტიპზე, თუმცა, როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს ეს, მისი სპეციფიკურობა სხვა ორის — მეცნიერულისა და მხატვრულის — გაერთიანებაში მდგომარეობს. მაგრამ ეს არ არის მექანიკური გაერთიანება: გაერთიანება შეერთების მნიშვნელობით არასოდეს ვეჭონია — ეს არის სინამდვილის შეცნობის იმ სინკრეტული ტიპის ვაგრძელება-განვითარება, რომელიც ადამიანისათვის თავიდან იყო დამახასიათებელი და საიდანაც შემდეგ „გამოიყო“ მეცნიერება და ხელოვნება“ (98, 26).

ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტაცია ასეთია: „პუბლიცისტიკა შემეცნების შესამე ტიპი კი არაა, რომელიც მეცნიერების და ლიტერატურის შესაყარზე იმყოფება, არამედ ლიტერატურისა და პოლიტიკის (გნებავთ, სოციოლოგიისა, თუ ამ ტერმინით ვაერთიანებთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტის შესწავლას). ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მხატვრული და მეცნიერული აზროვნების სინთეზი კი არ არის, ლიტერატურისა და მეცნიერების „შეთავსებულ მეთოდს“ კი არ წარმოადგენს, არამედ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემათა მხატვრული გადმოცემა“ (30,48). ამ განმარტებას, ალბათ, უნდა დაემატოს სოციალური შემფასებლობის მომენტიც, რაც, როგორც ჩანს, პუბლიცისტიკისათვის უმნიშვნელოვანესია.

5.6.2. რაც შეეხება პუბლიცისტური სტილის ენობრივ მხარეს, აქაც ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ იგი ჰიბრიდული ხასიათისაა, რომ მას თითქოს არა აქვს ლინგვისტური ინდივიდუალობა, რაც გამოიწვია ლიტერატურულ-მხატვრული და სამეცნიერო-ადმინისტრაციუ-

ლი ტექსტების შეერთებამო. ამ მიზეზით ზოგიერთი მკვლევარი პრესის ენას ფუნქციურ სტილად არ მიიჩნევს.¹

ცხადია, მსგავსი სტილისტიკური მოვლენების ძიებით სტილთა დიფერენცირება გაჭირდება (ისევე, როგორც იზოგლოსებმა შეიძლება უარყონ დიალექტების არსებობა), მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სტილთა გამოყოფა და კერძოდ, პუბლიცისტური სტილისა, პრინციპულად შეუძლებელია. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილი გამოიყოფა იმ ნიშანთა ერთობლიობის საფუძველზე, რომლებიც პუბლიცისტიკის სპეციფიკურ ფუნქციურ დანიშნულებას შეესაბამება, კერძოდ, — ინფორმაციულ-ზემოქმედებით ფუნქციას, უფრო ზუსტად, ინფორმაციულ-შინაარსობრივი და ორგანიზაციულ-ზემოქმედებითი ფუნქციების დიალექტიკურ ერთიანობას (ე. გ. კოსტომაროვ-). გარდა ამისა, თემატურად და ჟანრობრივად არაერთგვაროვანი მასალის გაერთიანება-გაერთმნიშვნელოვანებას ახდენს ისეთი ანრობრივი ფაქტორები, როგორიცაა აღწერილი ამბისა თუ მოვლენის სოციალური ღირებულება მისი აუცილებელი შეფასებითურთ (107,91), რაც ენობრივი გამომსახველობის გარკვეულად ერთგვაროვანი საშუალებების გამოყენებას იწვევს.

¹ (87,257) — რუმინული ტექსტების მორფოსინტაქსური ანალიზის საფუძველზე ნათქვამია, რომ სამეცნიერო ტექსტების მონაცემები მკვეთრად ემიჯნება ლიტერატურულ-მხატვრულის მონაცემებს, ხოლო პრესის მაჩვენებლები დამახასიათებელია ორივესათვის. ანალოგიური ჩაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც მიუთითებენ რუსული პუბლიცისტური სტილის ლექსიკურ-გრამატიკული მახასიათებლების სიახლოვეზე სამეცნიერო თუ მხატვრულ მეტყველებასთან იხ. (51, 124—125), (68, 71—84), (93, 108—116).

6. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ლექსიკა და ფრაზეოლოგია

6.1. უახლესი

6.1.1. საგაზეთო-პუბლიცისტური ლექსიკის ობიექტურ გამოყოფას ბევრი სიძნელე ახლავს, რასაც გარკვეულად ისიც ქმნის, რომ აღნიშნული ლექსიკა ძალზე მოძრავი და ცვალებადია; სიტყვათა მთელ ჯგუფებს, რომლებიც სამი-ოთხი ათეული წლის წინათ გაზეთის კუთვნილება იყო და შეიძლება განგვემარტა, როგორც საგაზეთო-პუბლიცისტური, დღეს ასეთი მნიშვნელობა აღარა აქვს და შესაბამისი კვალიფიკაცია უკვე ისტორიულ ხასიათს ატარებს. საგაზეთო ლექსიკური სისტემა ღია სისტემაა, მისი ელემენტების შედწევა სხვა ფუნქციურ სტილთა ლექსიკურ სისტემებში და, პირიქით, ამ სისტემათა ერთეულების შემოსვლა გაზეთის ლექსიკაში სიტყვათა მოძრაობის ბუნებრივი პროცესის მაჩვენებელია. ამდენად, საგაზეთო-პუბლიცისტური ლექსიკის სტაბილურობას პირობითი ხასიათი აქვს.

მეორე მხრივ, საკუთრივ საგაზეთო ლექსიკის, ე. წ. „გაზეთიზმების“ გამოყოფას ართულებს ის გარემოებაც, რომ გაზეთში წარმოდგენილი მასალა უაღრესად მრავალფეროვანია: აქ ასახულია საზოგადოებრივი ცხოვრების, ე. ი. კომუნიკაციის ყველა სფერო, ამიტომ ამ სფეროთათვის დამახასიათებელი ლექსიკაც რეგულარულად გამოიყენება გაზეთის ფურცლებზე. რეგულარული გამოყენება კი თავისთავად იმგვარი ფაქტორია, რაც სტილურ თავისებურებას უკავშირდება და განსაზღვრავს კიდევაც მას, ამიტომ მეცნიერების, ხელოვნების და ა. შ. ლექსიკა, გაზეთის კუთვნილებად იქცევა.

ამ სიძნელეებით უნდა აიხსნას ის ვითარება, რომ განმარტებით ლექსიკონებში და კერძოდ, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, სიტყვათა გასწვრივ არ არის მოცემული ისეთი კვალიფიკაციები, როგორცაა „პუბლიცისტური“, „საგაზეთო“, „საყურნალო“. ამგვარი მითითებების პრაქტიკა აქვს რუსული ენის ზოგიერთ ანალოგიურ ლექსიკონს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე და თანამიმდევრულად¹.

მიუხედავად ამისა, საგაზეთო ლექსიკონის რეალური არსებობა გაცნობიერებულია არა მარტო სპეციალისტთა, არამედ მკითხველთა მიერაც. ამის გამოხატულებაა ფართოდ გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ გაზეთის ენა უფერული და ღარიბია (ცხადია, ეს შეხედულება მხატვრული მეტყველების ფონზეა შექმნილი), მაგრამ თუ ამ მოსაზრებას ნეგატიურ შეფასებას ჩამოვაშორებთ, შეიძლება ითქვას, რომ გაზეთის ენით წერა უბრალოდ, საქმიანად და ეკონომიურად — სამეტყველო სტანდარტებისა და კლიშეს გამოყენებით — წერას ნიშნავს (III, 47), რასაც აქტიურად გრძნობს ენის ნებისმიერი მფლობელი.

6.1.2. როგორც აღვნიშნეთ, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ გამოყოფილი არაა გაზეთის სპეციფიკური ლექსიკა, მაგრამ იმ საილუსტრაციო მასალის ანალიზი, რომელიც მოყვანილია პრესის ენიდან, გარკვეულად ავლენს გაზეთის ლექსიკონის სისტემურ ხასიათს.

ჩვენი გადათვლით ქე გლ-ში დაახლოებით 8500 (17,5%) სალექსიკონო ერთეულისთვის დასამოწმებელი მასალა აღებულია გაზეთებიდან. აქედან მხოლოდ 25%-ია დოკუმენტირებული მხატვრული მწერლობის ნიმუშებითაც, ე. ი. აღნიშნული ლექსიკონის 75%-სათვის მითითების ერთადერთი წყარო გაზეთის ტექსტია.

¹ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკონში“ (17 ტომად) მოცემულია მითითებები: „საყურნალო“, „საგაზეთო“, მაგრამ V ტომიდან მოკიდებული, ამგვარი კვალიფიკაციები ქრება, თუმცა შენარჩუნებულია „პოლიტიკური“, რაც ახლო დგას საგაზეთო-პუბლიცისტურ კვალიფიკაციასთან; ს. ი. ოქეგოვის განმარტებით ლექსიკონებში საერთოდ არაა გამოყოფილი პუბლიცისტური ლექსიკა — (125, 24).

თუ გავითვალისწინებთ ამ ლექსიკონის შემდგენელთა პრინციპს — სალექსიკონო ერთეულის მნიშვნელობის დამოწმებამ სიტყვის სმარების არეალიც უნდა გამოავლინოსო (ქეგლ, ტ. VIII, 05), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიტყვათა აღნიშნული 75%-ისათვის ტიპობრივი კონტექსტი გაზეთის ფურცლებზე შეგვხვდება.

შესწავლილი ლექსიკის თემატური შედგენილობა მრავალფეროვანია. ამასთანავე, თითქმის ყველა ლექსიკური შრე, რომელსაც სხვადასხვა საფუძველზე გამოყოფენ ლექსიკოლოგიაში, შეიძლება შეგვხვდეს საგაზეთო-პუბლიცისტური სიტყვების ჯგუფში, იქნება ეს სპეციალური თუ დარგობრივი, სტილურად შეფერილი თუ ნეიტრალური, ახალი თუ მოძველებული და სხვ.

საანალიზო მასალის თითქმის 13%-ს აქვს კვალიფიკაციები, რომლებიც მიუთითებს: ა) სიტყვის თანმხლებ ემოციურ იერზე (უპატივეცემულობა, ირონია, ზიზღი, პატივისცემა); მაგ.: პირწავარდნილი (უპატივეც.) „ამერიკის მმართველმა წრეებმა თავიანთი თავი გამოამყლანეს, როგორც პირწავარდნილმა აგრესორებმა“; საქმოსანი (უპატივეც.) — „არის შემთხვევები, როცა არტელებში გზას იკაფავენ კომბინატორები და საქმოსნები“; კალმოსანი (ირონ.) — „ბურჯუაზია და მისი დაქირავებული კალმოსნები დღესაც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა... აკრძალონ რევოლუციური პოეზიის ტიტანის მემკვიდრეობა“; დაქირავებული (გადატ. ზიზღ.) — საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტები ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას ჭადაგებენ“;

ბ) მიუთითებს დარგზე, სადაც ეს სიტყვა იხმარება. მაგ.: პირამიდონი (ფარმაკ.) — „თავის ტკივილის ...შესამცირებლად იხმარება პირამიდონი“; პორტალი (არქიტ.) — „დამთავრდა თბილისის მთავარი სამგზავრო ქადგურის ცენტრალური პორტალის აგება“; პოპულაცია (ბიოლ.) — „რაც უფრო მრავალფეროვანია შიდასახეობრივი პოპულაციები, მით უფრო მეტადაა უზრუნველყოფილი ნაირსახეობათა აყვავების შესაძლებლობა“; პუნქტუაცია (გრამ.) „საკონტროლო წერამ ცხადყო, რომ ქართული სკოლებისათვის სუსტ ადგილს წარმოადგენს პუნქტუაცია“;

გ) უჩვენებს, რომ სიტყვა ახალია, საბჭოური ან ძველია: ექსლანჯოსანი (ახალ.) — „აბრეშუმკომბინატის ბამბის საქსოვ

ფაბრიკაში საოქტომბრო შეჯიბრების პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ახალ წამოწყებას — ექვსდაზგოსანთა მოძრაობას“; კონტრაქტაცია (საბჭ.) — „კოლმეურნეობებმა შეასრულეს... სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის გეგმები“; შემოგარენი (ძვ.) — „ავტობუსი სუმგაითისაკენ დაიძრა, უკან რჩება ბაქო და მისი შემოგარენი“;

დ) მიუთითებს წიგნური, სასაუბრო, კუთხურია თუ ბარბარინზს წარმოადგენს ლექსიკური ერთეული. მაგ., „ტოლმნიშვნელოვანი (წიგნ.)“ ჩვეულებრივ სიტყვანმარებაში ცნებები „ბუნებისმეტყველება“ და „ბიოლოგია“ ტოლმნიშვნელოვნადაა გადაქცეული“; „შემოჩენილებული (საუბ.) — „ამის შემდგომ ხელი მოვაწერე შემოჩენილებულ ოქმს“; შემსრულებლობითი (ბარბარ.) — „იზრდება საბჭოთა პიანისტების შემსრულებლობითი ოსტატობა“; სოხანე (იმერ.) — „სადაცაა უნდა შეუდგეს სოხანის მოტყეპნას“;

ე) მინიშნებები: ოფიციალური, საკანცელარიო, პოეტური, რიტორიკული სიტყვის ფუნქციურ-სტილურ ელფერს აღნიშნავს: ინვენტარიზაცია (ოფიც.) — „საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობის პირუტყვის ზუსტ ინვენტარიზაციას“; ელუდუნება (პოეტ.) — „მტკვარი გედუდუნება“; დაშთება (ძვ. და რიტ.) — „მშვიდობის დაცვის საქმეში დავშთები თქვენთან — რუთ ბლეიერი, თავმჯდომარე“...¹

წიგნურის შემდეგ ყველაზე დიდ ლექსიკურ ჯგუფებს ქმნიან სპეციალური და ტექნიკური სიტყვები. გაზეთის ლექსიკურ აქტივში ამ სიტყვების დამკვიდრება სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციითა და მისადმი საზოგადოების ფართო ინტერესითაა განპირობებული. მაღალი სიხშირული მანვენებლები აქვთ სპორტული და პოლიტიკური ლექსიკის ერთეულებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქველ-ზე ჩატარებული ანალიზის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემებიდან ვერ დავადგენთ შესწავლილ სიტყვათა გამოყენების სიხშირეს საგაზეთო-პუბლი-

¹ უკლებლივ ყველა ილუსტრაცია მოყვანილი ქველ-იდან, ქართული პრესიდანაა.

ცისტურ სტილში, განმარტებით ლექსიკონში გამოყოფილი ეს ლექსიკა მაინც შეიძლება ჩაითვალოს საერთო-საგაზეთო ლექსიკად. საქმე ისაა, რომ საგაზეთო ლექსიკას შეადგენს იმ სიტყვათა უდიდესი რაოდენობა, რომლებსაც მაღალი სიხშირე არა აქვთ, მაგრამ რომლებიც შეფერილია ამ ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელი სოციალურ-შემფასებლური ელფერით. იმაღალი სიხშირის სიტყვათა ნაირგვარობა შეზღუდულია, მაგრამ თვით ეს სიტყვები მუდმივადაა გაზეთში. გაზეთ „კომუნისტის“ ერთი ნომრის სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოიყო გაზეთის თემატური სიტყვები, უფრო ზუსტად, უხშირესი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მთლიანად, სიტყვათა სხვა ჯგუფებთან შედარებით, შინაარსობრივი ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ტვირთულობენ. ეს სიტყვებია: რესპუბლიკა, კომიტეტი, შრომა, საბჭოთა კავშირი, საქართველო, საწარმო, პარტია, მრეწველობა, წელი, ქვეყანა... („კომუნისტი“, 1, VIII, 1982). ამ სიტყვათა უმრავლესობა ემთხვევა რუსული გაზეთის ანალოგიური ანალიზის შედეგად გამოყოფილ სიტყვებს (год, страна, партия, союз, колхоз, работа, производство, комитет...), ხოლო თითქმის ნახევარი — რუსული გაზეთის უხშირეს სიტყვათა ხუთეულში შემავალი ერთეულების მნიშვნელობათა ადეკვატურია (შდრ. 95).

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ უხშირესი სიტყვები (სრულმნიშვნელოვანი) ხმარების მუდმივობით გამოირჩევა და საანალიზო მასალის გაფართოება ამ მხრივ სიტყვათა სიას მხოლოდ რამდენიმე ერთეულით თუ გაზრდის. ეს სია კი წარმოდგენას გვაძლევს იმ სიტყვებზე, რომლებიც აქტუალურია საბჭოთა პრესისათვის და მიუთითებს მის იდეურ-თემატურ მიმართულებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი ლექსიკა რაოდენობრივად შემოსაზღვრულია; საგაზეთო ლექსიკის უდიდეს ნაწილს კი შეადგენს ისეთი სიტყვები, რომელთაც ფუნქციურ-სტილური შეფერილობა აქვთ. ხმარების მაღალი სიხშირე და აღნიშნული შეფერილობა ის ორი კრიტერიუმია, რომლის მიხედვით გამოყოფილი სიტყვები ემნიან ქართული გაზეთის ლექსიკის ბირთვის (შდრ. 125, 27).

6.1.3. გაზეთის ლექსიკის სისტემური ორგანიზაციის შესწავლა უფრო მოხერხებული ჩანს ფუნქციითა მიხედვით.

საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ფორმირებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, განაპირობებს პროპაგანდა და აგიტაცია, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმაცია. ეს ორი ფაქტორი ხშირად ერთდროულად მოქმედებს. საბჭოთა პრესის ამ ორი, ძირითადი ამოცანის შესაბამისად, გაზეთის ლექსიკის ორი დიდი ფენა გამოიყოფა — შემფასებლური და არაშემფასებლური¹.

გაზეთის სააგიტაციო-პროპაგანდისტული ფუნქცია ხორციელდება როგორც ე. წ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის მეშვეობით, ისე შემფასებლური სიტყვების საშუალებითაც, რომლებიც საგაზეთო ლექსიკის დიდ ჩგუფს ქმნიან. ეს ჩგუფი, როგორც ზემოთაც ვნახეთ, სალიტერატურო ენის სხვადასხვა ლექსიკურ შრეებს ეყრდნობა. მაგრამ გაერთიანებულია ფუნქციურ-სტილური ნიშნით. აღნიშნულ ჩგუფებში შემავალი სიტყვები შემფასებლობის თვალსაზრისით სამგვარი შეიძლება იყოს: ა) პოზიტიურ-შემფასებლური, ბ) ნეგატიურ-შემფასებლური, გ) ნოდალურ-შემფასებლური.

შეფასების თვალსაზრისით ნეიტრალური ლექსიკა უკავშირდება გაზეთის საინფორმაციო ფუნქციას — ახალი ამბების გადმოცემას. აქ შემოდის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედების დროსა და ადგილს — თუ სად, როდის. რა ხდება. ამ ფუნქციით განისაზღვრება მაღალი სიხშირე სიტყვებისა: წელი, დღე, თვე, დღეს, გუშინ... და სხვ. უფრო დიდია აღნიშნულ ჩგუფში შემავალი იმ ლექსიკური ერთეულების რაოდენობა, რომლებიც საგაზეთო-პუბლიცისტური მეტყველების წყობას ქმნიან. ეს, ე. წ. სამწყობრო, სიტყვები მონაწილეობენ პუბლიცისტისათვის ტიპურ არათრაზეოლოგიურსა და თრაზეოლოგიურ შესიტყვებებში, რო-

¹ ეს თვალსაზრისი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. სოლგანიკს ეკუთვნის, რომელიც თვლის, რომ ცხოვრებაში დადებითსა და უარყოფითის გამოჩენა ასახავს პოულობს ენის ერთეულთა შესაბამის დაყოფაში დადებით-შემფასებლურ და უარყოფით-შემფასებლურ საშუალებებად: საბჭოთა პრესის სახელმძღვანელო პრინციპი — პარტიულობის პრინციპი — მკიდრო კავშირშია ენის შემფასებლურ ფუნქციასთან... (123; 121).

მელთა მიზანია გაზეთის ენის ტიპიზაცია და სტანდარტიზაცია, რაც ნებისმიერი საგაზეთო ინფორმაციის ოპერატიული გაფორმების საშუალებას იძლევა.

6.2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკა

6.2.1. როგორც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ ჩანს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ სალიტერატურო ენაში, მაგრამ განსაკუთრებით დიდია მისი ხვედრითი წონა გაზეთში, სადაც მუდმივად შუქდება საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები.

ჩვეულებრივ, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას გამოყოფენ, გულისხმობენ მის შინაარსობრივ (თემატურ) დახასიათებას. ამ ჯგუფში შემოდის სხვადასხვა ტერმინოლოგიური სისტემების ერთეულები, რომლებიც აღნიშნავენ საზოგადოებრივი ცნობიერების მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვან ფორმებს. დასახელებულ ლექსიკურ ფენაში თავს იყრის ნომინაციურ ერთეულთა ისეთი სისტემა, რომელიც ნაირგვარი წარმოშობისაა, იგი სპეციალიზირებულია ლექსიკურად (ტერმინი ლექსემები), სემანტიკურად (მყარი დასახელებანი, გამოთქმები) და გამოხატავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ყოფით და ა. შ. სფეროებში სოციალურ რეალებს. ერთი სიტყვით, ამგვარი ლექსიკური ერთეულები ფუნქციონირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურის სფეროში (66, 118), (137, 63).

აღნიშნული ლექსიკის სისტემურ ხასიათს თანაბრად განსაზღვრავს როგორც ექსტრა. ისე ინტრალინგვისტური ფაქტორები.

ახალ მოვლენათა ნომინაცია ენის ტიპური შინაგანი პროცესია, თუმცა იგი მკიდროდ უკავშირდება გარეგანი ფაქტორების მოქმედებას. რაც უფრო ინტენსიურია საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც უფრო სწრაფად ვითარდება ეკონომიკა, მრეწველობა, ტექნიკა, მეცნიერება, მით უფრო ინტენსიურია ნომინაციის პროცესი (92, 60). ეს ზოგადლინგვისტური ტენდენციაა და ამ მხრივ არც ქართული წარმოადგენს გამონაკლისს.

ნომინაციის აქტიური პროცესების ფონზე ვითარდება, აგრეთვე, მეტყველების ფართო ტერმინოლოგიზაცია, რაც ასევე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებში პოულობს დასაყრდენს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკისათვის დამახასიათებელი საყოველთაო გასაგებობა მისი ტერმინოლოგიური სფეროს თავისებურებას წარმოადგენს, რაც, როგორც ჩანს, მისი ფუნქციური ნიშანია (66, 116).

ამ საყოველთაო გასაგებობის ერთ-ერთი პირობაა აღნიშნული ლექსიკის გამოყენება მასობრივი პროპაგანდისა და აგიტაციის ენაში, კერძოდ, საგაზეთო მეტყველებაში. მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც აღნიშნული ლექსიკის პუბლიცისტურობას განსაზღვრავს, მის სოციალურ-შემფასებლურ ბუნებაში ძევს (125, 30). სწორედ ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინოლოგიის სპეციფიკა, რითაც ის სხვა ტერმინოლოგიური სფეროებიდან გამოირჩევა.

ქვემოთ წარმოვადგენთ საანალიზო მასალიდან ამოკრებილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას:¹

აგიტაცია („სოხუნტის აგენტები ყველას უწევენ აგიტაციას წავიდნენ ისრაელში“ — „კომ.“, 11. 5. 1982); აგრესია, აგრესიული, აგრესორი („ისრაელის სამხედრო ხროვა მუქარიდან აშკარა აგრესიის აქტზე გადავიდა“ — „თბილ.“, 24. 6, 1982); („რესპუბლიკელთა ადმინისტრაცია აბსოლუტურად უჭერს მხარს ბრიტანეთის იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას“ — „კომ.“, 26, 6, 1982): („აშშ დელეგაციამ აგრესორს მისცა შეუზღუდავი მოქმედების შესაძლებლობა“ — „თბილ.“, 24, 6, 1982): ავანგარდი („ახ. კომ.“, 15. 5. 1982); ავანტიურა („სისხლიანი ავანტიურა“ — „კომ.“, 16. 6. 1982), ავანტიურისტული („პოლონეთი... უკვე მრავალი ოვეა განიცდის დასავლეთის ყველაზე ავანტიურისტული წრეების მრავალმხრივ ზეგავლენას“ — „კომ.“, 26, 6, 1982); ადმინისტრაცია („აშშ-ის ადმინისტრაცია აგრესიის ძირითადი ინიციატორი

¹ ილუსტრაცია ახლავს ჩვენ მიერ გაზეთებიდან მოპოვებულ მასალას, უილუსტრაციო ლექსიკური ერთეულები და გამოთქმები მოყვანილია ქველდან.

ჯა მონაწილეა“ — „თბილ.“ 24, 6, 1982), ანტისაბჭოთა, ანტისაბ-
 ჭოფრა („რ. რეიგანის გამოსვლა ხასიათდებოდა ანტისაბჭოური
 მისწრაფებებით“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); არბიტრაჟი („დაწეს-
 დება არბიტრაჟი ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის მოსაწესრი-
 გებლად“ — „კომ.“, 13, 6, 1982); აქტი („უხეში ჩარევის ვითარე-
 ბაში ჩორციელდება აგრესიის ახალ-ახალი აქტები“ — „კომ.“, 26,
 6, 1982); აქტივისტი („აქტივისტების ინიციატივით ყველა საწარ-
 მო უბანზე გაძლიერდა მომპირნეობის რეჟიმი“ — „თბილ.“, 16, 6,
 1982); აქცია („დისკრიმინაციული აქცია“ — „თბილ.“, 23, 6,
 1982); ბანდა („ბანდა, რომელიც 60 კაცისაგან შედგებოდა, აწიო-
 კებდა ალამიკამბის რაიონის მოსახლეობას“ — „კომ.“, 11, 5,
 1980); ბატალია („ბატალიები უშეღავათო იქნება“ — „ახ. კომ.“,
 1, 5, 1982); ბირთვული ომი („ბირთვული ომის საკითხი“ — „კომ.“,
 13, 6, 1982); ბოლშევიკი, ბოლშევიკური; „ბურჟუაზიული დემოკ-
 რატია“ („კომ.“ 11, 5, 1982); გამაღებული შეიარაღება („გამაღე-
 ბული შეიარაღება ღრმად ეწინააღმდეგება სოციალისტურ იდეო-
 ლოგიას“ — „კომ.“, 26, 6, 1982); გამოსვლები („მასობრივმა გა-
 მოსვლებმა არ შეიძლება გაეღენა არ მოახდინოს მთავრობებსა და
 მათს ხელმძღვანელებზე“ — „კომ.“, 13, 6, 1982); გამოცდილების
 გაზიარება („თბილ.“, 12, 6, 1982); განვითარებადი ქვეყნები, გან-
 ვითარებული სოციალისტური საზოგადოება („თანამედროვეობის
 სულ უფრო მზარდ მოთხოვნათა საფუძველზე განსაზღვრა და გა-
 მოყვება საქ. კომ. პ ცკ-მა განვითარებული სოციალისტური საზო-
 გადოების ღირსეული და სრულუფლებიანი წევრის აღზრდაში
 ოჯახის მნიშვნელობა“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); გარანტია („სუ-
 ვერენატეტისა და უშიშროების გარანტია“ — „თბილ.“, 23, 6,
 1982); გაფიცვა („ავანტიურები, წაქეზება, მოწოდებანი... გაფიც-
 ვები, იატაკქვეშა საქმიანობის ცდები სჭირდება სოციალისტური
 პოლიონეთის მტრებს“ — „კომ.“, 26, 6, 1982); გეგმა, გეგმაზო-
 მიერი („მშრომელებთან მუშაობა მთლად გეგმაზომიერად და გა-
 მისწეულად არ მიმდინარეობს“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); გენო-
 ციდი („ამ დანაშაულებრივ პოლიტიკას სახელად გენოციდი
 ჰქვია“ — „კომ.“, 26, 6, 1982); დამკვრელური („რაიკომმა... ობი-
 ექტი დამკვრელურ მშენებლობად გამოაცხადა“, — „თბილ.“, 12,

6, 1982); დამპყრობელი („სსრკ მთავრობამ მოითხოვა, რომ დამპყრობლები გაეცალონ ლიბანს“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); დაპყრობითი პოლიტიკა; დაძაბულობა („მთავარი დამნაშავე ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის გაძლიერებისა არის აშშ ადმინისტრაცია“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); დეზინფორმაცია; დეზორგანიზატორი; დეზორგანიზატორული; დეკრეტი; დემაგოგია, დემაგოგიური; დემარში; დემილიტარიზებული; დემოკრატია, დემოკრატიზმი, დემოკრატიული, დემოკრატიულობა; დეპუტატი, დეპუტატობა; დესპანი („ახ. კომ.“, 18, 5, 1982); დიალექტიკური მატერიალიზმი; დიპლომატიური; დისკრიმინაცია („ქალთა სასტიკი დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ქ. სპრინგფილდის რვა მცხოვრებმა ქალმა შიმშილობა გამოაცხადა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); დიქტატი („ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვა და სახელმწიფოთა დამორჩილება ამერიკული დიქტატისადმი“ — „თბილ.“ 24, 6, 1982); დოქტრინა („დიდ საფრთხეს ქმნიან ამგვარი უგნური დოქტრინები“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ემისარი („ვაშინგტონელმა ემისარმა წამოაყენა მოთხოვნები“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა („პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისა და არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ისრაელის ახალ აგრესიას ზურგს უმაგრებენ აშშ-ს იმპერიალისტური წრეები“ — „კომ.“, 26, 6, 1982); ეროვნულ-პატრიოტული („ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობა“ — „თბილ.“ 24, 6, 1982); ეფექტიანობა („მალღდება წარმოების ეფექტიანობა“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ექსპანსიონისტური პოლიტიკა („გრძელდება ტელ-ავივის ექსპანსიონისტური პოლიტიკა“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ექსპლუატაცია; ექსტრემისტი („ტელ-ავიველი ექსტრემისტები მთელი გაბოროტებით ცდილობენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოსპობას“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ვახტა (შრომითი ვახტა); ვერბალური ნოტა; ვეტერანი („ვეიკაცობის გაკვეთილის ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ვეტერანები“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ვეტო („რეზოლუციას დელეგაციამ ვეტო დაადო“ — „თბილ.“. 24. 6. 1982); ვიზიტი („რეიგანის ვიზიტი დასავლეთ ბერლინში“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ვულგა-

რულ-სოციოლოგიური; ზემონმოპოლისტური; თავდასხმა („აშშ-ის პრეზიდენტი... აშკარად ცდილობდა ეს ქალაქი გადაეჭია ტრიბუნად სსრკ და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე მტრული თავდასხმისათვის“ — „კომ.“, 13, 6, 1982); თანაარსებობა; თანასწორუფლებიანობა („ქალთა თანასწორუფლებიანობა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); თანაფარდობა; თაოსნობა („სანაოსნო გემების ეკიპაჟები მრავალი საყურადღებო თაოსნობის ინიციატორები არიან“ — „კომ.“, 13, 6, 1982); თეთრი სახლი („კომ.“, 26, 6, 1982); თერმობირთვული ომი („თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება“ — „კომ.“, 13, 6, 1982); თვითგამორკვევის უფლება („კომ.“, 11, 5, 1982); თვითმპყრობელური; იატაკქვეშა საქმიანობა („იატაკქვეშა საქმიანობის ცდები სჭირდებათ პოლონეთის მტრებს“ — „კომ.“, 26, 6, 1982) იდეოლოგია; იდეური, იდეური ჩამოყალიბება („არდადეგების დღეებში მთელი მუშაობა მოხმარდება მოზარდი თაობის ჰარმონიულ განვითარებას და იდეურ და ზნეობრივ ჩამოყალიბებას“ — „კომ.“, 13, 6, 1982); იდეურ-აღმწერდელობითი; იდეურ-მორალური; იდეურობა; იმპერიალიზმი, იმპერიალისტური („რეიგანი... ცენტრალურ ამერიკაში იმპერიალისტური ბატონობის შენარჩუნებისათვის მზად არის ომი გააჩალოს ამ რეგიონში“ — „კომ.“, 11, 5, 1982); ინიციატივა, ინიციატორი („აშშ-ის ადმინისტრაცია აგრესიის ძირითადი ინიციატორი და მონაწილეა“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ინტერნაციონალური („ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია კეთილსასურველი პირობები ახალგაზრდობის ჰეროიკულ-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის“ — „კომ.“, 13, 6, 1982); კამპანია („ტეტ-ჩერმა გამოთქვა მზადყოფნა გაააქტიუროს ომის კამპანია“ — „კომ.“, 13, 6, 1982); კამპანიური („სამოქმედო პროგრამა... არა ზანმოკლე კამპანიურ ღონისძიებებს, არამედ დღენიადაგ შეუპოვარ და გააზრებულ მუშაობას“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); კაპიტალის სამყარო („როგორია მშრომელთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა კაპიტალის სამყაროში“ — „სოფლ. ცხ.“, 1, 1, 1982); კეთილდღეობა („მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება“ — „თბილ.“, 16, 6, 1982); კეთილი ნების ადამიანები („ყო-

ველი კეთილი ნების ადამიანების გაერთიანებული მეცადინეობით შევქმნეთ საკადრისი პასუხი გავცეთ იმპერიალიზმს“, — „კომ.“, 3, 7, 1982); კეთილშეზობლური ურთიერთობა („თბილ.“, 23, 6, 1982); კერა („ახლო აღმოსავლეთში ომის კერის წარმოშობა“ — „თბილ.“, 24, 6, 1982; „ახლო აღმოსავლეთი საერთაშორისო დამბუღლობის საშიში კერა ხდება“ — „კომ.“, 26, 6, 1982; „შრომითი წრთობის კერა“ — „სახ. გან.“, 5, 2, 1982; „კულტურის ეს კერა უცხო არ არის თბილისელი მუსიკის მოყვარულებისათვის“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); კოალიციური; კომინფორმი; კომუნისმის მშენებლობა, კომუნისტური შრომის ბრიგადა, კომუნისტური შრომის დამკვრელი („ახ. კომ.“, 19, 5, 1982); კონვენცია; კონტრაქტი; კონტრრევოლუცია; კონსერვატორი („დიდი ბრიტანეთის კონსერვატორთა მთავრობა“ — „კომ.“, 13, 6, 1982); კონსტიტუციური მონაპოვარი („თავისუფალი დროის გონივრულად გატარება... კონსტიტუციური მონაპოვარია“ — „კომ.“, 13, 6, 1982); კონფლიქტი („არ დაუშვას რეგიონალური და უფრო დიდი სამხედრო კონფლიქტების წარმოქმნა“ — „კომ.“, 11, 5, 1982); კონფრონტაცია („ევროპის ხალხები გმოებენ კონფრონტაციასა და განიარაღების შენელებისათვის ძირის გამომთხრელ კურსს“ — „კომ.“, 1, 8, 1982); კურსი („საბჭოთა კავშირის პოზიცია მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს რეიგანის ადმინისტრაციის აგრესიულ კურსთან შედარებით“ — „კომ.“, 11, 5, 1982); ლენინური ინტერნაციონალური პოლიტიკა („ლენინურმა ინტერნაციონალურმა პოლიტიკამ ხალხთა ურთიერთობას ახალი შინაარსი შესძინა“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ლენინური შაბათობა; ლენინური შრომის ზეიმი; ლიდერი („პარტიის ლიდერი ასე რომ ამბობს, ეს იმას ნიშნავს, რომ საზარუნავი და საფიქრალი მეტი გვაქვს“ — „თბილ.“, 16, 6, 1982); მანევრი („ეს ფარისევლური, მსოფლიოს მოსატყუებლად განკუთვნილი მანევრებია“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); მართლწესრიგი („ხელშესახები გახდა მართლწესრიგის დაცვის პუნქტები“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); მარიონეტი („ამერიკის აშშ-ის იმპერიალისტური წრეები თავიანთი ინტერესებისათვის იყენებენ მარიონეტ ისრაელს“ — „კომ.“, 26, 6, 1982); მარიონეტული („ტელ-ავიველი

ექსტრემისტები მთელი გაბოროტებით ცდილობენ პალესტინის გადაქცევას მარიონეტულ სახელმწიფოდ — „თბილ.“, 24, 6, 1982); მეგობრობა („ხალხთა მეგობრობის ისტორია ასე იწერება ოქროს ასოებით“ — „კომ.“, 13, 6, 1982); მესვეური („ისრაელმა თეთრი სასლის მესვეურებისგან მიიღო 11 მილიარდი დოლარის შეიარაღება“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); მილიტარიზმი, მილიტარისტული („მილიტარისტული პირშეკვრა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); მისია („ისრაელს აშშ-მა ახლო აღმოსავლეთში ჟანდარმის მისია დააკისრა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); მიტინგი („25 ივნისს გამართული მიტინგი“ — „კომ.“, 26, 6, 1982); მიუმხრობელი სახელმწიფო („მიუმხრობელ სახელმწიფოთა ორგანიზაციის წარმომადგენლები“ — „კომ.“, 13, 6, 1982); მოკავშირე ქვეყნები („რეიგანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ფაქტობრივად ხელყოფს აშშ-ის მოკავშირე ქვეყნების სუვერენიტეტს“ — „კომ.“, 27, 6, 1982); მოლაპარაკების მაგიდა („კომ.“, 1, 8, 1982); მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი („მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება“ — „ახ. კომ.“, 6, 5, 1982); მოფაშისტე („მოფაშისტე ლიდერების ჩაბმა ევროპის საერთო პოლიტიკაში საფრთხეს უქმნის ინგლისის გავლენას ევროპაში“ — ქეგლ); მოქალაქე, მოქალაქეობრივი მრწამსი („ეს ნ. დუმბაძისა და ს. დოლიძის მოქალაქეობრივი მრწამსია“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); მოძმე ხალხი, მოძმე ერები, მოძმე რესპუბლიკები, მოძმე ქვეყნები; მოწინავე („მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდობა“ — „თბ.“, 12, 6, 1982); მუსავატელი; მშვიდობიანი მოსახლეობა („...ცინიკური გულგრილობით ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); მშვიდობიანი გზით („ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების მაგიდასთან გადაწყვეტა“ — „კომ.“, 11, 5, 1982); მშვიდობა, მშვიდობიანი თანაარსებობა, მშვიდობის დაცვა, მშვიდობისმოყვარე, მშვიდობის მოყვარული საგარეო პოლიტიკა („კომ.“, 13, 6, 1982); ნაქირი ვალდებულება („საწარმოო კოლექტივები წარმატებით ასრულებენ ნაქირ ვალდებულებებს“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ნაკლოვანება („ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ნაციონალისტური; ნეგატიური მოვლენები („ნეგატიური მოვლენების წინა-

აღმდეგ ბრძოლის კომისია“ — „კომ.“, 18, 6, 1982); ნეიტრალი-
 ტეტი; ნეოკოლონიური („ლონდონის ნეოკოლონიური კურსი“ —
 „კომ.“, 26, 6, 1982); ნოვატორი; ნოვატორული; ნორმალიზაცია
 („სსრკ და მოძმე ქვეყნები პოლონეთს ეხმარებიან მდგომარეობის
 ნორმალიზაციაში“ — „თბილ.“, 23, 6, 1982) ოკიანისგალმელი
 („ყოველი ჩვენგანი აღშფოთებულია ტელ-ავივისა და მისი ოკი-
 ანისგალმელი მფარველების დამპყრობლური პრეტენზიებით“ —
 „კომ.“, 26, 6, 1982; „ბირთვული ომის შესახებ დღეს უტიფრად
 ლაყბობენ ოკიანისგალმელი უსინდისო პოლიტიკოსები“ — „კომ.“,
 26, 6, 1982); ოკუპანტი („ისრაელი ოკუპანტი“ — „კომ.“, 27, 6,
 82); ოლიგარქია; ომი. ომის საფრთხე, ცივი ომი; ოპოზიცია; ოპო-
 რტუნისში, ოპორტუნისტი, ოპორტუნისტული; ორგანო, ორგანო-
 ბი (სახელმწიფო, პარტიული...); ოფიციალური (ცნობები, განცხა-
 დება, ვიზიტი... ოფიციალური ვაშინგტონი — „თბილ.“, 24, 6,
 1982); ოფიციაოზური; პარლამენტი, პარლამენტარული; პარტიის
 ლენინური პოლიტიკა, („გაზეთი უნდა იყოს პარტიის ლენინური
 პოლიტიკის მგზნებარე პროპაგანდისტი“ — „კომ.“, 1, 5, 1982);
 პატაკი, შრომითი პატაკი („დედაქალაქი შრომითი პატაკებით უპა-
 სუხებს მოწოდებას“ — „თბილ.“, 30, 6, 1982); პატრიოტი, პატ-
 რიოტული („წიგნის პროპაგანდის დიდი, ქემშარიტად პატრიოტუ-
 ლი მუშაობა შეავსო საინტერესო ინიციატივამ“ — „კომ.“, 13, 6,
 1982); პეტიცია („მშვიდობისმოყვარე საზოგადოებების პეტიციე-
 ბი“ — „კომ.“, 13.6, 1982); პლატფორმა; პლაცდარმი („ისრაელი
 სიონისტები აფართოებენ ძალადობისა და მკვლელობის პლაც-
 დარმს ახლო აღმოსავლეთში“ — „კომ.“, 26, 6, 1982); პოლიტიკა,
 სსრკ თანამიმდევრული პოლიტიკა, პოლიტიკური შეგნებულობა
 („არჩევნებმა დამაჯერებლად ნათელყო საბჭოთა ადამიანების
 დიდი პოლიტიკური შეგნებულობა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); პრო-
 გრესი, პროგრესული საზოგადოებრიობა („კომ.“, 26, 6, 1982);
 პროვოკატორი, პროვოკაცია; პროპაგანდა, პროპაგანდისტი; პრო-
 ტესტი („ისრაელის პრემიერ-მინისტრმა დაუფარავად განაცხადა:
 ჩვენ არ გვაშინებს არავითარი პროტესტი“ — „თბილ.“, 24, 6,
 1982); უანდარმი („ისრაელს აშშ-მა ახლო აღმოსავლეთში უან-
 დარმის მისია დააკისრა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); ცანონიობა,

რასიზმი; რატიფიკაცია („30 ივნისს იწურება ამერიკის კონგრესის მიერ დადგენილი ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ კონსტიტუციის შესწორების რატიფიკაციის ბოლო ვადა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); **რგოლი** („მიკროსაბჭოები მოსახლეობის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან დამაკავშირებელი რგოლია“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); **რეაქცია, რეაქციონერი; რეაქციულ-აგრესიული; რეაქციულ-კონსერვატიული; რეაქციულ-პოლიციური; რევანშიზმი, რევანზისტი, რევანზისტული; რევიზია, რევიზიონიზმი, რევიზიონისტი; რეზერვი** (შრომითი რეზერვები); **რეიდი** („რეიდის მასალებში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); **რეჟიმი; რესურსი** („რესურსი სახალხო დოვლათია“ — „კომ.“, 11, 5, 1982); **რეფორმისტული; საარჩევნო კამპანია** („საარჩევნო კამპანია ყველგან მიმდინარეობდა ორგანიზებულად“ — „კომ.“, 26, 6, 1982); **საბრძოლო დიდება** („ახ. კომ.“, 1, 5, 1982); **საბჭოური** („უცხოური გაზეთები... ცდილობენ დუმილით აუარონ გვერდი ყოველივე საბჭოურს“ — „კომ.“, 13, 6, 1982); **საგარეო პოლიტიკა** („კომ.“, 13, 6, 1982); **საერთაშორისო დამაბულობა** („ახლო აღმოსავლეთი საერთაშორისო დამაბულობის კერა ხდება“ — „კომ.“, 26, 6, 1982); **საერთაშორისო სიტუაცია** („პოლონეთის საქმეები არ შეიძლება განვიხილოთ საერთაშორისო სიტუაციისაგან მოწყვეტით“ — „კომ.“ 26, 6, 1982); **საწკია** („ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია მოვალეა შეიმუშაოს და ტელ-აევის წინააღმდეგ გამოიყენოს შესაბამისი ეფექტიანი საწკიები“ — „კომ.“, 27, 6, 1982); **საპროტესტო ნოტა; საყოველთაო განიარაღება; საშეფო** („მევიოლინეს ჩატარებული აქვს მრავალი საშეფო კონცერტი“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); **სეპარატიზმი, სეპარატორი, სეპარატული ჯავი; სინდიკალიზმი, სიონისტი** („სიონისტები სიკედილს თესენ ბედკრული ლიბანის მიწა-წყალზე“ — „კომ.“, 26, 6, 1982); **სიფხიზლე** („ავამაღლოთ პოლიტიკური სიფხიზლე“ — „ახ. კომ.“, 8, 5, 1982); **სოლიდარობა** („საქართველოს მშრომელები გამოხატავენ სოლიდარობისა და მეგობრობის გრძნობას“ — „კომ.“, 26, 6, 1982); **სოციალისტური თანამეგობრობა, სოციალისტური იდეოლოგია, სოციალისტური ქვეყნები, სოციალისტური შეჯიბრე-**

ბა, სოციალისტური ცხოვრების წესი („ამ ათი წლის მანძილზე ჩვენი ადამიანების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა იყო შემობრუნება სოციალისტური ცხოვრების წესის აღიარებული პრინციპებისაკენ“ — „ახ. კომ.“, 6, 5, 1982); სოციალურ-ეკონომიური განვითარება („ექსპერტები აღნიშნავენ სოციალურ-ეკონომიური განვითარების ტემპების დაჩქარებას“ — „კომ.“, 13, 6, 1982); სტაბილიზაცია („ქვეყანაში სამხედრო წესების შემოღებამ შექმნა წანამძღვრები ვითარების სტაბილიზაციისათვის“ — „კომ.“, 26, 6, 1982); სტალია („ირან-ერაყის ომი თავის ახალ სტადიაში შევიდა“ — „კომ.“, 13, 6, 1982); სტარტი („კარგად აღებულ სტარტზე დიდადაა დამოკიდებული მომავალი წარმატება“ — „ახ. კომ.“, 8, 5, 1982); სტიმული („მშობა, მეგობრობა ახალი შემაართების სტიმულს იძლევა“ — „კომ.“, 3. 1. 1982); სტრატეგიული შეიარაღება („თბილ.“, 2, 7, 1982); სუვერენიტეტი („ლაპარაკი ზედმეტია არგენტინის სუვერენიტეტზე“ — „კომ.“, 26, 6, 1982); („სუვერენული ლიბანი“ — „კომ.“, 26, 6, 1982); უანექსიო; ულტრაიმპერიალიზმი; ულტრანაციონალისტი; უპორტფელო მინისტრი; ურთიერთგაზიარება („საზეიმო შეხვედრები, აზრის ურთიერთგაზიარება წარუშლელად აღიბეჭდა სტუმართა და მასპინძელთა მეხსიერებაში“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ურთიერთმეგობრობა; უფლებამოსილება („ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როცა საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მეშვეობით თავიანთ მაღალ უფლებამოსილებას იყენებენ პირადი მოგების მიზნით“ — „სოფლ. ცხ.“, 7, 5, 1982); უშიშროება („სუვერენიტეტისა და უშიშროების გარანტია“ — „თბილ.“, 23, 6, 1982); ფლაგმანი; ფრაქციონერი; შანტაჟი („ეკონომიკური შანტაჟის, უხეში ჩარევის ვითარებაში ხორციელდება აგრესიის ახალ-ახალი აქტები“ — „კომ.“, 26, 6, 1982); შეგნებულობა („აღზრდა უწყვეტი პროცესია, რომელმაც უნდა განაპირობოს კომუნიზმის მშენებლობის მრწამსი — შეგნებულობა“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); შეიარაღება; შემობრუნება („კარდინალური შემობრუნება განიარაღებისა და მშვიდობისაკენ“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); შეფობა („შეფობა შემოქმედებითმა კავშირებმა იკისრეს“ — „კომ.“, 13, 6, 1982); შრომითი დიდება („ახ. კომ.“, 1, 5,

1982); შრომითი ვახტა („კომ.“, 13, 6, 1982); ჩათრევა („იმპერი-
ლისტური ქვეყნები მიზნად ისახავენ ირან-ერაყის ომში ჩაითრიონ
სხვა არაბული ქვეყნებიც“, — „კომ.“, 13, 6, 1982); ჩარევა
(„სსრკ გადაჭრით გმობს ყოველგვარ ჩარევას სხვა სახელმწიფოთა
საქმეებში“ — „კომ.“, 11, 5, 1982); ძალადობა („ძალადობისა და
მკვლელობის პლაცდარმი“ — „კომ.“, 26, 6, 1982); ძმობა („ქვეშა-
რიტი ძმობისა და მეგობრობის ნათელი გამოსატყულება“ —
„თბილ.“, 24, 6, 1982); ძმური („მეგობრობა და თანამშრომლობა“ —
„თბილ.“, 2, 7, 1982); წამოწყება („ახალი წამოწყება“ — „თბილ.“,
2, 7, 1982); ხარისხი, ხარისხის ნიშანი, ხარისხის ნიშნიანი („ხარის-
ხის ნიშნიანი პროდუქცია“ — „თბილ.“, 16, 6, 1982); ხროვა („ის-
რაელის სამხედრო ხროვა მუქარიდან აგრესიის აშკარა აქტზე გა-
დავიდა“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ხუთწლელი, ხუთწლედის გვარ-
დიელი („ბევრი მეომარი თადარიგში დათხოვნის შემდეგ ავსებს
ხუთწლედის გვარდიელთა რიგებს“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ჭილ-
დო („მხურვალედ მიულოცეს ამურის კომსომოლსკის მშრომე-
ლებს სამშობლოს ჭილდო“ — „კომ.“, 26, 6, 1982); ჭუნგლის-
კანონი („არ შეიძლება ჩვენს საუკუნეში ჭუნგლის კანონით მოქ-
მედება“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ჰარმონიული განვითარება
(„მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარება“ — „კომ.“, 13, 6,
1982); ჰორიზონტები („აღორძინების ჰორიზონტები“ — „სოფლ-
ცხ.“, 3, 1, 1982);

ცხადია, ზემოთ მოყვანილი მასალა მხოლოდ ნაწილია საზოგა-
დობრივ-პოლიტიკური ლექსიკისა, მაგრამ ისეთი ნაწილი, რომე-
ლიც ფართოდ გამოიყენება ქართულ პრესაში. წარმოდგენილ სი-
ტყვათა ერთი ჯგუფი შეფასებას ლექსიკური სიტყვაწარმოებითი
საშუალებებით აღწევს, მეორე, უფრო მოზრდილი ჯგუფისათვის
შეფასება მისი ელემენტების სემანტიკურ სტრუქტურაში ძვეს.
თითქმის ყოველ სიტყვასა და გამოთქმას გარკვეული იდეოლოგიუ-
რი წონა აქვს და მისი სემანტიკური არსი ამა თუ იმ სოციალურ
რეალიასთან მიმართებით განისაზღვრება. სოციალური ზემოქმე-

დება ამ ლექსიკის თემასა და განვითარებაზე ბევრად უფრო უშუალო და ხელშეახებია, ვიდრე ენის ლექსიკური ფონდის სხვა ფენებზე¹.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკისათვის შემფასებლური ელემენტის თანხლება განსაკუთრებით დამახასიათებელია გაზეთში. სიტყვები: კონფრონტაცია, კოლონიური სტატუსი, მილიტარიზმი, ოკუპანტი... არა მარტო ასახელებენ ცნებებს, არა მარტო ლოგიკურ შინაარსს გადმოგვცემენ, არამედ მკითხველის ემოციურ რეაქციასაც იწვევენ. ასევეა: ნოვატორი, მშვიდობისმოყვარე, პატრიოტი და სხვ. ყველა ისინი სინამდვილის ფაქტებისადმი ემოციურ დამოკიდებულებას აღძრვენ. აღწერილი ტიპის ზოგიერთი სიტყვა მუდმივი საგაზეთო კონტექსტის მეშვეობით უკვე ამ კონტექსტს აღარ საჭიროებს, იმდენად შემოიმტკიცა შემფასებლური უნარი.

უარყოფით და დადებით შეფასებათა შორის დაპირისპირება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის დამახასიათებელი თავისებურებანაა, რაც ფუნქციურ-სტილისტიკურადაცაა გამოყენებული გაზეთში. აღნიშნული ლექსიკა, როგორც სოციალურად აუცილებელი და მნიშვნელოვანი, ენის პრაგმატიკული ფუნქციის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; მისი როლი იზრდება განსაკუთრებით მძაფრი სოციალური მოვლენების, რევოლუციური გარდაქმნებისას (65, 14).

6.2.3. სტილისტიკური თვალსაზრისით ნეიტრალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვებიც კი გაზეთში შემფასებლურ ექსპრესიას იძენენ. ერთი ჯგუფი ამ სიტყვებისა აშკარად დადებით-შემფასებლურია, რაც უკავშირდება იმ ცნებების გამოხატვას, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი მსოფლმხედველობისათვის; მეორე ჯგუფი გამოხატავს იდეოლოგიურად მტრულ ცნებებს და ამიტომ უარყოფით-შემფასებლურია (125, 33).

არჩევენ ექსპლიციტურსა და იმპლიციტურ შემფასებლობას. ექსპლიციტურ შემფასებლურია საზოგადოებრივ-პოლიტიკური სი-

¹ ლექსიკის სოციალური ასპექტის შესახებ იხ. (33), (34), (45), (78), (92), (137), (141), (156), (157).

ტყეები, რომელთა შემფასებლობა მათს სემანტიკურ სტრუქტურაში შედის და უკონტექსტოდაც ცხადია ხოლო იმპლიციტურ-შემფასებლურია ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვები, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში იჩენენ შემფასებლობას. ეს ჩვეუთი უფრო მრავალრიცხოვანია.

როგორც ჩანს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკა შეიძლება დაიყოს: 1. იმპლიციტურად კლასობრივ, მაგრამ ექსპლიციტურად უკლასო და 2. იმპლიციტურად და ექსპლიციტურად კლასობრივ ფენებად (138, 33). მაგალითად, პირველს განეკუთვნება სიტყვები: აგიტაცია, ადმინისტრაცია, არბიტრაჟი, აქტივისტი, ვეტერანი, თანამშრომლობა... მეორეს — ბოლშევიზმი, ანტისაბჭოური, დისკრიმინაცია, დემაგოგია, აგრესია... მეორე ჩვეუთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვები იმ სოციალური კლასის შეფასების ელფერს იძენენ, რომლის პოზიციიდანაც ხდება საზოგადოებრივი სინამდვილის გაცნობიერება. მათს უზუსტურ გამოყენებასა და გაგებაში შედის კლასობრივი, სოციალური მომენტი (138, 65).

როგორც ზემოთაე აღვნიშნეთ, შემფასებლობა ახასიათებს არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას. არამედ გაზეთის ფურცლებზე წარმოდგენილ მთელს ენობრივ მასალას, ამიტომ. სანამ უშუალოდ შემფასებლურ სიტყვებსა და გამოთქმებს განვიხილავდეთ, შევეცებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის ორ სპეციფიკურ კლასს.

6.2.4. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას განეკუთვნება საბჭოთა ეპოქასთან დაკავშირებული ისეთი ახალი სიტყვების კლასი, რომელთაც კვეცილფუძიან კომპოზიტებს, ანუ შემოკლებულ რთულ სახელებს უწოდებენ. ისინი ფართოდ გავრცელდა როგორც ნიადაგსამარ მეტყველებაში, ისე საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილში. მათი დიდი ნაწილი ქართულ სალიტერატურო ენაშიც შევიდა და ზოგი მათგანი ძირითად ლექსიკურ ფონდშიც დამკვიდრდა. მაგ., კოლმეურნეობა, კომკავშირი... ბევრმა შემოკლებულმა სახელმა ისე მოიკიდა ფეხი ენაში, რომ მთლიანად გამოდევნა ის შესიტყვებანი, რომელთაგანაც წარმოიშვა თვითონ. ამგვარი შემოკლებანი მეტწილად მორფემულია და არა ასობრივი.

ქვემოთ მოგვყავს ის შემოკლებანი, რომლებიც ქართული პრე-

სის ფურცლებზე რეგულარულად გვხვდება. სიაში შეტანილია სპეციალური ლექსიკაცა და დაწესებულებათა დასახელებანიც: ავიაშენაერთი, ელექტრობურღი, ელექტროგადამცემი, ელექტროგანათება, ელექტროგაყვანილობა, ელექტროდანადგარი, ელექტროდომკრატი, ელექტროენერგია, ელექტროექსკავატორი, ელექტროკაეშირგაბმულობა, ელექტროკომბაინი, ელექტროლაბმიონი, ელექტრომაგალი, ელექტრომაცივარი, ელექტრომექანიკური, ელექტრომოტორი, ელექტრომრეწველობა, ელექტროსაბურღი, ელექტროსალეწი, ელექტროსაპარსი, ელექტროტრაქტორი, ელექტროთურიკა, ელექტროურო, ელექტროღუმელი, ელექტროშემდუღებელი, ველოგადარბენა, ველოდრომი, ველოკროსი, ველომარბიელი, ველომარულა, ველორბოლა, ველოსპორტი, ველოსტადიონი, ველოტრეკი, ველოშეჯიბრება, ზოოვეტმომსახურება, ზოოვეტნერსონალი, ზოოვეტსპეციალისტი, ზოოვეტუბანი, ზოოვეტწესები. თბოელექტროსადგური, თბოელექტროცენტრალი, თბოენერგეტიკა, თბოენერგეტიკული, თბოენერგია, თბომავალი, თბოპროცესი, თბოსადგური, თბოტექნიკა, თბოუნარიანობა, თბოფიკაცია. კინოაპარატი, კინოაპარატურა, კინობაზა, კინოგადამღები, კინოგამოშვება, კინოგაქირავება, კინოგრამა, კინოდანადგარი, კინოდანობაზი, კინოდოკუმენტი, კინოფრაზა, კინოდრამატურგი, კინოდრამატურგია, კინოდრამატურგიული, კინოთეატრი, კინოლაბორატორია, კინოლენტი, კინომაყურებელი, კინომექანიკოსი, კინომომსახურება, კინომრეწველობა, კინომსახიობი, კინომუშაკი, კინონარკვევი, კინონაწარმოები, კინოპავილიონი, კინოჟურნალი, კინოსეანსი, კინოსტუდია, კინოსურათი, კინოსცენარი, კინოფესტივალი, კინოფილმი, კინოქრონიკა, კინოქსელი, კინოწარმოება, კინოხელოვნება, კოლმეურნე, კოლმეურნეობა, კოლწევრი, კომინფორმი, კომკავშირი, კომკავშირული, კომპარტია, კულტინვენტარი, კულტლამწერობა, კულტმასობრივი, კულტმაღაზია, კულტმომსახურება, კულტმუშაკი, კულტსაგანმანათლებლო, კულტსბაჭო, კულტსაქალი, კულტფონდი, ლიტმუშაკი, ლიტფონდი, ლიტწრე, მედპერსონალი, მედტექნიკუმი, ორგკომიტეტი, პარტბიურო, პარტორგანიზაცია, პარტსტაჟი, პარტჯგუფი, პარტკომი, პარტჯგუფორგი, პარტრანიკომი,

პედინსტიტუტი, პედკაბინეტი, პედკოლექტივი, პედსაბჭო, პედსას-
წავლებელი, პედპრაქტიკა, პოლიტგანათლება, პოლიტგანყოფილე-
ბა, პოლიტდარგი, პოლიტლიტერატურა, პოლიტინფორმაცია, პო-
ლიტმასობრივი, პროფექტივი, პროფბილეთი, პროფბიურო, პროფ-
ბიუჯეტი, პროფკომი, პროფორგი, პროფსაბჭო, პროფგუფორგი,
რაიადგილკომი, რაიკოოპერაცია, რაიპროკურატურა, რაიკომი,
რაისაბჭო, საკდესი, სოფსაბჭო, სოცდაზღვევა, სპეცსასწავლებელი,
სპეცხალათი, სპორტთამაშობა, სპორტდარბაზი, სპორტკლუბი,
სპორტმოედანი, სპორტნაგებობა, სპორტსკოლა, სპორტსკოლელი,
სპორტსასოგადოება, ტურბაზა, ფიზორგი, ფოტობიულეტენი, ფო-
ტოგაზეთი, ფოტოგამოფენა, ფოტოდოკუმენტი, ფოტოილუსტრა-
ცია, ფოტომონტაჟი, ფოტონარკვევი, ფოტოკორესპონდენტი, ში-
ნაპროფკავშირული, ჯანდაცვა...

ზოგიერთი რთული ფუძის პირველი შემადგენელი ნაწილი
(ელექტრო, ველო, თბო, კულტ...) იმდენად დამკვიდრებულია სა-
ერთო ენის ლექსიკაში, რომ ლექსიკურ-მორფოლოგიურ ელემენტ-
თა თავისებურ ფენას ქმნის. ამ ელემენტებმა დაკარგეს მორფო-
ლოგიური კავშირი ამოსაველ ერთეულებთან და კვეცილფუძიან
კომპოზიტთა მთელ სერიას დამოუკიდებლად აწარმოებენ ისე,
რომ რეალურად უკვე აღარ გააჩნიათ შესამოკლებელი შესიტყვე-
ბები. ამგვარი კომპოზიტები ერთი მოდელით იწარმოება — კვე-
ცილფუძიანი ზედსართავი + შეუკვეციელი არსებითი სახელი ან სა-
ხელწმნა.

6.2.5. ზემოგანხილულ კომპოზიტთა გვერდით ფართო გავრცე-
ლება პოვა გაზეთში ისეთმა ორშემადგენლიანმა რთულმა სახე-
ლებმა, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საროუ-
ლესა და მრავალმხრივობას ასახავენ. მათი წარმოშობა, როგორც
ჩანს, განაპირობა შრომისა და შრომითი პროცესების, განვითარე-
ბული მეცნიერების დიფერენციაციამ; ურთიერთობისათვის მოსა-
ხერხებელი, თვისების, მოვლენის, აქტისა და მოქმედების ზუსტი
კვალიფიკაციის აუცილებლობამ. ამგვარი კომპოზიტების ნიმუშე-
ბია: დაზგა-დანადგარები, დეკადენტურ-სიმბოლისტური, დოკუ-
მენტურ-ქრონიკული, დრეკად-პლასტიკური, ზოოლოგიურ-სავე-

ტერინარო, ზღაპარ-კომედია, თათბირ-სემინარი, თეატრალურ-დეკორაციული, თეორიულ-ეკონომიკური, იარაღ-მანქანები, იდეურ-აღმზრდელობითი, იდეურ-ესთეტიკური, იდეურ-თეორიული, იდეურ-ინტელექტუალური, იდეურ-მორალური, იდეურ-მხატვრული, იდეურ-პოლიტიკური, იდეურ-შემოქმედებითი, ინდუსტრიულ-აგრარული, ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო, ინჟინერ-დამპროექტებელი, ინჟინერ-დისპეტჩერი, ინჟინერ-მეტალურგი, ინჟინერ-ტექნიკოსი, ინჟინერ-ტექნიკური, ინჟინერ-ტექნოლოგი, ინტელექტუალურ-ესთეტიკური, იუმორისტულ-სატირიკული, კამერულ-ინსტრუმენტული, კამეოლ-მაუდი, კლინიკურ-დიაგნოსტიკური, კოქკავშირულ-ახალგაზრდული, კონტრეგოლუციურ-ჯაშუშური, კულტურულ-მასობრივი, კულტურულ-მატერიალური, კულტურულ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, ლირიკულ-გმირული, მასობრივ-აღმზრდელობითი, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო, მემამულურ-კაპიტალისტური, მორალურ-საბრძოლო, მორალურ-ფიზიკური, ორგანიზაციულ-მასობრივი, ორგანიზაციულ-პოლიტიკური, ორგანიზაციულ-პრაქტიკული, ორგანიზაციულ-საშეურნეო, ორგანიზაციულ-ტექნიკური, პოლიტიკურ-იდეური, პოლიტიკურ-მასობრივი, პოპულარულ-მეცნიერული, საზოგადოებრივ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-სასარგებლო, სათბობ-ენერგეტიკული, სამეურნეო-კულტურული, სამეურნეო-პოლიტიკური, სამეურნეო-საფინანსო, სამეცნიერო-პოპულარული, სამთო-ტექნიკური, სამთო-სათხილამურო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-სტრატეგიული, საერთო-საგანმანათლებლო, საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-საქალაქი, საექსპერსიო-ტურისტული, საირიგაციო-სამელიორაციო, სასწავლო-საეარჯიშო, საფაბრიკო-საქარხნო, საღამო-კონცერტი, საღამო-წარმოდგენა, საწარმო-დაწესებულება, სახალხო-დემოკრატიული, სახალხო-სამეურნეო, სოციალურ-კულტურული, სპორტსმენ-თანრიგოსანი, სწავლა-აღზრდა, სწავლა-განათლება, ტაქტიკურ-კომბინაციური, ტაქტიკურ-ტექნიკური, ტექნიკურ-ეკონომიკური, ტექნიკურ-სამნეო, ტურისტულ-ალპინისტური, უხნავ-უთესი, ფანტასტიკურ-სათავა-

დასავლო, ფიზკულტურულ-სასპორტო, ღირსება-ნაკლოვანება, შე-
მოსავალ-გასავალი, შენახვა-დაცვა, შრომა-გასწორება, შრომა-საქ-
მიანობა, შემხვევ-შემფუთავი... და სხვ.

ზემოჩამოთვლილი ლექსიკა საწარმოო ურთიერთობებთანაა
დაკავშირებული და გამოხატავს ადამიანთა საქმიანობას საზოგა-
დოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორცაა მატერია-
ლური და სულიერი ფასეულობების შექმნა, მათ შორის სახალხო
მეურნეობა, იდეოლოგია, ესთეტიკა, ზნეობა.

ორივე რიგის კომპოზიტები ლექსიკის მოძრავი და ინტენსი-
ური ჯგუფია, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს სოციალურ ცვლი-
ლებებს. აღნიშნულ ჯგუფთა გაფართოება შეუზღუდავია, ამ მხრივ
განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე ჯგუფი, რომელიც უშუალოდ
უკავშირდება სამყაროს სულ უფრო ღრმა წვდომას, მისი რაც
შეიძლება სრულყოფილი ასახვის მიზანს. რა თქმა უნდა, არაენობ-
რივი სინამდვილე ვერ გახდება ლექსიკის, როგორც ენობრივი სის-
ტემის, კლასიფიკაციის საფუძველი, მაგრამ სინამდვილის ასახვას-
თან მიმართება გარკვეულად ავლენს ლექსიკის განვითარების პო-
ტენციას.

თუ კვეცილფუძიანი კომპოზიტები უმეტესად მხოლოდ ნომინა-
ციური მნიშვნელობისაა და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ნე-
იტრალურია შეფასების თვალსაზრისით, მეორე რიგის რთულ სა-
ხელთა სამი მეოთხედი მიმართებითი ზედსართავეებია, რომელთაგან
ბევრი იმპლიციტურ-შემფასებლურია მათი ატრიბუტული ბუნე-
ბის გამოც.

6.2.6. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის ჯგუფში შემა-
ვალი ზედსართავეები ძირითად ფუნქციასთან (საგნის თვისების
გამოხატვა) ითავსებენ შეფასების ფუნქციასაც. ეს განსაკუთრე-
ბით ვრცელდება ერთშემადგენლიან მიმართებით ზედსართავეებზე.
აღნიშნულ პროცესს ფართო ხასიათი აქვს და მოიცავს, უპირველ-
ეს ყოვლისა, აქტუალური შინაარსის მქონე სიტყვებს. მაგ., ზედ-
სართავი კლასობრივი ახალ მნიშვნელობას ქმნის, რომელიც ამ
თუ იმ კლასის იდეოლოგიურ ინტერესებს შეესაბამება; იდეური
პოზიტიურ-შემფასებლობას იძენს, დადებითი იდეითაა განმსჭვა-

ლული; სააგიტაციო აგიტაციას არა მარტო უკავშირდება, არამედ აგიტაციის სულისკვეთებითაცაა აღსავსე; მასობრივის ერთ-ერთი მნიშვნელობა ფართო მასების მონაწილეობაა; სიტყვები სოციალისტური და კომუნისტური არა მარტო სოციალიზმთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებია, არამედ სოციალიზმისა და კომუნისმისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობებიც; საბჭოთა არა მარტო საბჭოების ხელისუფლებასა და ქმედებას გულისხმობს, არამედ იდეოლოგიურად მტკიცე, სოციალიზმის მშენებლობის ერთგული ინტერესებისა და ამოცანების გამომხატველია; პარტიული კომუნისტურ პარტიასთან მიმართებით ისეთ თვისებრივ შემფასებლურ სემანტიკას იძენს, როგორცაა კომუნისტური იდეოლოგიით გამსჭვალული, კომუნისტური პარტიისა და მისი პროგრამის სულისკვეთების შესაბამისი (104, 219), (125, 35).

ამგვარად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვები საგაზეთო ლექსიკის ისეთ ბირთვს წარმოადგენს, რომელსაც თვისებრივადაც და რაოდენობრივადაც დიდი მნიშვნელობა აქვს საგაზეთო-პუბლიცისტური ლექსიკის სისტემური ორგანიზაციისათვის.

6.3. უამჟანახლური ლექსიკა

6.3.1. ქართულ გაზეთებში რეგულარულად და მყარად გამოყენებული პოზიტიურ-შემფასებლური ლექსიკიდან განვიხილოთ ზოგიერთი:

ავანგარდი; ავტორიტეტი („გამორჩეული ჩანს მიკროსაბჭოების როლი, ხელი, ავტორიტეტი და აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); **ამაღლება** („მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება“, „მშობლის პერსონალური პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლება“, „ფილმის რეალური პერსონაჟები ჩვენი დროის გმირების დანიშნულებამდე მალღდებიან“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); **ამაღლებული** („მშენებლებს ამაღლებული განწყობილება აქვთ“ — „კომ.“, 13, 6, 1982); **ალალი** („ქვეყნად არაფერი შეედრება ალალი შრომით მონიჭებულ სიხარულს“ — „ახ. კომ.“, 8, 5, 1982); **არნახული** („უკანასკნელი ათწლეული საბჭოთა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მართლაც რომ არნახული

აღმავლობის ათწლეულია“ — „ახ. კომ.“, 6, 5, 1982); აქტივისტი („აქტივისტების ინიციატივით ყველა საწარმო უბანზე გაძლიერდა მომქირნეობის რეჟიმი“ — „თბილ.“, 16, 6, 1982); აქტიური („ქართველ წიგნის მოყვარულები წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთ აქტიურ და ქმედით რაზმს შეადგენენ“ — „კომ.“, 13, 6, 1982); აქტიურად („მოწინავე შეიდეულს აქტიურად ეხმარება წუნძღები ლამარა გაგნიძე“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); აქტიურობა („წლევანდელი წელიწადი დიდი შრომისა და შემოქმედებითი აქტიურობის მაგალითებით არის აღსავსე“ — „კომ.“, 13, 6, 1982); აღმავლობა (არნახული აღმავლობა); აღმასვლა („აღმასვლის ციფრები“ — „კომ.“, 13, 6, 1982); აღმშენებლობითი („საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და აღმშენებლობითი შრომის ამსახველი წიგნები“ — „თბილ.“, 23, 6, 1982); აღორძინება („აღორძინების ჰორიზონტები“ — „სოფლ. ცხ.“, 1, 1, 1982); აყვავება („საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს აყვავება“ — „კომ.“, 26, 6, 1982); ახალი (ახალი ენერგია, ახალი შემართება, ახალი ინიციატივა, ახალი ვამარჯვება, ახალი წარმატება); ახალგაზრდული („ახალგაზრდული უნარი და შემართება“ — „თბილ.“, 30, 6, 1982); ახლობლური („აქ სუფევს... ახლობლური ურთიერთობა, სრული ურთიერთაყვავება“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); ბარაქა („ხვათა და ბარაქით შემოვიდა ახალი წელი“ — „სოფლ. ცხ.“, 3, 1, 1982); ბრძოლისუნარიანი („პარტიული ორგანიზაციები უფრო ბრძოლისუნარიანი გახდნენ“ — „კომ.“, 3, 6, 1982); ბრძოლისუნარიანობა („პარტია, მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი გამუდმებით განამტკიცებენ არმიის ძალებსა და ბრძოლისუნარიანობას“ — „კომ.“, ქველ); ბრწყინვალე (ბრწყინვალე გამარჯვება, ბრწყინვალე გამოვლენა, ბრწყინვალე შედეგი...); ბრწყინვალედ („ქართველმა ფეხბურთელებმა ბრწყინვალედ იასპარეხეს ქალაქ უელვაში“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ბურჯი („საბჭოთა კავშირი სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობიანობის ბურჯია“ — „კომ.“, ქველ.); გააზრებული („დღენიადაგ შეუპოვარი და გააზრებული მუშაობა“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); გადამწყვეტი („გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის პარტიულ ორგანიზაციებს“ — „კომ.“, 12, 6, 1982);

გაზრდილი (მოთხოვნილება, ამოცანები, დონე — „მარქსისტულ-
 ლენინური მომზადების გაზრდილი დონე“ — „თბილ.“, 30, 6,
 1982); **გაზიარება** („შრომითი გამოცდილების გაზიარება“ —
 „თბილ.“, 2, 7, 1982); **გამარჯვებული** („გამარჯვებულთა ფორუ-
 მი“ — „კომ.“, 27, 6, 1982); **გამორჩეულად** („მადაროელი პიონე-
 რები გამორჩეულად შრომობენ“ — „ახ. კომ.“, 11, 5, 1982);
გამოცდილი (სპეციალისტი, მასწავლებელი, მუშაკი...); **განაღდება**,
განაღდა („ორი დღის გეგმა ერთ დღეში გაანაღდეს“ — „თბ.“,
 16, 6, 1982); **განვითარება** („არაბთა ქვეყნების დამოუკიდებელი
 განვითარება“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); **გარანტია** („სუვერენიტე-
 ტისა და უშიშროების გარანტია“ — „კომ.“, 23, 6, 1982); **გარიუ-
 რაჟი** („მისი პირველი ნაბიჯები პოეზიაში საქართველოში საბჭოთა
 ხელისუფლების გამარჯვების გარიურაჟს უკავშირდება“ — „კომ.“,
 17, 6, 1982); **გეგმაზომიერი** („გეგმაზომიერად მალღდება მშრო-
 მელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე“ —
 „კომ.“); **გვარდიელი**; **გიგანტი** („თითოეული გამარჯვება ინდუსტ-
 რიული გიგანტებისა არის ახალი ფურცელი საბჭოთა საქართვე-
 ლოს დიდი ისტორიისა — „ლიტ. და ხელ.“, ქეგლ); **გიგანტი(რი**
 (კომუნისმის გიგანტური მშენებლობა); **გმირი**, **გმირული** („არაპი
 ხალხის გმირული ბრძოლა“ — „კომ.“, 11, 5, 1982); **გულახდილო-
 ბა** („აღნიშნული სხდომის განმასხვავებელი ნიშანი იყო გულახდი-
 ლობა“ — „თბილ.“, 30, 6, 1982); **გულთბილი**, **გულთბილად** („ახა-
 ლგაზრდები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს“ — „თბილ.“, 2, 7,
 1982); **გულმოდგინედ** („ფილმის წარმატებისათვის გულმოდგინედ
 უმუშავიათ“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); **გულღია** („გულღია მას-
 პინძელი გამოდგა ქალაქი ხარკოვი“ — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982);
გუშავი („მყუდროების გუშავები“ — „თბილ.“, 16, 6, 1982); **და-
 გვირგვინება**, **დააგვირგვინა** („ახალგაზრდებმა წარმატებით უნდა
 დააგვირგვინონ თაობათა ღირსეული საქმეები“ — „თბილ.“, 12, 6,
 1982); **დაახლოება** („მეგობრობა, ურთიერთგაგება და დაახლოება
 ახალი შეხვედრების საფუძველი გახდა“ — „კომ.“, 13, 6, 1982);
დავალება (ხუთწლედის დავალება, კოლექტივის დავალება —
 „თბილ.“, 2, 7, 1982); **დამაჭერებელი** („სსრკ თანამიმდევრულმა
 პოლიტიკამ დამაჭერებელი დადასტურება პოვა ლ. ი. ბრეჟნევის

სიტყვაში“ — „კომ.“, 11, 6, 1982); დამკვრელური (მშენებლობა, უბანი, შრომა...); დამოუკიდებელი, დამოუკიდებლობა („დამოუკიდებელი განვითარება“ — „თბილ.“, 24, 8, 1982; „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); დამცველი („ღვ-ზარდოთ სოციალისტური სამშობლოს საიმედო დამცველები“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); დარაზმავს („სუბტროპიკული რაიონების მუშაკთა ვალია დარაზმონ მასები გეგემების შესასრულებლად“ — „კომ.“, ქეგლ); დასაბამი („ლენინურმა ინტერნაციონალურმა პო-ლიტიკამ ხალხთა ურთიერთობას ახალი დასაბამი მისცა“ — „კომ.“, 13, 6, 1982); დაუცხრომლად („სკკპ ცკ და საბჭოთა მთავრობა და-უცხრომლად ზრუნავენ შეიარაღებული ძალების რიგებში სპეც-ხურისათვის ახალგაზრდობის ყოველ მხრივ მოსამზადებლად“ — „კომ.“, 13, 6, 1982); დევგმირი („მფრინავი დევგმირების მთელი არმია“ — „კომ.“); დევგმირული („მილიონების ერთგულებამ, დევგმირულმა ვაჟაკობამ... მოაპოვებინეს ჩვენს სამშობლოს უბრწყინვალესი გამარჯვება“ — „ლიტ. და ხელ.“, ქეგლ); დიადი (კომუნიზმის დიადი მშენებლობა, დიადი წამოწყება, დიადი გამარ-ჯვება); დოვლათი; ენთუზიაზმი („მოსახლეობა ენთუზიაზმით ჩაე-ბა მოძრაობაში“ — „თბილ.“, 16, 6, 1982); ენერგია, ენერგიულო-ბა (ახალი ენერგიით, ახალგაზრდული ენერგიით; „ლენინი მუდამ აფასებდა ახალგაზრდობას, მის ენერგიულობას“ — „ახ. კომ.“); ენერგიულად („ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციები ენერ-გიულად ემზადებიან არჩევნებისათვის“ — „ლელო“, ქეგლ); ერთ-სულოვნად („საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად და მხურვალედ და-უქირა მხარი პლენუმის გადაწყვეტილებას“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა; ესტაფეტა (თაობათა ესტაფეტა); ეფექტი, ეფექტიანი (ეფექტიანი მოლაპარა-კება, ეფექტიანი სანქციები — „თბილ.“, 24, 6, 1982); ვალდებუ-ლება; ვახტა; ვეტერანი (შრომის, ომის, სპორტის); ზნეობრივი („ახალგაზრდა ადამიანს... სწორი ზნეობრივი გზა უნდა ვუჩვენოთ“ — „კომ.“, 13, 6, 1982); ზენიტი; თავდადება („მოწინავე მუშები შრომითი თავდადების ახალ-ახალ მაგალითებს იძლევიან“ — „კომ.“, ქეგლ); თანაგრძნობა („ყოველი ჩვენგანის თანაგრძნობას იწვევს მრავალტანჯული ლიბანის მიწა-წყალზე დატრიალებული

უბედურება“ — „კომ.“, 26, 6, 1982); თანადგომა („ყველა ახალ წამოწყებაში თანადგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა კლასიკური მუსიკით გატაცებას, მის პოპულარიზაციას“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); თანამეგობრობა; თანამშრომლობა; თაოსნობა, თაოსანი („ქარგი საქმის თაოსანი“ — „სოფლ. ცხ.“, 1, 1. 1982); თვალსაჩინო (თვალსაჩინო მოღვაწე, გამარჯვება, მიღწევა...); თვალსაჩინოდ („თვალსაჩინოდ მოწმობს“ — „კომ.“, 27, 6, 1982); თვითგამორკვევა (თვითგამორკვევის უფლება — „კომ.“, 27, 6, 1982); იდეური; ინიციატივა; ისტორიული (ისტორიული თარიღი, დღე, მოვლენა, გადაწყვეტილება, ყრილობა); კანონიერი (კანონიერი მოთხოვნა, უფლება — „კომ.“, 11, 5, 1982); კეთილდღეობა („მშრომელთა კეთილდღეობის ამალღება“ — „ახ. კომ.“, 16, 6, 1982); კეთილი (კეთილი თაოსნობა, ზრახვა, საქმე...), კეთილი ნების ადამიანები („კეთილი ნების ადამიანებს მოუწოდეს აღიმადლონ ხმა ისრაელის აგრესიის მსხვერპლთა დასაცავად“ — „თბილ.“, 24, 6, 1982; „მხოლოდ კეთილი ნების ადამიანების გაერთიანებული მეცადინეობით შეეძლებოდა პასუხი გავცეთ იმპერიალიზმს“ — „თბილ.“, 30, 6. 1982); კეთილისმყოფელი („ამას კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა შეუძლია ახალგაზრდობაზე“ — „ახ. კომ.“, 14, 4, 1980); კეთილმეზობლური ურთიერთობა; კეთილსასურველი („ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია კეთილსასურველი პირობები ახალგაზრდობის ჰეროიკულ-პატრიოტული აღზრდისათვის“ — „ახ. კომ.“, 13, 6, 1982); კოლექტიური (შრომა, ხელმძღვანელობა, დასვენება); კომპეტენტური; კომუნისტური; კონსტიტუციური (კონსტიტუციური უფლება, მონაპოვარი...); კორიფე („...მუშაობდნენ ქართული ხელოვნების კორიფეები“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); კრისტალური („ფრუნზე თავისი სიცოცხლის დასასრულამდე განირჩეოდა მაღალი პარტიულობით, კრისტალური პატიოსნებით“ — „კომ.“, ქვეგლ); კუნთმაგარი („მუშათა კუნთმაგარმა ხელმა დაამსხვრია დესპოტიზმის უღელი“ — „კომ.“, ქვეგლ); ლაშქრობა („კომკავშირული ლაშქრობა საბჭოთა ხალხების საბრძოლო, რევოლუციური და შრომითი დიდების ადგილებში“ — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982); ლეგენდარული („ლეგენდარული მომღერლის ვანო სარაჯი-

შეილას სამშობლო კუთხეში სიღნაღში ყოველწლიურად ტარდება დიდი სახალხო დღესასწაული „ვანობა“ — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982); ლეგენდარული გმირი („სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ნაილ კიკვიძე“); მართალი („მართალი საქმე, გზა: თავისუფლებისათვის მებრძოლი არაბი ხალხის მართალი საქმე“ — „კომ.“, 26, 6, 1982); მართლწესრიგი; მასები („მასების დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა“ — „კომ.“, 26, 6, 1982); მასშტაბურობა („თბილ.“, 12, 6, 1982); მასშტაბურად („მასშტაბურად გამოიკვეთა ოჯახის მნიშვნელობა“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); მაღალი (ჯილდო, მაჩვენებელი, დონე, ხარისხი, კულტურა...); მაღალიდგური („საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში ყველაზე მაღალიდგური და მოწინავე ლიტერატურაა“ — „ლიტ. და ხელ.“, ქეგლ); მაღალკვალიფიციური, მაღალკვალიფიციურობა; მაღალნაყოფიერება, მაღალნაყოფიერად; მაღალშეგნებული („მაღალშეგნებული მოქალაქე“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); მაღალხარისხოვანი, მაღალხარისხოვნად; მახვილი (მახვილი თვალი, პოლიტიკურად მახვილი ნაწარმოები...); მგზნებარე (ხალხების მგზნებარე სწრაფვა, მგზნებარე პატრიოტი, მგზნებარე სიტყვა...), მგზნებარედ („შთაგონებით, მგზნებარედ წარუძღვა ორკესტრს ს. კორკოტაშვილი“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); მებაირახტრე (კულტურის მებაირახტრე); ნებრძოლი, მებრძოლური (მებრძოლური პოზიცია — „თბილ.“, 2, 7, 1982); მეგობრობა, მეგობრული; მზარდი (მზარდი მოთხოვნა, დონე...); მისაბაძი; მიღწევა; მკაფიო (მკაფიო ასახვა, დადასტურება, გამოხატვა...); მონაპოვარი (ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი, კულტურის მონაპოვარი...); მონოლითობა (საბჭოთა ხალხების მონოლითობა); მონოლითურად („კომ.“, 26, 6, 1982); მოქალაქე, მოქალაქეობა, მოქალაქეობრივი; მოწესრიგება („ეითარების მოწესრიგება“ — „კომ.“, 11, 5, 1982); მოწინავე; მტკიცე („სასურსათო პროგრამის ხორცშესხმის ვზაზე პირველი მტკიცე ნაბიჯი გადაიდგა“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); მშვიდობა, მშვიდობიანი, მშვიდობისმოყვარე, მშვიდობისმოყვარეობა, მშვიდობისმოყვარულა; მშობლიური (მშობლიური პარტია, ქვეყანა, სოფელი, ქალაქი, საწარმო, სკოლა); მშრომელი; მწყობრში ჩადგომა („მწყობრში ჩადგა რაიონული კულტურის სახლი“ — „კომ.“, 13, 6, 1982);

მხურვალე, **მხურვალედ** („მხურვალედ მიესალმა, მხურვალედ დაუქირა მხარი“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); **ნაბიჯი** (მტკიცე, პირველი, გადამწყვეტი... „ახ. კომ.“, 11, 5, 1982; „თბილ.“, 12, 6, 1982); **ნათელი** (ნათელი პერსპექტივა, მიზანი, პიროვნება — „თბილ.“, 2, 7, 1982); **ნათლობა** („პირველი საბრძოლო ნათლობა მან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიიღო“ — „კომ.“, პირველი პედაგოგიური ნათლობა“ — „სახ. გან.“, ქეგლ); **ნაყოფიერი**, **ნაყოფიერად**; **ნაცადი** („ნაცადმა პიანისტმა თავის რთულ და საინტერესო სამუშაოზე ისაუბრა“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); **ნდობა**, **ნდობის გამართლება** („თბილ.“, 16, 6, 1982); **ნობათი** (ხუთწლედის, საახალწლო, საოქტომბრო... „რესპუბლიკის მშრომელები ახალ-ახალი შრომითი ნობათებით ხელდამშვენებულნი ეგებებიან გაზაფხულის დიდ დღესასწაულს“ — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982); **ნოვატორი**, **ნოვატორობა**, **ნოვატორული**; **ოქროს მედალი**, **ოქროს ასოები** („ხალხთა მეგობრობის ისტორია ასე იწერება ოქროს ასოებით“ — „კომ.“, 13, 6, 1982); **ოქროს ხელები** („თბილ.“, 16, 6, 1982); **ოჯახი** (ძმური ოჯახი, საბჭოთა ხალხების მეგობრული ოჯახი — „კომ.“, 27, 6, 1982); **პატაკი** („დედაქალაქი შრომითი პატაკებით უპასუხებს მოწოდებას“ — „კომ.“, 3, 7, 1982); **პატივი** („დიდი პატივი ხვდა წილად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად დაასახელეს“ — „თბილ.“, 16, 6, 1982); **პატიოსნება**, **პატიოსნანი**; **პატრიოტი**, **პატრიოტიზმი**, **პატრიოტული**; **პირმშო** („კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის პირმშოა“ — „ახ. კომ.“, ქეგლ); **პირნათლად** („ნაყისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულება“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); **პირუთვნელი** („ჩვენი წინსვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების პირუთვნელ კრიტიკას“ — „კომ.“, ქეგლ); **პირუთვნელად**; **პოტენციალი** (სამრეწველო პოტენციალი, შემოქმედებითი პოტენციალი...); **პრინციპული** („ხალხთა უშიშროების დაცვის პრინციპული კურსი“ — „კომ.“, 11, 5, 1982); **პროგრესული** (პროგრესული საზოგადოებრიობა, კაცობრიობა...); **რევოლუციური** (რევოლუციური შემართება, ბრძოლა, დიდება...); **რწმენა** (კომუნისმის ურყევი რწმენა, მომავლის რწმენა, სიკეთის რწმენა...); **სამაყო** (თბილისი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. რა

უნდა იყოს თითოეული ჩვენთაგანისათვის ამაზე უფრო სასიხარულო და საამაყო“ — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982); **საბრძოლო** (საბრძოლო დიდება, ამოცანა, შემართება...); **საბჭოური**; **საგანძური** („ხალხური ხელოსნობა ეროვნული შემოქმედების ფასდაუდებელი საგანძურია“ — „ახ. კომ.“, 6, 5, 1982); **საგუშაგოზე დგას** („ჩვენი სამშობლო მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე დგას“ — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982); **სადარაჯოზე დგას**; **საზეიმო** (საზეიმო კრება, შეხვედრა, მიტინგი, განწყობილება, დღე...); **საზეიმოდ**; **საიმედო** („ადვზარდოთ სამშობლოს საიმედო დამცველები“ — „კომ.“, 13, 6, 1982); **სამართლიანი**, **სამართლიანობა**; **სამყედლო** (კადრებს სამყედლო); **სანიმუშო**, **საპატიო** (საპატიო ჯილდო, მისია, მოვალეობა, უფლება, ადგილი...); **სასარგებლო** („საკოორდინაციო საბჭომ უკვე წამოიწყო სასარგებლო ღონისძიებები“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); **სასწაული** („საბჭოთა ადამიანები შრომითს სასწაულს ახდენენ ფაბრიკებსა და ქარხნებში“ — „კომ.“, ქეგელ); **სასიხარულო** (სასიხარულო ცნობა, ამბავი — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982); **საქმიანი** (საქმიანი საუბარი, წინადადება, თანამშრომლობა, ადამიანი); **საყრდენი**; **საშვილიშვილო** (საშვილიშვილო საქმე); **საჩვენებელი** (საჩვენებელი მაღაზია, უბანი, ფერმა სკოლა); **საწინდარი** („მრავალშვილიანობაა ოჯახის სიმყარის საიმედო საწინდარი“ — „კომ.“, 13, 6, 1982); **სიახლე**; **სისხლხავე** („სტუდენტის სისხლსავსე ცხოვრება“ — „ახ. კომ.“, 1. 5. 1982); **სიფხიზლე**; **სოლიდარობა**; **სოციალისტური**; **სტეტაკი** (გრძნობა, დამოკიდებულება, ადამიანი.); **სტიმული** („სტიმულს აძლევენ ახალგაზრდებს“ — „სოფ. ცხ.“, 1, 1, 1982); **სწორუბოვარი** („გენია დაულაღავედ ქმნიდა მხატვრული სიტყვის სწორუბოვარ ძეგლებს“ — „ლიტ. საქ.“); **ტიტანი**; **ტრიბუნი**; **უანგარო**, **უანგაროდ**; **უერთგულესი** („სამშობლოს სიყვარული და მისი უერთგულესი სამსახური“ — „იბილ.“, 12, 6, 1982); **უნარიანი** („პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების უნარიანი მუშაობა“ — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982); **უპატაკებს** („ასობით მუშამ უპატაკა სამშობლოს ნახევარი წლის გეგმის შესრულება“ — „კომ.“, 13, 6, 1982); **ურთიერთვაგება**; **ურთიერთდამხარება**; **ურთიერთვაზიარება**, **ურღვევი** („ურღვევია ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობა“ — „კომ.“); **უძლიე-**

რესი („საბჭოთა მოჭადრაკენი უძლიერესნი არიან მთელს მსოფლიოში“ — „კომ.“); უზვმოსავლიანი, უზვმოსავლიანობა; ფასდაუდებელი; ფლაგმანი („საბჭოთა პრესის ფლაგმანი — პრავდა; ქართული ფეხბურთის ფლაგმანი — თბილისის დინამო“ — „ახ. კომ.“, 15, 5, 1982); ქარტია („სოციალიზმის გამარჯვების ამსახველი ქარტია — დიადი კონსტიტუცია“ — „სახ. გან.“, ქეგლ); ქედუღრეკი, ქედუხრელი, ქედუხრელობა (დაბრკოლებათა წინაშე ქედუხრელობა); ქმედითი (ქმედითი კავშირი, ზომები, დასმარება...); ქმედითობა („პრესა მოწოდებულია აქტიურად იბრძოლოს მოწინავე გამოცდილების შესახებ გამოქვეყნებული მასალების ქმედითობისათვის“, „კრუბის ქმედითობა ბევრადაა დამოკიდებული მის მომზადებაზე“ — „ახ. კომ.“); ქმედითუნარიანი („საკიროა ქმედითუნარიანი ღონისძიებები“ — „სახ. გან.“); ღირსეული („საზოგადოების ღირსეული და სრულუფლებიანი წევრის აღზრდა“ — „თბილ.“, 12, 6, 1982); ღონისძიება (ქმედითი, ეფექტური, კონკრეტული...); ყაირათიანი, ყაირათიანად, ყაირათიანობა; შეგნებულობა; შედუღაბება („კოლექტივის ერთ მთლიან ძალად შედუღაბება“ — „კომ.“); შეკავშირებული („საბჭოთა ადამიანები მონოლითურად არიან გაერთიანებული და შეკავშირებული კომუნისტური პარტიის გარშემო“ — „კომ.“, 26, 6, 1982); შემართება (შემოქმედებითი, ახალგაზრდული, კომუნისტური, პატრიოტული...); შემართებით („შემართებით შრომობენ“ — „თბილ.“, 2, 7, 1982); შემობრუნება; შემოქმედებითი (შემოქმედებითი აქტიურობა, შრომა, მიდგომა...); შეუბოჭავი („მასების შემოქმედებითი ძალები შეუბოჭავია“ — „კომ.“); შეუბღალავი („საქართველოს მოჭიდავეებს შეუბღალავად გაუტარებიათ დედა-სამშობლოს სპორტული ალაში“ — „ლ. ლი.“); „მშრომელი კაცის შეუბღალავი სახელი“ — „სოფლ. ცხ.“); შეუპოვარი („კომუნისმისაკენ მიმავალი გზა საბჭოეთის შეუპოვართაობათა მხრებზე გადის“ — „ახ. კომ.“, 18, 5, 1982); შეურიგებელი („წარსულის მავნე გადმონაშთებთან შეურიგებელი ბრძოლა“ — „ახ. კომ.“, 1, 5, 1982); შთამბეჭდავი („ძალზე შთანბეჭდავი და მრავლისმთქმელი იყო ის დღე დელეგაციის თითოეული წევრისათვის“ — „ახ. კომ.“, 8, 5, 1982); შინაარსიანი („უფრო

შინაარსიანი უნდა გავხადოთ კულტურულ-საგანმანათლებლო და-
წესებულებათა მუშაობა“ — „კომ.“); შინმოუსვლელი („შინმო-
უსვლელთა უკედავსაყოფად“ — „ახ. კომ.“, 29, 5, 1982); შრო-
მითი (კოლექტივი, გამოცდილება, დიდება, ნობათი...); შრომისმო-
ყვარე, შრომისმოყვარეობა; შუქურა („ეს დოკუმენტები მაღოვის
ბრწყინვალე მომავლის მანათობელი შუქურაა“ — „ახ. კომ.“);
ჩაუქრობელი („მწერალმა დაგვიხატა აქარლის ჩაუქრობელი სიყ-
ვარული დედა-საქართველოსადმი“ — „ლიტ. და ხელ.“); ჩაუქ-
რობლად („ჩაუქრობლად ენთო სახალხო-განმათავისუფლებელი
ბრძოლის ხანძარი“ — „კომ.“); ჩქაროსანი, ჩქაროსნული („ახალ-
გაზრდებმა ჩქაროსნული დნობა ჩაატარეს“ — „ახ. კომ.“); ჩირქ-
მოუცხოვბელი; ცხოველმყოფელი („პარტიის სიტყვის ცხოველ-
მყოფელი ძალა“ — „თბილ.“, 30, 6, 1982); ძმური, ძმობა; ძირე-
ული („მშრომელთა ძირეული ინტერესები“ — „თბილ.“, 2, 6,
1982); წამომწყები („კეთილი თაოსნობის წამომწყებნი“ — „სოფლ.
ცხ.“, 3, 1, 1982); წამოწყება („ახალი წამოწყება“ — „თბილ.“, 2,
7, 1982); წარმატება, წარმატებით; წარუშლელი („კოტე მარჯანი-
შვილმა წარუშლელი კვალი დააჩნია თანამედროვე ქართულ
თეატრს“); წარუშლელად; წესიერება („ახ. კომ.“, 6, 5, 1982);
წვლილი („საწარმოო კოლექტივებს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ
რესპუბლიკის მრეწველობის საერთო მიღწევებში“, — „კომ.“, 13,
6, 1982); წინსვლა („ხვალაც ბევრს გააკეთებს მშობლიური საწარ-
მოს წინსვლისათვის ოქროს ხელების პატრონი შალვა სვანი-
ძე“ — „თბილ.“, 16, 6, 1982); წრთობა („შრომითი წრთობა“ —
„სოფლ. ცხ.“, 16, 1, 1982); ხარისხიანად, ხარისხიანობა, ხარისხო-
ბრივად, ხარისხოვანი, ხარისხოვნად; ხვაი; ჯანსაღი („ჯანსაღი,
ჩვენი ცხოვრების წესის დამახასიათებელი მიკროკლიმატი“ —
„თბილ.“, 2, 7, 1982); ჯილდო, ჰარმონიული (აღზრდა, განვითარება,
პიროვნება, საზოგადოება)...

ქართული გაზეთის დადებით-შემფასებლური ლექსიკა ცხა-
დია, აქ ჩამოთვლილი სიტყვებით არ ამოიწურება, მაგრამ ნათი
გამოყენება პუბლიცისტურ სტილში რეგულარული და მყარია.

აღნიშნული ლექსიკის დიდი ნაწილი წიგნურ ჯგუფს განეკუთვნება და განმარტებით ლექსიკონში კიდევაც აქვს სათანადო მითითება.

ის ფაქტი, რომ ტრადიციულად ნეიტრალური სიტყვები საგაზეთო მეტყველებაში დადებით-შემფასებლურ ექსპრესიას იღებენ (მაგ., ავტორიტეტი, ახალგაზრდული, ბარაქა, დასაბამი, ვალდებულება, ინიციატივა, რწმენა და სხვ.), იმას მოწმობს, რომ საერთოენობრივი ლექსიკური ფონდი ამ მხრივ დიდ შესაძლებლობებს შეიცავს, რასი გამოვლენაცაა ენის ისეთი ლექსიკურ-მორფოლოგიურ საშუალებების გამოყენება საგაზეთო მეტყველებაში, რომლებიც უარყოფის მოდალურ ფუნქციას გამოხატავენ და მაღალი სისწირითაც ხასიათდებიან პრესის ენაში. მაგ.: არნახული, განუხრელი, დაუცხრომელი, თვალუწვდენელი, პირუთვნელი, სწორუპოვარი, უანგარო, ფასდაუდებელი, ქედუღრეკი, შეუბოჰავი, შეუბღალავი, შეუპოვარი, შეურიგებელი, ჩაუქრობელი, ჩირქმოუცხებელი, წარუშლელი... ამ სიტყვათა დიდ ნაწილს შეაღვენს ადიექტივიკრებული მიმღებები უქონლობის სიტყვასაწარმოებელი სუფიქსებით, ყოველი მათგანი ინფორმაციულად ტევადია და შეიძლება განვიხილოთ როგორც შეკუმშული მსჯელობის ფორმა: არნახული აღმავლობა — ისეთი აღმავლობა, რომელიც ჯერ არავის უნახვს; დაუცხრომელი ზრუნვა — ზრუნვა, რომელიც არ ცხრება; ფასდაუღებელი საგანძური — საგანძური, რომელსაც ფასს ვერ დაუღებს; შეურიგებელი ბრძოლა — ბრძოლა, რომელმაც შერიგება არ იცის; ჩაუქრობელი სიყვარული — სიყვარული, რომელიც არ ჩაქრება და სხვ.

ბოლოენობრივად შედარებით მცირეა, მაგრამ შემფასებლური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის ლექსიკა, რომელიც ნათესაობის ტერმინებს უკავშირდება — ძმა, ძმური; დედა, დედობრივი, დედმეილურა; მამობრივი; მშობელი, მშობლიური; პირმშო, შეილი; საშვილიშვილო... აღნიშნული სიტყვები ქართულ საგაზეთო ტექსტებში პოზიტიური შეფასების მაღალ ხარისხს იბენენ.

საზეთო-პათეტიკური შეფერილობით გამოირჩევიან ისეთი წიგნური სიტყვები, როგორცაა: დიადი, დიდებული, თანამებრძოლა, თანამეგობრობა, თანამზრახველი, თანამოაზრე, თანამოკალ-

მე, თანამოსაქმე, თანამოსაგრე, თანასწორობა, თანასწორუფლებიანობა, თანაქალაქელი, კეთილდღეობა, კეთილისმყოფელი, კეთილმოსურნეობა, კეთილმოწყობა, კეთილმოწყობილი, კეთილმსურველობა, კეთილმყოფელი, კეთილნაყოფიერი, კეთილსასურველი, კეთილხარისხოვანი, ურთიერთგაგება, შთამავგონებელი, შთამბეჭდავი, შთანაფიქრი, შთაუნერგავს, წარგზავნილი, წარდგინება, წარმოაჩენს, წარმოსახავს, წარუყვეთელი, წარუშლელი, წარუხოცელი, ხორცშესხმა და სხვ. ეს სიტყვები მუდმივად ახლავს საგანგებო მეთყველების პოზიტიურ კონტექსტებს და აძლიერებენ მათს დადებით ეფერადობას.

6.3.2. ისევე, როგორც დადებით-შემფასებლური სიტყვები, უარყოფით-შემფასებლური სიტყვებიც ქართული სალიტერატურო ენის სხვადასხვა ლექსიკური ფენებიდანაა წარმომდგარი, მაგრამ მათ აერთიანებს საგანგებო-პუბლიცისტური სტილის მთლიანი ფუნქციური მიდგომა — ისინი უარყოფით-შემფასებლურ ფუნქციას ასრულებენ და გამოირჩევიან ნეგატიური შემფასებლობის ინტენსიობის წარსხით. აღნიშნული ლექსიკა გამოყენების სფეროთა მიხედვითაც განსხვავებულია — მასალები, რომლებიც საზოგადოების საშინაო საქმეებს შეეხება და საერთაშორისო თემები. გაზეთის ორივე ეპარულ-თემატური სფერო მნიშვნელოვანი და წამყვანაა პუბლიცისტურ მეთყველებაში (125, 41).

შერჩევით განვიხილოთ უარყოფით-შემფასებლური ლექსიკა, რომელიც ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალაში შეგვხვდა:

აგრესიული (პოლიტიკა, ქვეყანა, სახელმწიფო, აქტი, აქცია, მოქმედება); ავანტიურისტული (წრეები, ხროვა, პოლიტიკა — „კომ.“, 26, 6, 1982); ამახინჯებს („ანტისაბჭოური სულისკვეთებით გამსქეალული განცხადებები უხეშად ამახინჯებს სსრკ საგარეო პოლიტიკას“ — „ახ. კომ.“, 13, 6, 1982; „ვილაც საქმოსანი კი საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესს ამახინჯებს“ — „სოფლ. ცხ.“, 7, 5, 1982); ამბიცია („ლონდონის ნეოკოლონიური კურსი და მილიტარისტული ამბიციები“ — „კომ.“, 26, 6, 1982); ანომალია („წარსულის მაენე გადმონაშთებთან და სხვა ანომალიებთან შეურიგებელი ბრძოლა“ — „ახ. კომ.“, 1. 5. 1982); ანტისაბჭოური; არანორმალური (ვითარება, მდგომარეობა, სიტუაცია — „კომ.“, 5, 6,

1982); აფათურებს ხელს („დახლის ზოგიერთი მუშაკი უსინდისოდ აფათურებს ხელს მომხმარებლის ჯიბეში“ — „სოფლ. ცხ.“, 3, 1, 1982); აქეზებს („ვაშინგტონელი მფარველები ისრაელს აქეზებენ აგრესიის განგრძობისათვის“ — „კომ.“, 26, 6, 1982); აქცია („დისკრიმინაციული აქცია“ — „კომ.“, 14, 6, 1982; „სადაზვერგო აქცია“ — სისხლიანი აქცია; „ლიბანის ტერიტორიაზე მთელი სისასტიკით გრძელდება დამპყრობელთა თარეში და სისხლიანი აქციები“ — თბილ.“, 24, 6, 1982); ბანდა („ბანდა, რომელიც 30 კაცისაგან შედგებოდა, აწიოკებდა ალამიკამბის რაიონის მოსახლეობას“ — „კომ.“, 11, 5, 1982); ბანდიტი, ბანდიტური („ჩაკაგოში თავისუფლად დაპარბაშებენ შეიარაღებული ბანდიტები“ — „კომ.“, „მათი ბანდიტური ზრახვები ნათელი შეიქნა“ — „ახ. კომ.“, „თბილ.“, 24, 6, 1982); ბარბაროსი („ფერფლიდან და ნანგრევებიდან აღსდგა ფაშისტი ბარბაროსების მიერ გადაბუგული საბჭოთა ქალაქები და სოფლები“ — „კომ.“); ბარბაროსული (დაბომბვა, მოქმედება — „კომ.“, 26, 6, 1982); ბირთვული ომი; ბიუროკრატია; ბნელეთი („მილიონების ენერჯიამ მოაპოვებინა ჩვენს სამშობლოს უბრწყინვალესი გამარჯვება ფაშისტურ ბნელეთზე“ — „ლიტ. და ხელ.“; ბნელეთის მოციქული, ბნელეთის ქურუმი); ბრმა იარაღი („აშშ-ის ადმინისტრაციის ხელში ისრაელს ექსტრემისტული მთავრობა ბრმა მორჩილების იარაღია“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ბუნაგი („ძლევა მოსილმა საბჭოთა არმიამ პოლონ მოულო ფაშისტ მხეცს საკუთარ ბუნაგში“ — „კომ.“); გაბორტება („სსრკ მტკიცე ბრძოლა გააფთრებულ გაბორტებას ჩვენს იმპერიალიზმების ბანაკში“ — „კომ.“); გადმონაშთი („წარსულის მავნე გადმონაშთები“ — „თბილ.“, 30, 6, 1982); გამაღებელი შეიარაღება („გამაღებული შეიარაღება ღრმად ეწინააღმდეგება სოციალისტურ იდეოლოგიას“ — „კომ.“, 26, 6, 1982); გამწვავება (დასაბუღობის, ვითარების — „კომ.“, 13, 6, 1982); გენოციდი („ისრაელის ხელით თეთრი სახლის მესვეურები ასორცილებენ გენოციდის პოლიტიკას“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); დამანგრეველი („პროლეტარული რევოლუცია მშრომელების წინაშე მთავარ ამოცანად აყენებს არა დამანგრეველ, არამედ შემოქმედების მუშაობას“ — „კომ.“); დამპყრობელი, დამპყრობლური (ომები; სისხ-

ვები, პრეტენზიები — „კომ.“, 26, 6, 1982); დამქაში (იმპერიო-
ლიზმის, კაპიტალიზმის...); დამღუპველი, დამღუპველობა („ხალ-
ხის ფართო მასები რწმუნდებიან იმპერიალისტთა პოლიტიკის და-
მღუპველობაში“ — „კომ.“); დამყაყებულობა („უნდა ვებრძოლოთ
ყოველივე დრომოკმულს, უძრაობას და დამყაყებულობას“ —
„კომ.“); დანაგვიანებული („რევოლუციამდელი თეატრების რე-
პერტუარი დანაგვიანებული იყო უიდეო, მხატვრულად მდარე
პიესებით“ — „კომ.“); დანაშაულობა („ლიბანში ჩადენილი დანა-
შაულობებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ვაშინგტონსაც“ —
„კომ.“, 26, 6, 1982); დანაშაულებრივი („ეურნალ-გაზეთები აქ-
ვეყნებენ ისრავლი აგრესორების დანაშაულებრივ ფაქტებს“ —
„თბილ.“, 24, 6, 1982); დაპარპაშებს („...დაპარპაშებენ რევოლუცი-
რებითა და ბომბებით შეიარაღებული ბანდიტები“ — „კომ.“),
დაუდევრობა („ხშირად საქმეს აფერხებს უდისციპლინობა, დაუ-
დევრობა“ — „სოფლ. ცხ.“, 3, 1, 1982); დაუნდობელი, დაუნ-
დობლად („ისრავლის ჯარები დაუნდობლად ანგრევენ ქალაქებსა
და სოფლებს“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); დაუსჯელობა („კომ.“,
26, 6, 1982); დაქირავებული („საერთაშორისო იმპერიალიზმის
დაქირავებული აგენტები ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებას ეადა-
გებენ“ — „სახ. გან.“); დაშტამპული („სცენაზე განსახიერებული
კოლმეურნე რევოლუციამდელი გლეხის დაშტამპული სახეა“ —
„კომ.“); დაძაბულობა („დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთ-
ობაში აიხსნება იმით, რომ ამერიკის მთავრობა დაადგა აგრესიის
გზას“ — „კომ.“); დაძრწის; დახავსებულობა („მეფის რუსეთის
ბიუროკრატიული აპარატის დახავსებულობის შედეგად დაწესებუ-
ლებები დანაგვიანებული იყო უცხოელებით“ — „კომ.“); დებოში
 („ამერიკის ტანკერის მთვრალმა ამერიკელმა მატროსებმა დებოში
გამართეს“ — „კომ.“); დეზინფორმაცია („თავიანთი დანაშაულებ-
რივი დეზინფორმაციით ისინი ცდილობენ აამხედრონ ხალხს
ერთმანეთის წინააღმდეგ“ — „კომ.“); დეზორგანი-
ზაცია დემოკრატიული ქვეყნების პრესა კრიტიკის ც-
თავს წარმოების დესორგანიზატორების, ბიუროკრატ-
იკის დეგრადაცია („დემაგოგებს და ბორო
ქმეებს წარმოადგენს იმპერიალისტების განცხადება“

დემაგოგიური („კაპიტალისტურ სახელმწიფოებში რასობრივ დისკრიმინაციას ცინიკურად ფარავენ დემაგოგიური ლაუბობით“ — „კომ.“). დიქტატი; დრაკონული კანონები („მშვიდობის მტრები გამოსცემენ დრაკონულ კანონებს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წინააღმდეგ — „კომ.“); დუღუქზე ცეკვავს („ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იმ დელეგაციებს, რომლებიც აშშ დუღუქზე ცეკვავენ, არავითარი საფუძველი არა აქვთ სადავოდ გახადონ საბჭოთა კავშირის წინადადება“ — „კომ.“); ებლაუჭება („განწირული მტერი ებლაუჭება ბრძოლის უაღრესად უკიდურეს და საზიზღარ საშუალებებს“ — „კომ.“); ეგოისტური („იმპერიალისტები მზად არიან მთელი ხალხები გასწირონ, ოღონდ თავიანთ ეგოისტურ მიზნებს მიაღწიონ“ — „კომ.“); ემისარი („ვაშინგტონელმა ემისარმა წამოაყენა მოთხოვნები“ — „თბილ.“ 2, 24, 6, 1982); ექსპანსიონისტი; ექსტრემისტი, ექსტრემისტული („ისრაელის ექსტრემისტული მთავრობა“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ეშვება („თავქვე ეშვებიან მზარდი ეკონომიკური კრიზისით მოკული კაპიტალისტური ქვეყნები“ — „კომ.“); ვასალი („უმაგალითო გმირობამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე და მის ვასალებზე“ — „კომ.“); ვიგინდარა („საჭიროა დავუხშოთ კოლმეურნეობის კარი ვიგინდარებს“ — „კომ.“); ზრახვა („იმპერიალისტ-აგრესორთა ზრახვები“ — „კომ.“); თავაშვებული (თავაშვებული სპეკულანტები, ხულიგნები, ქორვაჭრები); თავგასულობა („თვით-კმაყოფილება და თავგასულობა მუშაობაში გაყინვას იწვევს“ — „კომ.“); თავდასხმა; თავდაჭერება („არ შეიძლება ვიყოყოჩოთ და განცხრომას მივეცეთ იქ, სადაც თვითდამშვიდება და თავდაჭერებაა“ — „კომ.“); თავდაჭერებულობა („ბევრი პარტიული ხელმძღვანელი იჩენს მეტისმეტ თავდაჭერებულობას“ — „კომ.“); თავხედობა („ჩვენ მოვითხოვთ აილაგმოს ამერიკელ იმპერიალისტთა თავხედობა“ — „კომ.“); თავხედური („სსრ კავშირმა მოითხოვა თავხედური აგრესიის შეწყვეტა“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); თავხედურად („კაპიტალისტურ სამყაროში ჯერ კიდევ არასოდეს უქადაგიათ ომის გამჩაღებლებს ასე თავხედურად და აშკარად“ — „კომ.“); თალმუდიზმი, თალმუდისტი, თალმუდისტური; თარეში

(„ლიბანის ტერიტორიაზე მთელი სისასტიკით გრძელდება დამპყრობთა თარეში“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); თერმობირთვული ომი; თვითდამშვიდება; თვითდინება („საქმეში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ თვითდინება“ — „კომ.“); თვითკმაყოფილი, თვითკმაყოფილება; თითხნის („ამერიკული ჟურნალისტიკის გაქნილი საქმოსნები თითხნიან წიგნებსა და წერილებს...“ — „კომ.“); იარაღს აჩხარუნებს („აშშ-ის, ინგლისისა და მათთან ბლოკში მყოფი სახელმწიფოების მმართველები იარაღს აჩხარუნებენ“ — „კომ.“); იაფფასიანი (იაფფასიანი ეფექტი, იაფფასიანი ავტორიტეტი); იერიშობანა („კონფერენციამ დაგმო იერიშობანა და მოითხოვა რიტმული მუშაობა“ — „კომ.“); ითარეშებს („ავრესია ალაგმული იქნება და იგი ველარ ითარეშებს“ — „კომ.“); იმპერიალისტური; ინსცენირება („ფარული კენჭისყრის ინსცენირება პარლამენტის არჩევნებში“ — „კომ.“); ინსცენირებული („სასამართლო პროცესი... ინსცენირებულია თუ აგებულია დამამტკიცებელ საბუთებზე“.... — „კომ.“); ინტერვენტი, ინტერვენცია, ინტერვენციონისტი („ინტერვენციონისტთა ჭარებმა უდიდესი ზარალი ნახეს“ — „კომ.“); ისტერია („ომის ისტერიის მძიმე ციებ-ციხელება არყევს მთელს კაპიტალისტურ სამყაროს“ — „კომ.“); ისქელენს ჭიბეს („მაღალი ფენა დოლარებით ჭიბეს ისქელებს“ — „კომ.“); იჯიბავს („მომხმარებელს ზედმეტ ფასს ახდევინებს და „წერილ ფულს“ იჯიბავს“ — „გამარჯ.“); კაბალა, კაბალური; კალმის ავაზაკი („ომის გამჩალებელთა ბანაკის ვერც ერთი კალმის ავაზაკი ვერ მოახერხებს ცილი დასწამოს ხალხთა მეგობრობის პოლიტიკას“ — „კომ.“); კალმოსანი („ბურჯუაზია და მისი დაქირავებული კალმოსნები დღესაც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა აკრძალონ რევოლუციის პოეზიის ტიტანის მემკვიდრეობა“ — „კომ.“ „ლიტ. და ხელ.“); კამპანიური („პლენუმის დადგენილების შესრულებსადმი სრულიად შეუწყნარებელია კამპანიური მიდგომა“ — „კომ.“); კანიბალური („ევროპის მშრომელთა განსაკუთრებულ რისხვასა და აღშფოთებას იწვევს ახალი ომის გამჩალებელთა კანიბალური გამოსვლები“ — „კომ.“); კანცელარულ-ბიუროკრატიული მეთოდები; კანცელარული („ადგილი აქვს ფორმა-

ლიზმს; კანცელარული ხელმძღვანელობის მაგალითებს“ — „კომ.“); კაპიტალის სამყარო; კაპიტალის ბატონობა („სოფლ. ცხ.“, 3. 1. 1982); კარიერიზმი („ლენინი ამხილებდა ბურჟუაზიული ანტიხალხური ლიტერატურის გამყიდველობას, ვაჭრულ ხასიათს, კარიერიზმს“ — „კომ.“); კაციჭამიობა („ომის გამჩაღებელთა კაციჭამიობის გეგმები“ — „კომ.); კაციჭამიური; კაცთმოძულე („ხალხი უფლებას არ მისცემს მსოფლიო ბატონობის მოტრფიალებს თავიანთი კაცთმოძულე გეგმები განახორციელონ“ — „კომ.“); კაცთმოძულეობა („აგრესორთა კაცთმოძულეობას მშვიდობის მომხრენი უპირისპირებენ ხალხთა შორის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უფართოეს პროპაგანდას“ — „კომ.“); კოლონიური (ჩაგვრა, დამონება, ხელისუფლება, პოლიტიკა); კონსერვატიზმი („უნდა აღმოიფხვრას კონსერვატიზმის გამოვლინებანი“ — „კომ.“); კონფლიქტური; კორუფცია („კაპიტალისტურ ქვეყნებში კორუფცია ფართოდაა გავრცელებული“ — „კომ.“); კოშმარი („ემიგრანტთა ცხოვრება ნამდვილ კოშმარად გადაიქცა“ — „კომ.“, 11, 5, 1982); კრიზისი („კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა შევიდა გარდაუვალი კრიზისის ხანაში“ — „კომ.“); კრიზისული („ჭიანჭურდება კრიზისული სიტუაციიდან დაღწევის პროცესი“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ლაყბობა, ლაყბობს („ბირთვული ომის შესაბამე უტიფრად ლაყბობენ“ — „კომ.“, 26, 6, 1982); ლანდსკნეხტი („ხალხები არ დაუშვებენ, რომ ისინი გამოყენებულ იქნენ ამერიკის იმპერიალიზმის მორჩილ ლანდსკნეხტებად“ — „კომ.“); ლაქიური („გომინდანის წარმომადგენელმა ლაქიურად სცადა დაეცვა ინგლის-ამერიკის ბლოკი“ — „კომ.“); მავნე (ტრადიცია, გაღმონაშთი, ტენდენცია); მაკულატურა¹ („ასეთი მაკულატურა მკითხველთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს“ — „კომ.“); მანევრი² („საბჭოთა მთავრობა ამხილებს ომის გამჩაღებელთა მანევრებს“ — „ლიტ. და ხელ.“); მანერულობა („ეს ლირიკული პათოსი ზოგჯერ მანერულობაში გადადის“ — „ლიტ. და ხელ.“); მა-

¹; გადატ. დაბალი ღირსების ლიტერატურა.

² გადატ. ფანდი, ხრიკი.

რომელიც, მარიონეტული; მაქინაცია („იმპერიალისტთა აგრესიულ მაქინაციებს ჩვენი რიგების უფრო შემჭიდროვებით ვუპასუხებთ“ — „კომ.“); მებაჭრე („მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერები დიდი ხანია იმპერიალიზმის იდეური მებაჭრენი არიან“ — „კომ.“); მელავითნე („პარტია გადაჭრით ებრძოდა მელავითნეებსა და თალმუდისტებს“ — „კომ.“); მეზალიანსი („ეს კავშირი უფრო ხანგრძლივი, ბედნიერი და ნაყოფიერი იქნება, ვიდრე ის მეზალიანსი, რომელიც ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის არსებობს“ — „კომ.“); მესვეური¹, (თეთრი სახლის მესვეურები — „თბილ.“, 24, 6, 1982); მექანიკურობა („აღკვეთონ სწავლებაში მექანიკურობა, უაზრო ზეპირობა“ — „სახ. გან.“); მილიტარისტული; მკვლელობა; მლიქვნელობა; მოგება პირადი („საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაკები თავიანთ მაღალ უფლებამოსილებას იყენებენ პირადი მოგების მიზნით“ — „სოფლ. ცხ.“);

¹ (10, 301—302): „თავდაპირველად ეს სიტყვა „მათი მეთაურ მომკლას, სვის გამტანს“ ნიშნავდა და იმ რიგის ტერმინი იყო, როგორცაა გუთნისდედა, ლამის მებრე, მცნობარი და სხე... შემდეგ ეს სიტყვა მეტაფორულად იქნა ნახმარი „ვზის გამკვლევის, ახალი მძივე საქმის დამწყების“ აღსანიშნავად... სალიტერატურო ენაში მესვეური — სიტყვის ეს ახლებური ხმარება დამკვიდრდა პუბლიცისტიკაში, ამიტომ პირვანდელ მნიშვნელობასთან კავშირი გაწყვეტა (კავშირის გაწყვეტას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პირვანდელი მნიშვნელობა იშვიათად იხმარებოდა სამწერლო ენაში), ე. ი. მეტაფორის ხასიათი დაკარგა და პატერისტემის ელფერის მქონე „პიონერის, საქმის დამწყების“ მნიშვნელობის ნემოიფარგლა „მეთაურის ხელმძღვანელის“ აღნიშვნით. მაგრამ პატერისტემის ელფერის მქონე სიტყვები ხშირად განზრახ გამოიყენება ირონიული ელფერით... ეს მოუვიდა მესვეურსაც: „კოლმეურნეობის მესვეურთა დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა“ (პრესიდან) და სხე... აქედან კი ერთი ნაბიჯია მეკეთრად უარყოფითი ელფერისაკენ: „იმპერიალისტური ბანაკის მესვეურები“, „კაპიტალისტური სამყაროს მესვეურები“. „ფალანგისტები და მათი ოკეანისგამგელი მესვეურები“... ამ უკანასკნელ შემთხვევაში მესვეურის თავდაპირველი მნიშვნელობიდან აღარაფერია დარჩენილი: აქ მესვეური მხოლოდ „ბატონს“ აღნიშნავს... ამგვარად, გარკვეულ, სახელდობრ — უარყოფითი ელფერის მქონე კონტექსტებში ხშირმა ხმარებამ სიტყვას უცეალა ემოციური იერიცა და შემდეგ საგნობრივი მნიშვნელობაც: ეს ახლებური მნიშვნელობა და იერი მას კონტექსტმა, ხშირად ხმარებულმა სიტყვებმა „გადასდო“, „დამართა“. მას მეთორუელი, ირონიული ხმარება განუვითარდა (იქვე, 171).

მოსყიდვა („ქრთამი, მოსყიდვა არჩევნების მუდმივი თანამგზავრები არიან ბურჟუაზიულ ქვეყნებში“ — „კომ.“); მოსყიდული; მრავლისაღმთქმელი (განცხადება, დაპირება); მტაცებლური (ომი, პოლიტიკა); მტრული (აქცია, თავდასხმა, მოქმედება, წინადადება); მუხანათური, მუხანათურად („ჩვენ გულისწყრომით ვგმობთ ისრაელ აგრესორებს, რომლებიც მუხანათურად დაესხნენ თავს ლიბანს“ — „კომ.“, 26, 6, 1982); მფარველი („სასტიკად დავსაჯოთ დამნაშავენი და მათი მფარველნი“ — „კომ.“, „ტელ-ავივისა და მისი ამერიკელი მფარველების ბარბაროსული მოქმედება“ — „კომ.“, 26, 6, 1982; „ოკეანისგაღმელი მფარველები“ — „კომ.“, 26, 6, 1982; „სოციალიზმის მტრები პოლონეთში და მათი დასავლელი მფარველები“ — „კომ.“, 11, 5, 1982); მხეცი („ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ ბოლო მოუღო ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნავში“ — „კომ.“); მხეცური; მჭღაბნელი („ყოველი ჯურის ფალსიფიკატორები, დაქირავებული მჭღაბნელები“ — „კომ.“); ნაკლოვანება („ჯერ კიდევ არაერთი სერიოზული ნაკლოვანება შეინიშნება“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ნაკლებკვალიფიციური („სემინარზე პროპაგანდისტისათვის თეორიულ და მეთოდურ დახმარებას ცვლიან ნაკლებკვალიფიციური ლექციების კითხვით“ — „კომ.“); ნაკლებმომზადებული; ნაკლებნაყოფიერი; ნაყალბევი; ნაჯახირები; ნეგატიური მოვლენები („კომ. 13, 6, 1982); ობივატელი, ობივატელური, ობივატელობა („ობივატელობის გამოვლენას ვხედავთ იქ, სადაც ღარიბია იდეური ცხოვრება“ — „კომ.“; ეკონომიკური სამსახურის მთელი მუშაკები ადგებიან ობივატელურ პოზიციას“ — „სოფლ. ცხ.“, 7, 5, 1982); ოკეანისგაღმელი პოლიტიკოსები; ომის გამჩაღებლები, ომის კერა, ომის ხანძარი, ცივი ომი, ძმთაშვილელი ომი; პასკვილური („უფრნაღმა „მსოფლიო სპორტი და ჯანმრთელობა“ დაბეჭდა პასკვილური სტატია“ — „კომ.“); პირსისხლიანი („ომის პირსისხლიანი გამჩაღებლები“ — „კომ.“); პირწავარდნილი („ამერიკის მმართველმა წრებმა თავიანთი თავი გამოამყლავნეს, როგორც პირწავარდნილმა აგრესორებმა“ — „კომ.“); პრეტენზია (დამპყრობლური, კოლონიალისტური — „კომ.“, 13, 6, 1982); პროცენტომანია („მრავალჯერ დაგმობილი პროცენტომანიისა და ლიბერალიზმის ამ ნიშნებს, რომ-

ლებსაც ცალკეულ სკოლებში დღესაც ვხვდებით, სასტიკი ბრძო-
ლა უნდა გამოეცხადოს“ — „სახ. გან.“); უანდარმი; რეაქციული
(პოლიტიკა, რეჟიმი, გაზეთი, წრეები...); რუტინა; სავალალო; სა-
განგაშო (მდგომარეობა, ვითარება, სიგნალი — „მომხმარებლის
ეს სიგნალი საგანგაშოა“ — „სოფლ. ცხ.“, 7, 5, 1982); საზიზღარი
(როლი, აქცია, მოქმედება); საზიზღრობა („მოწინავე ავტორმა ამ-
კარა ბრძოლა გამოუცხადა მაშინდელი წეს-წყობილების ყოველ-
გვარ საზიზღრობას“ — „სახ. გან.“); საფრთხე („ბირთვული ომის
საფრთხე“ — „კომ.“, 13, 6, 1982); საქმოსანი, საქმოსნური; სიკვ-
დილს თესავს („ოკეანისგაღმელი მფარველების მხარდაჭერით შე-
გულიანებული სიონისტები სიკვდილს თესავენ ლიბანის მიწა-
წყალზე“ — „კომ.“, 26, 6, 1982); სიმხეცე („ფაშისტური ოვით-
მფრინავები საშინელი სიმხეცით ბომბავდნენ სოფლებს“... „ლიტ.
და ხელ.“); სიონისტი; სისაზიზღრე („მაყურებელმა შეიგრძნო ამ
ტიპის სისაზიზღრე“ — „სახ. გან.“); სისასტიკე, სისასტიკით („მთე-
ლი სისასტიკით გრძელდება დამპყრობთა თარეში“ — „თბილ.“,
24, 6, 1982); სისინებს („ვაი-კრიტიკოსები ღვარძლიანად სისინე-
ბენ“ — „კომ.“); სისხლიანი (აქცია, ჯალათი, ავანტიურა —
„თბილ.“, 24, 6, 1982; „კომ.“, 26, 6, 1982); სისხლისმსმელი, სისხ-
ლისმღვრელი; სქემატიზმი („ავტორი ერთგვარ სქემატიზმს ვერ
აცდა“ — „კომ.“); სქემატურობა („სახეების გახსნა ისტორიული
სინამდვილისაგან მოწყვეტილად რეჟისორსა და შემსრულებლებს
მიიყვანს სქემატურობამდე“ — „ლიტ. და ხელ.“); ტრაგიკომიკუ-
რი („არსად მინახავს ესოდენ ტრაგიკომიკურად კმაყოფილნი თა-
ვისი თავით“ — „კომ.“); ტრაფარეტი („პარტიული მუშაობა ვერ
ითმენს ვერავითარ შაბლონს, ტრაფარეტს“ — „კომ.“); ტრაფარე-
ტული („ბოლო უნდა მოედოს წერილებზე ტრაფარეტული პასუ-
ხების გაცემის ბიუროკრატიულ პრაქტიკას“ — „კომ.“); უბადრუცი
(„ემიგრანტები უბადრუც ყოფაში არიან“ — „კომ.“, 11. 5. 1982);
უბადრუკობა („გოგოლი დასცინის მეფის მოხელეთა სულიერ
უბადრუკობას“ — „კომ.“); უგნური („დიდ საფრთხეს ქმნიან ამ-
გვარი უგნური დოქტრინები“ — „კომ.“, 13, 6, 1982); უღისციპ-
ლინობა („ხშირად საქმეს აფერხებს უღისციპლინობა, დაუდე-
ვრობა“ — „სოფლ. ცხ.“); უკანონო („ზოგჯერ თვალს ხუჭავენ უკა-

ნონო ოპერაციებზე“ — „სოფლ. ცხ.“, 7, 5, 1982); უკულტურობა („საბჭოთა სპორტსმენებისათვის უცხოა უხეშობისა და ყოყოჩური ქედმაღლობის, უკულტურობისა და წამგლეჯაობის მავნე ჩვევები“ — „ლელო“); უმეთვალყურეოდ („ზოგან სათიბები უმეთვალყურეოდაა მიტოვებული“ — „კომუნ. სიტყვა“); უნიათობა („პირველად ორგანიზაციათა მოვალეობაა უღმობელი ბრძოლა გამოუცხადონ უნიათობას“ — „კომ.“); უპასუხისმგებლობა („ასეთი მუშაობით კოლმეურნეობაში აღმოფხვრილია უპასუხისმგებლობა“ — „კომ.“); უპრინციპობა; ურთიერთმამებლობა („აუცილებელია პარტიის საქალაქო კომიტეტმა დაუნდობლად იბრძოლოს ურთიერთმამებლობის წინააღმდეგ“ — „კომ.“); ურთიერთდაუნდობლობა („ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია ხალხებს შორის ურთიერთდაუნდობლობას ნერგავდა“ — „ახ. კომ.“); უსიამო (ფაქტი, ბარიერი — „სოფლ. ცხ.“, 12, 5, 1982); უსინდისო, უსინდისოდ („დახლის ზოგიერთი მუშაკი უსინდისოდ აფათურებს ხელს მომხმარებლის ჯიბეში“ — „სოფლ. ცხ.“, 7, 5, 1982); უსულგულო, უსულგულობა, უსულგულოდ; უსუსური, უსუსურად; უსქელებს ჯიბეს („ამერიკის მოსახლეობიდან ამოქაჩული თანხები ჯიბეს უსქელებს ამერიკელ მაგნატებს“ — „ლიტ. და ხელ.“); უუნარობა; უქნარობა („საბჭოთა საზოგადოებაში არ შეიძლება მოვითმინოთ უქნარობა და მუქთახორობა“ — „კომ.“); უუაირათო, უუაირათობა, უუაირათოდ; უშედეგობა; უშრომელი („საფლავების მდიდრულ მოწყობას მეტწილად ისეთი ოჯახები ახერხებენ, რომლებსაც უშრომელი შემოსავალი აქვთ“ — „ახ. კომ.“, 6, 5, 1982); უცოდინარობა, უცოდინრად; უწესივრო („ხელსაწყოები ავტომატურად აჩერებენ უწესივრო ავრეგატების მუშაობას“ — „ახ. კომ.“); უწესრიგობა („საეაქრო ორგანიზაციებში უწესრიგობას დიდი ზიანი მოაქვს სახელმწიფოსათვის“ — „კომ.“); უხარისხობა; უხერხემლობა („უხერხემლო, უნიათო ადამიანები ხელმძღვანელ პოსტებზე არ შეიძლება გავაჩეროთ“ — „კომ.“); უხეშობს („ჩვენ არ გვეკირდება ისეთი სპორტსმენი, რომელიც უხეშობს“ — „ლელო“); უხეშობა („პოლიციის მოქმედება ბარბაროსული უხეშობით გამოირჩეოდა“ — „კომ.“); ფალსიფიკატორი,

ფალსიფიკაცია, ფალსიფიკირებული („ისინი გამოვიდნენ ფალსი-
 ფიკირებული ციფრებით“ — „კომ.“); ფარისევლობა („ეს ფარი-
 სევლობა მსოფლიოს მოსატყუებლად განკუთვნილი მანევრია“ —
 „თბილ.“, 24, 6, 1982); ფარისევლურად; ფორმალიზმი, ფორმალის-
 ტური; ფუქსავატი, ფუქსავატური, ფუქსავატურად („ფუქსავატურ-
 რად ეკიდებიან საქმეს“ — „კომ.“); ქედმოხრა („საბჭოთა პატრიოტე-
 ბისათვის უცხოა ყოველგვარი ქედმოხრა ბურჟუაზიული კულტურ-
 ისა და იდეოლოგიის წინაშე“ — „კომ.“); ქორვაჭარი; ყალბის-
 მქნელი; ყალთაბანდი, ყალთაბანდობა, ყალთაბანდური, ყალთაბან-
 დობს („ვინც ურჩობს და ყალთაბანდობს, საჭიროა სასტიკად დაი-
 საჯოს“ — „ახ. კომ.“); ყაჩაღი, ყაჩაღური; ყბადაღებული („ყბა-
 დაღებული მრავალეროვნული ძალები“ — „თბილ.“, 24, 6, 1982);
 შაბლონი, შაბლონურობა; შანტაჟი („შანტაჟისა და მუქარის პო-
 ლიტია“ — „კომ.“); შანტაჟისტი („ყველა ჯურის შანტაჟისტე-
 ბი“ — „კომ.“); შარისთავი („ყველასათვის აშკარა ხდებოდა, რომ
 ის სავსებით უვიცი და გაუსწორებელი შარისთავია“ — „კომ.“);
 შარისთავობა; შეაკოწიწებს („იმპერიალისტები ცდილობენ შეაკო-
 წიწონ თავის მოკავშირეთა ყველანაირი ბლოკები სხვა ქვეყნების
 რეაქციულ მთავრობათაგან“ — „კომ.“); შეზღუდულობა; შეთითხ-
 ნის; შეთითხნა („იმპერიალისტებს ასეთი ნაყალბევის შეთითხნაზე
 უკეთესი საშუალება არ გააჩნიათ“ — „კომ.“); შეთხზული („გა-
 ბოროტებული მჭლახნელებისაგან შეთხზული ჭორები“ — „ლიტ.
 და სელ.“); შემბოჰველი; შემთხზველი; შემომძვრალი („ჩვენს პარ-
 ტიაში შემომძვრალი გამცემები“ — „კომ.“); შენიღბავს („ომის
 გამჩალებლებს სურთ თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედება შე-
 ნიღბონ ცილისწამებით“ — „კომ.“); შერყეული (საფუძველი, ავ-
 ტორიტეტი) შერყვნა; შტამპი („რეცენზიებში დამკვიდრებულია
 აუტანელი შტამპი და ტრაფარეტი“ — „ლიტ. გაზ.“); შუასაუკუნე-
 ლობიობა („ჩვენმა ქვეყანამ სამუდამოდ ჩამოიშორა შუასაუკუნეობ-
 რისობისა და ჩამორჩენილობის სახე“ — „კომ.“); ჩაბუღბუღება;
 ჩათრევა, ჩაითრევს („იმპერიალისტური ქვეყნები მიზნად ისახევენ
 ირან-ერაყის ომში ჩაითრიონ სხვა არაბული ქვეყნები“ — „კომ.“,
 13, 6, 1982); ჩარევა („სსრ კავშირი გადაჭრით გმობს ყოველგვარ
 ჩარევას სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში“ — „კომ.“, 11,

5, 1982; უხეში ჩარევა...); ჩრდილოვანი მხარეები („სწორი არ იქნებოდა მიგვეჩქმალა ჩვენი მუშაობის ჩრდილოვანი მხარეები“ — „კომ.“); ჩქმალავს („საბავშვო ლიტერატურა არ უნდა ჩქმალავდეს უარყოფით მოვლენას“ — „ლიტ. და ხელ.“); ცილისმწაანებელი („იმპერიალისტი ცილისმწამებლები ვერ ჩაახშობენ სიმართლის ხმას“ — „კომ.“); ცილისმწამებლური; ცინიკური, ცინიკურად („მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი კვლავ სასტიკი ვიყო“ — ცინიკურად განაცხადა ტეტჩერმა — „კომ.“, 13, 6, 1982); ძალადობა, ძალადური; ძირგამომთხრელი; ძირგამომპალი („კონგრესის მონაწილეთა ხმა აზანზარებდა ძირგამომპალ იმპერიალისტურ სამყაროს“ — „სახ. გან.“); ძმობიკობა („ზოგიერთი ხელმძღვანელი კადრებს არ ჩვენს ძმობიკობის ნიშნით“ — „კომ.“); ძმობიკური („ძმობიკური დამოკიდებულების გამო ხშირად ჩვენი კრიტიკა უპრინციპობას იმე-ლავნებს“ — „ლიტ. და ხელ.“); წაგლეჯვა; წამლავს („ედლიობენ ევროპის კონტინენტზე მოწამლონ ატმოსფერო“ — „კომ.“, 26, 6, 1982); წაქეზება („ავანტიურები, წაქეზება სჭირდება სოციალისტური პოლონეთის მტრებს“ — „კომ.“, 26, 6, 1982); წრეგადასული (აგრესორი; წრეგადასული დროსტარება — „კომ.“, 26, 6, 1982), წუნი, წუნიანი („მცირედი უზუსტობაც კი საკმარისია რომ ნახელავი წუნიანი აღმოჩნდეს, „თბილ.“, 16, 6, 1982); ხელყოფა, ხელყოფს („რეიგანის ადმინისტრაცია ფაქტობრივად ხელყოფს აშშ-ის მოკავშირე ქვეყნების სუვერენიტეტს“ — „თბილ.“, 23, 6, 1982); ხოცვა-ჟლეტა („არ შეიძლება ჩვენს საუკუნეში ადამიანთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის გაჩაღება“ — „თბილ.“, 26, 6, 1982); ხროვა („ისრაელის სამხედრო ხროვა მუქარიდან აშკარა აგრესიის ექტზე გადავიდა“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ჯალათი („სისხლიანი ჯალათი ფრანკო“ — „კომ.“); ჯგუფობრიობა („პლენუმზე მხილებულ იქნა ჯგუფობრიობის არსებობა“ — „კომ.“); ჯუნგლების კანონი („არ შეიძლება ჩვენს საუკუნეში ჯუნგლების კანონით მოქმედება“ — „თბილ.“, 24, 6, 1982); ჯური („ყოველი ჯურის ფალსიფიკატორი“ — „კომ.“)...

როგორც ვხედავთ, უარყოფით-შემფასებლური ლექსიკა ვაზეთში მრავალფეროვანია. აქ გამოიყოფა ჯგუფები, რომლებსაც

ქმნიან ან თემატურად საერთო წყაროდან მომდინარე ლექსიკური ერთეულები ანდა საერთო ლექსიკურ-მორფოლოგიური ნიშნების მქონე სიტყვები. დანარჩენ ლექსიკას კი აერთიანებს საერთო ფუნქცია, რასაც ამ ჯგუფის სიტყვები საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილში ასრულებენ.

ზემოჩამოთვლილ სიტყვებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ირონიული ელფერის მქონე ლექსიკა, რომელიც საგნებს, ცნებებსა და მოვლენებს ირონიულად ასახელებს (დუღუკზე ცეკვავს, ემისარი, ვასალი, იარაღს აჩხარუნებს, იერიშობანა, ისტერია, კალმის ავაზაკი, მორჩილი იარაღი, მფარველი, მშვიდობისმყოფელი, მჯღაბნელი, ნაკოწიწები, საქმოსანი, ტრაგიკომიკური, ჯიბეს ისქვლებს, ქურუმი, ძმაბიჭური, ყბადაღებული...). ირონიული ლექსიკის ერთი რიგი სიტყვებისა ინდივიდუალურ-სტილური ელფერის მატარებელია, მეორე კი ხასიათდება ფუნქციურ-სტილური შეფერილობით, ე. ი. ირონიულ შეფერილობას გაზეთის ფურცლებზე იძენს. მაგ., ვასალი, ემისარი, მესვეური, ქურუმი და სხვ. ირონიული დამოკიდებულების გამოსახატავად განსაკუთრებით ეფექტურია ისეთი წიგნური სიტყვები, რომლებიც ნაკლებად იხმარება სასაუბრო მეტყველებაში და ე. წ. მაღალი სტილისთვისაა დამახასიათებელი (მილიტარისტების მისწრაფება; ამაოდ იღვწიან თეთრი სასლის მესვეურები, ამას ჭადაგებენ სიონისტები...). ეს სიტყვები ისეთ წყაროს ქმნიან, რასაც პრესის ენა გამუდმებით მიმართავს. ისინი, ჩვეულებრივ, არაპუბლიცისტურ მეტყველებაში არ შეიტყვენ ირონიას, მაგრამ საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილში ყოველთვის ირონიულ-შემფასებლური შეფერილობით გვხვდებიან.

იმავე ფუნქციას ასრულებენ მოძველებული სიტყვებიც: მშვიდობისმყოფელი, მხედრიონი, მაცნე, ქურუმი, მოციქული, ლანდსკნესტი და სხვ. ამათგან ზოგი მტკიცედ და დამკვიდრებული გაზეთის ენაში, ზოგის ხმარება შედარებით იშვიათაია, მაგრამ ორივე შემთხვევა კარგად გამოხატავს სიტყვათა ირონიული რეინტერპრეტაციის ტენდენციას პუბლიცისტიკაში.

უარყოფით-შემფასებლურ ლექსიკაში გამოირჩევა, აგრეთვე, სიტყვები, რომლებიც ცხოველთა სამყაროს უკავშირდება, ისეთები,

როგორცაა მხეცი, მხეცური, მტაცებლური, ბუნაგი, ბუღე, სეა-
ვი, მგლური, ჭუნგლი და სხვ.

6.3.3. გაზეთის შემფასებლურ ლექსიკაში გარკვეულ ადგილს იკავებს რიგი ზმნებისა, რომლებიც გადმოცემული მოქმედების შეფასებას იძლევიან, მაგრამ გამოიყენებიან ნეგატიურ ცნებებთან. მაგ., ალაგმვა (აგრესიის, ბოროტების, ხულიგნობის); აღკვეთა (დაძაბულობის, უმსგავსოების); აღმოფხვრა (გამწვევების, ნაკლოვანების, მავნე ჩვეულების); მოგერიება (მტრის, აგრესიის)... ასეთ სიტყვებს პოზიტიური მოდალობა აქვთ, რადგან ისინი ყოველგვარი რეაქციული ძალების, მოქმედებების აღკვეცაზე მიუთითებენ, მეორე მხრივ, შეფერხება, გათიშვა, დათრგუნვა, დამორჩილება (არაბთა ქვეყნების ერთიანობის გათიშვა; დამოუკიდებელი განვითარების შეფერხება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვა, სახელმწიფოთა დამორჩილება) ნეგატიური მოდალობისაა, ვინაიდან მათი საშუალებით დასაწვლელი მოქმედებანი ქოველივე პროგრესულს ეწინააღმდეგება.

სიტყვისა და კონტექსტის მჭიდრო კავშირის შედეგია ის გარემოება, რომ სიტყვა მოდალურ-შემფასებლურ შეფერხებას იღებს. თუ ლექსიკური ერთეული რეგულარულად გამოიყენება დადებითი ხასიათის კონტექსტებში, იგი იძენს დადებით-შემფასებლურ მიმართულებას და, პირიქით, თუ უარყოფით კონტექსტებში ხშირად გვხვდება — უარყოფით-შემფასებლობას შენობი-ტკიცებს. ეს ზოგადი ტენდენცია შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში.

6.3.4. ზემოაღნიშნული ტენდენცია კარგად ვლინდება იმ სინონიმურ ჯგუფებზე დაკვირვებისას, რომლებიც გავრცელებულია საგაზეთო მეტყველებაში. ქართულ პრესაში გვხვდება დადებით-შემფასებლურ სინონიმთა რიგები (მაგ.: პირუთვნელი, პირობი-რი, მიუღგომელი, გულახდილი, გულწრფელი, მოურიდებელი... შრომა, ჯაფა, გარჯა, ღვაწლი, რუდუნება, ოფლის ღვრა... დიდი, ვეებერთელა, უზარმაზარი, გიგანტი, გოლიათი, ბუმბერაზი. ტიტანი, ღვეგმირი, მასშტაბური, უდიდესი... უნაგარო, უბიწო, უსა-დო, უნაკლო, უმანკო, უმწიკვლო, კრისტალური, სპეტაკი, პატრო-

სანი, მალაზნეობრივი, კეთილსინდისიერი...) და ისეთი სინონიმები, რომლებიც უარყოფით შეფასებას შეიცავენ (მოძალადე, თავდამსხმელი, დამპყრობი, ყაჩაღი, აგრესორი, ბანდიტი... დამყაყუბული, დრომოკმული, დახვედებული, ჩამორჩენილი, მოძველებული, შუასაუკუნეობრივი... აყალმაყალი, ჩხუბი, უწესრიგობა, დებოში, ალიაქოთი... თავაშეებული, აღვირახსნილი, გათავჯდებული, გაკადნიერებული, თავგასული... მატყუარა, თვალთმაქცი, ფლიდი, ყალთაბანდი, კომბინატორი, პარაზიტი... მზაკვრობა, ხრიკები, ვერაგობა, ფანდები, ძირის გამოთხრა, ინტრიგა, მუქანათობა, მაქინაცია...). ამათ გვერდით არსებობს სინონიმთა ნეიტრალურ-შემფასებლური რიგებიც (ვიზიტი, წვევა, ნახვა, მოწველება, სტუმრობა... დავალება, ვალდებულება, პირობა, დაპირება, მოვალეობა, პასუხისმგებლობა... სფერო, უბანი, წრე, არენა, სპარეზი, ორბიტა, ფრონტი, ველი, სარბიელი, მიდამო, მონაკვეთი, არე... ვითარება, მდგომარეობა, ატმოსფერო, პირობები, კლიმატი, სიტუაცია... მოდგმა, ჯიში. ჯური... მოთავე, წამომწყები, ინციტორი, მეთაური, წინამძღოლი, ხელმძღვანელი, უფროსი, მენეჯერი, თავკაცი, ლიდერი, თაოსანი... გაათრებული, გამძვინვარებული, გაშმაგებული, გაცხარებული, სასტიკი, შეუპოვარი, დაუნდობელი, უმოწყალო, უკომპრომისო...).

სინონიმთა უარყოფით-შემფასებლური რიგიდან ვერც ერთ სიტყვას ვერ ამოვარჩევთ დადებითი კონტექსტისათვის, ასევე დადებით-შემფასებლური ჯგუფიდანაც არც ერთი სინონიმი არ გამოდგება უარყოფითი შეფასებისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სტილისტიკურ ხერხს, რასაც გაზეთში სშირად ვხვდართავენ — სიტყვის ბრკეალებში ჩასმას — ასე, „შრიობოდა“ ღოჯი და უსაქმური... მალე გამომქლავნდა, როგორი „უანჯარო“ და „საბეტაკი“ იყო... ადამიანის უფლებათა ასეთი „დამცველები“ და „სვე.

რაც შეეხება ნეიტრალურ-შემფასებლურ სინონიმებს, მათგან ში ზოგი დადებითი შეფასებით გამოიყენება, ზოგი კი — უარყოფითი. მაგ., გაზეთში გვხვდება კომუნისტთა მოდგმა, ჯიში, მაგრამ არასოდეს — ჯური (მღრ. ყოველი ჯურის ბოროტმოქმედნი); აგრესორი შეიძლება იყოს სასტიკი, დაუნდობელი, უმოწყალო, მაგრამ არასოდეს — შეუპოვარი და უკომპრომისო; ცუდი საქმის მო-

თავე, წამომწყები, ინიციატორი შეგვხვდება გაზეთის სტრიქონზე, მაგრამ თავკაცი — არა. საილუსტრაციოდ გამოდგება სიტყვა მესვეურის მნიშვნელობის ცვლის ანალიზი (იხ. 6. 3. 2., გვ. 184).

ბ. სპეციალურ ბარონთა ხაზოვანი რეინტეგრაცია

ბ. 1. როგორც აღნიშნული იყო, სხვადასხვა ხასიათის ტერმინები დიდი რაოდენობით გვხვდება გაზეთის ენაში. ტერმინოლოგიზაციის ეს პროცესი საგაზეთო მეტყველების ერთგვარ სტილებრივ ელფერსაც ქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ტერმინები გაზეთის ენაში, განსხვავებით სამეცნიერო სტილისაგან, ორი ასპექტით გამოიყენება: პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. თუ ტერმინთა ხმარება პირდაპირი მნიშვნელობით უცხო არ არის გაზეთისთვის, გადატანითი მნიშვნელობით მათი გამოყენება საგაზეთო-პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, რითაც იგი უპირისპირდება სამეცნიერო სტილს, სადაც ტერმინოლოგიური სისტემა ცალსახაობითა და სიზუსტით ხასიათდება.

როგორც ცნობილია, მნიშვნელობის გაფართოება და განზოგადება სიტყვის განვითარების ერთ-ერთი გზაა, რაც გაზეთში მასობრივი ხასიათისაა, იგი, ამასთანავე, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის სიტყვაში შემფასებლური კომპონენტის გაჩენისათვის. სიტყვის მნიშვნელობის ისეთი ცვლილება, როგორცაა დეტერმინოლოგია, ახალ სემანტიკურ სტილურ მიმართებებს წარმოქმნის, როგორც საერთო ლექსიკასთან, ისე დეტერმინოლოგიზირებულ ტერმინებთან (80, 209);

ლექსიკის გადატანითი ხმარება, როგორც ვიცით, მეტაფორიზაციის ისეთი სახეა, რომელიც დამახასიათებელია საერთო-სალიტერატურო ენისათვის, მაგრამ ტერმინოლოგიური ლექსიკის გადატანითი ხმარებისას გაზეთში ხდება საგაზეთო-პუბლიცისტური სპეციალიზაცია — სიტყვა იძენს გარკვეულ შემფასებლურ ელფერს, ხშირად ისეთს, რაც მას სალიტერატურო ენაში არ ჰქონია. ასეთი ტერმინოლოგიური ერთეულები, რომლებმაც დეტერმინო-

ლოგია: ეკვა განიცადეს, დადებითი ან უარყოფითი ექსპრესიით წარმოადგებიან, ანდა ორსავე — პოზიტიურ და ნეგატიურ კონტექსტებში ხმარების უნარს ამჟღავნებენ (125, 76).

6.4.2. როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, მეტაფორიზაციას, უპირველეს ყოვლისა, განიცდიან ამა თუ იმ პერიოდში საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი და აქტუალური სამეცნიერო ტერმინები (108, 172—173), (107, 117).

ქართულ საგაზეთო პუბლიცისტკაში მეტაფორიზაციის წყაროა ხელოვნების, ლიტერატურის, სპორტის მედიცინის და სხვ. ტერმინოლოგია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

დოზა, დოზირება („კოლმეურნეობამ დაწესებული დოზით შეიტანა ნიადაგში მინერალური სასუქი“ — „კომ.“; „წარმატების ანაღლებას საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებს საშინაო დავალების დოზირების საკითხი“ — „სახ. გან.“); ესტერია („ომის ისტერიის მძიმე ციებ-ცხელება არყვეს მთელ კაპიტალისტურ სამყაროს“ — „კომ.“); პალიატივი („ეს ღონისძიება მაინც პალიატივად უნდა ჩაითვალოს“ — „კომ.“); პარაზიტი, პარაზიტიზმი, პარაზიტული („კაპიტალს გატანა წარმოადგენს გაორკეცებულ პარაზიტისმს“ — „კომ.“); პარალიზება („გაფიცვამ გამოიწვია მთავრობის ძალთა პარალიზება“ — „კომ.“); პროფილაქტიკა („შაბტებში აქეთ იმის საშუალება, რომ მეტი ყურადღება მიექცონ საშაბტოსა და ანდრო მეურნეობის პროფილაქტიკას“ — „კომ.“); ქრონიკული („იმპერიალიზმის ეპოქაში უმუშევრობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო“ — „კომ.“); ფართოდ გამოიყენება თანამედროვე პრესაში აგონია, ალერგია, არიტმია, ეპიდემია, მეტასთაზი, ნევროზი და სხვ. ამ ტერმინთა უმრავლესობა არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარებისას უარყოფით-შემფასებლურია.

ლიტერატურისა და ხელოვნების ტერმინთა მეტაფორიზაციის მკვლითებია: აკორდი („ოლიმპიადის ბოლო აკორდი...“); ამპლუა („ნეოფაშისტების ახალი ამპლუა...“); არენა (მსოფლიო არენა); დირიჟორი (მატრის დირიჟორი, გაფიცვას დირიჟორობენ...); დისონანსი (დისონანსი შეაქვთ, დისონანსი გამოიწვია...); დრამა (სისხლიანი დრამა); დუეტი; ინსცენირება („ფარული კენჭისყრის ინსცენირება ბურჟუაზიული ქვეყნების პარლამენტის არჩევნებში“);

კვარტიტი; ლაურეატი; მარიონეტი, მარიონეტული; პაროდია („კაპიტალისტურ სამყაროში ადამიანთა უფლებათა დაცვის პაროდია“); პროლოგი; რეპეტიცია; სპექტაკლი; ტრაგედია...

სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ლექსიკა, რომელიც ვადატანიით მნიშვნელობით იხმარება გაზეთში, მკვეთრად შემდგობლურია. დადებითი შეფასებისაა: ავანგარდი, არმია (მშრომელთა, ვეტერანთა); გენერალური, გვარდია, გვარდიელი; დარტყმა („ბიუროკრატიზმის დაძლევა ერთი დარტყმით არ შეიძლება“ — „კომ.“); დარაზმვა (მშრომელთა დარაზმვა, ახალგაზრდობის დარაზმვა...); დისლოკაცია; ვახტა; ლაშქრობა (ლაშქრობა უცხო სოსავლისათვის); მებრძოლი (მშვიდობის საქმისათვის მებრძოლი, კომუნისტური იდეებისათვის მებრძოლი, სამართლიანობისათვის მებრძოლი...); მწყობრში ჩადგომა; პატაკი, უპატაკებს; რიგგზის შემჭიდროება; ფლაგმანი, ფორპოსტი, ფრონტი... უარყოფით-შემფასებლურია: დივერსია, შენიღბვა, მანევრი...

სპორტული ტერმინოლოგიიდან მაღალი სიხშირე აქვთ სატყვეებს: ბარიერი, სტარტი, სასტარტო, ფინიში („ამან მოლინაღ მეთერთმეტე ხუთწლედის სასტარტო წლის წარმატებული ფინიში განაპირობა“ — „თბილ.“, 14, 6, 1982) რეკორდი, რეკორდული (საწარმოს რეკორდული მაჩვენებლები); მართონი, ტანჯვა, ტრამპლინი და სხვ.

დეტერმინოლოგიზაციას განიცდიან აგრეთვე მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის, ასტრონომიისა და სხვ. მეცნიერებათა ლექსიკური ფენები: ბარომეტრი, ზენიტი („მაშინ, როცა იტმინებოდა მარქსის დიადი ნაშრომი, კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ზენიტში იყო“ — „კომ.“); კომპასი, კონდენსატორი („თბილისი, როგორც ვიგანტური კონდენსატორი, გაბმულია უხილავი ძაფებით რესპუბლიკის ყველა კუთხისაკენ“ — „კომ.“); კონტაქტი, კულმინაცია, მასშტაბი, მასშტაბური; პოტენციალი („უფრო მეტად გავაღვიწიო ჩვენი სამხედრო პოტენციალი“ — „კომ.“); რეზონანსი („ქართული საბჭოთა თეატრის რეზონანსი გასცდა საქართველოს ფარგლებს“ — „ლიტ. და ხელ.“); სამკედლო, შედუღაბება, წრთობა და სხვ.

ასევე შეიძლება გამოიყოს სამართალმცოდნეობის ტერმინოლოგია (ვექილი, მეკვიდრე, პატენტინი, მეურვე, მეურვეობა...), საეაქრო-ფინანსური ლექსიკა (ბალანსი, კაპიტალი, მონობოლია...); აგრეთვე, სხვადასხვა თემატური ჯგუფის სიტყვები, რომელთა მეტაფორიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა საგაზეთო მეტყველებაში (მაგ., აპოგეა, ორბიტა, ეკვატორი...).

სპეციალურ ტერმინთა მნიშვნელობების მხატვრული რეინტერპრეტაცია ერთნაირი ტიპის გადატანის საფუძველზე ხდება. სიტყვებმა — ბარომეტრი, კომპასი, კონდენსატორი, დირიჟორი და სხვ. მეტაფორულობა ფუნქციონირებს მსგავსების ნიადაგზე შეიძინებს.

როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიური ლექსიკის მეტაფორიზაციისას სიტყვა გაზეთში ხატოვანებასთან ერთად, გარკვეულ შემფასებლურ ელფერსაც იძენს, ხშირად ისეთს, როგორიც არ ქონია მას სალიტერატურო ენაში (მაგ., ნევროზი, ამპლუა, გვარდია, სამშედლო...).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის ტერმინოლოგიზირებული და დეტერმინოლოგიზირებული ერთეულები, რომლებიც ქართული გაზეთის ლექსიკურ სტრუქტურას ქმნიან, არა მარტო აღნიშნავენ იდეოლოგიურ ცნებებს, არამედ განმარტავენ და აფასებენ მათ კლასობრივი თვალსაზრისითაც.

6.5. ფრაზოლოგიური ბიზის გამოთქმები

6.5.1. ლექსიკაზე არანაკლებ სპეციფიკურია საგაზეთო-პუბლიცისტური სტილისათვის ფრაზეოლოგია, რომელსაც აღნიშნულ სფეროში ფუნქციური შეფერილობა აქვს. ყველაზე მეტად ენის რესურსების ამ ორ მხარეს უკავშირდება პუბლიცისტური სტილის წარმოქმნა-განვითარება. მათ გარეშე მეტყველების პუბლიცისტურ ხასიათზე ლაპარაკი წარმოუდგენელიც კია.

მყარი გამოთქმები გაზეთის ენაში ნაირგვარია, როგორც სემანტიკური და სტრუქტურული, ისე ფუნქციური თვალსაზრისითაც. მეორე მხრივ, აღნიშნულ გამოთქმებზედაც ვრცელდება ის, რაც ითქვა საგაზეთო ლექსიკის მიმართ — ისინი განსხვავდებიან სოციალური შეფასების მიხედვით და ამავე დროს, მათ ახასიათებს გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება — მეტაფორიზაცია.

საერთო-სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, ქართულ-ენოვან პრესაში შეიმჩნევა ზოგი ისეთი მოვლენა, რომელიც გაპირობებულია პუბლიცისტური სტილის ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, კერძოდ ისეთით, როგორიცაა, ერთი მხრივ, სათქმელის ექსპრესიულ-ემოციური გადმოცემა, ხოლო, მეორე მხრივ, გამოთქმათა სტანდარტიზაცია. ეს ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია, რომელიც თანაბრად განსაზღვრავს ერთიან საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილს, მის ფუნქციურ ხასიათს, წარმოშობს გარკვეული ტიპის შესიტყვებებს. ამ ტენდენციებით არაზომიერი გატაცება ხშირად იწვევს ხელოვნური, ყალბი ექსპრესემების შექმნას და მეორე მხრივ, ექსპრესიისაგან სრულიად დაცლილი შაბლონური გამოთქმების არასასურველ გამრავლებას გაზეთის ენაში, რაჟ მეტყველების კულტურის თვალსაზრისით უარყოფითადაა შეფასებული¹.

6.5.2. გაზეთის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით ისეთ სიტყვათ-შეერთებებს, რომელთაც ტერმინოლოგიური დანიშნულება აქვთ. ამგვარი შესიტყვებები მეცნიერებათა იმ დარგებიდან შემოდის, რომელთა საკითხები ფართოდ შუქდება გაზეთში. ამდენად მათი გამოყენება თემითაა განპირობებული და მას სამეცნიერო ენისაგან რაიმე განსხვავებული ნიშანი არ ახლავს. იგივე ითქმის ტექნიკის, ხელოვნების, სოფლის მეურნეობისა და სხვ. დარგობრივი ფრაზეოლოგიური ტერმინოლოგიის შესახებ. ისინი, ჩვეულებრივ, პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება და მხოლოდ სახელდების დანიშნულება აქვთ (მაგ., ეკონომიური კრიზისი, საქონლის მიმოქცევა, დოკუმენტური ფილმი. ნაკადური მეთოდი, დედობის შედეგი, დიპლომატიური პასპორტი, პირველადი ორგანიზაცია, თემთა პალატა, კომუნალური მშენებლობა, საპაერო საზღვრები, სეპარატული ზავი და სხვ.).

ასევე, სახელდების ფუნქცია აქვთ, მაგრამ აშკარა „გაზეთიზმებს“ განეკუთვნება გამოთქმები: აღებული ვალდებულება, ადგილობრივი მეთვალყურე, გადაწყვეტილების გადასინჯვა, გულთბი-

¹ იხ. (11).

ლი შეხვედრა, გულითადი საუბარი, გულწრფელი თანაგრძნობა, გმირული ნული, გმირული საქმე, გმირული ეპოპეა, გაზრდილი ღონე, განუხრელი ზრდა, დაკისრებული მოვალეობა, დასახული ამოცანა, დამკვრელური უბანი, დიდი სურვილი, დამარცხება განიცადა, დაცვა: წესის, ადათის, დისციპლინის, სისუფთავის, ჩვეულებების, მონაპოვრის, საზოგადოებრივი საკუთრების; დაუღალავად იღვწიან, ვრცელი კომენტარი, იმედი გამოთქვა, კონფლიქტის მოწესრიგება, მზარდი მოთხოვნა, მსოფლიო საზოგადოებრიობა, მშრომელთა ინტერესები, ნაცადი ფორმა, ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ნათელი დადასტურება, ნათლად მიუთითებს, ოფიციალური ვიზიტი, პირნათლად ასრულებს, საერთაშორისო დაძაბულობა, სამოქმედო ასპარეზი, სამსახურში ჩადგა, ურთიერთობის გაუმჯობესება, ფართო აღიარება, ფართო გამოხმაურება, ფართო ასპარეზი, ღირსეული შეხვედრა, ღირსეულად ასრულებს, შემდგომი გაფართოება, შეშფოთებას გამოთქვამს, შეჯიბრებაში ჩაბმა, ხმის უფლება, ხმას უერთებს და მრავალი სხვა.

6.5.3. გადატანითი მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომელთაც სალიტერატურო ქართულში მკვიდრი ადგილი აქვთ (მაგ.: ერთ ადგილს ტკეპნის, ერთი დარტყმით, რელსებზე გადადის, პირველ ნაბიჯს დგამს, ანკესზე წამოაგებს, კარგი პირი უჩანს, ფეხს იღვამს, ფეხქვეშ თელავს, გზას უკაფავს, თავს არ იტკიებს, ჩინში ემწყვდევა, ნაყოფს გამოიღებს, საკითხის მომწიფება, უთანხმოების ნაპერწკალი და სხვ.), ის მასალაა, რომელსაც ხშირად მიმართავენ გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამგვარი გამოთქმები ხშირი ხმარების გამო ნაკლებექსპრესიულია, ხოლო პუბლიცისტური მეტყველება ყოველთვის მიისწრაფვის ენობრივი ქსოვილის იმგვარი „გაფორმებისაკენ“, რომელიც თვალშისაცემიც უნდა იყოს და ამავე დროს სიახლის სურნელსაც უნდა იკრავდეს, სიტყვათშემოქმედება ამ სფეროში შეუზღუდავია და არცთუ იშვიათად საერთოენობრივი ნორმის დარღვევის გზით მიდის¹, რაზეც აქ არ შევიჩრდებით, აღვნიშნავთ

¹ ამის შესახებ იხ. (II)-ში თ. ღვინაძის, თ. ზურაბაშვილისა და ც. კალაძის, ას. პაპიძის, ლ. ლუჯავასა და ვ. კალანდაძის წერილები.

შხოლოდ ერთ მოვლენას, რომელიც სამეცნიერო სტილის მიმართაც შევნიშნეთ. საქმე ეხება გამოთქმათა ისეთ სახელურ-ზმნურ წარმოებას, სადაც ზმნა დესემანტიზირებულია და მხოლოდ დამხმარე სიტყვის როლს ასრულებს, მნიშვნელობის გადმოცემის ფუნქციას კი მთლიანად ტვირთულობს მასდარი — ეწყობა: გამოცხობა, თესვა, მკა, კრეფა, შრობა... მიმდინარეობს: სასუქების შეტანა, შემობარვა, ტეხა-ნემსვა... წარმოებს: გამოკვება, მეთვალყურეობა, რემონტი, გამოთონხა... ხდება: გაწმენდა-გასუფთავება, შემოწმება, გაცნობა, წესრიგში მოყვანა... ხორციელდება: მოვლა, შეკეთება, შენახვა, დადგმა, შესრულება...

როგორც შენიშნულია, აღწერითი სახის წარმოება — მასდარის დაკავშირება მთლიანად თუ ნაწილობრივ მნიშვნელობისაგან დაკლილ ზმნასთან — ენისათვის უჩვეულო არაა, უფრო მეტიც, არააშეიათად სახელურ-ზმნური გამონათქვამი ახალ აზრობრივ ნიუანსსა და სტილისტიკურ შეფერილობას იძენს. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მომენტიც და არა მარტო კალკირება არის იმის მიზეზი, რომ აღნიშნულმა მოვლენამ ფეხი მოიკიდა ქართული პრესის ენაში.

მეტაფორული პერიფრაზის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დაგვმაყოფილდებით, რომ ისინი სხვა მეტაფორულ გამოთქმებთან ერთად ქმნიან გაზეთის ენის პუბლიცისტურ ხასიათს.

7. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი

7.1. მორფოლოგია

7.1.1. იმგვარი მორფოლოგიური კატეგორიის გამოყოფა, რომელსაც საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის სპეციფიკური შეფერილობა აქვს, ძნელია. მორფოლოგიაში ყველაზე ნაკლებად გვინდება აღნიშნული სტილის თავისებურებანი. თუკი შესაძლებელია რაღაც დამახასიათებელ ნიშნებზე ლაპარაკი ამ სფეროში, ალბათ მაინც სტატისტიკურ კანონზომიერებათა თვალსაზრისით. ჩვენ გვულისხმობთ იმ ფორმათა გარკვეულ სიხშირეს, რომლებიც უპირატესად გამოიყენება ქართულ საგაზეთო-პუბლიცისტურ მეტყველებაში.

ამ მამართებით ყველაზე თვალში საცემია ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა ხმარება, რაც სამეცნიერო სტილის მონაცემებს აჭარბებს თითქმის ოცი პროცენტით (ცხ. № 2). აღნიშნული ფორმის ასეთი სიხშირე განპირობებულია იმავე საფუძვლით, რაც სამეცნიერო ნაშრომთა ენაში გვაქვს (მიმართების გამოხატვა, უბრალო ობიექტის მნიშვნელობის გადმოცემა), ოღონდ ამას ისიც ემატება, რომ ტერმინოლოგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროსათვის დამახასიათებელ შესიტყვებათა გრძელი რიგები ჩვეულებრივი მოვლენაა გაზეთში. ქართული გაზეთის ნებისმიერ ნომერში შევხვდებით ქვემოთოცვანილის ანალოგიურ ტექსტებს:

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარის ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გაერთიან-

ნება „თბილმშენის“ უფროსის ამხ. გ. კ. კვიციანი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტროს საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ მშენებარე საბინაო მშენებლობის ობიექტების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფის კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ“.

7.1.2. ყურადღებას იქცევს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა სიხშირული განაწილება (იხ. ცხ. № 3). მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმები რაოდენობრივად აღემატება არა მარტო სამეცნიერო სტილის მონაცემებს, არამედ მხატვრულისასაც, რაც უქველად განპირობებულია გაზეთის დანიშნულებითა და მიზნებით. პრესაში მოთავსებული ის მასალა, რომელსაც საორგანიზაციო-მარეგულირებელი და დირექტიული ხასიათი აქვს, აგრეთვე, ანგარიშები, ნარკვევები ამა თუ იმ სახელოვანი ადამიანებზე შესახებ, სადაც აღწერილია მათი საქმიანობა-მოქმედება, ჩვეულებრივ, უფრო მეტად შეიცავს აქტიურ ზმნებს რაც, ამ ზმნათა სემანტიკითაა განსაზღვრული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრესის ფურცლებზე, გაზეთის ერთი ნომრის ფარგლებშიც კი ხშირად მეორდება შემდეგი მოქმედებითი გვარის ზმნები: აღნიშნა, განიხილა, ითვალისწინებს, იკისრებს, - მოისმინეს, დაადგინეს, მოიწონეს, გაამახვილეს (ყურადღება), გაზარდეს (ნაყოფიერება), გამოუშვეს (პროდუქცია), სრულყოფენ (მუშაობას), მხარს უჭერენ, ნერგავენ, წარმართავენ, დაამთავრეს, აქციეს, გვიჩვენეს, განსახიერეს, უპატაკეს, შეასრულეს, წარმოაჩინეს, გვახარებს, გამოააშკარავეს, ავამალლოთ, შეაჯამეს, დაისახეს და სხვ. სიტყვათა ეს ჯგუფი, მართალია, გარკვეულად შემოსაზღვრულია, მაგრამ გამოყენების მაღალი სიხშირით ხასიათდება, რაც ცხადია, ზრდის მოქმედებითი გვარის ზმნების რაოდენობას გაზეთის სტრიქონზე.

აღნიშნულ სტილში შესაბამისად ნაკლებია ვნებითის ფორმები, უფრო ნაკლებიც კი, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის ენაში.

ფუნქციურ-სპეციფიკური თვალსაზრისითაც რაიმე თავისებურება არ შეინიშნება¹.

7.1.3. ზმნის დროთა ფორმების თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვაძლევს მხატვრულ, სამეცნიერო და პუბლიცისტურ სტილთა შედარება (იხ. ცხრილები № 4 და № 5). ახლანდელი და წარსული დროების ფორმათა მიხედვით საგაზეთო-პუბლიცისტური მეტყველების მონაცემებს შუალედური ადგილი უჭირავს სამეცნიეროსა და მხატვრული ლიტერატურის მონაცემებს შორის, კერძოდ, ახლანდელი დროის ფორმები გაზეთში ორჯერ აღემატება შესაბამის ფორმებს მხატვრულ მეტყველებაში და ოცი პროცენტით ჩამორჩება სამეცნიეროში; წარსულის ფორმების მონაცემების მიხედვით კი აღემატება სამეცნიეროსა და ჩამორჩება მხატვრულს. რაც შეეხება მომავალი დროის ფორმებს, გაზეთში ისინი ბევრად უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე აღნიშნულ სხვა სტილებში. დროის ფორმათა ამგვარი შეფარდებანი ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ მეტყველების ყოველი სფეროსათვის არსებით ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს. გაზეთი, სადაც რეალიზებულია ზემოქმედების ფუნქცია და მეტყველება დირექტიულ-მარეგულირებელი ხასიათისაა, შესასრულებელ მოქმედებათა და იმპერატივის გამოხატვის საჭიროებაც ჩნდება. საგაზეთო მასალაში ხშირად არსებული ვითარების კონსტატაციასთან ერთად მომავლის პერ-

¹ შდრ.: „ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა გამოყენება თანამედროვე ქართული პრესის ენაში თავისებურ სურათს გვიჩვენებს. თანამედროვე ქართული პრესის ენის ერთ-ერთ სტილობრივ-ენობრივ თავისებურებად შეიძლება გამოიყოს ვნებითურ კონსტრუქციათა მოჭარბებულად და სალიტერატურო ენის მოხმარების სხვა სფეროებისაგან განსხვავებულად, ვთქვათ, მხატვრული ლიტერატურის ან სამეცნიერო ლიტერატურის ენისაგან განსხვავებულად, გამოყენება. პრესის ენაში დამკვიდრდა და ჩვეულებრივ ფორმებად იქცა ზმნათა ამგვარი ფორმები: აშენდა, ჩაბარდა, მოასფალტდა, დაჯილდოვდა, მოიკრიფა, აიგო, გაიგზავნა, დაიბეჭდა, გამოიცა, დაინერგა, მიეყიდა, გადაეცა, გამოეცხადა, მიენიჭა“ (11, 241).

უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ფორმები საკმაოდ ბუნებრივი და დამკვიდრებულია სამეცნიერო მეტყველებაშიც (იხ. 2. 2. 1.); აღწერილობითი ვნებითიც უფრო ხშირად გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში, ვიდრე გაზეთის ენაში (შდრ. II, 258).

სპექტივაცაა გაშუქებული, ყოველივე ეს ზრდის ისეთი მწკრივების გამოყენების სიხშირეს, როგორცაა: აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი, მყოფადი და მყოფადის კავშირებითი. სამეცნიერო და მხატვრულ სტილებთან შედარებით თანაბარი შეფარდება ახლანდელი და წარსული დროის ფორმებისა, აგრეთვე, ისეთი კანონზომიერებაა, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართული პრესისათვის და რომლის ახსნა ამ პრესის შინაარსში ძვეს — რაც მოხდა, იმის გვერდით აისახოს ასევე ის, რაც ხდება ახლა და ამავე დროს საერთოდ, ზოგადად. ამას კი, ჩვეულებრივ, აწმყოს ფორმები გამოხატავს.

7.1.4. პირის ნაცვალსახელთა მიმართ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ უნარების მიხედვით მათი გამოყენება განსხვავებულ სურათს იძლევა. თუ სამეცნიერო მეტყველებაში ნაცვალსახელი „მე“ თითქმის არ გვხვდება, გაზეთის იმ უნარებში, სადაც შედის მოგონებანი. მოგზაურობათა შთაბეჭდილებები, ნარკვევი, ამ ნაცვალსახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმები დასტურდება („მე სიხარულით შევეყურებდი დედა-შვილს“... „ამან დიდი გავლენა იქონია ჩემზე“...).

ამავე ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმა, რომელიც სამეცნიერო მეტყველებაში სხვადასხვა სემანტიკურ კომპონენტებს შეიცავს, გაზეთში უმეტესად ექსკლუზიური მნიშვნელობით გამოიყენება, რასაც გარკვეული საფუძველი აქვს: გაზეთი კოლექტიური შემოქმედებაა, მას ე. წ. „კოლექტიური ავტორი“ ჰყავს და მეორეც, გაზეთში უშუქდება კოლექტივთა (საწარმო, ფაბრიკა- ქარხნები, სხვადასხვა ორგანიზაციები...) საქმიანობა, რაც, ცხადია, შესაფერის ენობრივ გამოხატულებას მოითხოვს. თუ ექსკლუზიური „ჩვენ“ მხოლოდ იმგვარ სამეცნიერო ტექსტებში გვხვდება, რომლებიც ავტორთა ჯგუფს ეკუთვნის, გაზეთის ფურცლებზე იგი ჩვეულებრივი მოვლენაა. ხოლო რაც შეეხება ინკლუზიურსა და ავტორისეულ „ჩვენს“, რაც უფრო სამეცნიერო მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი, გაზეთში მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები ბევრად ჩამორჩება ექსკლუზიურის მაჩვენებლებს.

7.2.1. საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის სინტაქსი ძირითადად წიგნურია, რაც ვლინდება განკერძოებულ გამოთქმათა, გავრცობილ ერთგვაროვან წევრთა სინშირესა და აქტივიზაციაში; მაგრამ მას წიგნური სინტაქსისაგან განსხვავებული ნიშნებიც აქვს.

განსაკუთრებით იმ უნარებში, სადაც გამონათქვამის ინფორმაციულობას ექცევა უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე მის ექსპრესიულობას, დამახასიათებელია სხვადასხვა გრამატიკული ფორმების შემცველი დახვავებულ მსაზღვრელთა რიგები ისეთივე სტრუქტურული კომპონენტებით, როგორითაც ხასიათდება სიტყვათშეერთებათა ჯაჭვები სამეცნიერო მეტყველებაში; აქაც მალაპროდუქტიულია II-გ და I-ბ მოდელები; სპეციფიკური ჩანს II-დ მოდელის („ცოდნის ათვისების შემოწმება“) გამოყენების სინშირე, რაც 1,5-ჯერ აღემატება სამეცნიერო სტილის მონაცემს, ხოლო თითქმის შეიღწერ — მხატვრული მეტყველების შესაბამის მაჩვენებელს.

ყველაზე თვალში საცემი მაინც შესიტყვებათა გაბმული რიგის თვით სიგრძეა (მაგ., „საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მიერ მშენებარე საბინაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფის კომპლექსური ღონისძიებები“), რომელიც აღემატება როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო სტილის მონაცემებს (ცხ. № 6). ამგვარ მიმდევრობათა სინშირეც აღნიშნულ სტილში ბევრად მაღალია დანარჩენებთან შედარებით. ხუთ და ხუთზე მეტკომპონენტიანი რიგები საგაზეთო-პუბლიცისტურ სტილში სხვა დანარჩენის 29%-ს შეადგენს (ცხ. № 7), ე. ი. თითქმის მესამედს, მაშინ როცა, სამეცნიეროსა და მხატვრულ მეტყველებაში ანალოგიური მახასიათებლები შესაბამისად 16%-ისა და 8%-ის ტოლია.

რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის გადაცემისაკენ მისწრაფება იწვევს ერთგვაროვანი წევრების სიჭარბეს გაზეთში. ეს მოვლენა ფართოდაა დამახასიათებელი პრესის ენისათვის და იგი, თავის მხრივ, სხვა სინტაქსურ თავისებურებებსაც აჩენს. მაგალითად; ა) წინადადების სიგრძეზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ყველაზე გრძელი, რთული და შერწყმული წინადადებები სწორედ ამ სტილ-

შია (ყველაზე მეტკომპონენტიაანი მარტივი სამეცნიეროშია — ცხ. № 8); ბ) შერწყმულ წინადადებათა რაოდენობრივი მაჩვენებელი ყველაზე მაღალი საგაზეთო მეტყველებაშია (ცხ. № 8).

ერთგვარწევრებიან წინადადებათაგან მოვიყვანთ რამდენიმეს, რომლებიც ტიპობრივია ქართული პრესისათვის:

„პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა უნდა იზრუნონ წარმოების ეფექტიანობის შემდგომი გადიდებისათვის, ყოველმხრივ დაიცვან მომპირნეობის რეჟიმი, გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი და მიაღწიონ მაღალ საბოლოო შედეგებს“.

„ცერემონიას დაესწრნენ: ესპანეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ანტონიო ერნანდეს ხილი, კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი იგნასიო გალილეგო, დემოკრატიული პროფგაერთიანების — მუშათა კომისიების გენერალური მდივანი მარსელინო კამაჩო, სენატორები, დეპუტატები, ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი. „ესპანეთი-სსრ კავშირის“ ასოციაციის ხელმძღვანელები, ჟურნალისტები“.

„საბჭოთა ადამიანებმა თავდადებით უნდა იბრძოლონ წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მატერიალური რესურსების მომპირნეობისათვის, ყოველ სამუშაო ადგილზე მაღალი ნაყოფიერებისათვის.“

„ავტორი წარმოგვიდგენს რუსი და ქართველი მეტალურგების მეგობრობას, მათს სახეებს, ვოლგის ციტადელისა და საქართველოს ულამაზეს პანორამებს... პოემა ბრძოლას უცხადებს გულგრილობას, უსულგულობას, ცილისწამებას“.

წინადადების სიგრძეს ასევე ზრდის განკერძოებული წევრები, რომელთა გამოყენებას ხშირად მიმართავენ გაზეთში.

7.2.2. თუ სამეცნიერო და მხატვრულ ფუნქციურ სტილებში რთული და არართული წინადადებების რაოდენობრივი შეფარდება რთულის სასარგებლოდ წყდება, ამასვე ვერ ვიტყვით გაზეთის ენის შესახებ. აქ შერწყმულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი რთული და მარტივი კონსტრუქციების შემცირების ხარჯზეა გაზარდილი. თვით რთულ წინადადებებში ქვეწყობა თითქმის სამჯერ

აღმატება თანწყობას. მაგრამ ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი აქვს მხატვრულსა და, განსაკუთრებით, სამეცნიერო სტილს, რაც ამ უკანასკნელის თავისებურებაა.

რაც შეეხება რთულ ქვეწყობილ წინადადებათა გარკვეული ტაპების განაწილებას, უნდა შევნიშნოთ, რომ ერთდამოკიდებულისანი სტრუქტურები ბევრად ხშირია ერთზე მეტდამოკიდებულისანი სტრუქტურებზე (80% : 20%). ამ მაჩვენებლით პუბლიცისტური მეტყველება უაწლოვდება სამეცნიეროსა და შორდება მხატვრულს. რთული სუბორდინაციული ჰიპოტაქსის კომპენსაცია გაზეთის ენაში სტილისტიკურად დიფერენცირებული და ექსპრესიული შესაძლებლობების მიხედვით მრავალფეროვანი სინტაქსური ფიგურებით ხდება, რაზეც ქვემოთ შევიჩრდებით.

7.2.3. პუბლიცისტური მეტყველების სინტაქსს ბევრი ისეთი სტრუქტურული ნიშანი აქვს, რაც განასხვავებს მას სხვა ფუნქციური სტილებსაგან. კერძოდ, აქ გამოიყენება ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი მეტყველებისათვის.

რთული წინადადების, გამონათქვამის სტილისტიკური და ექსპრესიული სასიათი დამოკიდებულია იმაზე, რამდენადაა ამ ნიშნების მარეალიზებული ერთეულები „მიმაგრებული“ ტექსტთან, რამელიც სამეტყველო ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროს ემსახურება. სწორედ ეს განსაზღვრავს საბოლოოდ ფუნქციურ სტილებს და მათ შორის პუბლიცისტურ მეტყველებასაც. ენობრივ ერთეულს ექსპრესიულ-სტილისტიკურ ეფექტს ქმნის, აგრეთვე, ამ ერთეულის აგებულება, მისი ფორმა, ამასთანავე ისიც, წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაშია იგი გამოყენებული. ამიტომ განარჩევენ სასაუბრო-ზეპირ და წერით-წიგნურ საშუალებებს (142, 153).

შემჩნეულია, რომ გაზეთში სასაუბრო მეტყველების სინტაქსურ ელემენტებს იყენებენ (151), რაც უნდა აიხსნას იმით, რომ სასაუბრო მეტყველება, როგორც ურთიერთობის იარაღი, ენის უფრო მასობრივი ფორმაა, წიგნურთან შეპირისპირებით, იგი არაოფიციალური, უშუალო კონტაქტის დამამყარებელი საშუალებაა. ამავე დროს, ერთგვარად აწონასწორებს გაზეთის წიგნურ მეტყვე-

ლებას და ამასთანავე, მას ახასიათებს ლაკონიურობა, მოქნილობა და სისხარტე. ერთად თავმოყრილი ეს ფაქტორები შექვემშულ ფორმებსა და ფრაზის შინაარსობრივ ტევადობას ქმნი: რითაც გაზეთი ახორციელებს ინფორმაციისა და პროპაგანდის ლობუნვს — დროის ერთეულში — ინფორმაციის მაქსიმუმი (110, 45). მეორე მხრივ კი, სასაუბრო ელემენტები პუბლიცისტური მეტყველების ექსპრესიულობას აძლიერებენ: „ღიან, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლები უვერტმფრენებოდ ფონს ვერ გავლენ“. „აბა, დააკვირდით, როგორი შთაგონებითაა გაცოცხლებული დამე კლახნის პირას!“ „განა პარადოქსი არ არის: მეშახტეს თვითონ ბინაში გათბობა არ ჰქონდეს?“ „კი მაგრამ სასწავლებელს ხომ ჰყავს ზღვამდგანელობა?“ „უნდოდათ კომპლექსური სადილი? აი, პატრონო, ინებონ!“

შეიძლება რთული წინადადების მხოლოდ ერთ ნაწილში ვეკონდეს სასაუბრო ელემენტი, მაგრამ მთლიანად გამონათქვამი ისენდეს სასაუბრო ელფერს: „ჩვენი კორესპონდენტის ქოიავასი არ იყოს, პატიოსან, გულისხმიერ მკურნალებთან ერთად, საავადმყოფოში აღმოჩნდნენ ისეთი ექიმებიც, რომლებიც უნაგაროდ არაფერს აკეთებდნენ“. „პალატებსა და დერეფნებს არ ანიავეზენ, ან რანაირად შეიძლება ეს?“ „მაშ, რაღა საჭირო იყო იმის განოცხადება, რომ „ენენვის შეხვედრის მიუხედავად, შეერთებული შტატები გაგზავნის საიდუმლო სამხედრო ტვირთიან ხომალდს კოსმოსში?“ „აი, რატომ გაეხარდა ყველას, ახალგაზრდამ რომ შემოაბიჯა სამმართველოში“; „ცვლის უფროსმა მომცრო კაცს ვახედა, ვითომ რაო?“

გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ფორმალურ საშუალებათა მინიმალურობა ზოგჯერ სასაუბრო კონსტრუქციის ნიშნია — უკავშირო რთული წინადადებები ავტორისეულ ნეიტრალურ თხრობაში ტექსტს უშუალობას, სიმსუბუქეს, სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ თავისუფლებას სძენს: „ნოვასენებთ: გზისა და სკოლის მშენებლობა არცთუ იოლია მატერიალური და ტექნიკური რესურსების გარეშე...“ „ცნობილია: მარტო ენთუზიაზმი საქმეს არ შველის...“ „შეიცხადეს: ჩვენი შეილი

ამას არ იზამდაო...“ „გადაწყვეტა: იქვე № 43-ში მცხოვრებ კ. ნ.-სთან მისულიყო...“

უკავშირო წინადადებებს გარკვეული ექსპრესიული ფუნქცია აქვთ. დინამიკურობა და ელიფსურობა, რაც მათ ახასიათებს. ქმნის რიტმის გაძლიერების, თხრობის დაძაბულობის შთაბეჭდილებას:

„მოცლილს, დონიჭუმეოყრილს ვერავის ნახავთ, (რადგან) ყველა ჩქარობს: ვინ მორჩებს ეზიდება, ვინ აგურს, მოზრდილ ქვებს, აშენებენ, აქედებენ, რანდავენ, წნავენ, ხურავენ. აქ ქართული ეთნოგრაფიული შენობები უნდა დამკვიდრდეს“.

ამ ფრაგმენტიდან კარგად ჩანს, რომ უკავშირო წინადადებათა ფუნქციონირებას ორი მხარე აქვს: ისინი გადმოგვცემენ მოვლენათა განვითარებას, მოძრაობას, აწეულ რიტმს, რითაც ერთგვარად ტექსტის დამატებით სემანტიკურ დატვირთვას კისრულობენ და მეორე მხრივ, მაკავშირებელი სიტყვის გამოტოვება ხშირად სტრუქტურის ნაწილის ელიფსირებას იწვევს, რაც კონსტრუქციას სასაუბრო მეტყველების შეფერილობას აძლევს. ამგვარი ექსპრესია განსაკუთრებით თვალში საცემია საგაზეთო სათაურებში.

7.2.4. არცთუ იშვიათად საგაზეთო მასალებში გვხვდება ისეთი მონაკვეთები, სადაც მოკლე-მოკლე, გაწყვეტილი წინადადებათა საშუალებით იქმნება სურათი — „1982 წლის 15 თებერვალი... თბილისის ფილარმონიის დიდი დარბაზი... ხუტა ბერულავას პოეზიის სადამო... კათედრასთან დგას პოეტი და კითხულობს ლექსებს...“ „ომი დაიწყო... გულმა ფრონტისკენ გაუწია... უარი უთხრეს. ჩეკისტები საჭირო იყვნენ აქაც...“ „ექვსი წელი.. თითქოს გუშინ იყო... ვზას ულოცავდნენ... სასწავლებლის დამთავრებისთანავე ჩინებულად ფლობდა პროფესიას... მალე მომიჯნავე ოპერაციებიც აითვისა. კარგი გამოდგა საფუძველი...“

ზემომოყვანილი წინადადებები მარტივი და რთული კონსტრუქციების „აჭრით“, „აკუწვითა“ მიღებული. მაგალითად, მეორე ფრაგმენტის ანალოგი ასეთი შეიძლება იყოს: როცა ომი დაიწყო, გულმა ფრონტისკენ გაუწია, მაგრამ უარი უთხრეს, რადგან ჩეკისტები საჭირო იყვნენ აქაც. პირველი ვარიანტი უფრო ექსპრესიულია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ექსპრესიის ხშირი გამოყენება ერთგვარ ტრაფარეტულობას ქმნის და აღნიშ-

ნული ხერხის პირველადი დანიშნულება — გამომსახველობა იყარ-
გება.

ექსპრესიული სინტაქსის ისეთი საშუალება, როგორცაა სა-
ხელდებითი წინადადება, ხშირად გვხვდება გაზეთის ფურცლებზე:

„თბილისი... თბილისობა... რამდენი გული მიიწევს ამ დროს
დედაქალაქისკენ!“

„ხანგრძლივი ტაში. ყვავილები და აღელვებული შეძახილები...
შემდეგ საგრიმიორო. ვიღაც მოკრძალებული ჭაბუკი და პატარა
გოგონა“.

უეცარი, სწრაფად ცვალებადი მოვლენის შესაფასებლად თუ
აღტაცების გადმოსაცემად გამოყენებული სახელდებითი წინადა-
დებები უმეტესად ძახილის ინტონაციით გვხვდება:

„აგერ ხასმატიც!“ „აი, შედევიც!“ „გამარჯვება! სრული გა-
მარჯვება!“

ასეთი კონსტრუქციები, იმის გამო, რომ წინადადებისათვის
აუცილებელი სტრუქტურული ელემენტი — ზმნა-შემასმენელი —
აკლია, საყრდენად მუშობელ წინადადებას საჭიროებენ, რაც კო-
მუნისაციურ პერსპექტივას აძლევს მათ: ისინი ყოველთვის ვარაუ-
დობენ მომდევნო წინადადებას (90, 322). ეს ვარაუდი მკითხველის
მოლოდინს, ინტერესს აღქრავს და სტილისტიკურ-ექსპრესიული
ეფექტიც ესაა.

როგორც ვხედავთ, ლაკონიზმი, რომელიც ზემოგანხილულ
სტრუქტურებს ახასიათებს, მათი ერთადერთი თვისება არაა —
პრესაში ამგვარი სტრუქტურების შერჩევას მათი ექსპრესიული
შესაძლებლობები განაპირობებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ძახილის წინადადებანი („ამ სიახლესაც
ჩაეყარა აქ საფუძველი!“ „ვინ მოთვლის, რამდენი მიღწევა ჰქონდა
საწარმოს!“ „ჩამოსულებს ღია ცის ქვეშ, წვიმაში ხომ არ ამყო-
ფებდნენ!“), რიტორიკული შეკითხვები („განა იცოდა ც. ნ.-მ, სად
მიიყვანდა ეს გზა?“ „ვის არ უნატრია ბავშვობაში?“), კითხვები,
რაც ფართოდაა დამახასიათებელი გაზეთის მეტყველების სინტაქ-
სისათვის.

მკითხველთან დიალოგის დამყარების სურვილი, მეტყველების გაცოცხლება-გახალისება არის შეკითხვების ფუნქცია საგაზეთო მეტყველებაში, რაც სამეცნიერო ენის სპეციფიკური შემთხვევების მიმართაც აღინიშნა ზემოთ. მკითხველის აღქმისა და ცნობიერების გააქტიურებას ხელს უწყობს წამოჭრილი შეკითხვები, რომელთაც თვითონ ავტორი უპასუხებს:

„დარბაზი პირთამდე იყო სავსე. მაინც რამ მიიზიდა აგრერი-გალ მაყურებელი? იქნებ უფროსი თაობის ხარკოველებს ის ლამაზი ღრო მოაგონდათ სინანულით, როცა ქართული თეატრი საგასტროლოდ ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში ან იქნებ მზიარული და ყველასათვის საყვარელი ფილმი „ქეთო და კოტე?“ არა. ისინი ანა ანმატოვასა და მარინა ცვეტაევას პოეზიის მუსიკამ მოიხმო, მედეა ჭაფარიძის მიერ მოხდენილად წაკითხულმა ლექსებმა“ — („თბილ.“ 20, 12, 1984).

7.2.5. როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე პუბლიცისტიკის სოფიერთ უნარში, ფეხი მოიკიდა ე. წ. მიერთებულმა კონსტრუქციებმა, რომელთაც დიდი კომუნიკაციური, სტილისტიკური და მოდალური შესაძლებლობები აქვთ: მათი საშუალებით ხან გამონათქვამის ინფორმაციულობა ძლიერდება, ხან კი ექსპრესია, ხანაც თხრობას ემოციურ-შემფასებლური ხასიათი ეძლევა (106, 44): „სამუშაო კი მართლაც ბევრია. პასუხსავეები“. „სწორედ ახლა იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი და დაძაბული ეტაპი. ხუდონის პიდროელექტროსადგურის ძირითად ნაგებობათა მშენებლობა“. „თავმჯდომარე ერთობ დაუდევარი კაცია. ვერცხლის წყალივითაა“. „ამას ბევრი რამ დაემატა. შრომა კოლმეურნეობის დაგეგმარებისათვის, მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის სოფლის სოციალ-ეკონომიური განვითარებისათვის. კიდევ? ყოველი შილდელის მოქმედებისათვის ნერვების წყვეტა როგორია?“

განსაკუთრებული გამომსახველობა ახასიათებს გაზეთში თანამედროვე ფუნქციურ-სტილისტიკური სინტაქსის ისეთ მოვლენას, როგორიცაა პარცელაცია¹, რომელიც მიერთებისაგან იმით გან-

¹ პარცელაციის შესახებ იხ.: (64); (142); (149); (150); (152).

სხვაგვარად, რომ პარცელირებული ნაწილები მთავარი წინადადების გარეთაა, მას მოსდევს, მაშინ როცა, მიერთებითი კონსტრუქციები მთავარი წინადადების ფარგლებშიც შეიძლება იყოს და მის გარეთაც.

ადვილად ნაწევრდება რთული ქვეწყობილი ორშემადგენლიანი წინადადებები, რომლებიც პრესის ენაში აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს:

„მისი განყოფილება წელიწადში ორ-სამჯერ გამოდის საბრიზო ადგილზე გაშლილ სოცმეჯიბრებაში. სადაც უმეტესად გამარჯვებული რჩება“.

„... ყველაფერს როდი აკეთებს კვალიფიცირებული კონსტრუქტორების დასამაგრებლად. თუმცა ამ საქმეში სჭირდება დირექციისა და პარტორგანიზაციის კონკრეტული დახმარება“.

„სიმღერები და ცეკვები, საორკესტრო პიესები, პაროდები — ყოველივე ამას დედაქალაქელი მაყურებელი ერთნაირად გულთბილად შეხვდა. იმიტომ რომ ქართული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელთა გამოსვლები ნამდვილი შემოქმედებით იყო შთაგონებული“.

ზოგჯერ საგაზეთო ტექსტი იმგვარადაა აგებული, რომ დამოკიდებულ წინადადებას ემატება ერთგვაროვანი წევრები ან ასევე დამოკიდებული წინადადებები:

„იქნებ ჩვენ, უფროსებმა მეტად უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ ავაცილოთ ჩვენი შვილები დასავლეთის უსულგულო მუსიკას. როგორ მოვექცეთ საეკვო გემოვნების ჩვენს საესტრადო ქმნილებებსაც“.

„სავალალო ისაა, რომ მის მიმართ არც ტყბილმა სიტყვამ გაჭრა. არც სიკეთემ და ადამიანობამ“.

მიერთებული და პარცელირებული კონსტრუქციები გამოყოფენ, ხაზს უსვამენ პარცელატის აზრობრივ მნიშვნელობას; პარცელირებული ნაწილების ჯაჭვი უფრო გამომსახველი და ინტონა-

ციურ-ლოგიკურად გამოყოფილია, ვიდრე დაუნაწევრებელი და-
ქვემდებარებულ სტრუქტურები.



7.3. საგაზეთო სათაურთა სტრუქტურა და სემანტიკა

7.3.1. საგაზეთო სათაური კარგად ასახავს ბევრ ისეთ სტრუქტურულსა და სემანტიკურ მოვლენას, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ქართული პრესის მეტყველებისათვის. ამიტომ ამ საკითხზე შეჩერება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

საგაზეთო სათაურთა ფუნქციები ზოგადად ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: ერთი მასალის გამოცალკევება მეორისაგან; ანა თუ იმ მასალაზე ყურადღების გამახვილება, მასალის შინაარსის შესახებ შეკუმშული ცნობის მოწოდება; მკითხველის დაინტერესება, მასზე ემოციური ზეგავლენის მოხდენა (132).

ერთი მასალის მეორისაგან განცალკევება გრაფიკულადაც ხორციელდება (ვარსკვლავები, რგოლები, სამკუთხედები და ა. შ.), უფრო მნიშვნელოვანის წინ წამოწევა, გახაზვაც ასევე ხერხდება პოლიგრაფიული საშუალებებით (შრიფტის შეფერილობა, ზომა, ფორმა, სვეტებში მასალის განლაგება), მაგრამ დანარჩენი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც სათაურს ეკისრება, მხოლოდ სტილისტიკურ-ენობრივი ერთეულებით თუ შეიძლება. ამიტომ მოექცა ეს საკითხი ენათმეცნიერთა ყურადღების სფეროში.¹

ქართული გაზეთების სათაურებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ სათაურთა მრავალფეროვანი სტრუქტურების დაყვანა ერთ

¹ ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სათაურის არსისა და ხასიათის შესახებ სამი თვალსაზრისია. პირველი სათაურს მიიჩნევს ნომინაციურ, სახელდებით წინადადებად (ა. შ. პეშკოვსკი, ა. გ. რუდნევი, ა. შ. ფინკელი, მ. ნ. ბაჟენოვი...), მეორე თვალსაზრისის მიხედვით, იგი განიხილება როგორც შუალედური სიტყვასა და წინადადებას შორის (ა. ი. სმირნიცი), ხოლო მესამე თვალსაზრისით სათაური წინადადება არაა (55); (26).

ტიპზე ხელოვნურად თუ შეიძლება¹, რაც დაამახინჯებს რეალურ სურათს. სათაურთა ის ტიპები, რომლებიც კვლევის შედეგად გამოიყო, გარკვეულად სტერეოტიპულია პუბლიცისტური სტილისათვის.

სათაურთა დიდ ჯგუფს შეადგენს ნომინანტები, რომლებსაც განეკუთვნება ისეთი სათაურები, სადაც გრამატიკული თვალსაზრისით ცენტრალური არსებითი სახელი (ან მასდარი) გამოხატულია სახელობითი ბრუნვის ფორმით. ასეთი სათაურები ბევრი და მრავალფეროვანია. დადგინდა რამდენიმე ქვეტიპი:

ა) ერთწევრა ნომინანტები

„არჩევანი“, „ალიარება“, „ახალმოსახლეობა“, „ბირთვი“, „ბრიგადირი“, „გამოცდა“, „განახლება“, „გულითადობა“, „დასაწყისი“, „დაჭილდობა“, „ერთიანობა“, „ეაუაობა“, „თავდადება“, „იმედი“, „კეთილდღეობა“, „კოლხობა“, „კომკავშირელი“, „მექანიზატორი“, „მოწონება“, „რწმენა“, „სახელი“, „სინატიფე“, „სპეკულანტი“, „უკუგება“, „შუქჩრდილები“, „ჭაობი“, „ჭერი“...

ამავე ჯგუფში შევა გასუბსტანტივებული — „გვირაბმშენებელი“, „ფუძემდებელი“, „უძლიერესნი“ და სხვ.

ერთსიტყვიანი ნომინანტები ახლა იშვიათია, რადგან ისინი ნაკლებინფორმატიულია.

ბ) თანწყობილი ნომინანტები

„ბიოსფერო და კლიმატი“, „გაზეთები და დღევანდლობა“, „დამრიგებელი და მრჩეველი“, „დარბაზი და მკურნებელი“,

1 მკვლევართა ერთ ნაწილს სათაურთა მრავალფეროვანი სტრუქტურები დაეყვას წინადადებაზე, რომელსაც სახელდების განსაკუთრებული ფუნქცია აქვს (ა. შ. პეშკოვსკი, ა. ს. აბაკუშოვი, ვ. ი. ბეზრუკოვი, ე. შ. ვალკინა-ფედორჩუკი, ე. შ. რონგინსკი...), სხვან (დ. ნ. ოგისიანიკო-კულიკოვსკი, ა. ნ. გვოზდევრ, ა. შ. ზოლოტოვა, ა. ს. პობოვი, ნ. ე. ბონარევი და სხვ.). ფიქრობენ, რომ სათაურთა სტრუქტურები სხვადასხვა სინტაქსურ დონეზე, სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევების მიხედვით უნდა განიხილებოდეს — (154); (4)

„ზრუნვა და ყურადღება“, „ინფორმაცია და მსოფლიო“, „მეცნიერება და ცხოვრება“, „მოგონება და სინამდვილე“, „ნიჭი და ოსტატობა“, „პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა“, „რეტმი და ხარისხი“, „სტუმრები და სასტუმრო“, „სტუდენტი და სპორტი“, „შემოდგომა და მიწათმოქმედი“, „ძერჟინსკი და ბავშვები“, „წიგნი და ახალგაზრდობა“....

გვხვდება უკავშირო და კავშირიანი ორ და სამწევრა ნომინანტებიც: „რაოდენობაც, ხარისხიც“, „თანადგომა, სიყვარული“, „შრომაც, დასვენებაც“, „ბრიგადირი, დამრიგებელი“, „მეცხვარეც, მსახიობიც“, „შედეგები, პერსპექტივები“, „წარმატება, თვალისახვევა“, „სწავლება, ძიება, შემოქმედება“, „ფიზიკა, ელტრამბერა და ხარისხი“...

მრავალრიცხოვანია იმ ნომინანტთა ჯგუფი, რომლებიც გავრცობილია, ერთი მხრივ, შეთანხმებული ან მართული მსაზღვრელით, ხოლო მეორე მხრივ, გარემოებისა და დამატების გამომხატველი სიტყვებით.

განსაზღვრებიან ნომინანტთაგან ყველაზე მეტი მართულსიტყვიანები აღმოჩნდა:

გ) მართულმსაზღვრელიანი ნომინანტები

„ავგისტოს პელსაბჰო“, „ავიტატორის სიტყვა“, „ავადმყოფობის ისტორია“, „აფხაზეთის სიკაბუყე“, „აღმშენებლობის გეგმენი“, „ბავშვის ავტორიტეტი“, „ბორჯომის ნაკრძალი“, „ბრინჯაოს ბიჭები“, „გამოცდილების გაზიარება“, „დეტის დედოფალი“, „ეგროპის ტურნირი“, „ექიმის გული“, „ზარბაზნების პოლოტიკა“, „ზოტელების სამღურავი“, „თარბების კერა“, „ირანის ამბებარ“, „მეურვეობის საზღვრები“, „მშვიდობის მედროშე“, „პროცისის საბაბი“, „მხატვრის სამყარო“, „ნაქალაქევის საიდუმლო“, „ნდობის გამართლება“, „ოპტიმიზმის საზომები“, „ოქროს ბარაქა“, „პირუტყვის ქურდები“, „პლანეტის სიკაბუყე“, „სალვადორის ამბები“, „სვანეთის პრობლემები“, „სოფლის პატარძლები“, „სტუდენტთა დემონსტრაცია“, „ტერორისთა გამომხდომი“, „ჩაბფრონტი“, „ხულიგანის გზა“...

როცა მსაზღვრელი მრავლობით რიცხვშია, უპირატესობა ნართანაა ფორმას ენიჭება, როგორც უმოკლესს: „ავტომობილმშენებელთა წარმატება“, „ბომბარდირთა სია“, „დიზაინერთა წინადადება“, „დუბლიორთა ფრე“, „ინიციატორთა სიტყვა“, „კალაბურთელთა წარმატება“, „ლიდერთა ჯგუფი“, „მეავეჯეთა წვლილი“, „მეგობართა ხელოვნება“, „მოსკოველთა მადლობა“, „ფერთა ხეიმი“, „ქულათა მაქსიმუმი“, „შხივანელთა სატიკივარი“, „ქუთაისელთა გამარჯვება“...

მაეე ჯგუფში შევა რამდენიმე მართულმსაზღვრელიანი სათაურებიც. ისინი სტრუქტურულად ერთგვაროვანი არ არის: „თეირანის რადიოს ცნობა“, „მესინის მერის სურვილი“, „სენატის კომისიის მოხსენება“, „უშიშროების საბჭოს მოწოდება“, „შირაქის ზეინების ბარაქა“, „ჩუკოტის ზამთრის ავტოტრასები“, „ბზისა და ბროლის მესაიდუმლე“, „მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი“, „მოზარდთა შრომის კანონმდებლობა“, „წესრიგის გუშაგთა დღესასწაული“, „მშვიდობის მომხრეთა ხმა“, „სახელისა და ღირსების საქმე“, „სპორტისა და ეკრანის ვარსკვლავები“, „სიმართლის მშვედობის ხელოვნება“, „შრომის, კოლექტივიზმის სკოლა“...

დ) შეთანხმებულმსაზღვრელიანი ნომინანტები

„არამი ლუკმა“, „ახალგაზრდული ხმები“, „ახალი ლიდერი“, „ბედნიერი იმნალიეები“, „გაქცეული მამები“, „გაცოცხლებული სტეპები“, „გორული კონსერვები“, „გულითადი მილოცვა“, „გულქვა ადამიანები“, „დაუფიწყარი დღეები“, „დიდი ფილოლოგი“, „დიდებული ნაგებობა“, „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი“, „ელექტრონული მასწავლებელი“, „თბილისური საოცრება“, „თეატრალური ვერნისაჟი“, „კარგი გაკვეთილი“, „ლიტერატურული საღამო“, „მასობრივი მანიფესტაცია“, „მეტყველი სტრიქონები“, „ოცდამეთოთხმეტე ტური“, „პოლონელი სტუმრები“, „პროვოკაციული მოქმედება“, „უპირველესი საზრუნავი“, „ფრთავაშლილი ძმობა“, „ფართო ასპარეზი“, „ფასდაუდებელი წიგნი“, „წარუშლელი კვალი“, „საქმიანი შეხვედრები“...

იშეიკთად გვხვდება სამკომპონენტო სათაურები შემდეგი ტიპისა: „ახალი დიდი მიღწევა“, „პირველი გაბედული ნაბიჯი“...

ე) შერეული ტიპის მსაზღვრელიანი ნომინანტები

სადაც უმეტესად რეალიზებულია სამკომპონენტო ბაზისური სტრუქტურების (იხ. 4. 1. 3.) შემდეგი მოდელები:

I-ბ მოდელი — „მთების დიდი რეზერვი“, „ილიჩის ძვირფასი სახე“, „სახალხო სიყვარულის გამოხატულება“, „პეკინის ამოცდები“. „ბოლივიის ახალი პრეზიდენტი“, „რევისორის აქტიური პოლიცია“, „ნავსადგურელთა შრომითი წარმატება“;

II-ვ მოდელი — „დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალიზაცია“, „ხედნიერი ბავშვობის ქვეყანა“, „აქარელ ბაზიერთა წარმატება“, „ჩვენი მიწის მშვენება“, „ახალი ჭერის სიხარული“, „ქართული ხელოვნების დღესასწაული“...

სწორაა შერეული ტიპის სამზე მეტკომპონენტო სათაურებიც: „მშრომელი კაცის ალალი გულისთქმა“, „მშვიდობის საბჭოს ეროვნული ყრილობა“, „სოფლის აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა“, „უზბეკეთის მებამბეთა შესანიშნავი გამარჯვება“, „შრომითი ოსტატობის ფართო პორიზონტები“, „საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი შესანიშნავი მიღწევა“, „ქართველი მეცნიერის დიდი ღვაწლის აღიარება“...

სათაურ-ნომინანტთა განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ ისეთი სათაურები, სადაც სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელთან გვაქვს უბრალო დამატება ან გარემოება ანუ გავრცობილი ნომინანტები.

8) გავრცობილი ნომინანტები

I. გარემოებით გავრცობილი — „მდგომარეობა ქურთისტანში“, „ნაკადული“ ქუთაისში“, „ჩეხოსლოვაკური გამოფენა თბილისში“, „მანქანა ასანთის კოლოფში“, „ვითარება ირანში“, „მოსკოვის დღეები პრალაში“, „ოქრო აქარის ლაქვარდში“, „ამერიკული რა-

კეტები ევროპაში“, „საერთაშორისო ცხოვრება დედამიწის ზურგზე“, „ქართველი მთამსვლელები პირველ ადგილზე“, „ბრძოლა ენგურის ნაპირებთან“, „ოქროს ქალიშვილი აფხაზეთიდან“, „ბილეთი ბაიკალამდე“, „სწრაფვა სიმადლისაკენ“... „თბილისის ზეიმის წინ“, „ცვლის ნორმა ექვს საათში“, „შემოდამება სიკვამლისას“, „სიმართლით ცხოვრება“...

II. უბრალო დამატებით გავრცობილი — „ნაბიჯი ხვალისკენ“, „შეხვედრა ამგდართან“, „ფიქრები წარმოების პრობლემებზე“, „ყველასათვის საშური საქმე“, „გაკვეთილი ჭაბუკებისათვის“, „საუბარი აკტუალურ საკითხებზე“, „შეხვედრა გამარჯვებულ კოლექტივთან“...

ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი სათაურები, რომლებიც შედგება სახელობითისა და მიცემითის ფორმებისაგან:

„შეღვათები ვეტერანებს“, „ნობათი სამშობლოს“, „სახუქარი ბავშვებს“, „მადლობა ვეტერანს“...

უფრო ხშირია გავრცობილი სტრუქტურები: „ხალხის მადლობა პოეტს“, „ოთხი პრიზი ერთ ფილმს“, ამგვარი სათაურები უმეტესად ტირეთი გვხვდება: „საბჭოთა საქართველო — ოქტომბრის დღესასწაულს“, „წითელი დროშა — მალაროელებს“, „მშენებლებს — დამკვრელური ტემპი“, „თასი — შრომით რეზერვებს“, „წლის ფინიშს — დამკვრელური ტემპი“, „დიდმნიშვნელოვან ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა“, „მოზარდებს — ყურადღების მაქსიმუმი“, „ბავშვებს — მშვიდობიანი ზეცა“, „მალამთიანეთს — ფართო ჰორიზონტები“, „საკვების დამზადებას — ახალგაზრდული ზრუნვა“...

იმის მიხედვით, თუ რომელი ფორმაა (სახელობითი თუ მიცემითი) პირველ ადგილზე, გადაწყდება. ალბათ, ნომინატიურია თუ დატიური ეს ელიფსური სტრუქტურები, რადგან ლოგიკური მახვილი პირველ პოზიციაზე მოდის და ამდენად, ამ პოზიციაში მყოფი სახელი უნდა ჩავთვალოთ სათაურის მთავარ წევრად.

7.3.2. სათაურთა სხვა დიდ ჯგუფს შეადგენენ სათაური-სიტუანტები, ისეთი პირველადი ერთეულები, რომლებიც გამოიყოფა სიტყვის კატეგორიულ-ლექსიკური მნიშვნელობისა და მისი მორფოლოგიური ფორმის (თანდებულიანი) საფუძველზე. მათი სინ-

ტაქსური ფუნქციის ნიშნებია შესიტყვების, წინადადების სტრუქტურაში შესვლის უნარი ან ამ უნარის უქონლობა და შესიტყვებისა და წინადადების გარეშე დამოუკიდებელ ოდენობად ყოფნა (62, 60).

გამოიყო: ა) სიტუანტები, რომლებიც მოვლენის ადგილზე მიუთითებენ და გამოხატული არიან არსებითი სახელის მიც., მოქმ. და ვით. ბრუნვების თანდებულიანი ფორმებით. ისინი შეესაბამებიან წინადადების ისეთ წევრებს, როგორცაა დამატება და გარემოება: „ლიუბლიანაში თბილისის დღეებზე“, „შორეულ იაპონიაში“, „ზვრებზე, სათიბებში“, „შესვენებისას პლანტაციებში“, „კონკურსზე ბრიუსელში“, „დიდი თეატრის სცენაზე“, „ფეხბურთის მოედანზე“, „კამაზის მშენებლობაზე“, „ზღვის ბილიკებზე“, „საერთაშორისო ტურნირებზე“, „კალათბურთის კარებთან“, „ცირკის სალაროებთან“, „სმოლენსკის ოლქიდან იმიერპოლონეთამდე“, „მოსკოვში მეგობრებთან“, „ჩემს ხალხთან ერთად“...

ბ) სიტუანტები, რომლებიც გამოხატულია არსებითი სახელის ან მასდარის ნათესაობითი ბრუნვის თანდებულიანი ფორმებით და მიუთითებს სათაურში დაუსახელებელი მოქმედების მიზანზე ან ობიექტზე (უბრალო დამატება): „გულისხმიერებისათვის“. „ქვეყნად მშვიდობისათვის“, „მემარცხენე ძალთა შეკრებისათვის“, „ადამიანთა თავისუფლებისათვის“, „სამართლიანი გადაჭრისათვის“, „პროლუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“, „კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისათვის“, „შთაგონებული, გმირული შრომისათვის“, „საქართველოში სწავლისათვის“, „ლენინიზმის შემოქმედებითი შესწავლისათვის“, „კომუნისტური ხვალესათვის“, „ქართული ყურძნის უხვი მოსავლისათვის“, „ზამთრის სეზონისათვის“... „ახალი მიღწევებისკენ“, „ცოდნის მწვერვალებისკენ“, „დელეგაციის გიზიტის შედეგების შესახებ“, „ამერიკა-ირანის ურთიერთობის გამო“, „კულტურულ ღირებულებათა დაცვის შესახებ“, „მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“...

გ) სიტუანტები, რომლებიც სახელის ან მასდარის მოქმედებით ბრუნვის ფორმებით გადმოიცემა და გამოხატავს სათაურში დაუსახელებელი მოქმედების ვითარებას ან უბრალო დამატებას: „უტყუარი კურსით“, „ხარისხის ნიშნით“, „გრაფიკის გასწრებით“, „კანონის სახელით“, „მოსწავლეთა ხელით“, „მადლიანი მარჯვენით“, „განახლებული შემადგენლობით“, „გამარჯვების სურვილით“, „მდიდარი ნადავლით“, „საკუთარი ძალების რწმენით“, „სოციალისტური შეჯიბრების დროში“, „ტექნოლოგიის სრულყოფით“, „გარიგების გზით“...

დ) სიტუანტები, რომლებიც მიმღეობის ან ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვითაა გამოხატული და გადმოგვცემს სათაურში დაუსახელებელი მოქმედების მიზანს ან ვითარებას: „ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად“, „დიდი ოქტომბრის შესახვედრად“, „მამულიშვილის პატივსაცემად“, „ქვეყანაში სამოგზაუროდ“, „დიდი მეცნიერის საიუბილეოდ“, „მშრომელთა საკეთილდღეოდ“, „ახალ მწვერვალთა დასაპყრობად“, „აბონენტთა საყურადღებოდ“, „კვლავ დაუსჯელად“, „ყველა ბავშვის საკეთილდღეოდ“...

ის სიტუანტები, რომლებიც მოვლენის, მოქმედების ადგილს გამოხატავენ, გავრცობილ ნომინანტებს ემსგავსებიან, მაგრამ მათგან მკვიდრად განსხვავდებიან სიტუანტები, რომლებიც პროცესზე, მოვლენის დინამიკაზე მიუთითებენ. აქ პრედიკაცია ფარულია, თუმცა ამგვარი სათაურები საკმაოდ ინფორმაციულია¹.

7.3.3. ქართული გაზეთისათვის დამახასიათებელია სათაურად მარტივი გაუვრცობელი და მარტივი გავრცობილი წინადადებების გამოყენება. ისინი შეიძლება იყოს ორ, სამ და ოთხშემადგენლიანი.

ა) მარტივი გაუვრცობელი ორშემადგენლიანი სტრუქტურები: „ადგილები განაწილდა“, „ადორინი პრეტენდენტია“, „არჩევნები გადაიღო“, „ბრძოლა მწვავედება“ „გადატრიალება ჩაიშალა“, „გაიმართა პლენუმი“, „გეგმა კანონია“, „გმირები არ კვდებიან“, „დებიუტანტები იმარჯვებენ“, „ეს ტაგანკა“, „ზეიმობს სილამაზე“,

¹ შტრ. ლანტანური ტიპის წინადადება — (4, 206—207), (144, 14).

„იზრდება ინტერესი“, „ისტორია განმეორდა“, „ლიდერობს მიქაძე“, „ქებადურები დაიკარგნენ“, „მეტოქეები წყვილებიან“, „ყვავიან ტიტები“, „ფინიში მოახლოვდა“...

ბ) პარტივი გავრცობილი ორშემადგენლიანი სტრუქტურები: „ავტოქარბანაში ახალი წელია“, „აუზში წყალი აღუღდა“, „აღმასკიმში წერილი მოვიდა“, „ბევრი რამ გაკეთდა“, „ბრძოლა 14 საათს გაგრძელდა“, „გადადგა იაპონიის მთავრობა“, „გვალვა უკან იხევს“, „დრო პრიზიორის მხარესაა“, „ზეიმობს ორდენოსანი ჭიათურა“, „იშრიალებს კაკლის ხეები“, „ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სტუდენტთა ხელშია“, „ლენინიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა“, „ქვეყანაში ღირსეული ცვლა იზრდება“, „საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია დ. ყიფიანი“, „ყურადღების ცენტრშია შედუღების პრობლემები“...

ორშემადგენლიანი სტრუქტურები უფრო ინფორმაციულია, ვიდრე ზემოგანხილული სხვა სათაურები, მაგრამ მათ შორისაც განსხვავებაა, რასაც უმეტესად სტრუქტურის თავისებურება ან სათაურის სიგრძე კი არ ქმნის, არამედ, კომპონენტთა სემანტიკა, გამონათქვამის მნიშვნელობა. მაგალითად, „ყვავიან ტიტები“ ბევრად ნაკლებინფორმაციულია, ვიდრე „ბრძოლა 14 საათს გაგრძელდა“, „აუზში წყალი აღუღდა“, „ოთხეულის პარპაში დამთავრდა“ და სხვ. ეს სათაურები დამაინტერესებელია, მაგრამ თვით ინფორმაციას ისინიც მცირე დოზით შეიცავენ, მაშინ როცა „ნანა უღანაკარგებოდ იბრძვის“, „წინ არის მათა“ და განსაკუთრებით, „საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია დ. ყიფიანი“ იმდენად ინფორმაციულია, რომ შეიძლება იმ წერილთა ანოტაციად ჩაითვალოს, რომელთა სათაურებსაც წარმოადგენენ.

7.3.4. ხშირია გაზეთში სამშემადგენლიანი სტრუქტურებიც, თუმცა რაოდენობრივად ორშემადგენლიან სტრუქტურებს ჩამორჩება. ამგვარ სათაურებში ზოგჯერ რომელიმე ობიექტი ლექსიკურად არაა გამოხატული და ამიტომ ისინი ნაკლებ ინფორმაციას შეიცავენ, ვიდრე ის წინადადება-სათაურები, სადაც ყველა შემადგენელი გამოხატულია:

„გეორგიუმ ყველას აჯობა“, „გემსახურებათ წარჩინებული მძღოლი“, „გიწვევთ „სპორტის დედოფალი“, „დროშა რკინიგზელებმა მოიპოვეს“, „ველით ლამაზ ფეხბურთს“, „ლექსებს კითხულობენ გენერლები“, „მხვნელ-მთესველებმა ვალდებულება შეასრულეს“, „ნორჩმა ფალავნებმა თავი გამოიჩინეს“, „პასუხისმგებლობა პენტაგონს ეკისრება“, „ტონს იძლევიან მოწინავენი“, „შედევებს სიხარული მოაქვს“, „ძმადნაფიცები ხედებიან ერთმანეთს“, „შეფებმა მოვალეობა დაივიწყეს“...

სათაურად გამოყენებული ოთხშემადგენლიანი სტრუქტურები შედარებით მცირეა გახეთში. მოვიყვანთ ზოგიერთს:

„აფხაზეთის თეატრი გვპირდება“, „პოლონური ჟურნალი აცნობს“, „მათ ტაშს უკრავენ სტადიონები“, „ულოცავენ კოლეგები“ და სხვ.

7.3.5. ცალკე ჩგუფად უნდა გამოიყოს ისეთი ორ და სამშემადგენლიანი სტრუქტურები, სადაც ქვემდებარე არ ჩანს. ამ სტრუქტურათა შორის ე. წ. უქვემდებარო წინადადება — „დაგვიზამთრდა“ — შეგვხვდა როგორც გამონაკლისი. აგრეთვე, ცოტაა მათში განუსაზღვრელ და განზოგადებულპირიანი წინადადებებიც. ამ სათაურთა უმრავლესობას ისეთი კონსტრუქციები შეადგენს, სადაც ქვემდებარე გაუჩინარებულია, მაგრამ გაუჩინარებულია არა იმიტომ, რომ მოქმედად მაინც იგულისხმება ისეთი პირი, რომლის ვინაობის განსაზღვრის საჭიროება არ არის, ვინაიდან ყურადღება გადატანილია თვით მოქმედებაზე, არამედ — სწორედ მოქმედების ვინაობაა წთავარი და მისი გაუჩინარებით განსაკუთრებული ინტერესი აღიქმის მის დასადგენად:

„ანაწილებენ სურსათს“, „აუმჯობესებენ ხარისხს“, „აძლიერებენ შეიარაღებას“. „აწუხებთ მშვიდობის ბედი“, „აწყდებიან ფინანსურ სიძნელებს“, „გაიგზავნა ზაგრების ბაზრობაზე“, „გაქეთებულია პატარა ქალაქში“, „გამოიცა პერუში“, „ებრძვიან ვანგსტერებს“, „საქმისაკენ მიუხარია“, „უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ“, „შეემატა საქართველოს სანაოსნოს“, „ცეცხლი დაიმორჩილეს“...

გაზეთის ფურცლებზე გვხვდება ისეთი სათაურები, სადაც არც შემადგენელია გაუჩინარებული. ეს სათაურები მაინცდამაინც, მიუ-

ხერხებულად ვერ ჩაითვლება, რადგან იმისათვის, რომ ინფორმაცია სრულყოფილად იქნეს აღქმული, ამ ინფორმაციის შემცველ შეტყობინებაში უნდა გვქონდეს „ნაცნობისა“ და „უცნობის“ გარკვეული შეფარდება, აქ კი ეს შეფარდება (ობტიმალური) დარღვეულია და ამიტომ ინფორმაცია მინიმუმზეა დაყვანილი:

„ასე აფასებენ“, „აქტიურად ცდილობს“, „კვლავ ამწვავებენ“, „პირველობას არ უთმობს“, „სასტიკად გააკრიტიკა“, „მხარი დაუჭირა“, „გული ატკინა“... ვერ ვიტყვი, რომ ამ ტიპის სათაურები უპრო აგულიანებენ მკითხველს წერილის წასაკითხად, ვიდრე ერთწევრგაუჩინარებული კონსტრუქციები ანდა რაიმე გარკვეულ გეზს აძლევენ მას, რაც უსათუოდ შედის სათაურის ფუნქციებში.

7.3.6. საგაზეთო სათაურებად გვხვდება რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი წინადადებებიც — „სემინარი დამთავრდა; ძიება გრძელდება“, „ვისწავლოთ, რომ ვმართოთ“, „გაცხარებული ფაქტები იმაზე, რაც ისევ გვაწუხებს“... მაგრამ უნდა აღინიშნოს, ორი რთული კონსტრუქციები უმეტესად თავიანთი ნაწილებითაა წარმოდგენილი და არა სრულად, რაც არა მარტო სტრუქტურული მინიმალურობის, ეკონომიის ტენდენციაა, არამედ ტექსტისადმი ისევ ინტერესის აღძვრის ერთ-ერთი საშუალება. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

ა) რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილი სათაურად

„როცა ღიმილით გეგებებიან“, „ვინც დედამიწას ალამაზებს“, „ჩანსაღი აზრი, გზას რომ მოიკვლევს“, „საფრთხე რომ ავიცილინოთ“, „როცა კოლექტივში ერთმანეთს არ უსმენენ“, „როცა ფრე არ ითვლება“, „შვილმა თუ გაწყენინათ“, „თუ საქმეს სიყვარულით აკეთებ“, „ცოდნა, რომელიც რწმენად იქცევა“, „თუმცა წერილი არ დაბეჭდილა“, „როცა პრეტენზია სამართლიანია“, „გულით რომ მოუხაროდეთ“, „როცა თანატოლთა ჩჩეული ხარ“, „სადაც საქმის სიყვარულია“, „კვალი რომ ამეტყველდეს“, „თუ თბილისელი გქვია სახელად“...

ბ) რთული თანწყობილი (ან შერწყმული) წინადადების ნაწილი
სათაურად

„საშვი გასინჯა... მაგრამ“, „მგზავრობის მსურველი ბევრია, მაგრამ“, „აფეთქდა ატმები და...“ „ხან ავტობუსს უჩივიან. ხან...“ „გოჩა მაჩაიძე, მაგრამ სხვა...“

7.3.7. საგაზეთო სათაურთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ელიფსური სტრუქტურები, რომლებიც პუბლიცისტური მეტყველებისათვის სპეციფიკურია. ასეთ სტრუქტურათა ერთი ნაწილი განხილული იყო ნომინანტ სათაურებთან (7. 3. 1.). მეორე ნაწილი მრავალფეროვანია: „არც ერთი დარღვევა — ურვაგირებოდ“, „არც ერთი მუქთახორა — ჩვენს გვერდით“, „ბამზე — გრაფიკის გასწრებით“, „გეგმა — კომპლექსური“, „გურია“ — მესამე ადგილზე“, „დახლის მუშაკი — წუნმდებელი“, „დიდი ქიმიკი — ჩვენით“, „თბილისი — ფესტივალის დედაქალაქი“, „კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე“, „კოსმოსის გავლით — პრესაში“, „კურსი — ინტენსიფიკაცია“, „ლენინის ქალაქი — დიდი ოქტომბრის აკვანი“, „მთავარი — სიკვამულის, მეგობრობის ზეიმი“, „მთაში — ბედაურებით“, „მოსავალი 79 — საყოველთაო საზრუნავი“, „მსოფლიოში — მესამე ადგილზე“, „ოჯახური პროფესია — მიწოლი“, „რიტმი — დაძაბული“, „რწმენა — მტკიცე საძირკვლად“, „საბჭოთა გუნდები — ფინალში“, „საფუძველი — მეცნიერული“, „სიყვარული — საზღაურად“, „სიკვამულის დევიზი — მეგობრობა“, „ტრადიცია — მუდამ გამარჯვება“, „უტაქტობისთვის — სასჯელი“, „ყურძენი — მარნებში“, „ჩვენი ძალა — ერთობა“, „ძალისა — დაკარგული ქალაქი“, „წიგნი — მოსწავლის საუნჯე“, „პემინგუისთან — რომანამდე „მშვიდობით, იარაღო“...

როგორც ვხედავთ, ზემოთხსენებულ სათაურებში ელიფსურებულია შემასმენელი ან შემასმენლის, როცა ის შედგენილია. ზმნური ნაწილი, მაგრამ გამოტოვებული კომპონენტი ყოველთვის „არის“, „იყო“, „ყოფილა“ ფორმებით არ აღდგება. მაგალითად, „ბამზე — გრაფიკის გასწრებით“, „კოსმოსის გავლით — პრესაში“, „მთაში — ბედაურებით“ და სხვ. აქვეა ისეთი სათაურებიც. სადაც პერიფრაზია და ტირის მარცხნივ და მარჯვნივ მდებარე ნაწილები

ერთმანეთის მიმართ დანართია: „ლენინის ქალაქი — რევოლუციის აკვანი“, „ძალისა — დაქარგული ქალაქი“, „წიგნი — მოსწავლის საუნჯე“.

ელიფსური სათაურები უფრო ექსპრესიულია, ვიდრე მათი არაელიფსური ადეკვატები. ეს კარგად ჩანს მათი შედარებისას — „მეცნიერული საფუძველი“ და „საფუძველი — მეცნიერული“; „დაძაბული რიტმი“ და „რიტმი — დაძაბული“. აზრობრივი ინფორმაციის თვალსაზრისით თითქოს ეს წყვილები იდენტური ოდენობებისაგან შედგება, მაგრამ ელიფსური სათაურები აშკარად უფრო ექსპრესიულია, რასაც ზრდის, აგრეთვე, ინვერსიაც, რომელიც აქ აუცილებელი ხდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ორწერტილიანი სტრუქტურები, რომლებიც უმეტესად ელიფსურია, ტირეს ნაცვლად კი ორწერტილია გამოყენებული — „ნატო: ამერიკის დიქტატი და ევროპელთა ინტერესები“, „ოპერატიული ცნობა: ბოსტნეულის დამზადება“, „კადრები: სწავლება, კომპეტენცია“, „ბამი: მშენებლობა და წიგნი“, „დევიზი: „წესრიგის განმტკიცება“, „სპარტაკიდა: გამოცდა, წინსვლის მოწოდება“, „ვალდებულება: 16 ათასი კაბურღილი“, „ირანი: რთული პრობლემები“...

სათაურში ორწერტილი ზოგჯერ პირდაპირი ნათქვამის გადმოცემას უკავშირდება — „ლ. იაშინი: წინ, დინამო — გამარჯვებისთვის!“

7.3.8. გაზეთის სათაურებში გვხვდება მრავალწერტილი, რომელიც სამივე პოზიციაში (თავში, შუაში და ბოლოში) შეიძლება იყოს:

ა) მრავალწერტილით დაწყებული სათაურები:

„... და მატარებელიც გაქვავდა“, „...ეს მწვანე მიწა“, „... მხოლოდ ჩვენ აღარ ვმეორდებით“, „...სხვაგვარად ეღერდეს სიტყვა ნალიმა“, „...როცა თანატოლთა რჩეული ხარ“...

ბ) მრავალწერტილით გაწყვეტილი სათაურები:

„დაკარგეს... ექსკავატორი“, „ფრე... სტუმართა სასარგებლოდ“, „მეურნალია... ძილი“, „მანქანა... ასანთის კოლოფში“, „ელექტრონული... მასწავლებელი“, „ფხენილი... ლითონი“, „ფხენით... მოსკოვამდე“, „კლუბი... დაკეტილია“, „აქტიურობიდან... ბიუროკრატობამდე“, „დახლზე „სძინაეთ“... დაწუნებულებს“, „საშვი გასინჯა... მაგრამ“, „გაყიდული ბილეთი თუ... სინდისი?“

გ) მრავალწერტილით დამთავრებული სათაურები:

„სამი ტურიც და...“, „თითქმის ერთი მესამედით...“, „ამჯერად გაიმარჯვეს...“, „ალიკანტეს საზონათაშორისო...“, „50 გრამმა გადაწყვიტა...“, „ფერმები ემზადებიან...“, „მზრუნველი ხელი...“, „ეს მიკროინფარქტი იყო...“, „გაზაფხულიც მალე მოვა...“, „კადრები კი მიდიან...“, „წყაროსავით მოედინება...“, „ხუთჯერ მეტი...“, „ასე შრომობენ, ასე ცხოვრობენ...“, „წერილმა ამხილა...“, „წუთმესვენებაზე...“, „ბიჭები დაბრუნდნენ...“

მრავალწერტილიანი სათაურებიდან თითოეული იმეორებს ზემოშესწავლილ სტრუქტურათაგან რომელიმეს — იქნება ეს ნომინანტები თავისი ქვეტიპებით, სიტუანტები, მარტივი თუ რთული კონსტრუქციები. მრავალწერტილს სათაურებში უპირატესად სტილისტიკური ფუნქცია აკისრია — სათქმელის შეწყვეტა, დაუმთავრებლობა, მოულოდნელი გადასვლა ერთი საგნიდან მეორეზე („დაკარგეს... ექსკავატორი“, „მანქანა... ასანთის კოლოფში“...), რაც საკითხისადმი, ამბისა და მოვლენისადმი ავტორის ემოციურ და ზოგჯერ, თუ შეიძლება ითქვას, ლირიკულ დამოკიდებულებას გამოხატავს, მკითხველის შესაბამის რეაქციასა და მასალისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღძვრას იწვევს. შენიშნულია, რომ ამგვარ სათაურთა რიცხვი პრესაში იზრდება (115, 118—121).

7.3.9. სტილისტიკურ-ექსპრესიული ფუნქცია აქვს სათაურში კომპონენტთა ინვერსიას. მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობა გაძლიერებულ ექსპრესიულ ეფექტს იძლევა:

„წრთობა სულისა“, „უამი სიხარულისა“, „თხუთმეტი წამი დიდებისა“, „გზა შორეული, გზა სასახელო“, „სიმაღლე შენი ხარაჩოების“, „ხსოვნა გულისა“, „ზეიმი ძმათა ძმობისა“, „ნიშნად განუყრელი ერთობისა“, „გვირგვინი დღეისა, ბალავარი ხვალისა“... ასეთი სათაურები ამაღლებულ, პათეტიკურ მიმართებას გამოხატავენ.

7.3.10. საგაზეთო სათაურთა ის ფუნქციები, რომელთა რეალიზაცია ენობრივი საშუალებებით ხდება, სემანტიკის დონეზე ასე შეიძლება გამოვხატოთ: 1. სახელდებით-საინფორმაციო, 2. შემავლუიანებელ-საინსტრუქციო, 3. სარეკლამო-ესთეტიკური.

სახელდებით-საინფორმაციო ფუნქცია აქეთ ისეთ სათაურებს, რომლებიც საგანს განსაზღვრავენ კონტექსტში პირდაპირი მნიშვნელობის საშუალებით. მათი კავშირი ტექსტთან ექსპლიციტურია. ამგვარი სათაურები ბევრია ყველა ზემოგანხილული ტიპის სტრუქტურებში. ისინი ზუსტად იძლევიან ცნობას იმის შესახებ, თუ რას ეძღვნება საგაზეთო წერილი — „უთანხმოებანი „საერთო ბაზარში“, „შირაქის ზვრების ბარაქა“, „ახალი დოკუმენტი ვ. ი. ლენინის შესახებ“, „გადადგა იაპონიის მთავრობა“, „სუთწლედის დაკლება — ვადამდე“...

სათაურები, რომელთა მთავარი დანიშნულებაა შემავლუიანებელ-საინსტრუქციო ფუნქციის შესრულება, სემანტიკურ-შინაარსობრივად მრავალფეროვანია. აქ შეიძლება გამოიყოს სამი ასეთი ჯგუფი: ა) მომწოდებლურ-შემავლუიანებელი, ბ) აპელაციურ-შემავლუიანებელი და გ) საპოლემიკო-შემავლუიანებელი:

ა) „ავამაღლოთ მშენებლობის ეფექტიანობა“, „მეტი ყურადღება დავუთმოთ კომბინირებულ საკვებს“, „წარმატებით დავამთავროთ ხუთწლედის მეოთხე წელი“, „ვეუერთგულოთ სახელოვან ტრადიციებს“, „შეიკარით ღვედები“, „მიბაძეთ მოწინავეებს“, „დროულად ავამოქმედოთ სოფლის ობიექტი“, „თავი ვისახელოთ დამკვერელური შრომით“, „ვიმუშაოთ ლენინურად“, „აღვზარდოთ წარმოების ადამიანი“, „მომქირნეობით ვხარჯოთ საწვავი“, „ვადავდე!“, „შრომით ვადიდოთ სამშობლო“, „გიყვარდეს ბუნება“, „ტემპი, საკვებმომპოვებლებო!“, „დინამო, მსნედე!“, „გავუფრო-

ხილდეთ ცისფერ ექსპრესებს!“; „მივხედოთ ნონისს“, „სრულ-
ვყოთ სამეურნეო მექანიზმი სოფლად“, „ვისწავლოთ მარქსისზმ-
ლენინიზმი“, „იზარდე, სიჭაბუკის ქალაქო!“, „სრულვყოთ კომკავ-
შირული ორგანიზაციის მუშაობა“, „ცოდნით უნდა დაიპყრო“,
„იქცეს ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელოდ!“, „უფრო მაღლა
აეწიოთ მეგობრობის დროშა!“, „მოდით, აღვნიშნოთ ერთად!“, „აღ-
ვზარდოთ მტკიცე ლენინელები“...

ბ) „მსოფლიოს მომავალზე ჩვენ ვაგებთ პასუხს!“, „შეწყდეს
გამალებული შეიარაღება!“, „პასუხი ვაგებინოთ საზოგადოებრივი
საკუთრების დატაცებისათვის“, „არც ერთი დარღვევა — ურღვევი-
რებოდ!“, „გთხოვთ შეახსენოთ“, „კი არ ვიყიდოთ, მივყიდოთ“,
„პატივი ეცი სიბერეს — ის შენი ხვალინდელი ღღეა“, „კრტიკა
სწორია? — მიიღე ზომები!“

გ) „როდემდე იყოს დამუნჯებული?“, „მუზარადებით ეცი-
ნოთ?“, „როდემდის?“, „როგორ ზრუნავენ ახალბედებზე?“, „მზად
არიან თუ არა საწარმოები ზამთრისათვის?“, „რას გვაძლევს უწყ-
ვეტი დაგეგმვა?“, „რომელია სწორი?“, „რატომ შეცვალეს გან-
რიგი?“, „ვინ არის დამნაშავე, მანქანა თუ ადამიანი?“, „მომხმარებ-
ბელი კმაყოფილია?“, „სად ვეძიოთ აპარატი?“, „წყალი და წყალ-
წყალა?“, „თბილა თუ არა თქვენს ბინებში?“, „ოპ, ეს ტელეფონ-
ნი-ავტომატები!“, „თავმოყვარე კაცი არ ჩაიცვამს“, „განა მართლ
მომარაგება?“, „რა დააშავა ჩაიმ?“, „არავინ ჩქარობს, სექტენბრის
გარდა“, „მიღების გეგმა არის, შენობა — არა“, „კიდევ რა არის
საჭირო?“, „თქვენ როგორ მოემზადეთ კრებისათვის?“, „რა ელთ-
ხრათ შეილებს?“, „რა გამოამყლავნა კენჭისყრამ?“, „რა იყო რომ-
მამდე?“...

სათაურის ამავე ჯგუფში შედის ალტაცება-აღფრთოვანების შე-
ძახილები, დალოცვა-სურვილები, მადლობა, დაპირებები, მიწვევა-
მიპატიეება და სხვ.

ალტაცებაა გამოხატული სათაურებში: „ბარაქალა თქვენს მარ-
ჯვენას!“, „ვაშა, თქვენ!“, „მეტოქეც ამას ჰქვია!“, „შენთვის პარ-
ტიავ, შენთვის სამშობლოვ!“, „თბილისი, ჩვენი თბილისი!“, „შენ-
თვის, ჩემო რესპუბლიკავ!“, „ყოჩად, ქეთევან!“, „თქვენა ხართ

ქვეყნის იმედი!“, „თავი არ შეგვირცხვენია!“, „დიდება ვაზის ოსტატებს!“, „დამკვრელური შრომა გამარჯვების საფუძველია!“, „ჩემი ძმა ყამირზეა!“, „ეს ტაგანკაა!...“

დალოცვას შეიცავს სათაურები: „დაე, უღრუბლო ზეცა გფარავდეთ!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“, „შემართება არასოდეს მოგვეკლებოდეს!“, „წარმატებას გისურვებთ, მომავლო სტუდენტებო!“, „ცოცხლობდეს ძეგლად!“, „ცხვარი გიმრავლოთ, მწყემსებო!“, „გზა მშვიდობისა!“, „არც მოკლებოდეს მკითხველთა სიყვარული!“, „სართვლო, საგაზეთო ანუ წლის მოსავალს გაუმარჯოს!“, „გზა დაგელოცოთ, ოლიმპიელებო!...“

მისაღმება, მადლობა, მიპატიეებაა შემდეგი სათაურები: „გამარჯობა, ახალგაზრდებო!“, „ნახვამდის, მეზიკო!“, „ნახვამდის, სპარტაკიდავ!“, „გამარჯობა, ცოდნის დღესასწაულო!“, „გმადლობთ, დინამო!“, „მადლობელი ვარ!“, „მადლობა შენ, გულითაღლო მეგობარო!“, „მობრძანდით მუსკომედიაში!“, „შეფებო, კვლავ ჩამოდით!“, „გეპატიეებათ განახლებული უბანი“, „გვიწვივს „ოლიმპიდა—80“, „კიდევ გელით, რუსთაველებო!...“

სათაურის სარეკლამო-ესთეტიკური ფუნქცია ყველაზე განსხვავებული ენობრივ-სტილისტიკური საშუალებებით ხორციელდება — ტროპები, პარაფრაზი, რიტორიკული შეკითხვა, ელიფსი, ინვერსია, მრავალწერტილი. ხშირად გამოიყენება სათაურად ანდაზა, აფორიზმი, მოარული თქმა, ბიბლიური გამოთქმა, ან მისი სტილური ვარიანტი; გვხვდება სალექსო ტაეპიცა და ლიტერატურული რემინისცენციებიც. ასე მაგალითად:

„ბევრი შვილი ბევრი სიხარულიაო“, „მოყვარეს პირში უპრახე!“, „სტუმარი მასპინძლის ლხინია“, „რასაც დათესავ...“, „სწავლა სინათლეა“, „სძლიე სიხარბესა შენსა“, „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „რასაცა გასცემ...“, „რაღა იგი სინათლე...“, „მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით?“, „რა ხელმა ააგო!“, „ვაშა შენებას!“, „ეს ძეგლო დიადი წინსვლის და შენების“, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „სულ სიკეთედ, სულ მანსად ანთებული ჩირაღდანი“, „მარადეჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის“...“

რემინისცენციები: „სიკვდილის კარის ჩასარაზავად“, „შესვით, გაამოთ!“, „ნაშთი ძველი სიტურფისა“, „მეგობრობა უპირველეს ყოვლისა“, „გზანიმცა აყვავდებიან“, „მეც ტყავის ბურთიდან ვარ“...

იშვიათად გვხვდება ისეთი სათაურებიც, რომლებიც შეიძლება ემოციურად კი იყოს შეფერილი, მაგრამ სტილისტიკურად — არა. ამ ტიპისაა: „ქაობი“, „ფრთები“, „ალიარება“, „შეცდომა“, „მეკვლე“, „დაბრუნება“, „სიხარული“, „წარმატება“, „თვალისახვევა“, „სულთავისა“, „სულწასული“... ასეთი სათაურები საგრძნობლად ცოტაა, სამაგიეროდ, საკუთრივ პუბლიცისტური სტილისათვისაა ნიშანდობლივი ფრაზეოლოგიზმები: „ოქროს რთველი“, „ოქროს ბარაქა“, „მწვანე ოქრო“, „თბილისის ცისფერი გზები“, „ცისფერი ალი ბოლნისში“, „ხუთი ოქრო“, „ბრინჯაოს ბიჭები“, „მწვანე სიმდიდრე“ და სხვ., რომლებიც სათაურად გვხვდება გაზეთებში.

7.3.11. მთელი რიგი საგაზეთო სათაურები სასაუბრო სინტაქსის რეფლექსებს წარმოადგენს (ელიფსური, ორწერტილიანი რთული გაწყვეტილი სტრუქტურები). სასაუბრო ელემენტების ფართო გამოყენება თანამედროვე პრესაში აღნიშნულია ლიტერატურაში (102, 242). ამ მიმართებით შეინიშნება: ა) სიტყვათა და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გამოყენება, რომელთაც მკვეთრად გამოსახული სასაუბრო კილო აქვთ; ბ) სასაუბრო ხასიათის თვალში საცემი ექსპრესიული სათაურების შექმნისკენ მისწრაფება; გ) ელიფსურ წინადადებათა სიმრავლე; დ) კითხვითი სათაურების სასაუბრო კონსტრუქციები და ე) ფამილარული მიმართებები: „მარჯვედ, დინამო!“, „ბიჭებო, სწორდით!“, „შენთან გვიგულე, ვიეტნამო!“ „ძეო ახალგაზრდა კომუნისტო!“

7.3.12. დასათაურებულ ტექსტთან მისი სათაურის კავშირი შევისწავლეთ მთელი საგაზეთო სვეტის, მთელი ტექსტის კონტექსტში, აგრეთვე, საგაზეთო წერილის თემატიკასთან დაკავშირებით.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სათაურისა და ტექსტის კავშირი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ქვეტიპებით: აშკარა ექსპლიციტური, ნაწილობრივ ექსპლიციტური, აშკარა იმპლიციტური, ნაწილობრივ იმპლიციტური. პირველ ქვეტიპს განეკუთვნება სათაურ-

რები, რომელთა მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ძირითადი ინფორმაცია, მისი თემატიკა, დაკონკრეტდეს იდეა¹. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ არაბულ ენაზე“, „რუსთაველის ძეგლი გულრიფშში“, „საუყეთესო ფეხბურთელად დასახელებულია დ. ყიფიანი“... ნაწილობრივ ექსპლიციტურია „კონკურსზე ბრიუსელში“, „ამერიკა-ირანის ურთიერთობის გამო“, „შეემატა საქართველოს სანაოსნოს“... ნაწილობრივ იმპლიციტურია „შემოდგომას სიხარული მოაქვს“, „სხვაგვარად უღერდეს სიტყვა ნალიმა“, „როცა თანატოლთა რჩეული ხარ“... აშკარა იმპლიციტურია „მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით?“, „ყველას რაიმე აქვს სასსოვარი“, „ცხვარი ქურქს იხდის“...

ექსპლიციტური სათაურები, როგორც აღნიშნული იყო, შინაარსობრივ ინფორმაციას უფრო მეტად შეიცავენ, არაიშვიათად მათ ანოტაციის ხასიათი აქვთ, რითაც მკითხველს ეხმარებიან მისთვის საინტერესო მასალის მიგნებაში ან სულაც საკითხისადმი ინტერესის აღძვრაში. იმპლიციტური სათაურები ცნობისმოყვარეობას აღვიძებენ და რაც უფრო ეფექტურია ასეთი სათაურები, მით უფრო იზიდავენ ისინი მკითხველს (54, 7).

7.3.13. საგანგებოდ უნდა შევეხოთ სათაურთა გრაფიკულ დანიშნულებას, რითაც ხშირად ნაკარნახევია მათი თვით სტრუქტურა (ელიფსი, ორწერტილი, მრავალწერტილი..), საგაზეთო სათაური მხედველობით აღქმასაც ითვალისწინებს, იგი თვალისთვისაცაა განკუთვნილი, რადგან მან მკითხველს მეგზურობა უნდა გაუწიოს გაზეთის ფურცლებზე, რათა მისთვის საყურადღებო მასალა არ გამოჩინდეს, ხოლო ნაკლებმნიშვნელოვანზე დრო არ დაკარგოს. შრიფტის ზომის, ფორმისა და შეფერილობის გარდა, გარკვეულ როლს თამაშობს სათაურის სიგრძეც, რაც დამოკიდებულია ისეთი მისწრაფების განხორციელებაზე, როგორიცაა მაქსიმალურად შეკუმშულად და თვალში საცემად გადმოიციეს პუბლიცისტური მასალის ძირითადი შინაარსი. სათაურის სიგრძეზე დაკვირვების შედეგებიც, მოცემული ცხრილში (№ 9), ამის მაჩვენებელია.

¹ შტრ. „რეკეპტორული პრინციპი“ — (4, 219).

n - სიტყვიან სათაურთა რაოდენობა % - ობრივ

n=1	n=2	n=3	n=4	n=5	n=6	n=7	n>7
4	48	34	11	2	0,8	0,1	0,1

7.4. სინტაქსის ექსპრესიული საშუალებანი გავითის ენაში

7.4.1. ქართულ საგაზეთო-პუბლიცისტურ მეტყველებაში გამუდმებით გამოიყენება ზოგიერთი სინტაქსური ფიგურა, რომელიც სტილისტიკური ზეაწეულობითა და ექსპრესიულობით ხასიათდება. ეს ფიგურები ემყარება ერთგვაროვნების, გამეორებისა და სტრუქტურული პარალელიზმის მოვლენებს.

პრავალკომპონენტიანი რთული წინადადებები, რომლებიც ორზე მეტ პრედიკატულ ნაწილს შეიცავენ, დამატებით უნარს იძენენ ექსპრესიის შესაქმნელად, რომელიც ემყარება კომპონენტთა პარამონიული წყობის შესაძლებლობებსა და წინადადების საგანგებოდ მოწესრიგებულ რიტმულობა-მელოდიურობას. პოტენციური ექსპრესიულობა დაკავშირებულია იმასთანაც, რომ მნიშვნელოვანი სიგრძის ტექსტის სეგმენტები შეიძლება დახასიათდეს არა მარტო სინტაქსურ ერთეულთა სტილისტიკის მხრივ პარადიგმატიკულად, არამედ თანამიმდევრობათა სტილისტიკის მხრივაც სინტაგმატიკურად, რაზეც ქვემოთ შევჩერდებით.

წინადადების ნაწილებში სხვადასხვა ლექსიკური და სტრუქტურული ელემენტების გამეორება წინადადების შევსების საკუთრივ სტრუქტურული ან ლექსიკური მაჩვენებელი კი აღარ არის, არამედ წინადადების აგებულების სინტაქსური მოწესრიგების ელემენტი ხდება (142, 188). სწორედ ამ ელემენტთა ურთიერთგანლაგებასა და ურთიერთმიმართებას აქვს არსებითი მნიშვნელობა ექსპრესიული სინტაქსური ფიგურის აგებისას.

რთულ წინადადებაში შეიძლება ისე განლაგდეს პრედიკატული ერთეულები, რომ მათ გარკვეული სიმეტრია შექმნან, რაც კითხვის დროს თვალათაც აღიქმება:

„ახლა, დაეუფიქრდეთ, მართლაც, ვინ უნდა იზრუნოს პარტიის წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებისათვის, ვინ უნდა შეუწყოს ხელი შრომითს კოლექტივში ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ჭეშმარიტ განვითარებას, ვინ უნდა აღევნოს თვალუფრო პარტიული დისციპლინის განმტკიცებას, ვინ უნდა გამოიწვიოს მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების ეფექტიანი საშუალება?“

„შეხვედრის დროს ხაზგასმით აღინიშნა იმის დაბეჭივებითი აუცილებლობა, რომ უფრო გაბედულად ვებრძოდით ნაკლოვანებებს თვით სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში, გავაძლიეროთ ყველა ჯგუფისა და საგუშაგოს საქმიანობა, ავამაღლოთ იგი ხალხისობრივად ახალ, მაღალ დონეზე“.

რთული წინადადების ერთგვაროვანი ნაწილების საერთო მიზანდასახულება, ერთნაირი მოდალობისა და ზმნის დრო-კილოთა ფორმების გამეორება გარკვეულ ექსპრესიას ქმნის. აღნიშნული გამეორებანი თავის მხრივ ლექსიკურ გამეორებებსაც იწვევენ. მართალია, გამეორება ეკონომიის საწინააღმდეგო მოვლენაა, მაგრამ იგი, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, ექსპრესიულ ინფორმაციას წარმოშობს, რომელიც ავტორის ემოციური მდგომარეობის სიგნალს შეიცავს, რაც შეძლებისდაგვარად ადეკვატურად აღრე-ნატსაც გადაეცემა (142, 197).

ხაზგასმის ექსპრესიული ფუნქცია აქვს მაკავშირებელი სიტყვების გამეორებას:

„განუხრელად მატულობს ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, რასაც განსაკუთრებით დამაჯერებლად ავლენს რესპუბლიკაში მიმდინარე ექსპერიმენტებისა და სიახლეების ხასიათი, რასაც გვიჩვენებს მართვის ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების სისტემური ძიება, რასაც ადასტურებს სამეურნეო მექანიზმის შემდეგი სრულყოფა“.

„შრომისმოყვარე კოლექტივის დიდი გარჯის შედეგია, რომ ორ წელიწადში მთლიანად შეიცვალა ჩარხების ნომენკლატურა, რომ ამალდა მათი ტექნიკური დონე და ხარისხი, რომ გაუმჯობესდა მუშათა შრომის პირობები“.

მოყვანილ ნიმუშებში მაკავშირებელი სიტყვების გამეორების აუცილებლობა არ არის, მათ გარეშე ტექსტი აზრობრივად ბუნდოვანი არ იქნება, ამიტომ აქ მათ მხოლოდ სტილისტიკურ-ექსპრესიული ფუნქცია აკისრია. ასევე მეორდება ლექსიკური ერთეული რთულ წინადადებაში და ამგვარი გამეორებაც წინადადების წევრთა თავისებურ განლაგებას იწვევს: „... გულთბილი ღიმილი მარტო მომხმარებელს როდი ახალისებს, ღიმილი გამყიდველსაც სჭირდება და კარგია, როცა იგი ამ ღიმილს სწორედ მომხმარებლისგან იღებს კეთილი მომსახურების პასუხად“.

გამეორება გაზეთის ენაში მრავალგვარია: იგი შეიძლება სტრუქტურათა გამეორებამ მოგვცეს ანდა სინტაქსურ ფიგურებში განხორციელდეს. ყველა შემთხვევაში სტილისტიკურ თანაბმდევრობასთან გვაქვს საქმე, რაც გარკვეული ექსპრესიოთა აღჭურვილი.

რთული წინადადებები, რომელთაც სტრუქტურული პარალელიზმი ახასიათებთ, ასევე გავრცელებულია საგაზეთო-პუბლიცისტურ მეტყველებაში:

„მოკლედ მოვიხილოთ, რაც გვიკეთებია და მოკლედვე ვთქვათ, რას გავაკეთებთ“;

„არაფერი გაახარებს მშრომელ კაცს ისე, როგორც თავისი შრომის ნაყოფი, არაფერი დაალონებს მშრომელ კაცს ისე, როგორც თავისი შრომის ნაყოფის იავარქმნა“...

სტრუქტურული პარალელიზმის შექმნა შეუძლია შენასმენელთან მორფოლოგიური გამოხატვის ერთგვაროვნებას:

„სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამკვერელური კომკავშირული ობიექტები გვიშენებია, ფაბრიკები და ქარხნები წამოგვიმართავს, საბავშვო ბაგა-ბაღები აგვიგია, გზები გავიყვანია“...

I თურმეობითის ფორმების გამეორებაზეა აგებული მოყვანილი სინტაქსური ფიგურა.

წინადადების აქტუალიზებული წევრების ერთნაირი განლაგებით შექმნილია პარალელიზმი შემდეგ ნიმუშებში:

„იგრძნობოდა ჩვეული დაძაბული რიტმი, დაფუსფუსებდა ხალხი ბაქანზე, ჩქარობდა, ხმაურობდა და შემოდინდნენ ერთმანეთის

მიყოლებით მატარებლები, ჩქარობდნენ ისინიც, ხმაურობდნენ და ასევე ხმაურით გადიოდნენ“.

„გაუმჯობესდა კადრებთან მუშაობა, დამყარდა სანიმუშო წესრიგიც და შემცირდა დარღვევა-დამახინჩებანიც“.

„ორმოები ახალგაზრდებმა გაამზადეს, ნერგები შეფებმა ჩამოიტანეს“.

ისეთი სინტაქსური ფიგურა, როგორცაა პერიოდი, რომლის კონსტრუქციული ნიშნებია მისი ნაწილების ერთგვაროვნება, მრავალგვარი განმეორებანი და სტრუქტურული პარალელიზმი, ფართოდ გამოიყენება ქართულ პრესაში. უფრო ტიპობრივია პერიოდის იმგვარი აგება, დამოკიდებულ წინადადებათა პრეპოზიციას რომ გულისხმობს:

„როცა უბრალო მეყალიბე, ჩამომსხმელი მშობლიურ სახლად თელის ქარხანას, როცა იგი გადაიქცევა მის მოამაგედ, გახდება მისი ნამდვილი მეურნე, მაშინ იგი თავისი საწარმოს პატრონია“.

„იქ, სადაც იგი პირველად ჩავიდა, სადაც თავისიანად მიიღეს და შეიყვარეს, სადაც გამოცადა საკუთარი თავი და შესაძლებლობები, მას სწორედ იქ უნდოდა ახლა დაბრუნება, იქ მიუწევდა გული“;

ზემომოყვანილ წინადადებათა პირველი ნაწილები ერთგვაროვნადაა აგებული: პირველში დროის გარემოებითი დამოკიდებული მეორდება, მეორეში — ადგილისა, ამ უკანასკნელის მთავარიც ერთგვაროვანი სტრუქტურებისაგან შედგება. ჩამოთვლის ინტონაცია ერთნაირადაა მიმართული, ერთგვარია ინტონაციური წყობა, ჩამოთვლით ტონი თანდათან ძლიერდება სინტაგმებში, რომლებიც პერიოდის შემადგენელი ნაწილებია. ყოველი ჩამოთვლის მომდევნო ელემენტი უფრო ძლიერია წინამორბედზე. პერიოდის ნაწილების ამგვარი გადაბმა ამზადებს განმუხტვის მომენტს, რომელიც პერიოდის მეორე ნაწილში ხდება, ინტონაციური და აზრობრივი დაძაბულობა ერთდროულად სუსტდება (124, 138). სწორედ სტრუქტურული და რიტმულ-მელოდიკური თავი-

სებურებანი განაპირობებს პერიოდის ფუნქციონირებას პუბლიცისტურ მეტყველებაში; როგორც ექსპრესიულ-სტილისტიკური ფიგურა, იგი თითქმის ყველაზე პოპულარულია.

7.4.2. პარალელიზმი დამახასიათებელია საგაზეთო ტექსტების ზეფრასული ერთიანობებისთვისაც. დამოუკიდებელ წინადადებათა ქაშდევრობა გაბმულ ჯაჭვს ქმნის პარალელური დაკავშირების გზით: კონსტრუქციათა გამეორება-ერთგვაროვნება, ერთნაირი ლექსიკური შემადგენლობა, ანაფორული პარალელიზმები ტექსტის გარკვეული მონაკვეთის ფარგლებში რიტმულ და აზრობრივ მთლიანობას ქმნის.

ასირად პარალელიზმი ხორციელდება წინადადებათა სინტაქსური სტრუქტურების პარალელიზმით, რასაც შეიძლება ქმნიდეს წინადადების წევრთა ერთნაირი რიგი, მაგ.:

„სპექტაკლის ყველა მონაკვეთში იგრძნობა განსაკუთრებული ზონიერება. სპექტაკლში ზუსტადაა დაცული მხატვრული განზოგადებას პერიმეტრები. უაღრესად ფაქიზადაა მისადაგებული ხშირად განსხვავებული თეატრალური ინტონაციები. მკაცრად გეგმაზომიერი და ამავე დროს უაღრესად ინტენსიურია სპექტაკლის ტემპი. ანუ შექმნილია ურთულესი რეჟისორული პარტიტურა“.

მთავარი წევრების ამგვარი რიგი — შემასმენელი-ქვემდებარე, მეორდება მოყვანილი აბზაცის შემადგენელ ყველა წინადადებაში.

სტრუქტურული პარალელიზმი უფრო თვალში საცემია, როცა მას ლექსიკური გამეორებაც ახლავს. ამგვარი ანაფორული სტროფები მრავალფეროვანია გაზეთში იმის მიხედვით, თუ წინადადების რომელი წევრია გამეორებული. გვხვდება ანაფორული ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი და ირიბი დამატება და წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებიც. ექსპრესიის ამ საშუალებას გაზეთის იმ უანრებში მიმართავენ უმეტესად, სადაც მთავარია ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების დანიშნულების განხორციელება.

ამგვარად, დამოუკიდებელ წინადადებათა გადაბმასთან ერთად, გვხვდება სინტაქსური წყობის პარალელიზმიც, რაც მსჯელობათა პარალელურ დაკავშირებას ასახავს. მისი ფუნქცია, ისევე როგორც რთულ წინადადებაში, მის გარეთაც — სტროფში, აბზაცში, ზეფრაზულ ერთიანობაში — ექსპრესიულ-სტილისტიკური ეფექტის შექმნაა.

ცხრილუბის განმარტება და სტატისტიკურ მაჩვენებელთა ინტერპრეტაცია

ფუნქციურ სტილთა შესწავლა, წარმოდგენილი წიგნში, ერთი მხრივ, სტატისტიკურ კვლევასაც ემყარებოდა. ენის ალბათურ-სტატისტიკური გამოკვლევის მრავალრიცხოვანმა ცდებმა, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, ცხადყო ის ვითარება, რომ დროა სტილთა „თვისებრივი“ ჰიპოთეზიდან თვისებრივ-რაოდენობრივ ჰიპოთეზაზე გადავიდეთ (52, გვ. 265). ის, რომ ესა თუ ეს სტილი ინტუიციურად შეიცნობა ენის მფლობელის მიერ, უკვე ადასტურებს ამ სტილის არსებობას და აქედან გამომდინარე, სალიტერატურო ენის ფუნქციურ დიფერენციაციასაც. ამოცნობის ამ უნარს, ცხადია, ობიექტური საფუძველი აქვს — გარკვეული ენობრივი საშუალებანი ერთ სტილში მეტად გამოიყენება, მეორეში კი — ნაკლებად. ეს „მეტად“ და „ნაკლებად“ უბრალოდ რაოდენობრივი მახასიათებლები კი არაა, არამედ — რაოდენობრივ-თვისებრივი. „თვისებრივი ნიშნებისაგან დაცლილი რაოდენობა ენას არ გააჩნია“ (52, გვ. 268).

მართლაც, ერთ ფუნქციურ სტილში ზმნები უფრო აქტიურია, ვიდრე მეორეში; ასევე, ზმნისა თუ სახელის გარკვეული ფორმები ერთგან უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე მეორეგან; თანწყობილი წინადადებები, მაგალითად სამეცნიერო სტილში უფრო ნაკლებია, ვიდრე პუბლიცისტურსა და მხატვრულში, ხოლო შერწყმული წინადადებები გაზეთში უფრო გავრცელებულია. ვიდრე სხვაგან და სხვ. სწორედ ეს თვისებები, მათი ერთობლიობა და სიხშირული განაწილება განასხვავებს სტილებს, გამოარჩევს მათ ერთმანეთისგან. ამგვარად, რაოდენობრიობა აქ თვისებრიობას გამოხატავს და უფრო მეტიც, ქმნის კიდევ მას.

სანამ ცხრილების განმარტებას შევუდგებოდეთ, წარმოვადგენთ 5 ახალ ცხრილს, რომლებიც №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 ცხრილებში მოცემული მაჩვენებლების საფუძველზეა შექმნილი. უფრო სწორად, მეათე ცხრილი გამომდინარეობს უშუალოდ წინა ცხრილებიდან, ხოლო მისი მომდევნოები (№№ 11, 12, 13, 14) — მისგან. ახალი ცხრილები, რომელთა ახსნა-განსჯას ქვემოთ, სათანადო აღვალზე ვიძლევი, ჩვენ მიერ პირველად შემუშავებული მეთოდითაა აკებული. მათი მიზანია სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე დადგინდეს, შესწავლილი სამი სტილიდან რომელი ორი დგას ერთმანეთთან უფრო ახლოს და რომელ მათგანს უჭირავს შუალედური მდგომარეობა დანარჩენ ორს შორის¹.

სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც დროდადრო წარმოდგენილი იყო ცხრილებში, მიღებულია სამეცნიერო, საგაზეთო და მხატვრული ტექსტების ანალიზის საფუძველზე.

